

644.
1959/2

საქართველო
ბიბლიოთეკა

გაზეთი

2

ქართული

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურობანი

საქართველოს ალკკ ც. კ-სა და
მწიბრალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

მ. წულეისკირი — შინაარსიანი დღეები, მხიარული დღეები	8
მ. გორგაძე — ის აკაშკაშდა ოქტომბრის მზის ქვეშ (ლექსი)	14
ალ. გრიგოშვილი — ჩაცვის უკანასკნელი მონოლოგი (ნაწყვეტი პიესიდან „ვაი ჭკუისაგან“ თარგმნა ს. ფაშალიშვილმა)	15
მ. ჯეჯინიძე — ოქროს თუმანიანი (მოთხრობა)	17
ბ. ჩხეიძე — მწვანე ხოდაბუნი (რომანი, გაგრძელება)	37
ა. ლომიძე — ორი ძმა	48
მ. ქუპრაძე — ცუდღარის წყალი (პოემა, გაგრძელება)	54
მ. ჩეჩელაშვილი — ფოლადის ფრთებზე (გაგრძელება)	66

მეშუარეობი

შ. დედინი — რაც გამახსენდა (გაგრძელება)	86
---	----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. ფირცხალაძე — ლენინური კომკავშირის საგმირო საქმეები	97
მ. ბაღრაშვილი — ღირსეულ ტრადიციათა განსაგრძობად	108
ბ. ბაბუნიანი — ჩვენი საყვარელი ლექსი	107
ლ. ჯანაშია — მეგობრის წიგნი	112
თ. კოკლაძე, ზ. ჭუმბურიძე — ქართული ენის ბუნებრივობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში	117


7766

2

1959

თეატრული

სახელმწიფო
ბავშვთა მოხელთა
„საბავშვო“
საქართველო





ბ. სხირტლაძე — სულხან-საბა ორბელიანის
 გამოუქვეყნებელი ძეგლი „სწავლა-მოძღვ-
 რებანი“ 124

ხელოვნება

გ. გულიძე — შექსპირის შემორიალური თეატ-
 რი მოსკოვში 135

მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეები

ა. კარბილაშვილი — „შავი“ და ზედწერი
 დღეები 146

სპორტი

ს. ფლორი — ფიჭრები და ფაქტები 159

ყოველი მხრიდან

ქრონიკა 167



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

- თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

შეღობიებულია დასაბუქდალ 16/III-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 69.
 შე 01064. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლთაფგამომცემლობის ბეჭდვითა
 სიტყვის კომბინატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
 Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ნოვარ ნადისკიკი

ქართული დღეები
მხარული დღეები

დღე და ღამე

მაღე დილის 8 საათი იქნება. ცივა. ქარხნის მთავარ შესასვლელთან გახ-
შირდნენ მუშები. ჩქარი ნაზიჯით მიდიან, ხმამაღლა ლაპარაკობენ, ვიღაც ხარ-
ხარებს. საამქროებამდე კარგა შორი მანძილია. მოსთვალტებული გზა ჯერ
პირდაპირ მიდის, შემდეგ განშტოვდება მდინარესავით — აქეთ მარტენის საამ-
ქროა, იქით საბრძმდე. მუშებიც გაიყოფიან და თავაწეულნი, თავჩაქინდრულ-
ნი, გაღიმებულნი, შუბლშეკმუხენილნი მიდიან და მიდიან.

— როგორა ხართ, ბიჭებო?! — კითხულობს ტანმორჩილი რუსის ბიჭი ნი-
კოლა, რომელსაც ქერა ქოჩორი მხოლოდ შუბლთან აქვს და ისიც აბურძგენი-
ლი, რამდენიც უნდა ივარცხნოს, სულერთია, არც გვერდით გადაივარცხნება და
არც ზევით.

— არა გვიშავს, შენ რას შვრები? — ეუბნებიან ნიკოლას და ვანაგრძობენ
საუბარს.

— ჯემალ, როგორ შეეგუე ახალ პროფესიას?

ჯემალი ნიკოლას ყურადღებას არ აქცევს, ბონდოს უსმენს.

— რუსთაველის პროსპექტი სჯობია თუ ქარხანა? ჯემალ, ჰა, რას იტყვი!

— მოეშვი, თორემ მაგ კუჭუჭა თავზე თუ დაგადო თავისი ლაფთაჰა ხელე-
ბი, გაგაბრტყელებს, — ეუბნება არჩილი და იცინის.

— ახლა რამდენი კილო ხარ, ჯემალ? — არ ისვენებს ნიკოლა.

ჯემალი 110 კილოა.

— ნიკა, რას ჩამაცვივდი ამ დილაადრიანად, რამე ხომ არ მოვლანდებია!

— უნდა დაგეკიდო!

— ფხ!..

ჯემალ ქვარცხავა ბიჭებში გოლიათივითაა. მასზე ამბობენ, ნახევარფუთია-
ნი მკლავები აქვს და არშინიანი მტკაველით. თბილისიდანაა ჩამოსული. ახლა
იგი უკვე კარგი მექურეა.

მათ უკან მოდის წითური კაცი, ჩაფსკენილი, მსუქანლოყებიანი ივან პეტ-
როვიჩი, რომელსაც დატეხილ „კიზიროკიანი“ ქუდი ახურავს და ნივრის სუნი
ამოსდის პირიდან.

— ვითომ რა წითელი კვერცხია არჩილ ძამაშვილი? მაგაზე ნაკლებად ცხელი იმუშაოს, შემირცხვენია! — ისმის მისი ხრინწიანი ბანი.

— არა, კარგი ბიჭია, რაც მართალია, მართალია, — ეუბნება თანამგზავრი, რომელსაც ორივე ხელი „ტელეგრაფის“ ჯიბეებში ჩაუწყვია და ყურბიანი ქუდი ახურავს.

მოდინ ჯგუფ-ჯგუფად, ცალ-ცალკე, მოაბოლებენ პაპიროსს, მოდიან ჩქარა, ნელა. ზოგი შუაგზაზე, ზოგნიც ნაპირ-ნაპირ. იშვიათად გამოჩნდებიან ქალები.

ზოგიერთები ერთად მოდიან, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობენ და უხმოდ მოაბიჯებენ — იმხელაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ისე შორიშორსაა საამქროები, მუშები წელიწადში ერთხელ თუ შეხვდებიან ერთმანეთს, ისიც ალბათ ამ გზაზე, ან მიტინგზე, ანდა რაიმე დღესასწაულზე.

ქარხნის წინ ავტობუსიდან ჩამოცვივდნენ მუშები და შესასვლელს ახალი ნაკადი მოაწყდა. საცაა ქარხნის საყვირი ქვეყანას დააქცევს. სულ ახალგაზრდები მიდიან, მხიარული სახეები აქვთ, მასხრობენ, იცინიან, ეჩქარებათ, სცივათ. ყველაზე მაღალი წოწოლა ბიჭი ამბობს:

— ამ თვეში თუ აჩიკოს ბრიგადას ვერ გავასწარი, მერე ტყუილად ჩემს სახელს ნუ ახსენებთ.

— ვა! კიდევ აჩიკოზე ლაპარაკობს!

— ზახრუმან! შენ გვიწი ხელს, თორემ ჩვენ იმ თვეშიც გავასწრებდით.

— ბიჭებო! ბიჭებო! მომიცადეთ! — უძახის ბიჭებს ზაქრო და გაზეთს მოაფრიალებს.

— ამირან ფანცულაიას კომუნისტური შრომის ბრიგადის შესახებ წერია, ა, წაიკითხეთ!

ბიჭები ზაქროს შემოეხვევიან.

ყოჩაღ! ყოჩაღ! — სათითაოდ წარმოთქვამს ყველა, მაგრამ გულის კუნჭულში, სადღაც შორს, მაინც გაივლებენ: „რატომ ჩემზე არ უნდა წერდნენ?“

— არა, ძმაო, თუ ხარ — პირველი უნდა იყო, მეორე მაინც, ჯანდაბას, მესამე იყავი!.. შემდეგი ადგილებისა კი რა მოგახსენო, — გულნატკენი ამბობს წოწოლა.

ბიჭები ხმას არ იღებენ.

— ჩვენ რა? არ ვმუშაობთ თუ? — ხანგრძლივი დუმისის შემდეგ ამბობს ზაქრო.

— მეტია საჭირო!..

ჩქარი ნაბიჯით მიდიან ბიჭები, დადუმებულნი, დამუნჯებულნი და მათ სახეზე მტკიცე გადაწყვეტილებაა — გამოადნონ მეტი ფოლადი.

ქარხნის ტერიტორია ნელ-ნელა ცარიელდება. საყვირი ქვეყანას აქცევს. კიდევ რამდენიმე წუთი და ამ გზაზე კვლავ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმე დაამთავრეს და ახალ ცვლას ჩააბარეს საამქროები.

საბრძმედ საამქროში არჩილ გიგინეიშვილმა შეცვალა არჩილ ძამაშვილი. არჩილ ძამაშვილი ცოცხალი ბიჭია, შუა ტანის, შავკერძის. გუშინდელი მუშა დღეს ცვლის ოსტატია, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელია, რომელზეც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. იცვამს უბრალოდ, — გულისჯიბეებიან ბლუზას და ფართო ტოტებიან შარვალს ატარებს. როცა არხებში გავარვარებული თუჯის ნიაღვარი წამოვა, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების ოთახიდან გამოვა და ბიჭებს გასცქერის.



— დაჰკა, მირონ, მაგ ადგილას მაგრა დაჰკა! ხომ ხელავ, ციცივი აიგ-სო, გაღმოდის.

მეჭურე მირონ კიკვიძე რამდენიმეჯერ ძლიერად დაჰკრავს რკინის ვეებერ-თელა ჯოხს და გაარღვევს ხენჯს. გავარვარებული ლავა განავრძობს გზას.

შემდეგ ტარიელს დაუცაცხანებს, ბანეთიშვილს. ტარიელი კი ჰქვია, მაგ-რამ ერთი ციდა ბიჭია.

— გაინძერი! უფრო სწრაფად!

ტარიელიც დაფაცურდება. კვამლსა და ბულში სულ ჩაიკარგება ბიჭი, შემ-დეგ ისე გამოჩნდება, ისე დაიკარგება... მოშუის და მოდის ნაკვერცხლისფე-რი ლავა.

აჩიკო კი დგას სათვალთვალო აივანზე, ცალ ხელს იფარებს სახეზე და თვალყურს ადევნებს ცვლის მუშაობას. თუ რამე გაჭირდა, ისიც გადაეშვება, ცეცხლსა და ბულში ჩაიკარგება. ქმინავს მხოლოდ კვამლში გახვეული ვეებერ-თელა ლუმელი, ასე გგონია, ეს ადამიანები გადაყლაპა და ახლა სხვას ელისო...

შემდეგ ყველაფერ ამას მეორე არჩილი აკეთებს. არჩილ ძამაშვილი კი გა-მოდის საამქროდან და ამხანაგებთან ერთად მიდის და მიმასლათობს...

იგი ერთი იმათთაგანია, ვისაც შინაარსიანად უცხოვრია ამ ქვეყნად და სი-ქაბუჯეშივე უბოვნია თავისი ადგილი ცხოვრებაში. ვინ იფიქრებდა, თუ მარტყო-ფელი ერთი უბრალო ბიჭი, საქვეყნოდ გაითქვამდა სახელს და რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა რიგებში ჩადგებოდა.

არჩილსაც აქვს პატარა ბიოგრაფია. ჯერ მარტყოფის საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ დონბასში ეუფლებოდა პროფესიას. პირველად დუმელს ახლოს ვერ წაეკარა, შეეშინდა, შემდეგ ნიკალა ბურაკოვი დასცინოდა: შენ უნდა ამამუშავო საქართველოში ახალი მეტალურგიული ქარხანა? დონბასშივე აიღო არჩილმა პირველი ჯამაგირი. იმ დღეს რა დაავიწყებს; მიხო გორდაშვილ-მა ისე დაათრო ნიკალა ბურაკოვი, სსადილოდან ხელით გამოიყვანეს და მერე სულ ბუზღუნებდა: ეს რა მიქენით და რა მიქენითო. მიხო არჩილთან ერთად იყო დონბასში, ახლა ისიც ცვლის ოსტატია. სტალინოში ერთი ოთახი ჰქონდათ, მათთან ერთად იყვნენ ფირუზა და საშა. ფირუზ იმედაშვილი ახლაც იქაა. ოღონდ სახელი გამოუცვალეს და პეტრეს ეძახიან.

მუშათა საერთო საცხოვრებელში ყველამ იცოდა ქართველების ხმაურიანი, მხიარული ოთახი. ხოლო მას მერე, როცა ერთხელ ეზოში ჭიდაობა გამართეს, ყველას პირზე ეყერა მიხო გორდაშვილის, არჩილ ძამაშვილისა და საშა ყაზარა-შვილის სახელები.

გაზაფხულის საღამო იყო. მიხომ აჩიქმა — ეზოში ჩავიდეთ და ჭიდაობა გავახუროთო. ჩავიდნენ. ფირუზამ ტუჩებით დაუკრა საჭიდაო. აჩიკო და მიხო შეძიძგილავენ. მიხო კარგად ჭიდაობს, აჩიკო — საშუალოდ.

— არ წამაქციო, ბიჭო, არ გავიწყრეს ღმერთი! — ამბობს აჩიკო.

— არა! ხალხმა თავი მოიყაროს და მერე წასაქცევს ვიშოვი, — ილიმება მიხო.

მალე მართლაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მარტო საერთო საცხოვ-რებლის მუშები კი არა, მეზობელი ეზოდანაც გაღმოვიდნენ გოგონები და ბიჭე-ბი. მიხო სულ გადაირია: იმ საღამოს ერთმანეთზე დააწყო ვანია, პავლიკა; ის კი არა, იფრი ტოლსტაიკიც მოგვერღზე წამოიღო და გაშხლართა. აჩიკომაც იჭი-დავა. კარგი დრო გაატარეს. ყველანი კმაყოფილნი იყვნენ, იცინეს, იმხიარუ-ლეს...

მიხო მოწინავე ახალგაზრდაა ქარხანაში, ახლა თავის ძველ მეგობარს არ-

ჩილს ეჯიბრება. „უნდა გაჯობო!“ ეტყვის ხოლმე არჩილს და მხარზე ხელს დაჰკრავს. არჩილს ელიმება. ძალიან უყვარს მიხო. ღონბასიდან დაბრუნების შემდეგ არჩილ ძამაშვილი ჯერ პირველ ღუმელზე მუშაობდა, მერე მეორე ღუმელი აამუშავეს და მას უკან აქა. მარჯვე ბიჭები ჰყავს — რევაზ კაფიანი, მირონ კიკვაძე, საშა მარგოშია, ტარიელ ბანეთიშვილი, იროდიონ შამათავა, ანზორ ივანიძე და სხვები.

არჩილი გამოცდილი მებრძმედა, ხუთი თითვიით იცის ღუმელი. თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდობას, დარაზმა და წაიყვანა, წაიყვანა, როგორც გამოცდილი მეთაური წაიყვანს ხოლმე ასეულს შეტევაზე და გაიმარჯვებს...

ჩემი ოცნებაა დავამთავრო უმაღლესი სასწავლებელი, — მეუბნება არჩილი.

ახლა იგი მესამე კურსზეა. სამუშაო საათების შემდეგ ზის ლექციაზე, მეცადინეობს, ხაზავს, ფიქრობს. გვიან ღამით ბრუნდება შინ. წყნარი ოჯახი აქვს. ვაჟაკები ჰყავს — ზაური და რამაზი. ახალ ბინაში ცხოვრობს, ახლახან მიიღო ბინა. ლილი არ ეჩხუბება, იცის, სადაც იყო მისი ქმარი... ხოლო იქ, ქარხანაში, ღუმელთან არჩილ გიგინეიშვილი დგას.

ვიდრე თუჯი წამოვიდოდეს, არხები უნდა დატყეპნონ, გააშრონ, გაწმინდონ.

— აბა, ზაქრო, ჩქარა! ნახევარი საათი დავგრჩა.

ზაქრო პაპუნაშვილი უფროსი მექურეა, ღონიერი ბიჭია, მკლავმაგარი.

— წყალი არ დაეცეს!

— ჰაერი მიეცი!

ღირიყორობს ახლა მეორე არჩილი.

არჩილ გიგინეიშვილი დაბალი ბიჭია, ქერა. ცისფერი თვალები აქვს, დიდრონი და მეტყველი. მან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ქარხანაში ჯერ მექურედ მუშაობდა, — ახლა რომ ნიკალა ხოლოსტოვი მუშაობს, იმის ადგილას, — შემდეგ მეთაირედ გადაიყვანეს. წელზექამარშემოჭერილი პალტო აცვია და შავი ფეხსაცმელები. საამქროში არჩილ გიგინეიშვილი ყველას უყვარს. პარტიუტროს მდივანი ვარდიშ კობერიძე ამბობს:

— კარგი ბიჭია, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის, მაგრამ ჯერჯერობით...

ცვლის უფროსი ღურმიშხან გობეჯიშვილი შეაქებს, აბა, რა იქნება — ერთად სწავლობდნენ, მეგობრები არიან — ერთად მიდიან, ერთად მოდიან, ერთად მუშაობენ...

ერთადერთი მომჩივანი ჰყავს არჩილს, — ბებია რახილი.

— ცოლი არ მოჰყავს, შვილო, და ამაზე ვარ გულნატყენი!

არჩილს დედ-მამა ადრე გარდაეცვალა, ბებია გაზარდა და ახლაც ბებიათანაა.

— მალე, მალე მოვიყვან, ბები, ნუ გეშინია, — აიძვებდა არჩილი და არიან ასე.

არჩილს უფრო დიდი საფიქრებელი და საზრუნავი აქვს: უყვითხად უნდა იმუშაოს; რატომ არ უნდა იყოს პირველი?! მშვენიერი ბიჭები ჰყავს, ძალა მათ ხელშია და ცოდნა. მომავალზე უნდა იფიქროს, მეტი უნდა იკითხოს, იმეცადინოს. ძამაშვილის ბრიგადა უნდა გამოიწვიოს შეჯიბრებაში და უნდა აჯობოს, — ამას აქვს ხალისი და ინტერესი. ბიჭები თანახმანი არიან, მათაც ეს უნდათ.

— აბა, დროა! ბიჭებო, გამოუშვით! — გასცემს ბრძანებას არჩილი.

ზაქრო რკინის ჯოხით შეიანგრევს ღუმელის თიხის საცობს და წამოევა ნაკ-



ვერცხლისფერი ლავა, აბრიალდება საამქრო, ბულში გაეხვევა ღუმელი და ადამიანები რკინის ჯოხებით ხელში ხან გაქრებიან და ხან გამოჩნდებიან...

ქმინავს ღუმელი...

სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ ნიკალა ეუბნება არჩილს:

— რომ იცოდე, რამდენი ლითონის ნარჩენია ხეივანებში! მოდი დავრჩეთ.

შევაგროვოთ და ჩაყაროთ ღუმელში.

— ბიჭო, მაგას რა ჯობია!

გულმოდგინედ მუშაობენ კუნთმაგარი მკლავები... ნიკალა ერთიანად მათუთშია ამოვლებული. ზაქროს ხეითქი გადასდის შუბლზე...

შემდეგ ყველანი თავთავიანთი გზით მიდიან შინსკენ: არჩილი ვაგონში ზის და ფიქრობს. ვაგონი თბილისისაკენ მიჰქრის. თბილისში არჩილს ბებია ელოდება.

ობოლი ბიჭი, პატარა ბიჭი ახლა რამხელა საქმეს აკეთებს! რა ვეებერთელა მანქანას ერკინება!

ახლა იქ, ღუმელთან ალბათ სხვა დგას, ისეთივე ტანმორჩილი და უბრალო ბიჭი, როგორც ეს ორი არჩილია, ალბათ ისევ მოდის ნაკვერცხლისფერი ლავა და ისევ ქმინავს ღუმელი...

ახლა ღამეა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენთვის — რუსთაველებისათვის სულერთია დღე და ღამე.

კახელო

ზურაბ გველუკაშვილი თბილისში ჩამოვიდა თუ არა, სახელი გამოუცვალეს — „კახელო“ შეარქვეს. კიდეც კარგად გადაურჩა ნაძალადეველებს — მის ერთ ამხანავს „კუზინანოს“ ეძახიან.

კახელო დაბალი ბიჭია, ჩაფხვნილი. შავშავია. სოფელში ეუბნებოდნენ — რა ქვაბს დანატაკებსა გავხარო. შავია და რა ქნას ახლა, გოგო ხომ არ არის. მთვარესავით ანათოს. გუშინ თავი პირველი ნომრით გადაიხორტა — მასწავლებელს არ მოეწონა მისი ქოჩორი. აფსუს, კახურ ქუდს ვერ დაიხურავს! ქოჩორი თუ შუბლზე არ გაყრია, სჯობია კახური ქუდი არ დაიხურო. და აი, არ იხურავს, არც ფორმის ქუდი ახურავს, არაფერი არ ახურავს. ტრამვაის უკანა ბაქანზე დგას და ფანჯარაში იქიბება. აქ უამრავი დიდი ბიჭია, ზოგი პაპიროსს აბოლებს, ზოგიც ლაზღანდარობს, ბილეთს არ იღებს, კონდუქტორის ჯაჯღანს ყურადღებას არ აქცევს. კახელო მათში ჩაკარგულია. ისინი მალეები არიან, ისინი დიდები არიან. როდის იქნება კახელოც დიდი! დგას თავისთვის კუთხეში კახელი ბიჭი, გამოხუნებული ლურჯი ფერის ხალათი აცვია. ასეთივე შარვალი. წელზე შემოჭერილი აქვს ფართო ქამარი, რომლის რკინის ბალთაზე მსხვილი ასობით აწერია ЖДВ 6. ტრამვაი მიჰქრის. კახელო მთელ ქუჩას ხედავს. ქუჩაში ადამიანები მიდი-მოდიან, ქუჩაში მანქანები ირევა. მეგზოვე ვინ იცის მერამდენად ხვეტავს ქუჩას, ხოლო მეგზოვეებს აქვთ ციებ-ციხელება. ცვივა და ცვივა ფოთლები. შემოდგომაა, ყვითელი შემოდგომა. კახელოს ფოთოლცვენა და ხეების შეფოთვლა აღიზიანებს. სოფელს ახსენებს, გურჯაანს, ვეჯინს. აღზანს და ჯვარას ტყეს ახსენებს...

„ჯვარაზე ალბათ უკვე ზღმარტლი და შინდია, ავთო ალბათ მარტო დიდის“, ფიქრობს კახელო. დედა აჯონდება, კეთილი დედა. საკუთარი სახლი, ეზო-ყანა. და ყელში რაღაც მარწუხებით შეაფრინდება, მოუჭერს, თვალები ცრემ-

ლით აეგება და... „თფუო“ გადაფურთხებს, შემოტრიალდება. ბაქანზე ისევ დიდი ბიჭები ირევინან. უამრავი ხალხია ვაგონში....

სალამოს ზურაბი წერილს წერს დედას: „საყვარელო დედა, როგორ ხარ. მე ძალიან კარგად ვარ, ჩემზე ნუ იღარდებ. საჭმელი მაქვს, სასმელი, ტანსაცმელი და სახურავი, ხელობას ვსწავლობ, ხარატი გამოვალ. თბილისი ძალიან კარგი ქალაქი ყოფილა, სასწავლებელში ყველანი ჩემისთანა ტლუ ბიჭები არიან, სულ ერთადა ვართ, ერთად ვცხოვრობთ, ერთად მივიდივართ და ერთად მოვიდივართ“...

შემდეგ ისიც მისწერა, რომ ძია ნიკო ძალიან კარგი კაცია, დიდი პატივისცემა, რომ სასწავლებელში კარგი მასწავლებლები არიან, რომ კინოშიც კი წაიყვანეს სასწავლებლიდან. რა არ დაწერა, რა არ იბოდილა და რვეულის შუა გულიდან ამოღებული ორი ფურცლის ოთხივე გვერდი გაავსო. ბოლოს მაინც მიაწერა: „ჯვარაზე ალბათ უკვე ზღმარტლი და შინდი მოვიდა, არა, დედა?“

მზიარული დღეები ხელსა და ხელს შუა გათავდა. კახელომ სასწავლებელი ფრიადებზე დაამთავრა. კიროვის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. გასაოცარი ის იყო, რომ მხოლოდ პირველ დღეს მიმართავდნენ მას ნამდვილი სახელით, მეორე დღიდან უკვე მთელმა ქარხანამ იცოდა, რომ ზურაბს „კახელოს“ ეძახდნენ.

— ვინ შეგარქვა, ბიჭო, „კახელო“?

— სწორედ რომ ზედგამოჭრილია.

— გაინძერი სწრაფად, უ, შე მართლა კახელო!

ხარხარებდნენ ბიჭები. ელიმებოდა ზურაბსაც. „ეგ ვიტყვას და დათიკოს მოტანილიაო“.

გატაცებით დაიწყო ზურაბმა მუშაობა. ერთ მშვენიერ დღეს სამხედრო კომისარიატში დაიბარეს. კახელო არ დაფიქრებულა, არ შეეყოყმანებულა, ჯარისკაცური ჩექმა წუწუნით კი არ ჩაუცვამს, ჩაიცვა და მტკიცედ, ვაყვაცურად ჩადგა რიგში. ჯერ ჩვეულებრივი ჯარისკაცი იყო. დილის ექვს საათზე ათმეთაურის შეკვივლებაზე „პადიომ“! — დგებოდა, წელზევით ტანს ცივი წყლით დაიზელდა, ივარჯიშებდა, ისაუზმებდა. მეცადინეობაზე აქტიურობდა. სულ ზეპირად ისწავლა განაწესი და როცა ყველაფერში ფრიადი მიიღო, პოლკოვნიკმა მიხაილოვმა ჰკითხა:

— სადაური ხარ, ბიჭო შენ!

— ქართველი ვარ, ბატონო, გველუკაშვილი.

— მისამართი?

— გურჯაანის რაიონი, სოფელი ვეჯინი.

— ვინმე გყავს სოფელში?

— დედა.

შემდეგ გაიგო ზურაბმა, რომ პოლკოვნიკმა დედამისს კარგი შვილის აღზრდისათვის მადლობის წერილი გაუგზავნა.

მადლობებით და საპატიო სიგელით დაჯილდოვებული ჩამოვიდა ზურაბი არმიიდან.

სამი წელი არ გავგონა ზურაბს თავისი მეორე სახელი. ქარხანაში რომ მივიდა, ერთხმად იქუხენ ბიჭებმა: „კახელო მოვიდა, კახელო მოვიდა“.

— გამარჯობა. კახელო!

— როგორა ხარ?

— სქელი ბორში გქონდათ!

— გაუსუქებიხარ, ბიჭო, ბორის.

— რამდენი დღე იჯექი გაუბახტში? — ეკითხებოდნენ ბიჭები, იცინოდნენ, გარს ეხვეოდნენ.

— სუვოროვი ამბობდა, რომა — დაიწყო კახელომ, — ძალიან უნდოდა ბოლო შეკითხვისათვის გაეცა პასუხი.

— ვაა, სუვოროვიო! ნახე, ჩვენი კახელო აღარ ხუმრობს!

— რეები უსწავლია?

— ეჰ, თქვენთან ლაპარაკი არ შეიძლება, სულ უნდა იმასხროთ?!

თქვა კახელომ და წასვლა დააპირა.

ბიჭები კახელოს ნაწყენს სად გაუშვებდნენ. ათქმევინეს რაც უნდოდა. მერე სამუშაო საათის შემდეგ იპურმარილეს და გვიან დაიშალნენ.

კახელომ ისევ დაიწყო ქარხანაში მუშაობა. დილით ადრე ჩარხთან იდგა. დინჯად, ნაყოფიერად მუშაობდნენ მისი ღონიერი მკლავები. კახელო წონით 98 კილო იყო. დასრულებული ვაჟაკი. ვის გაუშვებდა წინ. ყველაზე კარგი მაჩვენებლები ჰქონდა.

მალე მისი ინიციატივით მექანიკურ საამქროში კომკავშირული ბრიგადი შეიქმნა.

— ბიჭებო, იცით რაშია საქმე? — ეუბნებოდა ზურაბი ბრიგადის წევრებს. — უბრალო ამბავია, როცა ერთად ვიქნებით, უკეთ ვიმუშავებთ, აი, ალექსენკო რომ დასკუბდება ავტოამწეზე და დეტალებს რომ გვიგვიანებს, მაგას ვერ ვაბედავს, როცა რამე შეგვემთხვევა და ოსტატთან ვავრბივართ, ანდა გაჩერებული რომ ვართ, ეს არ მოხდება, მე თუ არ ვიცი, შენ გეცოდინება, შენ თუ არა — იმას და ასე შემდეგ.

ბიჭები მართლაც მხარში ამოუდგნენ ზურაბს, გვიგარსევანიშვილიმა სამასი პროცენტი უჩვენა. შოთა კუნდუხოვმა — ორასი. ბრიგადაზე ლაპარაკი დაიწყეს, ბრიგადა სანიმუშო გახდა.

დღეები მიჰქროდა. საამქროში ჩარხები იდგა. ჩარხებთან მოძრაობდნენ ადამიანები, ხელებგაშვებული, მაზუთში და ზეთში ამოსვრილი ადამიანები. თანაბრად ჩამწკრივებულ ჩარხებს შორის დაჰქროდა ამწეები. მშვიდად მოძრაობდა ამწეები და ვეებერთელა რკინის ნატეხებს დაათრედა საამქროს ერთი კუთხიდან მეორისაკენ. ჩვეულებრივად მიდიოდა ცხოვრება. ჩვეულებრივად მიდიოდნენ და მოდიოდნენ ჩვენი გმირებიც.

ერთი საღამო იყო, ასევე ჩვეულებრივი და სხვა საღამოებისაგან განუხვავებელი. სახლში ბრუნდებოდა ზურაბი. მოდიოდა ქუჩაში, ხელები ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი და უდარდელად უსტვენდა, სრულიად არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ უსტვენდა და მიდიოდა. ერთ გოგონას დაეწია. ეს გოგონა ამ გზაზე უკვე მესამედ ხედებოდა. პირველად რომ ნახა, მოეწონა, ახლაც მოეწონა, გაუსწრო, შემოხედა. გოგონამაც მზერა შეაგება, ზურაბმა სვლა შეანელა, გოგონა დაეწია, ჯერ ერთად მიდიოდნენ, შემდეგ გოგონამ უჩქარა ნაბიჯს. „რა იქნება, გავაჩერო და ვუთხრა, — მომწონხარ-მეთქი!“ გაუღევა თავში ზურაბს. „არაფერიც არ იქნება, მაგრამ უხერხული არ არის? რომ გავაჩერებ, რა უთხრა? იქნება არც გაჩერდეს, თუ არ გაჩერდება და წავიდეს, რა!“ მტკიცედ გადაწყვიტა ზურაბმა და დაეწია. გოგონამ შეატყო, რომ უცხო ვაჟმა ამოიჩემა და ფეხს აუჩქარა.

— ძალიან გთხოვ მომისმინოთ, ნუ გარბიხარ, გოგო! ორ სიტყვას გეტყვი, — დუდუნით თქვა ზურაბმა.

— მე თქვენ არ გიცნობთ.

— ვიცი, რომ არ მიცნობთ, მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ და...

— მოიქეცი თ ზრდილობიანდა!..

შემდეგ ასე იყო თუ ისე, ახლა ისინი ერთად არიან, ერთი ბიჭი ჰყავთ — დათუნა. დათუნა სულ პატარაა, ჯერ სიარულიც არ იცის, ჯერ არაფერიც არ იცის, გაუგებარ ენაზე ბურტყუნებს, რძეს სვამს და არის ასე. ჯერ მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია. მხოლოდ ერთხელ დედამ სახლში მარტო დატოვა, ხუთი წუთით გავიდა მეზობელთან, მოძრავ გორგოლაში ჩასვა და „იყავი, ამ წუთში მოვალ“ დაუბარა, დათუნამ გაიხედ-გამოიხედა, მაგიდის გადასაფარებელი მოეწონა, მიაწვა გორგოლას და მაგიდასთან მიბაჯბაჯდა, გადასაფარებლის წვერს მოებლაუჭა, ჩამოხიდა, ჩამოხიდა და მაგიდაზე წყლის საფეგრადინი და საფერფლე რომ იდო, გადმოყარა. საფერფლეც და გრაფინიც ნამსხვრევებად იქცა, სუფრა კი თავზე წამოემხო და კინაღამ დაიხრჩო. სულ ეს იყო. მეტი საგმირო არაფერი ჩაუდენია.

ტკბილი და მყუდრო ოჯახი აქვს ზურაბს.

კახელო გამოვიდა ცხოვრების ფართო გზაზე, ბეჯითად და მუყაითად შრომობს, მისი ბრიგადა კვლავ მოწინავეა, კვლავ ზურაბ გველუჯაშვილია კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნის თვალი.

კახელო კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის იბრძვის. კახელო მუდამ იმისთვის იბრძვის, რაც კარგია, დაიჩემებს და გააკეთებს — რა დაიჩემა და არ გააკეთა...

ბიჭებს თუ რაიმე გაუჭირდათ, გამოვა კრებაზე და სულ გაანიავებს, გააცამტვერებს ხელის შემშლელსა და დეზორგანიზატორს! ისეთი ვაჟკაცია, იმხელა თვალებს აბრიალებს, ვინ რას გაუბედავს. სახარატო საქმე ხუთი თითით იცის. კბილანებს ჩარხავს. დაიხრება ჩარხთან და არის ასე საღამომდე; თუ გაჭირდა, ისეთი ცოცხალი გონება აქვს, ჩარხს ენას აადგმევინებს. საღამოს სახლში ბრუნდება. მიდის და ფიქრობს: „ვიშრომით კომუნისტურად, ეს არ ნიშნავს მარტო გეგმის შესრულებას. უნდა იყო ყველაფერში მოწინავე, უნდა ისწავლო, უნდა დაეუფლო რამდენიმე პროფესიას, კულტურული უნდა გახდეს, ყველაფერში უნდა ერკვეოდეს. აქ მარტო მკლავის ძალა არ გიშველის“. დიდხანს, დიდხანს ფიქრობს ამაზე კახელო, რადგან ეს უფრო უძნელდება მას, ვიდრე 300 — 400 პროცენტით გეგმის შესრულება. მაგრამ კახელო დაიჩემებს და გააკეთებს, — რა დაიჩემა და არ გააკეთა! მამა!..

მამა

გივი გარსევანიშვილი თბილისშია დაბადებული და გაზრდილი. გივი კახელოზე მალაღია, ცოცხალი, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, ბრიგადაში ყველაზე უფროსი. გივიმ ნაძალადეგში, ცხრა ძმის ქუჩაზე დასვა პირველი ალჩუ და გათავდა, მერე საკოჭაოდ არასოდეს ეცალა. მამამ ოჯახი მიატოვა, სახლში აღარ დაბრუნებულა და ომის მთელი სიძნელე დედამ და გივიმ გადაიტანეს. დედამ საქსოვ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. გივიმაც შეწყვიტა სწავლა და დედას ამოუდგა მხარში. რა იყო მამინ გივი! შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, მაგრამ საქმეს აკეთებდა, მუშაობდა და თავს ირჩენდა. ომი იყო, ჭირდა ცხოვრება.

გივი გამოიბრძმედა და დავაჟკაცდა. ტანი აიყარა, ხმა დაუბოხდა, მკლავებში ფოლადი გაუჩნდა. პატარა ძმაც წამოეზარდა — ოთარიკო უცებ წავიდა სიმაღლეში, ჩრდილში გაზრდილი სიმინდივით ამაღლდა, ბიჭებმა „ტოსკა“ შეარქვეს, ეშმაკმა იცის რატომ შეარქვეს. ოთარს უამირავი ძმაცაი ჰყავდა. ფეხბურთს



ყვენენ გადაყოლილნი. დედა შვილებით ხარობდა, ხელდახელშუა გაიარა მათმა ბავშვობამ და დედას ვაჟკაცები თავზე წამოადგნენ.

გივიმ სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა, ჯარშიც იყო, სამ წელს იმსახურა, რუსული ისწავლა, დიდი ქალაქები მოიარა, შინ დაბრუნდა და ისე დახვდა ყველაფერი, როგორც დატოვა. დედა ისევ ფაბრიკაში მუშაობდა. ოთარი სწავლობდა. გივიმ ნაცნობ-მეგობრები, ნათესალები მოინახულა, სამ წელიწადს თბილისის უნახავმა თბილისით გული იჯერა, პლენაროვზე გაიარა, რუსთაველზეც გაიარა, ფუნიკულიორზეც ავიდა, ლალიძის წყალი დალია, რვა ნომერი და ხუთი ნომერიც არ დატოვა გაუშინჯავი. ბავშვივით უხაროდა. მთელი ღღეხები გარეთ იყო. საღამოს შინ რომ მოვიდოდა, დედას ეფერებოდა, აიძვებდა.

ცხოვრება ისევ თავისი გზით წავიდა. დედა ფაბრიკაში მუშაობდა, გივიმ კიროვის ქარხანას მიაშურა. ოთარმაც დაიწყო სამსახური.

გივის საცაა შვილი ეყოლება. ზემო ავჭალაში ცხოვრობს. დედასთან უფროსი ძმაა, გივიმ ცოლი შეირთო და ცალკეა, მაგრამ ცალი ხელი დედისკენ აქვს.

გივი სამაგალითო მრანდავია. დილით ადრე მიდის ქარხანაში. კახელოს გვერდით ამოუდგება. შოთაც მოვა, ილოც, დათოც და ახმაურდება საამქრო. მოვლენ სხვა ბიჭებიც. იქით გურამ ნოზაძის ბიჭები იბრძვიან კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის, სულ იქით კიდევ სხვა ბრიგადებია. ჯერ კახელოს ბრიგადა სჯობნის ყველას და აბა პირველობას როგორ დათმობენ ბიჭები!

— მამალი საჭრეთელი გამიფუჭდა, ცოტა ჩქარა! — ბრახობს გივი.

ოსტატი სპეციალური სალესი ქვით ულესავს საჭრეთელს. ასეთი ქვა ოსტატის მეტს არავის აქვს, თორემ გივი თვითონ ლესავს ხოლმე.

გივი მთელ ღღეს რკინას ეკვიდება, ხუმრობა ხომ არ არის! თლის, ასწორებს, რანდავს. მისი ჩარხი მუდამ წესრიგზეა. ირგვლივ თვალს რომ უხარია, ისეთი სისუფთავეა. ხმაურობს ჩარხები, საამქროს თავზე დასრიალებს ამწეები, გარეთ დღე იწურება, შრომასა და ფიქრში გადის დღე, ღამდება...

ბრიგადის წევრები სულ სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათის ბიჭები არიან, მაგრამ ძმებოვით შეეჩვივნენ ერთმანეთს. ერთი კვირა დღე რომ გამოერევა, მაშინაც ვერ ძღებენ უერთმანეთოდ. ან ზურაბთან შეიკრიბებიან, ან გივისთან. გივისთან იშვიათად — გივი შორსაა. უფრო ხშირად ზურაბი და გივი ხვდებიან ერთმანეთს, ორივე ცოლშვილიანია, უფრო დადინჯებული ჭკუაგონების ხალხია, თუმცა ზურაბი 22 წლისაა, გივი — 26-ისა. ზურაბს გივის სახლი ძალიან მოსწონს, მყუდრო ადგილას დგას, თითქმის სოფელია, თბილისი რომ გათავადება, ავჭალაც რომ ვათავდება, მთის ძირასაა წამოსკუბული, იქით მთები და ტყეებია, წინ მტკვარი მილივლივებს. როცა აქაა, თავისი სოფელი აგონდება... გივის ქარხანა დაეხმარა, თორემ ასე ადვილად სახლს ვერ წამოჰმიავდა, თავდებად დაუდგა და სახელმწიფომ სესხი მისცა. ჯერაც არა აქვს გადახდილი. ნელნელა იხდის, წელს ალბათ სულ გაისტუმრებს ვალს, მერე უფრო კარგად იცხოვრებს. გივის ცოლი მზეთუნახავი არ არის, მაგრამ კარგი გოგოა, კარგი მეოჯახე, ავკარგის მცოდნე, სტუმრის მოყვარული, პურადი მზეთუნახავი ცოლი არც ყო გივის ოცნება. ზურაბი რომ მოვა, გივის სახლის კედლებიც კი იციინან. ამას წინათ იყო სწორედ, თოვლიან კვირადღეს ამოვიდა ზურაბი ავჭალაში. იზოლდამ სუფრა გააწყო. ღორის ნაჭრები, პური და შავი ღვინო გამოიტანა. ნელნელა შეთვრენ. ზურაბმა დაიჩემა: მოდი იმ მთებისკენ გავისეირნოთ. ასეთ ამინდში შინ რა გაგვაჩერებსო.

— ბიჭო, ის მთა ახლო რომ ჩანს, იცი, რა შორსაა!

— არა უშავს, წავიდეთ!

— შენ ხომ არ დათვერი?

— ეგრე იყოს, ჯანდაბას, წავიდეთ!

— არა, ძმაო, მე ჯერ არ ვაფრენ.

— ნუ გააჭირე საქმე!

— ბიჭო, რამ ვგაგასულებლა, რა სიამოვნებაა ახლა ვითომ თოვალში სიარულში ავერ ვიყოთ თბილად, ვისაუბროთ და ვიმურმარილოთ.

გარეთ მართლაც რაც ჩამოეტეოდა, თოვდა. გივი ჯერ არ გაინძრა, მოაყოლა და მოაყოლა სადღეგრძელოები. შემდეგ უცებ წამოხტა: წავიდეთ, ახლა გამახსენდა, დღეს პეტრემოციქულობაა დაა იმ მთაზე ნასაყდრალი რომაა, იქ სოფლის მოხუცე ცაცები იკრიბებიანო. წავიდნენ. თოვდა. წინ თეთრი მთა იყო და ნასაყდრალი არსად ჩანდა. აღმართს რომ შეუდგნენ, გივიმ დაიწყო:

— იცი, რა ხანია, აქეთ არ ვყოფილვარ? იზოლდა რომ პირველად გავიციანი, მაშინ ამოვედით და მას შემდეგ...

— მე კიდევ სულ არ ვიცი, რაა პეტრემოციქულობა.

— აი იმ მთაზე, ყოველ წელიწადს, 29 იანვარს, ახლო მოსახლენი აღიოდნენ და შესაწირავი მიჰქონდათ თურმე პეტრე მოციქულისათვის.

აღმართზე მიდიოდნენ, თეთრად ქათქათებდა ირგვლივ ყოველივე. თოვდა და თოვდა, რაც ჩამოეტეოდა. შუაგზაზე ზურაბმა უარი თქვა: არ მინდა პეტრემოციქულობა, აქ გამაჩერეო. კარგა ხანს იდგნენ ფერდობზე გარინდულნი. თეთრებში იყო გახვეული ავჭალა, ცა, მიწა, ჰაერი, ბიჭები... უეცრად ზურაბი დაიხარა: თოვლი აიღო, ღონივრად მოუჭირა ორივე ხელი, დაამრგვალა, კარგა გვარიანი გუნდა გამოიყვანა, მოიქნია და გივის ესროლა.

— რას შვრები, ბიჭო!

— თუ ბიჭი ხარ, გამიმავრდი!

ზურაბმა მეორეც ესროლა, მესამეც, მეოთხეც. გივი წარამარა იხრებოდა და ზურგს უჩვენებდა. ბოლოს, რაკი ნახა, კახელო აღარ ზუმრობდა, თვითონაც იკადრა ხელის გასვრა და მიაყარა და მიაყარა. სიცილით იგულდებოდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ. ბოლოს ძალიან ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან, ვერ ასწრებდნენ გუნდის გამავრებას და ფხვიერ თოვლს ხელის ერთი მოსმით სახეში აყრიდნენ. საქმე იქამდის მივიდა, ერთმანეთს დაეტაკნენ და ფერდობზე დაგორდნენ. ხან ერთი იყო ზევით და ხან მეორე.

თოვლით სავსე უბეებით, გახალისებულნი და სახეგაბრწყინებულნი დაბრუნდნენ შინ. აი თურმე რატომ გამიყვანა გარეთ ამ მართლა კახელომო, უთხრა გივიმ ცოლს.

— ხომ არავინ დაგინახათ? — შეიცხადა იზოლდამ. — ცოლშვილიანი, სერიოზული ხალხი ფერდობზე რომ გორაობთ, ჭკუა სადა გაქვთ!

ბევრი იცინეს, იმხიარულეს. ზურაბი ამბობდა, უსაზღვრო ბედნიერება და კმაყოფილება მომანიჭა ამ თოვლმაო.

გარეთ ისევ თოვდა. სულ გადათეთრებული იყო ზემო ავჭალა. მხოლოდ იმ ფერდობზე, სადაც ისინი ჭიდაობდნენ, თოვლი აცვენილიყო და მიწა შორიდან ერთ დიდ შავ ლაქად მოჩანდა, თითქოს ბიჭებს ქარხნისა და ქალაქის ჭუჭყი დაუტოვებიათო...

ი ლ ო

ილო ზურაბის ბრიგადაში არ არის, გურამ ნოზაძის ბრიგადაშია. ეს ბრიგადაც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისთვის იბრძვის. ილია (ილო)

ქვილაშვილი ყველაზე პატარაა მექანიკურ საამქროში. ერთი წელია მუშაობს. 18 წლისაა, სკოლის მერხიდანაა მოსული. შუბლზე დაყრილი ქოჩორი აქვს და მუდამ მხიარული სახე. ჩარხის წინსაფრების აწყობაზე მუშაობს. უწყინარი ჰაბუკია, ალალი. რომ იტყვიან, — ჯერ რძე არ შემრობია პირზეო, ისეთი ვაჟის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სამუშაოზე რომ ნახავთ, სხვაა, ისე მტკიცედ და დაჯერებულად მუშაობს, გეგონება გამოცდილი ზეინკალიაო.

ილოს არა აქვს ვრცელი ბიოგრაფია. ილოს მამა კარგი კაცია, ოჯახის ზოგადი, შრომის მოყვარული. ხელოსანია და შვილსაც ჩაუნერგა ხელობისა და შრომის სიყვარული. აი მისი შვილი უკვე კარგი ზეინკალია, ეს უნდოდა დავითს, მეტი არაფერი. ილო არ არის უსაქმური, თავდადებით შრომობს, თავისთვის და ქვეყნისთვის სარგებლობა მოაქვს. პატარა ბიჭი დიდ საქმეს აკეთებს. შინ რომ მივა, მაგიდას მიუჯდება და მეცადინეობს. უსაქმოდ წუთსაც არ კარგავს, წერს, კითხულობს, ფიქრობს. რომ წამოწვება, ოცნებებში ჩაიკარგება. გურამი შემოვა ოთახში და ეუბნება:

— ზურაბის ბრიგადა აშკარად გვეჯობნის, ილო!

ილო ეუბნება:

— ვერაფერსაც ვერ გვეჯობებს. აი ამ თვეში ვნახოთ!

და ილო ცეცხლივით ტრიალებს ჩარხებში, ოფლში იწურება და იბერება, გურამიც იქვეა, დათოც, გიაც...

ჯემალი შემოდის და ეუბნება:

— ფიზიკაში როგორაა საქმე?

ილო ეუბნება:

— მექანიკა დავამთავრე.

— ყოჩაღ! კარგად წასულხარ!

ჯემალიც უმადლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება. ფიზიკა უჭირს, ილოსთან მიდის ხოლმე, ერთად მუშაობენ, ერთად სწავლობენ.

ახლა ილო გამოცდების მთელ მსვლელობას წარმოადგენს გამოცდილი ეკითხება:

— რა არის ტორიჩელის სიცარიელე?

ილო პასუხობს. შემდეგ ჰერს მიაშტერდება და ელიმება: ჰინკა ავონდება. მერვე კლასში დაეწია ჰინკას. ჰინკას ერთხელ მასწავლებელმა უთხრა: თავში გაქვს ტორიჩელის სიცარიელეო. ამაზე ბიჭები სიცილით დაიხოცენ და მას შემდეგ ჰინკას მერვე ზედმეტი სახელიც შეარქვეს — ტორიჩელა.

წარმოიდგენს პირველ ლექციას, აუდიტორიას, სტუდენტებით სავსე დერეფანს და კმაყოფილების ღიმილი გადაეფინება სახეზე.

ძალიან დიდხანს ოცნებობს. შემდეგ წამოხტება, უკ, რა დრო გასულაო, ჩაიდუღუნებს და ისევ მაგიდას მიუჯდება. გვიან ღამემდე არ აქრობს ხინათლეს...

ღილით აღრე დგება, ქარხანაში მიდის, ისევ საამქრო, ისევ ჩარხები, ამწეები, გურამი, ვიტია, ზურაბი, ჯემალი, გივი — და იწყება შინაარსიანი დღე. მხიარული დღე...



პახვანზ გოჩგანელი


ის აკავაზდა ოქტომბრის მზის ქვეშ

როცა შრიალით შემოვა ღამე,
თან მოაქვს ველთა სიმღერა ტკბილი.
გავისეირნოთ ქალაქის გარეთ
და მთაწმინდიდან დავხედოთ თბილისს.

განა თბილისი მღეროდა ასე,
ან ასე რეკდა დიდების ზარი!
დღეს სურნელებით ქუჩაა სავსე
და ქვის აკვანში ნებივრობს მტკვარი.

რაა ლეგენდა, რაა ზღაპარი,
ათასხუთასი მზე ბრწყინავს შიგნით
და მთელი ჩემი თბილის-ქალაქი
გაშლილა, როგორც რუსთველის
წიგნი.

ვინ ჰფანტავს უხვად სინათლის
მძივებს,
შეხედე ზაჰესს — დგას ცისკრის
ფარად,
ის აკაშკაშდა ოქტომბრის მზის ქვეშ,
რომ ასე ენთოს თბილისი მარად.



აღექსანდრე გიგოუაძე

ჩაკის უკანასკნელი მონოლოგი

ნაწევები პიესიდან „ვაი ჭკუისაგან“

ჩაკი: (მცირე ღუმილის შემდეგ)

გონს ვერ მოვსულვარ... ბოდიშს ვიხდი!
 შესმის და ვერა გავიგერა, ვერაფერს მივხვდი:
 თითქოს სურთ კიდევ განმიმარტონ გულისდამწველი,
 აზრი მერევა, რალაცას ველი!
 (მგზნებარედ) ვაჰ, ჩემს სიბრმავეს! შრომის ჯილდოს ვისში ვეძებდი?
 ვისკენ მივჭროდი, ვთრთოდი, ჩემს თავს ვანუგეშებდი
 ბედნიერების სიახლოვით! — დღეს ვის წინაშე
 სათუთ სიტყვებით გადავშალე გულის სინახე?
 თქვენ კი ო, თქვენ კი, ღმერთო ჩემო, ვინ აირჩიეთ!
 როდესაც ვფიქრობ, თავბრუ მესხმის... ვინ ამჯობინეთ!..
 რად შემიტყუეთ იმედებით, რად არ მიირჩიეთ,
 რატომ პირდაპირ არ სთქვით, რად არ შემატყობინეთ,
 რომ ყველაფერს მას, რამაც განვლო, მწარედ დასცინეთ,
 რომ თქვენში ხსოვნაც კი გაცივდა, ხსოვნაც კი, ყველა
 იმ გრძნობებისა, — რაც ჩვენს გულებს ანთებდა წინეთ,
 რაც ჩემში ოდნავ, ვერც სიშორემ ვერ შეანელა,
 ვერც გართობამ და ვერც ადგილის ხშირმა გამოცვლამ!
 ვსუნთქავდი მათით, მხოლოდ მათით სიცოცხლე მსურდა!
 რომ გეთქვათ ჩემთვის, რომ უცები ჩემი ჩამოსვლა,
 ჩემი დანახვა, სიტყვა, ქცევა — თქვენ უკვე გძულდათ,
 იმავე წამში აღკვეთავდი მე თქვენთან კავშირს
 და, ვიდრე ასე, სამუდამოდ დაგშორდებოდით,
 იმის გაგებას მეტად აღარ შევეცდებოდი —
 ვინ იყო თქვენთვის საყვარელი და სათნო კაცი!
 (დაცინვით)

სად მოფიქრების შემდეგ თქვენ მას შეურიგდებით!
 ან კი ღირს თავის შეწუხება, დარდი და წყენა?
 აბა, განსაჯეთ: ნაზი მოვლით და ყურის გდებით
 ზომ ძალგძიეთ იგი თვინიერ ქმრად აღზარდეთ თქვენა
 გზავნით საქმეზე, იმსახუროთ — ვით სახლის ბიჭი

და თავდაბალი მორჩილების აღუძრათ ნიჭი?!

ქმარი — მსახური, ცოლის ტვირთქვეშ მომხრელი მხრების —

აი, მაღალი იდეალი მოსკოველ ქმრების!

ქმარა! მე კიდევ ვამაყობ აწ თქვენს დაშორებას!

თქვენ კი, ბატონო მამავ, — მთვრალი ჩინით და ჯვრებით, —

მაგ თქვენს ბედნიერ უმცერების ბურანში თვლემას

გისურვებთ!.. მე თქვენ დასიძებით არ გემუქრებით!

არა, სხვა ვინმე გამოჩნდება — თქვენი რჩეული:

სალამდაბალი, საქმის კაცი — მოქნილ თვისებით,

ქედმოხრილობას, მორჩილების ღიმილ მიჩვეული,

რომ ის მომავალ სიმამრს გავდეს ყველა ღირსებით!

ღიას, მე ახლა გამოვფხიზლდი სრულად და რიდე

ბურუსიანი ოცნებების თვალთ მოვირიდე!

და, აწ ურიგო არ იქნება, რომ ერთიანად,

ქალიშვილის და მამის მიმართ,

ვით შეპტერს იმათ,

თან იმ სულელი საყვარლის და მთლად ქვეყნის მიმართ, —

გადმოვანთხიო ჩემი გულის ბოლმა მთლიანად!

ვისთან ვიყავი! სად ჩამავდე, ბედო მუხთალო!

სუყველა მდეგნის, ყველა მკიცხავს!.. სულთამხუთავო

ბრბოვ, სიყვარულში მოლალატე გამცემლებისა,

ხოლო მტრობაში — დაუნდობელ გარეწრებისა,

მოუდრეკელი ყბედებისა, უხამს ჭკვიანთა,

ერუ გულუბრყვილო, გაიძვერა ადამიანთა

ბრბოვ, შენ ავყია დედაბრების, ბერიკაცების — შხაშში ნაწები

მიხრწნილი ენით გაუგონარ ჭორებს რომ ბადებ, —

ხმაშეწყობილად შენ მე გიყად გამომაცხადე!

თქვენ მართალი ხართ: ვინც მოასწრებს თუნდაც ერთი დღით

თქვენს შორის ყოფნას, თქვენთან სუნთქვას ერთის ჰაერით

და მას გონება მაინც ისევ საღი დარჩება, —

ცეცხლის ალიდან უვნებელად ის გადარჩება!

შორს მოსკოვიდან! აქ მომსლეული მე აღარა ვარ!

გავრბივარ, აღარც მოვიხედავ... თქვენს წრის გარეთაც

მოგებნი ქვეყნად კუნჭულს, სადაც შეურაცხყოფილ

გრძნობასა აქვს კუთხე-საფარი!

კარეტა, ჩქარა ჩემი კარეტა!

თარგმნა სიკო ფაშალიშვილმა



1

მშენებელი უბანია მთაწმინდა, მთელ თბილისს გადმოსცქერის და თბილისის ყოველი კუთხიდან მოჩანს. როდესაც ქალაქში შემოდინხარ, ჯერ მთაწმინდას დაინახავ, მის დაქანებულ ნახევრად ხრიოკ კალთებს, მერე ამ მთაში ჩამდგარ თეთრ ეკლესიას. დიდია ეს უბანი. ის იწყება პირდაპირ რუსთაველის პროსპექტიდან, იქვე, ადგამ თუ არა ფეხს ბესიკის ქუჩაზე, რომელიც თავისი მკვეთრი აღმართით სწორედ იმ ეკლესიამდე მიგყვანს, მამადავითისა რომ ჰქვია.

ამ უბანში არის ერთი პატარა ქუჩა, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ ბანიანი სახლებიც იდგა. მისი სივანე ახლაც შვიდი თუ რვა ნაბიჯი იქნება. ამ ქუჩის პირველ სახლში ილიკოს თორნე იყო, საიდანაც ორმოციოდე ნაბიჯზე ქუჩა სწორად მიიმართება, შემდეგ კი ისეთი აღმართი იწყება, რომ ძველად ეტლები ძლივს ადიოდნენ, ზორბა ცხენებსაც უჭირდათ აღმართის დაძლევა. იდგა სიძველისაგან ჩამოღვენილი სახლები. ზოგ აივანს მოაჯირი აკლდა, ზოგს კიბე ჰქონდა შერყეული, ზოგი ალაყადის კარი ისე იყო მოშლილი, რომ ხეივანიდან არც კი იხურებოდა. მხოლოდ ერთადერთი სახლის კარი იყო გადაკეტილი, რომელსაც გარედან რკინის საკაკუნებელი ეკიდა, რაც ზარის მაგიერობას ეწეოდა. ეს იყო მღვდლიანთ სახლი. მას გვერდში უდგა არეშიძიანთი, მერე მიჰყვებოდა თუთიანთი, მაჩიტაანთი, ბეზია ანოს სახლი და ჯიშკარიანთი. ამ სახლების აივნებიდან მთელი თბილისი ხელის გულივით გადაშლილი მოჩანდა. ქუჩის ამ პატარა მონაკვეთს თავისი სიცოცხლე ჰქონდა, იღვიძებდა გარეკრახზე, ახმაურდებოდა, მთელი დღე იშფოთებდა, იმღელვარებდა და ღამით იძინებდა, სწორედ ისე, როგორც დაღლილი, არაქათამოცლილი ადამიანი.

თავშესაფრის ქუჩა ერქვა მას. ძალიან მაღლა იყო, მთის ძირში მიგდებულს. არც წყალსადენი იყო გაყვანილი, არც სინათლის ამყვანი ბოძები იდგა, როგორც ქვევით, ქალაქის გულში, გოლოვინის პროსპექტზე. წყალი მოჰქონდათ ან წყაროსუბნიდან, სადაც პატარა წყარო მოწყობილებდა მთაწმინდის კალთებზე ჩამონაქური წყლებისაგან, ან მეთულუხჩეებს, ზურგზე მოკიდებულს კასრებით. მოიტანდნენ, ჩაასხამდნენ ქვევრებში, შვინდის გრძელ ჯიხს

სათვალავისათვის ჭდეს დაადებდნენ, გასამრჯელოს კი მერე მიიღებდნენ, როდესაც დაგროვდებოდა ოცი თუ ოცდაათი კასრი.

ქუჩას ფარნები ანათებდნენ. დაბინდებოდა თუ არა, ეზიდი მეგზოვები გულსაკლავი ღიღინით ჩამოუვლიდნენ სახლებს და ანთებდნენ ფარნებს. გადაიხრებოდა თუ არა მზე, დიასახლისებიც შეუღდგებოდნენ სანათის შუშების წმენდას, კარგად რომ გააკრიალებდნენ, სანათში ნავთს ჩაასხამდნენ და მზად იყვნენ ღამის შესახვედრად.

კარგი ხალხი ცხოვრობდა მთაწმინდის ამ ქუჩაზე, ერთმანეთის ვაჭირვება და სიხარული ესმოდათ. ნათესავებივით იყვნენ.

ბავშვებსაც უყვარდათ ერთმანეთი. და-ძმებივით იზრდებოდნენ. ერთად თამაშობდნენ ცალეკ-მალეკს, თვალხუჭუნას, კოჭობანას, ცოტა უფრო მოზრდილები ლახტსა და ოთურმას.

კვირა დღეს უსათუოდ ამოვივლიდა მეარღნე, ფერადი ლენტებით შემკული არღნით. მეარღნეს ვერცხლის ქამრიდან ცალ მუხლზე გადმოფენილი ჰქონდა წითელი ან ჭრელი ბაღდადი; ეამაყებოდა კოპწიად გადაგრეხილი უღვაშები, შუბლზე მიღესილი ქოჩორი. ის ყოველთვის ეშხიანად ატრიალებდა არღნის სახელურს.

ამ უბანში ყველაზე დიდი მოქეიფე ოძელი ვანო იყო, ასე ეძახდნენ შემოკლებით ოძელაშვილს. პატიოსანი ყარაჩოხელი, ხელობით მეღუჭნე, თავის ქარგლებთან ერთად დილიდან საღამომდე ჩასცქეროდა პატარა ნემსს და გახურებულ უთოს, ოღონდ კვირა დღეს ისე არ დააღამებდა თუ ლაზათიანად არ წაიჭეიფებდა. კარგი ტანადი ვაყკაცი იყო, იმ დროს სამი შვილის მამა, მოხუცებულობაში რვა შვილისა. ხორბლისფერი სახე, დიდრონი ჭროლა თვალები, მელოტ თავთან შეერთებული სწორი მაღალი შუბლი და სქელი ტუჩები ჰქონდა. როდესაც ის ორივე ხელს ვაშლიდა და ახალუხის სახელოებს გადაიწევდა, მოუჩანდა მსხვილი ბანჯგვლიანი მაჯები, და თუ მარჯვენას დამუშტავდა, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ ვისაც ეს მუშტი მოხვდებოდა, ძირს ზღართანს გააღენდა.

ერთ კვირა დღეს, როდესაც ოძელს მეოთხე შვილის დაბადება ახარეს, შინ ქეიფით გული ვერ მოიჯერა და ქუჩაში გამოვიდა. თან გამოჰყვნენ ამხანაგები — ცხარე გიორგი, რომელიც სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა, წურტი ვასო — კარგი მეწულე და ღერციკი სია ზაქარა.

უკრავდა არღანი.

იქვე თაბახით თავზე იდგა ქოსა მეთევზე, რომელსაც უბანში გასაყიდად ამოეტანა მტკვარში დაჭერილი ცოცხალი თევზი.

ოძელმა არღანი რომ დაინახა, მაშინვე თავისი საყვარელი სიმღერა შეუკვეთა, ხელები გაშალა და ხმამაღლა წაიმღერა:

„გამიშვი ქვეყნად ვიარო
სამოთხის საძებნელადა...“

სიმღერა რომ დაამთავრა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, მუჭებით კამფეტები ამოიღო, ჰაერში აჰყარა და ბავშვებს მიამახა:

— თქვენც გაიხარეთ, თქვენს მშობლებს ვენაცვალე!...

ბავშვები კამფეტებს დაესივნენ.

თუთიანთ ეზოდან პატარა მაგიდა გამოიტანეს. მაშინვე ღვინით სავსე კვარტები გაჩნდა. ონისიმეს ღუჭნიდან ვიწრო წელიანი, ოქროს სარტყელიანი ჭიქები მოარბენინეს. ქოსა მეთევზემ მუშტარი დაიგულა და თავიდან თაბახი

ჩამოიღო, ჭრელი ბაღდადით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, მერე ჭადრის ფილითეია თოლზე მურწა და ჭანარი დააწყო და მოქეიფეებს მიართვა.

გაჩაღდა ქეიფი, ჩაიშალა ბავშვების თამაში. ისინი ახლა შორიასლო დადგნენ და გახარებულნი შესცქეროდნენ უფროსების დროსტარებას, რაც ნამდვილ თამაშას ჰგავდა. აიგნებზე და ბანებზე გადმომდგარი ქალიშვილები სიცილკისკისით ამხიარულდებდნენ ქუჩას და მოქეიფეებსაც ხალისს ჰმატებდნენ.

— ბაღდადური! — დაიძახა სია ზაქარამ.

მეარღნემ ორიოდე წუთით დაკვრა შეაჩერა, არღანი ბაღდადურზე გამართა და ხელახლა ააწყვილა თავისი ვეება, კისერზე ჩამოკიდებული და ხის ფეხზე შეყენებული ინსტრუმენტი. ჯერ სია ზაქარა აცეკვდა, მერე ოძელი, ბოლოს წურტმა ვასომაც. უხერიოდ გაშალა ხელები და ერთი-ორჯერ წრეს შემოუარა.

ამ დროს მოსახვედში ეტლი გამოჩნდა. მეარღნემ დაკვრა შეაჩერა, ცეკვა შეწყვიტეს და მიიწ-მოიწინ, რომ ეტლი გაეტარებინათ. ცხენების აღკაშმულობა ამტკიცებდა, რომ ის საქირაო არ იყო. საგულისგულოდ აკრიალებული ეყვნები ამშვენებდნენ ფაფარდავარცხნილ იორღა ცხენებს. მეეტლეს უძკლავებო ქურთუკის ქვეშ ახალთახალი წითელი ხალათი ეცვა. უბრიალებდა გარმონივით ნაკეცი მაღალყელიანი ლაქის ჩექმები. მან აღვირი თავისკენ მაგრა მიიზიდა, ცხენებს ცალ მხარეზე კისერი მოუგრინა და მოხდენილად შეაჩერა.

ეტლიდან გადმოიხედა კარგა ჩასუქებულმა შუახნის კაცმა. დიდი და პატარა მას მიაჩერდა.

— სად ცხოვრობს სოლომონ ბეზარაშვილი? — ისე ტკბილად და ხმადაბლა იკითხა, თითქოს ამ კაცს თავის სიცოცხლეში ბუზიც არ აუფრინოსო. უცებ წამოიშალნენ ბავშვები, ერთმანეთის დასწრებით წამოიძახეს:

— წამოღით, ძია, მე გაჩვენებთ!

— მე წაგიყვანთ ძია სოლომონთან!...

უცნობი ეტლიდან გადმოვიდა. ხელში ჯოხი ეჭირა. ის არ იყო მოხუცი, რომ მესამე ფეხი დასჭირებოდა. მხოლოდ მოხდენილობისათვის ეჭირა ეს ვერცხლის სახელურიანი კრიალა ჯოხი და კოხტადაც ხმარობდა.

ბავშვები გაუძღვენენ უცნობ ძიას.

მეეტლემ შედმართზე ეტლი შეაბრუნა.

— ეს ხომ ბოზარჯიანცია? — წარმოთქვა ოძელმა.

— ერთი მაგისი! — შეუყურთხა ცხარე გიორგამ, — ვინც უნდა იყოს, არღანჩიკო, შენ დაუჯარ! — მიიძახა მეარღნეს.

მეარღნემ ახლა კინტოური დაუჯრა. ქოსა მეთევზემ წვერა და ფიჩხული მიართვა მოქეიფეებს.

თუმცა მეარღნე თავგამოდებით უკრავდა კინტოურს და სია ზაქარამაც ერთი ორჯერ სცადა ცეკვა წამოეწყო, მაგრამ ქეიფი აღარ ეწყობოდა. ოძელს სიბრაზე დაეტყო. ფიქრმა გაიტაცა: „რა საქმე აქვს სოლოლაკელ სოვდაგარს ამ საწყალ კაცთან?... მერე და თვითონვე რომ ეახლა ეტლით?...“

— ეეჰჰ! — ამოიოხრა მძიმედ, მერე ჭიქას ჩაქიდა ხელი, სია ზაქარას შესძახა, დამისხიო, და იქვე თავმოყრილი ბავშვები, უზნის ჭუჭულ-ბუჭულები ადღეგრძელა, უსურვა გავრდა და დავაქაცაება.

ამ დროს ბოზარჯიანციც ამობრუნდა, გაღიმებული ჩაბრძანდა ეტლში და როდესაც ეტლი დაიძრა, განზე მიმდგარ მოქეიფეებს გადახედა, თითქოს ახლა გაახსენდაო, ეილეტის ჯიბეები სსწრაფოდ მოისინჯა. ზედა ჯიბიდან ვერცხლის ათშაურიანი ამოიღო, მოქეიფეთა ფეხებთან დაავლო და დააყოლა:

— ჩემს ანგარიშში ორი კვარტი ღვინო დალიეთ!..
მეეტლემ კი ცხენებს შოლტი შემოჰკრა და გააჰკნა.
ათშაურიანი სია ზაქარამ აიღო, მაგრამ მას მაშინვე გიჟივით ეცა ცხარე
გოროგა.

— აქ მომე!... — მიიძახა.

— აჰა!... — მიაწოდა.

— ხელავ, რა გვიქნა?!.. — უბასუხა და ათშაურიანი, რომელზეც რუსეთის
უკანასკნელი იმპერატორის სახე იყო ამოტვიფრული ეტლს მიახეთქა.

— წადი, შენი ათი შაურიც და შენი მორთმეული ღვინოც!

— ყოჩაღ! — მოუწონა ოძელმა და მხარზე ხელი დაარტყა.

ქეიფის ეშხი გაქრა. ამფსონები დაიშალნენ და შინისაკენ გაეშურნენ.

ისევ პატარებს დარჩათ ბურთი და მოედანი.

2

სოლომონ ბეზარაშვილი უკვე ორმოცი წლისა იქნებოდა. ოდნავ ზურგში
მოხრილს, გულმკერდშეგარდნილს, ყვრიმლის ძვლები წინ გამოვარდნოდა და
აშკარად ეტყობოდა მკვეთრი სიგამხდრე. შუბლზე და საფეთქლებზე გამუდ-
მებით ცივი ოფლი ესხა, მეტადრე მაშინ, როდესაც იგი ქუჩის აღმართს ამო-
ივლიდა და თავისი სახლის ეზოს მიუახლოვდებოდა. ლოყებზე ოდნავ შესამჩ-
ნევი სიწითლე გადაჰკრავდა, ისე, თითქოს ამ ადგილს ოდესღაც ცეცხლი ეკი-
დაო, გამოიწვა და ახლა მხოლოდ მისი ნიშანიღა დარჩათ. ის მუშაობდა ბო-
ზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში. პაპიროსებს ამზადებდა. რვა შვილი ჰყავ-
და. ყველაზე უფროსი ცხრაშვილი წლისა იყო, უმცროსი კი ხუთი წლისა. დრო-
ე დაცოლშვილდა და თავიდანვე ბედნიერ კაცად სთვლიდნენ, რადგან ერთი
მეორის მიყოლებით, ყოველ ორ წელიწადში მისი ცოლი ბავშვით ასაჩუქრებ-
და. ჰყავდათ ბიჭებიც და გოგოებიც. მშობლებს შვილებს შორის ყველაზე კე-
თილ და გამგონ ბავშვად არჩილი მიიჩნდათ.

დაბინდებისას, სოლომონის სამუშაოდან დაბრუნებამდე, დედის ირგვლივ
შემოიკრიბებოდნენ პატარები, შემოუხსდებოდნენ უბრალო ოთკუთხ მაგიდას,
რომელიც სოლომონის ცოლმა ბაბალემ ოცი წლის წინათ მზითევში მოიტანა.
სიძველისაგან მაგიდა ოდნავ ჭრიჭინებდა კიდეც, მაგრამ ისინი მიჩვეული
იყვნენ მის ჭრიჭინს და სულ არ აწუხებდათ ეს ხმა. ბაბალე აანთებდა ხოლმე
სანათს, დადგამდა მაგიდის შუაში და ვისაც სკამი შეხვდებოდა, მოუჯდებოდა
მაგიდას, ვისაც არა, ტახტზე მოიკალათებდა. ამ ტახტზევე ეძინათ ბავშვებს
ერთიმეორის გვერდით. ძალიან უყვარდათ პატარებს დედის სიახლოვეს ყოფ-
ნა, ისე როგორც წიწილებს უყვართ კრუხის ფრთებქვეშ ჩაცუცქვა. ბაბალეც
ასეთსავე გრძნობას განიცდიდა და გულში ეფერებოდა მათ, კარგად და თვალ-
წინ მყვანანო. სამი ბავშვი სკოლაში სწავლობდა. ისინი სწავლობდნენ იქვე,
მთაწმინდაზე, თავგების სკოლაში. იმიტომ კი არ ეძახდნენ თავგების სკოლას,
რომ ბავშვებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, დაეცინათ და თავგებად
ჩათვალათ. არა, ეს არ იყო ამისი მიზეზი. სკოლის ერთსართულიანი ხის სახლი
ძალზე ძველი იყო. საკლასო ოთახების იატაკის კუთხეები თავგებს გამოხრუ-
ლი ჰქონდათ, რის გამოც თავისუფლად დანავარდობდნენ, მეტადრე გაკვეთი-
ლის დროს, როდესაც კლასში სრული სიჩუმე გამეფდებოდა. ორ უფროს
შვილს ეს ერთგვალსაიანი სასწავლებელი დამთავრებული ჰქონდა და უკვე მა-
მასთან ერთად მუშაობდნენ.

ბაბალეს ქმრის მოლოდინში ყოველდღე გული გაწყალებული ჰქონდა.

სოლომონი მიდიოდა გარიყრაყის ბინდ-ბუნდში და ბრუნდებოდა სალამოს მწუხრის დროს. ცოლი ქმარს ხან მაწვნის შეჭამანდს დაახვედრებდა, ხან ლობიოს, ხან მახოხს. სოლომონს ძალიან უყვარდა მახოხი. უფროსი შვილებიც ეგუებოდნენ ამ შეჭამანდს, მაგრამ პატარები, გოგო-ბიჭები, ვერ ჭამდნენ მახოხს. როგორ უნდა შეგუებოდნენ ასეთ კერძს, როდესაც საკუთარი თვალით ხედავდნენ, თუ როგორ ამზადებდა მათი დედა ამ სადილს. ჯერ ქატო ჩაყრიდა ქვაბში, მერე ზედ წყალს დაასხამდა, ორ დღელამეს ასე დასტოვებდა, როდესაც ქატო ამყავდებოდა, ბაბაღე მას საცერში გაატარებდა, გამოწაწურ წყალს აადულებდა, ცოტა ფქვილს მოუკიდებდა, შეკმაზავდა ძმრითა და ნივრით, მოაყრიდა მარილს და გულის დამძმარავი შეჭამანდიც მზად იყო. იმ დღეს ბავშვები რჩებოდნენ ხმელა პურზე!..

ცხოვრების სიდუხჭირეს გრძნობდა ცოლქმარი, მაგრამ ერთმანეთი რომ არ გაემწარებინათ, ღუმლით იტანდნენ თავიანთ გაჭირვებას. სამუშაოდან დაბრუნების დროს არასოდეს არ უთქვამს სოლომონს ბაბაღესათვის საალერსო სიტყვა, გარდა დაქორწინების პირველი წლებისა, როდესაც ჯერ კიდევ ჯანდონით სავსე იყო და იმედინად შესცქეროდა ცხოვრებას. წვრილშვილი რომ შემოეხვია, გული გაუტყდა. მოვიდოდა სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული, თამბაქოს მტერისაგან ფილტვებგასიებული, ჯერ გაუთავებელ ხველებას მოჰყვებოდა, მერე ხმაჩაკმენდილი, თითქოს რამე დანაშაული ჰქეჯნიდესო, მოუჯდებოდა სუფრას და ხარბად შეექცეოდა მისთვის შემონახულ კერძს.

იმ კვირა დღეს, როდესაც ბოზარჯიანიცი თავის ძველ მუშას სახლში ეწვია, სოლომონი ტახტზე იწვა და ისვენებდა. ბაბაღე სამზარეულოში ფუსფუსებდა. კვირა დღის გამო ჯიგრის ყაურმას აკეთებდა სადილად. პატარა ბავშვები შინ იყვნენ და მოუთმენლად ელოდნენ გემრიელ კერძს.

მეფაბრიკე თამამად შეჰყვა ბავშვებს ეზოში. იცოდა, მისი სტუმრობა არავის ეწყინებოდა. მეზობლები ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ უცნობ კაცს.

— გამოდი, სოლომონ, შენ გეძახიან. — შესძახეს მას.

მეფაბრიკემ სოლომონის გარეთ გამოსვლას არ დაუცადა. თვითონ შევიდა ოთახის დია კარში. სამზარეულოდან ბაბაღეც გამოეყარდა.

— ვინ არის, ქა? — შეეკითხა მეზობლებს, მაგრამ პასუხისათვის არ დაუცდია, ფეხდაფეხ შეჰყვა სტუმარს.

სოლომონი სწრაფად წამოდგა, ერთხანს გაშტერებული შესცქეროდა თავის ხაზეინს, თვალებს არ უჯერებდა. სიზმარში ხომ არა ვარო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს სინამდვილე იყო.

ნათელ დარბაზებში გაზრდილი სოვდაგარი ოთახის სიციწროვემ შეაწუხა. არ ესიამოვნა მქრქალი სინათლე, რომელიც მხოლოდ კარიდან და ერთადერთი ფანჯრიდან შედიოდა. შესვლისთანავე გადაწყვიტა უცებ მოეთავებინა თავისი საქმე და წასულიყო.

— ხო ხედავ, შე ყურუმსალო, შენა, სიღარიბეში სული გძვრება. თამბაქო სახლშიც წამოიღე, პაპიროსები გააკეთე, ცოლშვილიც მოიხმარე და ფულს მოიგებ! — სოვდაგარის ხმაში ნამდვილი ბრძანება ისმოდა.

სოლომონმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სტუმარმა არ დააცადა.

— მაიცა, ყური დამიგდე! — პაერში ხელი აიქნია, გაჩუმდით, პიჯაკის უბეში ხელი ჩაიყო და პატარა საფულე ამოიღო. ნელა, აუჩქარებლად გახსნა, შიგ ორი თითი ჩაჰყო და ოქროს თუმნიანი ამოიღო, — აჰა, შე საწყალო, ჯერ ეს მიიღე, — დააყოლა და ფული მაგიდაზე დადო.

თუმნიანი ყვითლად ბრწყინავდა. იგი სულ რაღაც სამი მისხალი იქნებო-

და, მაგრამ ცოლქმარზე ისე იმოქმედა, თითქოს უცებ ბედნიერების სრა-სასახლეს აუშენაო!.. ბოლოსდაბოლოს, რა იყო ეს ოქროს თუმნიანი? დიდი არაფერი!.. სოლომონი თვეში ოთხ თუმანზე მეტს აკეთებდა, მაგრამ ბაბალეს არც ახსოვს, რომ ქმარს როდისმე მოეტანოს შინ ოქროს თუმნიანი ასე გაუტეხავად, დაუხურდავებლად. სოლომონი შაბათობით იღებდა ჯამაგირის ნაწილს. უბანში ამოვივლიდა, სირაჯებს ნისიათ წაღებული ღვინის ვაღს დაუტოვებდა, მეპურე ილიკოს—პურის დანახარჯს, მედუქნე ონისიმეს თავის კუთვნილს მისცემდა, ისე, რომ შინ მოვლამდე მანეთი თუ მანეთნახევარი რჩებოდა ჯიბეში. დღეს კი, ასე მოულოდნელად, ახლად გამოქირილი ოქროს თუმნიანი მოუტანა თვითონ ხაზენიმა.

შეკრთა ბაბალე, მადლობის გრძნობით აევსო გული სოლომონს. კუთხეში მდგარიმა ბავშვებმა თვალეები დააჭყიტეს. მათ არასოდეს არ ენახათ ოქროს ფული. სპილენძის კაპიკიანი, შაურიანი, ვერცხლის უზალთუნი და აბაზიანი ნანახი ჰქონდათ, ხელშიც სჭერიათ, მაგრამ ოქროს თუმნიანი?.. არასოდეს!..

— მეზობლებს გააგებინე, ვისაც მუშაობა უნდა, მოვიდეს ჩემთან. თამბაქო წამოიღოს, იმუშაოს. ფულს გააკეთებენ, ლუკმა პურს შეჭამენ!..

სოლომონმა ქეშად გადახედა ოქროს თუმნიანს, რომელიც ყვითლად ბრწყინავდა და თვალსა სჭრიდა.

მეფაბრიკე შემოტრიალდა და ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან, თითქოს მის წინ გადაშლილ სიღარიბეს და ამ სიღარიბისაგან შეხუთულ ჰაერს გაექცაო. ზურგს უკან მოესმა ბაბალეს სიტყვები:

— დიდი მადლობელი ვართ, დიდი, თქვენ კი გაიხარეთ ამ ქვეყანაზე!

3

სამი პატარა მეგობარი კოტე, არჩილი და ვასო კვირა დილით მთაწმინდის მარჯვენა კალთით ფენიკულიორისკენ გაეშურნენ. კოტე, რომელსაც ტოლებში ფალავანდ მოჰქონდა თავი და წლოვანებითაც კოტა უფროსი იყო, ამხანაგებს წინ მიუძღოდა. ვასოს ტანმორჩილობის გამო მეტსახელად კურკა ერქვა. კურკა ვასო პატარა იყო, მაგრამ სხარტი და მოქნილი. ის ცდილობდა თავის ფალავანს არაფერში ჩამორჩენოდა და ყოჩაღად ეჭირა თავი. არჩილი კი ვაი-ვაგლახით მიდიოდა. მოუხერხებელი ბიჭი იყო და მშრალ, ფხვიერ ფერდობზე ხშირად უცურდებოდა ფეხი. ვასოს პირველად სწყინდა მეტისახელი, მაგრამ მერე ისე შეეჩვია, რომ მნიშვნელობას აღარ აძლევდა, ვასოს დაუძახებდნენ თუ კურკას. ისინი ცხრა-ათი წლის ბავშვები იყვნენ. არჩილი იყო ჩუმი და წყნარი, გამგონე და მორჩილი, უყვარდათ კიდეც ამხანაგებს, რადგან არჩილი სულ იმას ცდილობდა ამხანაგებისათვის ეამებინა. მას უსწორმასწოროდ ჩამოზრდილი შავი თმა ყურის ბიბილოებამდე სწვდებოდა, კისერიც თმით ჰქონდა დაფარული. მისი მუქი ყავისფერი თვალეები ყოველთვის საწყლად გამოიყურებოდნენ. მასაც უყვარდა ლაღად განავარდნა, როგორც ყოველ ბავშვს, და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სჩაგრავენ, მაინც ვერ სთმობდა თავის ტოლამხანაგებს.

ახლა მთაწმინდის ზედა კალთაზე ადიოდნენ ყვავილების დასაკრეფად. როდესაც თავიანთ ქუჩას კარგა დაშორდნენ, კოტე შეჩერდა და ჩამოჯდა.

ეს ერთგვარი ნებართვა იყო, რომ არჩილიც და კურკაც დამსხდარიყვნენ.

— ბიჭებო, დაიწყო კოტემ, — აგერ იმ მთასა ხედავთ, ჩვენს პირდაპირ რომ არის? — ხელი გაიშვირა და იმ მიმართულებით ქვაც გაისროლა.

- ეხედავთ. — უპასუხეს ამხანაგებმა.
- მაგ მთასა მახათა ჰქვია.
- მერე? — იკითხა კურკამ.
- მერე რა უნდა იყოს? მერე ის, რომ მახათა ჰქვია.
- რატომ ჰქვია მახათა? — იკითხა არჩილმა.
- იმიტომ! — უპასუხა კოტემ, — გაიგე?

არჩილს შეეშინდა არ წამეჩხუბოსო და წაიჩურჩულა:

— გავიგე.

— მეც გავიგე. — მორჩილად დაუმატა კურკამ.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ. მერე ზანტად აითრიეს ფეხი და შეუდგნენ აღმართს. ფერდ-ფერდ მიჰყებოდნენ მთას და თანდათან მალღა-მალღა მიიწევდნენ. ბიჭები ცოტა დაიღალნენ, მაგრამ შეხურდნენ. სახე აელეწათ, ვარდისფერმა გადაჰკრა სამივეს ლოყებზე.

გამოჩნდა მწვანე ბუჩქები და ყვავილების მთელი ტბა. — ყელმოღერებულ იყვითელგულა, თეთრი გვირილები და ლურჯად აკაჟაჟებული ღიღილოები. სამმა პატარა ბარბაროსმა ყვავილების ტბაში შეაბიჯა. მათ ჯერ გადასთელეს გვირილები და ღიღილოები, მერე ბლუჯა-ბლუჯა დაწყვიტეს და თაიგულები შეკრეს. ბოლოს სამივენი ყვავილებში გაგორდნენ, თავქვეშ ხელები ამოიდეს და ცას დაუწყეს ცქერა.

— ცა რომ ჩამოინგრეს რას იზამთ? — იკითხა კოტემ.

— მე გავიქცევი. — თქვა კურკამ.

— შენ რაღას იზამ? — მიუბრუნდა კოტე არჩილს.

— მეც გავიქცევი.

— მე კი არსადაც არ გავიქცევი! — თავისებურად თავი გამოიღო კოტემ.

— მაშ რას იზამ?..

— აქ დავრჩები და ვნახავ ერთი, როგორ ჩამოინგრევა ცა! — მიუგო და თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა.

პატარა ხანს ჩუმად იყვნენ, მიინახნენ, თითქოს მიიძინესო. დუმილი არჩილმა დაარღვია. წამოჯდა და როგორც საოცრება ისე თქვა:

— იცით, ერთხელ დედაჩემმა ნახა, როგორ გაიხსნა ცა! თურმე დღე ყოფილა, მაგრამ მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც ერთად დაუნახავს. მერე უცებ დახურულა ცა!..

კოტემ დამცინავად გადახედა არჩილს და მოკლედ უთხრა:

— არა მჯერა!..

— რატომ არა გჯერა?

— იმიტომ! გაიგე?

— გავიგე. — კვლავ მორჩილად მიუგო არჩილმა.

— მახათა რატომ ჰქვია, გინდათ გითხრათ?..

— გვითხარი.

— თურმე ერთი კაცი ქალაქზე გაბუტულა. ვიღაცას გაუჯავრებია და ისიც გაჯავრებულა. უთქვამს, მე თქვენთან ვერ ვიცხოვრებო, იმ მთაზე წავალ და იქ ვიცხოვრებო. წასულა და ყველაფერი წაუღია თან. ქვაბი, მაყალი, აქანდაზი, მაშა... ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც დასჭირდებოდა. ცოტა ხანს უცხოვრია მარტო, მერე ჩემები გასცვეთია. დაკერება სდომებია, მაგრამ ნახა, რომ მახათი არა აქვს. თურმე მახათის წაღება დავიწყებია. მახათის წასაღებად ჩამოსულა ქალაქში. ქალაქელებს მასხარად აუგდიათ, ავი უჩვენოდ იცხოვრებო?!... მერე იმ კაცსაც მახათა დაარქვეს და იმ მთასაც.

— რატომ დაავიწყდა მახათი? — იკითხა არჩილმა.

— დაავიწყდა, არ შეიძლება?.. შენ არაფერი დაგვიწყებია?.. აი, მე გუშინ სკოლაში წავედი და ბუნებისკარის წაღება დამავიწყდა.

— მართლა დაავიწყდა მახათი? — ხელახლა გულუბრყვილოდ იკითხა არჩილმა.

— ასე თქვეს, მართლათ და, რა ვიცი, მართლა?.. ადექით, ბიჭებო, წავიდეთ! — მცირე ღუმლის შემდეგ დაუმატა კოტემ.

თაიგულები აიღეს და შეუდგნენ აღმართს.

კარგა ხანს იარეს. სულ მალა და მალა მიდიოდნენ. გზაში კუს შეეყარნენ, ის ასკილის ბუჩქებიდან გამოძვრა, ხმაური რომ გაიგო, შეჩერდა და გაინაბა. ბიჭებსაც ეს უნდოდათ. სამივე მხრიდან თავს დაადგნენ, ჩაცუცქდნენ და მცენარის ყლორტებით მოუსინჯეს ჯავშანში ჩამალული თავკისერი.

— თან წავიყვანოთ! — თქვა კოტემ, — არჩილ, მოჰკიდე ხელი!

არჩილმა საწყალობლად შეხედა კოტეს, რომელიც მიხვდა მეგობრის გულისტკივილს და თქვა:

— კარგი, არ გვინდა!

ისევ გასწიეს მწვერვალისაკენ.

დროდადრო ჩერდებოდნენ და ისვენებდნენ. სახეზე აღმური ასდიოდათ. თვალბში ბავშვური სიწმინდის ნაპერწკლები უკროდათ, ტუჩები ვარდის ფურცლებით ჩასწითლებოდათ. ლოყებზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდათ. ოფლს მუშტით იწმენდნენ, რის გამოც ყურის ძირები და ყელი შავად შესთხუნოდათ. მიმედ სუნთქავდნენ და პირი ოდნავ ღია ჰქონდათ. მოუჩანდათ თეთრი ხასხასა კბილები.

— აბა, ახლა ჩვენზე მალა ვინ არის მთელ ქვეყანაზე? — მედიდურად წარმოთქვა კოტემ, როდესაც მთაწმინდის წვეროზე ავიდნენ.

— არავენ! — თქვა კურკამ.

— არავენ! — დაეთანხმა არჩილიც.

კვირა დილა იყო. მზე შუბისტარზე იდგა. სირაჯები და მედუქნეები საღამოსათვის ემზადებოდნენ. მოჰქონდათ ლიმონათებით სავსე ყუთები, ტიკებით ღვინო, კალათებით პური და ხორავი. აქ ყოველ კვირა საღამოს ქეიფობდა ხალხი. როდესაც დუქნებში მაგიდები აღარ ჰყოფნიდათ, ყოველ ბუჩქის ძირას იშლებოდა სუფრა. უკრავდა ზურნა, უკრავდა გარმონი, გაისმოდა ბაიათები და შიქასტები. შუალამის გადასულს მინელდებოდა ხალხის ყრიაშული და ეძინებოდა მთელ მთაწმინდას თავისი მბეჭუტავი სინათლეების ციმციმში.

მედუქნეებსა და სირაჯებს ახლოს ჩაუარეს ბავშვებმა, თან გვერ-გვერდ იტყირებოდნენ, თვალს არ ამორებდნენ ლიმონათის ბოთლებსა და შოთ პურებს.

— აქ მოდით, ბიჭებო, მოგვეშველეთ! — შესძახა ბავშვებს ერთმა კარგა ჩასუქებულმა კაცმა.

სამივემ მაშინვე მიირბინა მასთან.

— ეს ყუთები დუქანში შეზიდეთ, შეგიძლიათ?..

— როგორ არა, ახლავე! — თავგამოდებით წამოიძახა კურკამ. კურკას არჩილი დაეხმარა და ორივემ ერთად შეიტანეს ლიმონათებით სავსე ყუთი. რიგრიგობით ეხმარებოდნენ ერთმანეთს და ათიოდე წუთში ყუთები დახლის უკან მოათავსეს.

სირაჯმა ერთი ბოთლი ლიმონათი გახსნა და ბავშვებს დაალევინა, მერე

თავის მსუქანი ხელი ჯიბეში ჩაიღო და კენტი შაურიანი ამოიღო. ეს გვერდის ფული იმდენად პატარა იყო, რომ მის მსხვილ თითებში არც კი მოჩანდა.

— აჰა, ეს თქვენ, მუდამ პატიოსანი ლუკმა გეჭამოთ! — დააყოლა.

— გმადლობთ, ძია! — რიგრიგობით მიუჯო სამივემ.

ფული კოტემ გამოართვა.

— რა ვუყოთ ახლა ამ ფულს? — იკითხა კოტემ.

— პური ვიყიდოთ და ვჭამოთ. — თქვა არჩილმა. ეტყობოდა მოშიებუ-
ლი იყო.

— მარტო პური?..

— მერე რა, მარტო პური!

— ერთი გირვანქა მოგვივა. — დაუმატა კოტემ. — წავიდეთ.

ბავშვები ფუნეკულორიდან კლაკნილი ბილიკით დაეშვნენ დაბლა. ასკი-
ლისა და იელის ბუჩქებს შორის ხან იმალებოდნენ, ხან ისევ ჩნდებოდნენ.
შუა გზა რომ მოათავეს ეკლესიის ეზოში მოხვდნენ, წყაროს წყალი დალიეს,
მერე კიბეებზე ჩაირბინეს და მამადავითის ქუჩით დაბლა დაეშვნენ. ქვევით,
პატარა ბაღთან, თავგების სკოლის ახლოს, კუთხეში, თორნე იყო. ამაყად შევიდ-
ნენ სამივენი, პური იყიდეს, თვალის ვარაუდით სამ თანასწორ ნაწილად გაყვეს
და მადლიანად შეეჭყნენ.

— შემდეგ კვირას ტივებზე წავიდეთ, ვერის ხიდთან! — ილუკებოდა და
ეუბნებოდა კოტე ამხანაგებს. — ბორჯომიდან ტივებს მოაცურებენ. თანაც
გოდრებით ხილი მოაქვთ.

— მერე, ჩვენ რა? — იკითხა კურკამ.

— მოვეხმარებით და გვაჭმევენ, არ გინდა?

— რატომაც არა, უეჭველად წამოვალ.

— მეც წამოვალ, — დაუმატა არჩილმა.

ამხანაგები ერთმანეთს დაშორდნენ.

არჩილს სახლში დიდი სიხარული დახვდა. მისი მშობლები ტკბილად მას-
ლაათობდნენ. ელენესათვის საკაბე უნდა ეყიდნათ, არჩილისათვის სახალათე,
გოგიასათვის საშარველე, პატარებისათვის კი წულები, რომ დღემუდამ ფეხშიშ-
ველა არ ერბინათ. იმ დღეს კი სადილად ერთი კვარტი ღვინო მოიტანეს.

ტკბილ საუბარში მსიარულად ისადილეს, ნასადილევს სოლომონი ტანტზე
მიწვა და უზრუნველი ხვრინვა ამოუშვა. ბაბაღემ სუფრა აალაგა და წინდების
ქსოვას შეუდგა. არჩილი დედას გვერდში მოუჯდა, კალთაზე მიეკრო და შეე-
კითხა:

— დედა, შენ მართლა ნახე, ცა რომ გაიხსნა?..

— მართლა, მაშა!

— კოტეს რატომ არა სჯერა?

— დედამისს რომ ენახა, ხომ დაიჯერებდა? რახან დედაშენმა ნახა, იმი-
ტომ არა სჯერა! — მწყრალად უბასუხა ბაბაღემ.

არჩილმა დედას გაჯავრება შეატყო და სიტყვა ველარ შეუბრუნა.

მეორე დღეს სოლომონმა და მისმა უფროსმა ვაჟმა გოგიამ ერთი ფუთი
თამბაქო და ასი კოლოფი გილზი მოიტანეს. სიხარულით გახსნეს მუყაოს კო-
ლოფების ვეებერთელა დასტა და ერთი მეორეზე ლამაზად დააწყვეს.

სოლომონმა მადიანად შეჭამა შვინდის შეჭამანი. წინა დღეს მორჩენილი

ორი ჭიქა ღვინოც დააყოლა თავის გემრიელ სადილს და მუშაობას შეუდგა. ბავშვები შემოგვივიდნენ. ისინი ხელებში მისჩერებოდნენ მამას, რომელიც ოსტატურად ამზადებდა პაპიროსებს. მამა უხსნიდა და ასწავლიდა შვილებს თუ როგორ უნდა გაეკეთებინათ პაპიროსები.

პირველ დღეებში ბავშვები ამ საქმეს ისე უცქეროდნენ, როგორც გასართობს და მაგიდაზე დაყრილ თამბაქოში ხელებს ურევდნენ, პატარა თითებით ფშვნიდნენ კუშტებს, ყნოსავდნენ კიდევ. როცა რომელიმე მათგანს ცხვირის ცემინება აუტყდებოდა და თვალებზე სიმწრის ცრემლები მოადგებოდა, იცი-ნოდნენ და ხარხარებდნენ. რამდენიმე დღეში ბავშვებმაც შეისწავლეს პაპიროსების დამზადება. ყველაზე დაუზარებლად არჩილი მუშაობდა.

ისხდნენ ბავშვები მაგიდის ირგვლივ და მარჯვენა ხელის სამი თითით სდებდნენ თამბაქოს ლითონის მილში, სალოკი თითით ასწორებდნენ, ზედმეტ ბეწვებს აკლიდნენ და ასე სტენიდნენ გილზებს. არჩილი ისე დახელოვდა, რომ მისი თითები თავისით გრძნობდნენ, რამდენი თამბაქო უნდა აეღო გილზის გასატენად. ეს კი მეორდებოდა ათასჯერ და ათიათასჯერ, გულისგამაწყალებლად და გაუთავებლად.

5

კვრა დილას კოტემ და კურკამ არჩილს ჩამოუარეს. როდესაც არჩილი ეზოში გამოვიდა, კოტემ წასჩურჩულა:

— პაპიროსები წამოიღე, მოვწიოთ. იცი რა არის?! — და მან ტუჩები და თითები ერთდროულად ააწკლაპუნა. გააგებინა მისი გემო და სიტკბო.

არჩილი შეეყოყმანდა.

— მოიტა, მოიტა, შე მშოშარა, შენა. იმდენი გაქვთ, რომ ვერავინ შეატყობს!

ეწყინა არჩილს, მშოშარაო. მაშინვე გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ მშოშარა არ იყო. შებრუნდა სახლში. ცალი ხელის მუჭში რამდენიც მოჰყვა, იმდენი პაპიროსი აიღო და ხალათის უბეში ჩაიყარა. არავის შეუნიშნავს... თავმომწონედ გამოვიდა გარეთ.

— წავიდეთ! — ამაყად უთხრა ამხანაგებს.

— მოვაქვს? — ჰკითხა კოტემ.

— ხო!

სირბილით დაეშვენენ ჭავჭავაძის ქუჩაზე.

ახლად გათენებული იყო. იღვიძებდა ქალაქი.

გოლოვინის პროსპექტზე მენახშირეები ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ სახედრებს, რომლებსაც გადაკიდებული ჰქონდათ ნახშირით დატვირთული ვეებერთელა შავი ტომარები.

— ხაშ უგლი! — გაიძახოდნენ ისინი.

მოჭრიალებდა შეშით დატვირთული ურმები.

— დრავა, დრავა!.. — თავგამეტებით ყვიროდნენ მეურმეები.

ჭავჭავაძის ქუჩისა და პროსპექტის კუთხეში პირდაპირ ქვაფენილზე ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ კურტნის მუშები. ოპერის გვერდზე, მუშტრის მოლოდინში, გრძელ რიგად იდგა ეტლები.

ვერის დაღმართს რომ მიუახლოვდნენ, მათი ყურადღება მიიპყრო იქვე, შეშის საწყობის ღობეზე გაკრულმა ქართულმა აფიშამ. მაშინვე გამოიჩინეს თავიანთი ცოდნა. წაიკითხეს: „ქართული კლუბი... სამშობლო... დავით ერისთავი... სელამოს 8 საათზე“.

- ერთი ტიატრი მაინც მანახვა, ნეტა როგორია?! — ინატრა არჩილმა.
- ერთხელ მე ვნახე! — თავი გამოიღო კოტემ.
- არა მჯერა! — ნიშნის მოგებით გამოეპასუხა არჩილი.
- რატომ არა გჯერა? — გაჯავრდა კოტე, — თუ გინდა მამაჩემს ჰკითხე!
- შენ კიდევ დედაჩემს ჰკითხე, როგორ გაიხსნა ცა... დედამ მითხრა, დედა არ მომიკვდება!..

მიუახლოვდნენ ვერის ვიწრო და დაკლაკნილ დაღმართს. ამ დაქანებულ ქუჩას მარჯვნივ მიჰყვებოდა დაბალ ბოძებზე გაბმული მსხვილი მავთული. მის იქით უზარმაზარი ხევი იყო, რომელიც მტკვარს უერთდებოდა. ბავშვებმა გადაიხედეს და შიშისაგან თვალბნეი აუჭრელდნენ, მაშინვე მოშორდნენ ამ ადგილს და მარცხენა მხარეს გადაიბრინეს, ბაზრისაკენ. ბაზრის შუა ვულში ეკიდა ვეებერთელა სასწორი. მისი ოთხკუთხი ჯამები ჯაჭვებზე იყო მიმაგრებული. ხალხი ბუზივით ირეოდა, გაისმოდა ვაჭართა შეძახილები და მუშტრის მიპატიჟება. ჰყიდდნენ ფქვილს, ლობიოს, ბოსტნეულს. ბიჭებმა გვერდში ჩაუარეს ბაზარს და სირბილით გაეშურნენ მტკვრისაკენ. ვიდრე ვერის ხიდს მიუახლოვდებოდნენ, მარცხნივ გადაუხვიეს — ბორნისაკენ.

ვიღაც ჯარისკაცი უბელო ცხენებს მოაქნებდა და სანაპიროზე მტკვრის კორიანტელი დააყენა. ნაცრისფერ ნისლში გაახვია ბავშვები. აქა-იქ გროვებდა ეყარა რიყის ქვები. ალაგ-ალაგ წყლის გუბეები იდგა. მტკვრის ნაპირი ტივეებით იყო მოფენილი. ბიჭებმა იქით გასწიეს. მეტივეები, ხუროები და მეთევზეები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გასცქეროდნენ მტკვარს, რომელიც შუალამისას აღიდებულებოდა და ამ დილას მრისხანედ მოაგორებდა ზვირთებს.

წყლიდან ნაპირზე ტივებს ეზიდებოდა ერთი შუახნის კაცი, რომელსაც თქუის ქუდი ეხურა. მეგობრები გაჩერდნენ. ერთმანეთზე გუთნეულებით გადაბმული სამი უღელი კამეჩი ნაპირთან იდგა და ელოდა მორიგ ტვირთს. მუშაკაცმა ტივებს ყურებში ჯაჭვი ჩაუბა, მერე ხეები გოგორაზე შეაყენა და უღელს მოაბა.

— ყორანი!.. ყორანი!.. — უძახდა კამეჩებს.

ჰკვიანი, გამგონე კამეჩები მისდევდნენ ჩუმად, სახრის დარტყმა არა სჭირდებოდათ, იცოდნენ, რომ თავიანთი გასაწევი იყო.

ბავშვები ბორნისაკენ გაეშურნენ.

კოტა მოშორებით ახლად ჩამოსულ მეტივეებს მტკვრის ნაპირას ფიცრები დაეწყოთ, ზედ ჯეჯიმი გაეშალათ და პატარა სუფრას შემოსხდომოდნენ. ხელადაში ჰქონდათ მტკვარში ჩაციებული თავანკარა ხიდისთაური ღვინო. თონეში გამოცხვარი დედას პურები და ცივად მოხარშული ქათამი. ისინი მთელი გზა ტივებზე ფეხშიშველები იდგნენ, შეციებულებს ახლა წინდები ჩაეცვათ, თითო არაყი გადაეკრათ და შეხუტებულიყვნენ.

— სად მიდიხართ, ბიჭებო? — შეეკითხა ბავშვებს ერთი მეტივე.

— არსად, აი, აქვე! — ხელი გაიშვირა კოტემ ბორნისაკენ.

— თამბაქოზე გაგვეზავნეთ, თქვენს გაზრდას. გამოგველია ეს ოხრად დასარჩენი!

— პაპიროსს არ მოსწევთ, ძია? — ჰკითხა არჩილმა.

— პაპიროსი? ჩაფიქრდა მეტივე, — დიდკაცურად გამოვა, პაპიროსი რომ მოვწიო. გაქვს?

— მაქვს.

— რად გინდა, ბიჭო, პაპიროსი?..

არჩილი გაჩუმდა, პასუხი ვერ მოიფიქრა, კოტე შეეშველა.

— მამამ დააბარა, იყიდეო, უნდა წაუღოს.

— ხოო, ეგ სხვა საქმეა!..

არჩილმა უბიდან ხუთი ცალი პაპიროსი ამოიღო და სათითაოდ ჩამოურიგა მეტივეებს.

— იცით, ეს რა პაპიროსია! ბოზარჯიანცისაა! — კვეხნით დააყოლა კურკამ. მეტივეები ერთხანს ხელში ატრიალებდნენ პაპიროსს და სინჯავდნენ, მერე კვესაბედი მოიმარჯვეს.

კოტეს ჯიბეში ასანთი ჰქონდა, მაგრამ არ გამოაჩინა, დამალა, რადგან მისი სიცრუე გამოჩნდებოდა.

— იიფ, რა კარგია! — თქვა ერთმა.

— პაპიროსია, შენი მყრალი წეკო კი არ არის?!.. — მიუგო მას მეორემ.

— ბალები ხართ, ღვინოს ვერ დაგაღვეინებთ, აი, პური მოიტეხეთ, ყველი შეატანეთ. — უთხრა პირველმა მეტივემ და თვითონვე მოუტეხა სამივეს პური და ყველი.

— ბავშვები პურის ჭამით გზას გაჰყვნენ. ისინი ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ. პური რომ გაუთავდათ, კოტე შეჩერდა და ამხანაგებს მიმართა:

— ახლა სადმე დაესხდეთ და მოვწიოთ.

— მოვწიოთ! — დაუდასტურა კურკამ.

გზას მარცხნივ გადაუხვიეს და ვერისწყლის პატარა ხევში შევიდნენ. ვერისწყალი პატარა ბოგირქვეშ გადიოდა და მტკვარს უერთდებოდა. ბუჩქებს შორის ქვებზე ჩამოსხდნენ. არჩილმა უბიდან პაპიროსები ამოიღო. თექვსმეტი ცალი აღმოჩნდა. კოტემ ექვსი ცალი აიღო, დანარჩენებს ხუთ-ხუთი შეხვდათ.

— ახლა თქვენ მდიდრები ხართ, არა? — შეეკითხა კურკა არჩილს.

არჩილს გაუკვირდა და განცვიფრებით იკითხა:

— რატომ?..

— მამაშენი მუშაობს. თქვენც მუშაობთ. ყველანი ფულს იგებთ!..

არჩილი ჩაფიქრდა, არ იცოდა რა ეპასუხნა. იყო თუ არა მდიდარი? ერთი კი ამკარა იყო, ახალი ხალათი ეცვა, ტილოსი, რომლითაც ამაყობდა კიდეც.

— აბა, არა? მართლა მდიდრები არიან! — კვერი დაუკრა კოტემ.

კურკა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბეზარაანი მდიდრები იყვნენ. კოტე რომ იტყოდა, უნდა დაეჯერათ.

თითო ცალი რომ მოსწიეს, მაშინვე მეორეც მიაყოლეს.

კოტე და კურკა გამოცდილები იყვნენ, ისინი სწევდნენ პაპიროსს, უმეტესად ქუჩაში ნაპოვნ ნაწმუყავს. არჩილს კი არასოდეს არ მოეწია, მაგრამ ჩაისუნთქა თუ არა, თუმცა წამოახველა, მაინც მაშინვე მიხვდა, როგორ უნდა მოეწია. ოდნავ ყელი აეწვა, გული უცნაურად დაეწურა და სწორედ ეს ესამოვნა.

ტბილელულს რომ გაუყოფენ ბავშვებს და თავთავიანთ წილს ერთიმეორეს მიყოლებით უცებ მოათავებენ, სწორედ ისე მოიქცნენ. ვიდრე სულ არ მოსწიეს, არ მოეშენენ. გაბრუებულნი წამოდგნენ და გამოძვრნენ ბუჩქებიდან. კოტე კარგად გრძნობდა თავს, კურკასაც არა უჭირდა რა. არჩილს კი ჭრელი ბურთულები უტრიალებდა თვალებში. მოდიოდა, მაგრამ ფეხს ისე ადგამდა, თითქოს დედამიწას ვერა სწვდებოდა და ფეხები პავერში უჩერდებოდა. ტივებთან რომ მივიდა, სიარული ვეღარ შესძლო და მორბე ჩამოჯდა.

ამხანაგები ერთხანს იდგნენ და შესცქეროდნენ, გამოკეთდებო, მაგრამ არჩილი სულ უფრო და უფრო უარესად ხდებოდა. თავბრუ დაეხვა და ტივებზე მიწვა.

„აღარ მოვწეე... აღარასოდეს... აღარასოდეს!..“ — ფიქრობდა მთვლემარე.

— ბიჭებო, თქვენ აქ დამიცადეთ, მე კუნძულზე წავალ და ვიბანავები! — თქვა კოტემ და პასუხსაც არ დაუცადა, მაშინვე გაიქცა კუნძულისაკენ, რომელიც შუაგულ მტკვარში ბორნის ზევით იყო მოქცეული.

კურკა არ მოშორდა არჩილს, გვერდზე მოუჯდა, ერთი ორჯერ მტკვრიდან პეშვით წყალი მოუტანა და სახეზე ასხურა.

არჩილს გული აერია. ჯერ გამწვანდა, მერე გაყვითლდა. კარგა ხანს იწვალა. ბოლოს სული მოიბრუნა. გამოფხიზლდა, გამოკეთდა. წამოდგა და გაიარა კიდევ, მაგრამ მუხლები მაინც უკანკალეზდა.

— სახლში წავიდეთ! — სთხოვა კურკას.

— რა გეჩქარება, ეხლა ხომ კარგადა ხარ?..

— რატომ შენ არ აგერია გული?..

— მე? — იკითხა კურკამ. — ჰმ!.. მე ვიცი წვეა და იმიტომ!

— ფუჰ!.. — თქვა არჩილმა და სახე დაეღრიჯა.

კურკას გაეცინა.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ და გასცქეროდნენ მტკვარს, რომელიც მღვლეზარედ მოათამაშებდა ტალღებს. მათ თვალწინ ჩაისრიალა მთაში მოგლეჯილმა ხეებმა, მოტაცებულმა ფიცრებმა და მოტივტივე კალათებმა.

ქაქანით მოიბრინა კოტემ. ხელში ხეპეჭური მსხლები ეჭირა. ხალათის უბეც ხეპეჭურით სავსე ჰქონდა.

— იცით რა მოხდა? — სულისმოუთქმელად დაიწყო კოტემ, თანაც თითო მსხალი მიაწოდა ამხანაგებს. — ამ დილას მტკვარი მოვარდნილა. ერთი ტივი კუნძულს დასჯახებია და დაშლილა. მეტივეებს გაუცურიათ, მაგრამ გოდრებს პირი ვახსნია და მსხალი გადმოპნეულა. გოდრები მტკვარს მიაქვს, მსხალს კი ხალხს იჭერს. იმდენი მსხალი ყრია წყალში, იმდენი, იმდენი რომ!..

გულწყლიანი ხეპეჭურით დატკბნენ ბავშვები.

არჩილი გამოკეთდა, მაგრამ გაახსენდებოდა თუ არა ჩასუნთქული კვამლის მწარე გემო, ზიზღი ხელახლა ურევდა გულს.

არჩილმა შინ წასვლა აიჩემა. ამხანაგები არ გაჰყვენენ და მარტო წავიდა. დედა უფერულობა შენიშნა შეილს. შეკრთა, შეშფოთებული შეეკითხა:

— რა დაგეშართა?..

— მეძინება!

— ახლავე, შვილო!

ბაბაღე წალოსკენ შეტრიალდა, ლოგინი გადმოიღო და ტანტზე გაშალა.

— დედა, ჩვენ მართლა გავმდიდრდით?.. — მოულოდნელად იკითხა არჩილმა.

ბაბაღემ ნაღვლიანად გადახედა შეილს, პასუხი არ გასცა. ხმაამოუღებლად ტანთ გახადა, ლოგინში ჩააწვინა და გადაახურა საბანი, რომლის პირიც შეკერილი იყო სხვადასხვა ფერის ნაჭრებისაგან.

6

შუალამე ახლოვდებოდა. ეძინა უბანს. ფანჯრებიდან მკრთალი სინათლეები გამოკრთოდა. ქუჩის ფარნები ბეუტავდნენ. სოლომონის ოჯახში მაგიდას უსხდნენ არჩილი და ლიზიკო — უმცროსი და. თვალუბნაცვენილნი და ჩამოყვითლებულნი ვაი-ვაგლახით მუშაობდნენ.

— გეყოფა, ჩემო დაიკო, შენ ძალიან დაიღალე. განა არ გატყობ, რომ გეძინება? — ისეთი ზრუნვით უთხრა არჩილმა თავის პატარა დას, როგორც უფროსი ადამიანი ეტყოდა.

— განა შენ კი არ გეძინება?..

— მერე რა რომ მეძინება, მე შენზე დიდიც ვარ და შენზე ყოჩაღიც!..

— ჩემზე ყოჩაღი? — თაკილა გოგონამ.

თვალეები ორივეს დაწითლებული ჰქონდა, ორივეს ეძინებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდნენ.

— ასი ცალიც გავაკეთოთ და დავიძინოთ, კარგი?..

— კარგი! — დაეთანხმა არჩილი.

ტახტზე ერთიმეორის გვერდში ეძინათ ბავშვებს. ბაბალეს ტანგაუხდელად ჩასძინებოდა.

— დედას ნულარ გავალვიძებთ, კარგი? ცოდოა, დაიძინოს! — თქვა ლიზიკომ.

— კარგი, ნუ გავალვიძებთ. — დაეთანხმა არჩილი.

დაძმა ისევ გაჩუმდა, მუშაობა განაგრძეს, მაგრამ ათი წუთიც არ იყო გასული, რომ გოგონას კისერი გვერდზე გადაუვარდა და ჩაეძინა. არჩილსაც დაუძძიმდა თავი, სანათს ჩაუწია. ლიზიკო გაალვიძა, ტახტთან მიიყვანა და დააწვინა.

არჩილმა ასანთი მოძებნა, ერთი ცალი პაპიროსი აიღო და საპირფარეოში გავიდა. ჩუმად მოსწია... დაეწყებოდა გადატანილი სიმწარე. ერთხელ ვალიზიანებული ფილტვები ხელახლა ითხოვდნენ საზიზღარ ჰვარტლს...

დილით სოლომონმა ფაბრიკაში ჩასაბარებლად პაპიროსები წაიღო.

ერთი ფუთი თამბაქოს პაპიროსებად გადაქცევას მთელი ოჯახი ერთ თვეს მოუწინა — ოცდაოთხიათასი ცალი პაპიროსი ჩააბარა. მეფაბრიკემ განცვიფრებით შეხედა სოლომონს და მწყრალად უთხრა:

— გირვანქანახევარი თამბაქო შეგიყლაპავს! ოცდაოთხი კი არა, ოცდახუთიათასი უნდა მოგეტანა. ეს არ გაგივა!..

„როგორ თუ შემიყლაპავს?“ — ფიქრობდა გულჯავრიანი სოლომონი, — ვისი რა შემიყლაპავს?!..“

იმ დღეს გაბოროტებული მივიდა შინ. სიბრაზისაგან სული ეხუთებოდა.

— ბიჭო, გიორგი, პაპიროსები ხომ არ ავიღია?.. — ფრთხილად შეეკითხა მამა უფროს ვაჟს.

— არა, მამა, უშენოდ როგორ ავიღებდი. — ისე მშვიდად და დამაჯერებლად მიუგო გიორგიმ, რომ მაშინვე გაეფანტა ეჭვი.

მერე არჩილს ჰკითხა.

— დედა არ მომიკვდეს, არც ერთი ცალი არ ამიღია! — მიუგო არჩილმა ჩვეულებად გადაქცეული ფიცით და გაწითლდა.

მეფაბრიკემ სოლომონს კიდევ გამოატანა თამბაქო.

ოჯახი განაგრძობდა მუშაობას.

ღრმა შემოდგომის გრძელ ღამეებში, როდესაც გარეთ ქარი ქროდა, ან და მომაბეზრებლად წვიმდა, მათ ოთახში შუალამემდე ერთო სანათი, მაგიდის ირგვლივ ისხდნენ ბავშვები და გულისგამაწყალებლად მუშაობდნენ.

ასე ღაღა გაზაფხული.

ყოველ მთაწმინდელს ეამაყებოდა თავისი უბნის დღეობა. ამ დღისათვის ისინი მთელი თვით ადრე ემზადებოდნენ. ნათესავ-მეგობრები ესტუმრებოდნენ ლილოდან, მარტყოფიდან, ავკალიდან, გლდანდან. ახლა თბილისელებს არ იკითხავთ? მოდიოდნენ ვერელები და ჩულურეთელები, ხარფუხელები და ცი-

ხისუბნელები, მოდიოდნენ ცოლშვილით, გასათხოვარი ქალიშვილებით ცოლზე ბიჭებით. არც მოხუცები ჩამორჩებოდნენ თავიანთ შვილებს. ეცვათ ყურთმაჯებიანი, წელთან გახსნილი გრძელი კაბები, რომლის ქვეშაც მოუჩანდათ ატლასის ახალუხები. დინჯად მოაბიჯებდნენ მთაწმინდის აღმართზე ძველი თბილისელები, გვერდზე მოჰყვებოდნენ ოქრო-ვერცხლით დაბასმული ლეჩაქით მოამაყე ხანშიშესული ქალები, რომელთაც ატლასის ბლდადში თეთრი კავეები მოუჩანდათ და აღმასის თვლებიანი ქინძისთავი უბრწყინვდათ ხავერდის ჩიხტზე.

მამადავითის ქუჩის ორივე მხარეზე მწკრივად ისხდნენ მათხოვრები: მუდამ ხელგაწვდილი ღეთის გლახები, საპყარები, ხმაამოუღებელივ თავს მიწამდე რომ აქნევენ, შეწირულები, რომლებიც მხოლოდამხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე მათხოვრობენ მოგროვილი ფულის სალოცავში მისატანად.

ეკლესიის კარამდე გზა ბაზრად იყო გადაქცეული.
ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ პაპიროსის გამყიდველები.

— სიმპათია! სოლიდნი!.. — გაჰკვივან ხმამალა და მომბეზრებლად.

ყოველ ათ ნაბიჯზე დგას სუფრაგადაფარებული მაგიდები და გულგადაღვლილი ჩასპანდი ბიჭები აღმართით დაღლილებს სთავაზობენ ცივი ლიმონათით გაგრილებას.

ერთ მეღმინათეს ქალიშვილები ჩაუგდია ხელში და არ ეშვება, უნდა როგორმე გაასაღოს ლიმონათი.

— ლალიძისაა? — ეკითხებიან გოგონები.

— არა, ზემელის! — უბასუხებს გამყიდველი და ბოთლის გასახსნელად ბურღს ატრიალებს.

— არ გახსნა, არა, ჩვენ ლალიძისა გვირჩევენია!

— ზემელის ლიმონათი ნაკლები გგონიათ! — თავისას განაგრძობს აბეზარი მეღმინათე და ბოთლს მაინც ხსნის. ისმის პატარა აფეთქების ხმა, თეთრი ქაფი უშუილით გადმოდის ბოთლიდან, მეღმინათე დარდიმანდულად ავსებს ჰიჭებს და აწვდის ქალიშვილებს.

— მე ვბატყებთ, გენაცვალეთ. თუ არ მოგეწონებათ, თქვენი ფული არ მინდა!

ქალიშვილები იძულებული გახდნენ დაეღიათ.

— თქვენი დაბატყება არა გვჭირდება! — პრანჭვა-გრეხვით მიიძახეს და მაგიდაზე უზალთუნი დაუგდეს.

დარბიან ირისის გამყიდველი ბიჭები. ფეხშიშველებს, ტანსაცმელმემოხეულებს ხელში კოლოფები უჭირავთ, რომელშიც ასი ირისი ეტევა. თუ ასივეს გაყიდნიან, ხუთ გირვანქა პურის ფულს მოიგებენ. ეს კარგად იციან ბავშვებმა და ოჯახს რომ შეეშველონ, თავგამოდებით გაჰკვივან:

— შოკოლადნი ირის, შოკოლადნი, შოკოლადნი!..

ამ ბიჭებს შორის დარბის კურკა ვასოც. ის დროდადრო თავის პატარა თხელ ყუთს დახედავს ხოლმე და სთელის, რამდენი ცალი გაჰყიდა. კურკას პირზე ნერწყვი მოსდის, სული მიუღის, თვითონაც უნდა პირი ჩაიტკბარუნოს, მაგრამ რაღა მოიგოს?..

იქ კი, ზევით, ეკლესიის ეზოში, ტკბილად უკრავს დუდუკი. მთელ ქალაქში ცნობილი კუპრიას დასტა ამოსულა მთაწმინდაზე. მედლოე გატაცებით გაჰკვივის სიყვარულის აღმძვრელ სიტყვებს:

მე სიკვდილი ისეც მომკლავს.
შენ მიზეზი რათა ხდები?!..

მღერის და შესცქერის ირგვლივ თავმოყრილ ქალ-ვაჟს, რომელთაც სრულით აელერებული გული გრძნობით ეცხებათ.

წინაპართა საფლავების შორიახლოს შლიან სუფრას. შეექცევიან პურ-ღვინოს. კლდის ძირში რამდენიმე ადგილას გიზგიზებს ცეცხლი და მიშხინებს ბატკნის ხორცი.

მსუბუქი მოღურჯო კვამლი და მწვადების სურნელება ეფინება შუადღის გრილ ჰაერს.

ეზოს განაპირას, მთის მარჯვენა მხარეს, სადაც წვრილ ნაკადულად მოწკრიალებს წყარო, სოლომონსაც გაუშლია სუფრა. გულზე ჯავრი შემოსწოლია. მოწყენილი იყო ბაბაღეც. არჩილმა ფერი დაკარგაო. სისხლი ამოჰყვია. ნახველს და სწუხდნენ მშობლები, გაგვიცივდაო ბიჭი. სოლომონი გარიყრაჟე ამოვიდა. ბატკანი დაჰკლა. შვილები შეავედრა მამადავითს. არჩილი მომირჩინეო. თერთმეტი წლის ბიჭი ხახვის ფურცელივით გაფითრებული და ხმაჩაქმენდილი იჯდა სუფრასთან.

— ჰამე, შვილო, რას უყურებ? — ეხვეწებოდა დედა, — აკი გიყვარდა ბატკნის ხორცი?

— არ მინდა, დედა, — ბავშვი მაინც უარზე იყო, გული არ იკარებდა. საკმელს.

ჯავრიან გულზე სოლომონს ერთი ჩარქვა ღვინო უკვე გადაეკრა და ჩუმად ღლინებდა:

დარდიანად დამიწყია მღერა,
ვიღუბები, შენ კი არა გჯერა?..

ამ ღროს მან შორიდან თვალი მოჰკრა ოძელს, რომელიც ის-ის იყო ეკლე-სიის ეზოში ზვიადად და განივრად შემოვიდა. სოლომონს გაეხარა მისი დანახვა და მაშინვე ოძელისაკენ გაეშურა.

— ვამარჯობა, ვანო! — მიესალმა გულთბილად.

— გაემარჯოს, ჩემო ძმაო, რასა იქ, როგორა ხარ?..

ოძელი ფხიზელი იყო, ჯერ წვეთიც არ დაელია და დინჯად ლაპარაკობდა. ასეთი იყო, დაღვედა ღვინოს და მერე ამეტყველებოდა, ავიწყლებოდა დარდიც და საზრუნავიც.

— წამო, ვანო, სუფრა დამილოცე! — სთხოვა სოლომონმა.

ოძელმა სოლომონს ხმაზე ნაღვლიანობა შეატყო და ხათრი ვერ გაუტეხა.

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს! — მიუგო და წაჰყვა.

კლდიდან ჩამონატეხ ქვებზე ჩამოსხდნენ.

შუადღე იყო, ხეთა მოკლე ჩრდილები დაჰფენოდა მიწას. მოჰქროდა მთის

გრილი ნიავი და სიამოვნებას ჰგვრიდა ხალხს.

სოლომონმა ოძელს საესე ჰიქა მიაწოდა.

— მიირთვი, შენი ჰირიმე!

— ღმერთმა ცოლშვილი გიციოცხლოს. მამადავითის მადლი შეგეწიოს! — დაილოცა ოძელი და ღვინო გადაჰკრა.

— ეეჰ! — ამოიოხრა სოლომონმა.

— რა დაგემართა, ასე მწარედ რად ამოიოხრე?

— ეს ბიჭი არა მყავს კარგად. — მიუგო და არჩილზე მიუთითა.

არჩილმა ორივეს მიანათა აგზნებული თვალები.

ოძელმა მხოლოდ ახლა შეხედა ბავშვს.

— რა ზაფრანის ფერი დასდებია! — თქვა ოძელმა და სინანულით გააქ-

ნია თავი. პატარა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი, თითქოს აზრზე მოვიდა, ხმავე და თავშეკავებული სიბრაზით უთხრა, — კაცო, ის არ გეყოფოდა შენა და შენი უფროსი ვაჟი რომ იხრჩობით თამბაქოს მტვერში, მთელი ოჯახი რაღად ჩააგდე ამ დღეში?!

— თამბაქო კი არა, გაცივდა ბიჭი!..

— შეიძლება გაცივდა კიდეც, მაგრამ თამბაქო ძალიან მაწყინარია, მეტადრე ბავშვებისათვის. მოიცა, მოიცა, რაღაც გამახსენდა. შენ შარშან გაიძახოდი ხაზინმა ცილი დამწამაო. გირვანქა-ნახევარი თამბაქოს ქურდობა დამაბრალოო. მართალი უთქვამს იმ სევასა, იმასა. ის თამბაქო შენმა ცოლშვილმა ჩაისუნთქა! სოლომონი გაშტერებული შესცქეროდა ოძელს, ეს რას ამბობსო. ჩაფიქრდა და ენიშნა. „ეგება სწევდა კიდეც პაპიროსს?“ — გაივლო გულში.

— ეეჰ, სოლომონ, კარგად ვერ მოიქეცი. ბიჭი მთელი წელიწადი სახლში ჩაკეტე. მთაწმინდის სუფთა ჰაერი მოაკელი. აბა, მაშ რა დაემართებოდა?..

ბაბაღე გამწარებული შესცქეროდა შვილებს. „მამადავითის მადლო, შენ მიშველეო, არჩილი მომირჩინეო!“ — ნატრობდა გულში.

— როგორ იყო, როგორ?.. — განაგრძო ოძელმა, — სოლოლაკელი სოვდაგარი ფაიტონით რომ მოვიდა. ოქროს თუმანიანი რომ მოგიგდო. გიყიდა და წავიდა. მთელი შენი ოჯახი სამ მისხალ ოქროდ ჩაიგდო ხელში! — თქვა და თვითონვე დაისხა ღვინო. ერთხანს ჩაფიქრებული დასცქეროდა სახეე ჭიქას. — იცი, ვინ მინდა ვაღლეგრძელო?.. ისეთი კაცი მინდა ვაღლეგრძელო, ვინც ქვეყნისათვის იწვის. შენთვის, შენთვის, ჩემთვის, პეტრესთვის, პავლესთვის... ერთი სიტყვით ხალხისათვის გული შესტივია და იწვის. ხომ გაგიგონია არსენა ოძელაშვილი. აი, ღმერთმანი, იმისთანა კაცი ბევრი უნდა იბადებოდეს, რომ ბოზარჯიანცისთანა სეავებს შავი დღე დააყენოს. არსენა ოძელაშვილი პაპაჩემი იყო, ვენაცვალე მარჯვენაში. შენ ხომ არა გგონია, მართლა ყაჩაღი იყო. არა, ყაჩაღი არა ყოფილა. კაცი იყო, კაცი! მდიდარს ართმევდა, ღარიბს აძლევდა. აი, ვინ იყო არსენა!.. მოდი, ეს იმას გაუმარჯოს, თუ სადმე დედამიწაზე ისეთი კაცი დადიოდეს, რომ საწყალ კაცზე ფიქრობდეს. არაფრისა არ ეშინოდეს და ადამიანის შვილისთვის თავს არ ზოგავდეს!..

— შენ მაგას ვიზე ამბობ?.. — იკითხა სოლომონმა.

— რა ვიცი ვიზე. თუ დედამიწაზე ასეთი კაცი დადის-მეთქი, ვინც არ უნდა იყოს, სიცოცხლის დღენი გაუმრავლოს!..

— როგორ არ იქნება, უეჭველია იქნება! — მიუგო სოლომონმა და ჭიქა ჭიქას მიუჯახუნა. — იცი, ჭიქებს რომ უჯახუნებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ კაცმა კაცი ვაიგო, მეც ვაიგე!..

გადაჰკრეს. უღვაშებზე ხელის გადასმით ნაღვინარი ტუჩები მოიწმინდეს და თითო ლუკმა ხაშლამის ხორცი დააყოლეს.

ოძელი წამოდგა და წავიდა, თვითონაც ცოლშვილით ამოვიდა, მასაც სუფრა ჰქონდა გასაშლელი. ცოლმარამ ისე მწუხარედ გააყოლა თვალი, თითქოს უკანასკნელი იმედი ხელიდან ეცლებოდათო. პურის ჭამის გული აღარ ჰქონდათ. არჩილსაც ისეთი ზველება აუტყდა, რომ ვერც წვნიანით, ვერც წყაროს წყლით გული ვერ დაუოკეს. სუფრა აალაგეს და შინ წავიდნენ.

სოლომონმა ცოლშვილი სახლამდე მიაცილა, თვითონ კი ამხანაგებში წავიდა. არ სწყენია ბაბაღეს, ჯავრი გაიქარესო.



არჩილს სიცხემ აუწია. თავბრუ დაეხვია და მუხლები აუკანკალდა. რა ხანს მაგიდასთან იდგა და დაეინებით შესცქეროდა დედას, რომელიც კალათიდან სანოვაგეს იღებდა და მაგიდაზე ალაგებდა. ბაბაღე დროდადრო შეწუხებული მიაცქერდებოდა ხოლმე შვილს, რა დაემართათ.

არჩილმა ფეხზე დგომა ვეღარ შესძლო და ტახტთან მივიდა. წვალებით ავიდა ზედა. მუთაქასთან მიცოცდა და პირალმა დაწვა. შესცქეროდა ჭერს, სადაც პატარაპატარა ფერადი წრეები ჩნდებოდნენ, ქრებოდნენ და ხელახლა იხატებოდნენ.

ბაბაღემ ცარიელი კალათა კუთხეში მიდგა და არჩილთან მივიდა.

— დედა, მართლა გაიხსნა ცა?..

— არ ვიცი, შვილო, იქნება მომეჩვენა?.. — ოხვრით მიუგო და შუბლზე ხელი დაადო.

— „რაღა ვქნა, იწვის!..“

არჩილმა ვერ გაიგო დედის პასუხი. თვალები მიეღულა და ჩასთვლიდა. სულ მალე გამოედვინა, მაგრამ თითქოს ისევ ძილის ბურანში ყოფილიყოს, ხმას არ იღებდა. მხოლოდ ტუჩები უთრთოდა, თითქოს კითხულობდნენ: გაიხსნა ცა?

— დედა! — დაიძახა სიცხისაგან აღმოდებულმა.

ბაბაღემ მშფოთვარედ დააცქერდა.

არჩილი სდუმდა, ოღონდ დიდრონი თაფლისფერი თვალები მუდარით შესცქეროდნენ, ტუჩებიც კვლავ უთრთოდა: გაიხსნა?..

„ჩამომიზნელდა!“ გაივლო გულში ბაბაღემ და მეზობლისაგან გაეშურა, მომხედვო, ბიჭი ცუდადა მყავსო.

კარებთან რაღაც რბილს ფეხი წაჰკრა, დახედა და უცებ ყელში სისხლი მოეზვინა. ბრაზი და სინანული მოაწვა გულზე. ხელი ჩაავლო თამბაქოთი სავსე ტომარას, გარეთ გაათრია და სამზარეულოსთან მიაგდო.

— შენ მომიტანე ჭირი და უბედურება!.. — მოთქმით წარმოთქვა.

არჩილს გაუხარდა მეზობლის დანახვა. გაუღიმა და წამსვე შეეკრა თხელი, სიფრიფანა ბაგეები. გვერდზე შებრუნდა. ცალი ლოყით ჩაეკრო ბალიშს და შიინაბა. უცებ ხველება აუტყდა. გადმოფურთხება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბაბაღემ მივარდა, მუჭი შეუშვირა, ვერ მიუსწრო და ბალიშის პირს სიწითლემ გადაჰკრა.

ბაბაღეს გული აუტოკდა. შიშმა ხმა ჩაუწყვიტა. ის, რისაც ეწინოდა, იქვე, შორიახლოს, რომელიღაც კუთხეში ატუხული იდგა... ასე გრძნობდა დედის გული...

9

ზინდდებოდა. მაისის დიდი და თბილი დღე იწურებოდა. მწუხრი ეშვებოდა მთაწმინდის კალთებიდან. მამადავითობა დასასრულს უახლოვდებოდა. მხოლოდ ახლა ბრუნდებოდა ოძელი თავისი ამქრით შინ — ნასვამი და გულმოჯერებული. წინ მოუძლოდა კუბრიას დასტა.

კუბრია ისე მღეროდა, რომ ყველას ტანში ყრუანტელს ჰკვრიდა. ზუზუნებდა ტბილი დუღუკი. მედლოე მოიმღეროდა:

გამიშვი ქვეყნად ვიარო,
სამოთხის საძებნელად!

მოზეიმე ბგერები მთელ ქუჩას მოედო...

ოძელთან პატარა ბიჭმა მიიღბინა, გახსნილ და ძირს დაშვებულ სახელოზე ხელი მოჰკიდა და ხმამალა, მაგრამ მაინც ძლივს გასაგონად შესძახა:

— ძია ვანო, ძია ვანო!..

— რა გინდა, კურკა?..

— დეიდა ბაბალემ გთხოვათ დუდუკი გააჩუმეთო. ბიჭი შეწუხებული შეყავსო!..

— შეწუხებული? — ნაღვლიანად იკითხა, — ეეჰ, საწყალი!.. — თქვა და ბავშვს სინანულით თავზე ხელი გადაუსვა, — გაჩუმდიო! — იმავე წუთას შესძახა მედუდუკეებს.

უცებ მისწყდა სიმღერაც და დუდუკის გამბული ხმაც.

ოძელმა ჯიბიდან ხუთ მანეთიანი ამოიღო და მედლოეს მიაწოდა.


— ეეჰ, სად არის ქვეყნად სამოთხე?!.. — ნაღვლიანად დააყოლა, ხელი ჩაიქნია და თავშეკავებული ბარბაცით წავიდა.


დუდუკი შეწყდა, მაგრამ ყურებში მაინც კარგა ხანს ზუზუნებდა მისი გულისწამლები ხმა.

10

კარგი უბანია მთაწმინდა, კარგი და საამაყო. მთელ თბილისს გადმოსცქერის, თვითონაც თბილისის ყველა კუთხიდან მოჩანს. ხალხიც კარგი ცხოვრობდა ამ უბანში, გამრჯე და პატიოსანი. ერთმანეთის გაჭირვება და სიხარული ესმოდათ, ნათესავებივით იყვნენ...

როდესაც პატარა არჩილს ამ ქუჩაზე მიასვენებდნენ, მთელი უბანი ქვიტინებდა...





„მშვანი ხოლაბუნი“,

ბორის ჩხეიძე

ქვეან ხოდაზენი

თავი ოცდამეოთხე

ქალები დილით ადრე ელოდნენ ფერმაში სესე თალაღაშვილის მოსვლას. კარგად გათენდა, ის კი ჯერ არსად ჩანდა. ლეონილა ხშირ-ხშირად ალებდა კარს, წამდაუწუმ გარეთ იხედებოდა. თავლოც ვაცქეროდა საყდრისუბნის კოყსს.

სადილობამ მოაწია და ჯერ სესეს ალიკვალი მაინც არ ჩანდა. გზისკენ ყურებით ქალებს კისრები მოედრიათ. ბოლოს ლეონილას ეპვი შეეპარა, წუხელის კოლმეურნეობის კანტორაში მომხდარი ჩხუბი ზომ არაა სესეს მოუსვლელობას მიზეზით. აკი დილით ადრე გაიგო ლეონილამ წინა ღამით რაც მოხდა და უმაღვე გაითვალისწინა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ჩხუბს. ახალგაზრდა ქალი შეფუცხუნდა, ეს უკვე ხანში შესული კაცი ცულ რამეს არ გადაჰყარონო. ამიტომაც თავლო მარტო დატოვა ფერმაში და თვითონ სოფლისაკენ გასწია. კანტორაში ბუღალტერი დაუხვდა, მაგრამ ბუღალტერმა კრინტი არ დასძრა წუხანდელ ამბავზე. სხვა კი არავინ ჩანდა. ბუღალტერი მშვიდად უტკაცუნებდა საანგარიშოს. მხოლოდ ხანდახან გადახედავდა კომბოსტოს ნაფლეტების გროვას.

ჩვეულებრივ პირქუში, წარბშეკრული ბუღალტერი ამ დილით უჩვეულოდ გახალისებული ჩანდა.

— ლეონილა, რად არ დაჯდები? — შეეკითხა ბოლოს ბუღალტერი.

— გამადლობთ, ბიძია, — გასცა ხმა ქალმა. იქვე ტაბურეტი მიიწია, ჩამოჯდა.

— ფერმაში რა ამბავია? — შეეკითხა ბუღალტერი.

— მშვიდობა.

— ბატები გაგიბუტავენ და ახლა მამლაყინწებს შესდგომიხართ. გოგო, რა ეშმაკმა მოგაგონა ეგა?

— აღარ გახსოვს დამამზადებელმა რა გვიქნა?

— ხა... ხა... ხა... — ახლა ყვერულებს გაატან დედლების მაგიერ?

— აგრე ვიქმ.

— მერე და რომ დაგეხოცოს მამლაყინწები?

— ჯერ ერთსაც არ გაუცხია სული!

— მე ძალიან მახარებს შენი გამოგონება! — უთხრა ბულალტერმა, — დაქირავებული კაცისათვის ანგარიშის გასწორებაშიც დაგეხმარები.

— მე ჩემი შრომადღებებიდან უნდა გადაუხადო! — მოჩქარებით თქვა ლეონილამ.

— ეგეც შეიძლება, — დაეთანხმა ბულალტერი. — დიახ, ჩვენი თავმჯდომარის ხელში ჩავარდნილთ... — აქ სიტყვა გასწყვიტა.

— ძია, მეც გამაგებინეთ, წუხელის აქ რა მოხდა, — შეეხვეწა ბოლოს ლეონილა.

— შენ რაღა დაგიფიცო და რაც მოხდა, ახია ყველა ჩვენთავანზე. უარესი გვეკუთვნის. — ბულალტერმა ხმას დაუწია და მოუყვა ყველაფერი, რაც წუხელის კანტორაში მოხდა.

— მერე... აღარც მე დამზოგა, შემომიკურთხა, — განაგრძობდა ბულალტერი — რას მერჩოლა? სხვებთან რად გამათანაბრა? არ გამეგება, მე ვის რა დავუშავე? ამოდენა კოლმეურნეობის სააღრიცხვო საქმე მარტო ჩემს კასერზე გადადის. ერთი კაცი ვარ ჩავარდნილი ათასნაირი საბუთების მორევეში. ნერვები დამაწყდა მათი კირკიტით... იმან კი მიმალანძლა და როგორ, შენცაო, შენცაო! მე რა, შე აყვია-მეთქი, ვუთხარი და მეტი რა შემეძლო! ბრძოლასა და დავს მე მს ვერ დავუწყებდი. ავდექ და გაეჩუმდი.

— ძალიან მოგდის გული? — შეეკითხა ლეონილა.

— ჩემდათვად, რაც მე შეურაცხყოფა მომაყენა, მიპატიებია. სხვის მაგიერ კი ვერას ერტკვი და ვერას ვიღონებ. ეს მწვაგს, მდაგავს. ეგ ოჯახქორი გასამეტებელი ვიქმე არაა.

— ოღონდაც შენ მოეშვი, ცუდად ნუ უმოწმებ. სხვას თავი მოეველება, — შეეხვეწა ქალი. — ავი იცი, ბავშვივით ალალი გულისაა; სათქმელი ენაზე არ დაადგება. მაშინვე პირში მიახლის სიტყვას, ვინც არ უნდა იყოს.

— რას მოვეშვა, რასაც არ ჩაეკიდებია! — ცოტა ნაწყენი კილოთო თქვა ბულალტერმა. — მე რა? სწორი და სუფთა ვარ, როგორც მასთან ისე ყველასთან. თუ ვისმე საანგარიშო წიგნაკზე სარგები დაეკლო რამე, მაშინ მაგინოს.

— საანგარიშო წიგნაკი კარგად აქვს? — იკითხა ქალმა.

— ბროლივით! — იყო პასუხი.

— მაინც ვწუხვარ!

— მეც ვწუხვარ! — დაუმოწმა ბულალტერმა.

— რა კარგი იქნებოდა, რომ აჩქარება და გადარევა არ იცოდეს. — ინატრა ლეონილამ.

— ერთთავად კარგია, ვგრე გადარევა რომ იცის. მაგით გულის ჯავრს ამომაყრვევინებს.

— შენ ხომ არაფერი მოგედება... ვინიცობაა საქმე შედგეს?

— მე? არაფერი! — თქვა ბულალტერმა — ჩემი საქმე წესრიგში მაქვს. მე, მე... ჭუჭყი არსაიდან მომედება. ოღონდ სესეს რა ვუშველო, არ ვიცი, ვერ მივმხვდარვარ ჯერ.

— აბა სხვა არას ვჩივი, — კმაყოფილად ჩაილაპარაკა ლეონილამ.

წამოდგა, დარბაზში გაიარა-გამოიარა. დიდი ხანია იცნობდა ბულალტერს, რომელიც მეტად თავაზიანად ექცეოდა ლეონილას. სამაგიეროდ არც ლეონილა აკლებდა მოკრძალებას.

ამ მეგობრობას უფროსისა უმცროსთან სხვა ფესვები ჰქონდა. ოჯახურად იცნობდნენ ერთმანეთს. ბულალტერის ერთ-ერთმა ქალმა და ლეონილამ

ერთად დაამთავრეს ხაზრეთის დაწყებითი სკოლა. ამას გარდა კიდევ სხვა-სხვა რა მეტი მიზეზი აფიქრებინებდა ლეონილას, რომ ბულალტერი სანდო პირი იყო. აი ეს მიზეზიც: ბასა სამარლანიშვილს ერთი ჩვეულება ჰქონდა დიდი ხანია, — დასწერს პატარა წერილს, გაუგზავნის პატიას ხელით შეფრინველს — ორი ინლაური ან ოთხი დედალი ახლავე გამომიგზავნე, პასუხს მე ვაგებო. ამნაირი წერილებით თვეში ხანდახან ორმოცი ფრთა დიდი და პატარა ფრინველი გადიოდა ფერნიდან. ეს გასავალი არც ნაზღაურდებოდა, არც აღირაცხებოდა. თავის თავზე ბასა გამოუძახებს ლეონილას და ეტყვის: აბა, მალე მოდი და ჩემი ხელწერილები თან მოიტანე, გავსწორდეთო. ლეონილა მიდის და მიაქვს ხელწერილები. თავმჯდომარე გამოართმევს ქალაღებს, ხელში დიდხანს აწვალებს, ხან აქედან გახედავს ხელთნაწერს, ხან იქიდან. ამდენი ფრინველი რამ შემეპამაო და გახურებულ ღუმელში შეყრის ხელწერილებს.

— ვის დააწერო წაყვანილი ფრინველი? — შეეკითხა ერთხელ ლეონილა და ცრემლები გადმოყარა.

— ვის დააწეროს წაყვანილი ფრინველი! — გადაუბრუნა სიტყვა თავმჯდომარემ.

— ვის მაინც? — არ მოეშვა ლეონილა.

— ჭორს, მელას, თხიპას. შენი საქმე ხმაამოუღებლად ჩემი მორჩილება, — გულმოსულად უთხრა თავმჯდომარემ.

— განაგარიშების დროს რაღა ვქნა?

— ავრე თქვი და მკითხე, შე კარგო ქალო, — გაეხარდა სამარლანიშვილს, — ანგარიში ავი მე უნდა ჩამაბარო.

— დიახ, თქვენ!

— აი, ხედავ! თურმე ჩემზე ყოფილა დამოკიდებული დავადასტურო ის, რასაც მეტყვი და მეც სუფთად გამოგიყვან. მამ წადი, სადარდებელი არა გაქვს რა.

— როგორ თუ არა მაქვს სადარდებელი, — თქვა თავისთვის ლეონილამ და გაბრუნდა ფერმისაკენ. ამ საუბარს კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ნაყოფი მოჰყვა. იმდენი ფრინველი აღარ მიჰყავდა თავმჯდომარეს, რამდენიც წინათ. ხელწერილებს კი ძველებურად ჯერ გზავნიდა, მერე ართმევდა შეფრინველს და წვავდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ასეთმა შელაპარაკებამ ახალგაზრდა შეფრინველე ქალი ძალზე შეაფიქრია. ოდნავ კი არა, მაგრამაღაც შეაშინა მაგრამ შიშს ვიღა ჩიოდა, სირცხვილმა დასწვა. საზოგადო დაწესებულებიდან ფრინველის ასე გაყვანა ახალგაზრდა ქალს კოლმეურნეთა ქონების განიავებად მიაჩნდა. ფერმიდან წასვლა გადაწყვიტა. გოგოები კიდევაც ეპატიეებოდნენ, ზოგი ჭარხლის სამუშაოზე, ზოგი ბაღსა და ბოსტანში. მაგრამ სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა, ბულალტერი ინახულა. ლეონილა მას ყველაფერს მოუყვა და თავის გულის ნადებიც გაუმხილა. ალაღად გაუტყდა ბულალტერს: სხვა არა იყოს რა. ფერმიდან წასვლით თავს მაინც გადავირჩენ პასუხისმგებლობისაგან და აღარც სირცხვილი დამწევსო.

— არა, ავრე არ ვარგა! — გადააქნია თავი ბულალტერმა და ურჩია, სამუშაო არ დაეტოვებინა.

— როგორ, ამნაირ პირობებში?

— ვცადოთ, როგორმე იქნება უკეთესად ვიმუშაოთ, — უთხრა ბულოალტერმა და თავი გადააქნია. ეს ის სიტყვა არ იყო, რასაც მისგან ახალგაზრდა გოგონა მოელოდა.

ლეონილა რჩევა-დარიგებით მეტად კმაყოფილი დაბრუნდა ფერმაში. განაგრძობდა მუშაობას თავგამეტებით. ხელწერილებმა კი უხშირეს და უხშირეს. ლეონილას შიშიც თანდათან იზრდებოდა. მაგრამ, აი, ერთხელ. როცა კანტორაში არავინ იყო, ბულალტერმა დაუძახა:

— სალამი, ლენა — ახალგაზრდა ქალს ხელი გაუწოდა ბულალტერმა. ლეონილამ ჩამოართვა და გაჩერდა. ელოდა რას ეტყოდნენ.

— ხელწერილის დედნებს ნუ დაუბრუნებ ბასას. შეინახე და თუ არ მოგეშვა, მაშინ ერთად ვიღონოთ რამე.

ბევრი ამისთანა რჩევა-დარიგება ახსოვდა ლეონილას ბულალტრისაგან. დღესაც დარწმუნდა, რომ ბულალტერი არც სესეს გაიმეტებდა და ოდნავ დამშვიდდა. აქამდე ბევრი ხაზრეთელივით სესეს ბედი ლეონილას უკუღმა წასული ეგონა. ფერმაში მაინც დარდით გულდამძიმებული და კრიჭაშეკრული დაბრუნდა. დაბრუნდა და მელანო ტიკივით გაბერილი და მაჩვივით გამწყვარი დაუხვდა.

— სად დაიკარგე, ქალო! — მიაყვირა შემოსვლის უმაღ.

— ზევით ვიყავი, კანტორაში!

— კაცი რა მექნა? სად დაიკარგა, ვინ გამომაცალა ისეთი ხელმარჯვე მომხმარე? მარტო როგორღა ვიმუშაო?

— სესეს დაავიანდება, — უთხრა ლეონილამ.

— მაშ მე გავცდე?

— არა, რაღა იქნება ახლა მაინც შევძლო მოხმარება? — შეეხვეწა ლეონილა.

— ისევე გული წაგივიდეს, მოსაბრუნებლად გამიხდე? არა, გეთაყვა, მაგ ჰკუთხე არ გახლავარ. ისიც იკითხე, ვის გაუგონია, ახალგაზრდა ქალი გულცივად ფატრავდეს ცოცხალ სხეულს და სისხლს შესცქეროდეს? ახლა მიგზვდი ამასა და არც მე მოგცემ ნებას შენთვის შეუფერებელ სამუშაოში ზელი გაგარევიანო. გასწი, გამეცალე აქედან. იქნება დეიდაშენი მომიყვანო მომხმარეთ. მერე რა? არა უშავს. ახალგაზრდაა? რაღა ახალგაზრდაა, თუ გათხოვილია და ორი შვილი ჰყავს. სესეს კი ნულარ მოვეუცდით. მაგ ჩხუბისთავ მამაკაცების გადამკიდე ქალს ჯერ ქვეყანაზე ბედი და ბედნიერება არ ღირსებია. მაგრამ თუ ღმერთი გწამს, ვერ გაიგე მაინც, სად არის?

— გაქცეულა, გაქცეულა, როგორც მითხრეს, — ჩაუჩურჩულა ლეონილამ თავლოს.

— მაშ საქმე ცუდად ყოფილა. ფრთხილად უნდა ვიყოთ, კაცს მართლა კი არა გადაჰკიდონ რა. იმ ურაზა ქელესსაშვილის მეშინია ძალიან. ბოროტი კაცია. თუ ვინმე ჩაიგდო ხელში, შექაშს მგელივითა. ავი მოგიყევი, რა წნეობისაც არის. კა... კი... კი...

— არ ვიცი, ვერას გეტყვი? — იყო პასუხი.

— აბა მით უმეტეს გასწი, სხვა მომხმარე მომიყვანე. — შეეხვეწა თავლო, — ახლოს ვიქნები, ამბავს მაინც გავიგებ ხოლმე, როგორ იქნება კაცი.

თავლომ ამოიხვნეშა, გული ამოაყოლა. სესეს მდგომარეობამ ძალიან შეამფოთა და დააღონა.

— როცა იქნება, ეს საქმე მეც უნდა გავაკეთო და ბარემაც ახლა ვცდი, ვისწავლი და დავეუფლები, — შეეხვეწა ლეონილა.

— როცა იქნება, სხვაა. ჯერ შვილო, გათხოვიდი, პატრონს ჩაბარდი. გასძელი უღელში კისერგაყრილმა ათიოდე წელიწადს, ოჯახის რჩენამ გარხიოს კარაქად გამოსახდელი მაწონივითა. მერე, ჰო და ჰოო! გინდა მეტიც ჰქენი!

თავლოს გამოდევნა აღარ შეიძლებოდა, არ დაუშვა ახალგაზრდის, გულწრფელი მომხმარებელი. ისევ სოფელში გაგზავნა სხვა მომხმარებელს მოსაყვანად. თითონ კი ტანსაცმელი გამოიცვალა და კოლმეურთაობის კასტორისავე გასწია. შორიდან "მენიშა ურაზა ქელესსაშვილის წითელყალამიანი ქუდი და ბასა სამარლანიშვილის კრაველის საყელო. თავმჯდომარეები ცხენებით, შევიდნენ კოლმეურთაობის ეზოში.

თავი ოცდამეხუთე

ურაზა ქელესსაშვილმა შეატყო: ბასა ადვილად ვერ აღგებოდა სუფრიდან. საძირკვლის დალოცვის დღე ჰქონდა კოლმეურთაობის თავმჯდომარეს და აბა უპურმარილობას როგორ გამოიჩინდა. სახლის მშენებელი მუშები მხიარულად ატარებდნენ დროს. ალბათ გვიანობამდე არც ისინი აიშლებოდნენ. საბჭოს თავმჯდომარემ თადარიგი გამოიჩინა. კაცი გაგზავნა ფასოზასთან. შეუთვალა: თალაშვილების უბანში ასულიყო, შინ დილით ადრე გამოეკირა სესე და კოლმეურთაობის კანტორაში დაეხვედრებია. ასეთი განკარგულების შემდეგ გულმშვიდად მიუჯდა სუფრას. დამე სიმღერებით გაათენეს. როცა ორივენი კოლმეურთაობის კანტორაში მივიდნენ და სესე იქ არ დახვდათ — ძალიან ეუცხოვათ. თავმჯდომარეები ნასვამები იყვნენ. ფეხზე ხეირიანად ვერ დგებოდნენ. უძილობისაგან დასიებული და ამღვრეული თვალები ეხუტებოდათ. მოურიდებლად ამთქნარებდნენ, უშნოდ იზმორებოდნენ. კანტორის ეზოში და ოთახებში ხალხი ბლომად იყო. ზოგი ბულდოგებში ტრიალებდა, ზოგიც გარეთ, პატრის დანთებულ კოცონთან ისხდნენ ქვევზე. კოლმეურთაობის წუხანდელ ამბავზე არაფერს ამბობდნენ. თითქოს არც არაფერი მომხდარაო, სესეს არც ახსენებდნენ. მხოლოდ ქვეშევზე მიჩერებოდნენ ურაზა ქელესსაშვილს. ისხდნენ, შეუბრობდნენ ამ მთის, იმ ბარის ამბებზე. გულში კი... უცდიდნენ, აცა, ვნახოთ, შემდეგ რა მოხდებაო. ურაზა კი ხან გარეთ გამოვარდებოდა, ხან ბულდოგებს ვუთვარდებოდა, აქ დაიყვირებდა, იქ შეაგინებდა ვისნე. რაღაც ქალღღებები გულის ჯიბიდან შარვლის ჯიბეში გადაქონდა. ამით თითქოს ემუქრებოდა სოფლებს: მოიცათ, აქა მაქვს თქვენი ყველა მამხილებელი საბუთიო. ხაზრეთელები კი არ ფრთხილებდნენ. დინჯად იყვნენ, გამოწვევას არაფრით არ უპასუხებდნენ.

კოლმეურთაობებს არ უყვარდათ მათი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, ერიდებოდნენ, თუ ძალიან აუცილებელი საქმე არ ჰქონდათ, გზადაც არ შეეყრებოდნენ. პურმარილი და მრავალკამიერის ჩამღერება მასთან არ სიამოვნებდათ. სოფელში დიდიან-პატარიანად კაენს ეძახდნენ. თითქმის არავინ იცოდა ამ სახელის მნიშვნელობა. გრძობდნენ მხოლოდ, რომ იგი კარგს არას ნიშნავდა, რადგან დიდიან საბჭოში არჩევს იგი ელენე ოჯონაშვილმა შეარქვა ურაზა ქელესსაშვილს. ელენე პენსიონერი მასწავლებელი იყო. სოფელში, ქალების ძველ თაობაში, დიდად განათლებულ და ჭკვიან პირად ითვლებოდა. ამ ზედმეტი სახელის „კაენის“ მნიშვნელობა ურაზა ქელესსაშვილს არც გაეგებოდა. გული მისდიოდა მხოლოდ, რად მეძახიანო. ისღა მოახერხა, რომ იგივე ზედმეტი სახელი სოფელში თვითონ შეარქვა რამდენიმე კაცს, რომლებიც ამ სახელს სრულიად არ იმსახურებდნენ.

ურაზა ქელესსაშვილი ხაზრეთის ერთ ყვილაზე მოშორებულ უბანში სახლობდა მამისეულ სამოსალოზე. სულ სამი მძანი იყვნენ. უმცროსი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა. უკვე ოცდაათ წელს გადა-

ცილებული უკანასკნელ კურსს ამთავრებდა. ურაზა მას შინ მოელოდა დიპლო-
მით ხელში. სტუდენტს ხაზრეთელები კარგად იცნობდნენ ერთი გარემოების
გამო: ტანთ ყველაზე უკეთ იცვამდა მთელ სოფელში. როცა კი ხაზრეთში
გამოჩნდებოდა, დღეში ორ კოსტუმს იცვლიდა. ეს დიდი ცოდო არ იყო.
ცოდო-ბრალად ის მიაჩნდათ კოლმეურნეებს, რომ უმცროს ქელესსაშვილს
გლახა აჯილის მანკი გამოაჩნდა; ქალებს არ ინდობდა, ახლობელი იყო,
მეზობელი, თუ შორებელი — გამოჩნდებოდა თუ არა სოფელში, კოლმეურ-
ნისას იქნებოდა ის თუ რკინიგზელის ოჯახში, თვალადი, ტანადი და ზრდი-
ლი ქალი, მამინვე შეუთვლიდა: გინდა თუ არა ცოლად წამომყევით. მაგრამ
მიზანს ვერც ერთხელ ვერ ეწვია. ქალებს ის ერთხელვე აეთვალისწუნებინათ
როგორც უხვირო საქმრო. თითქოს პირი შეუკრავთო, არავინ მიჰყვებოდა. ის
კი განაგრძობდა ყოველ ახლად გამოჩენილ ქალისათვის მამულის გაგზავნას.
გასათხოვარი ქალები ბრაზობდნენ და ამბობდნენ: ამას რა ჭირს გადავეყარეთ.
ამისთანა ვაჟკაცი არ გავვიგონია, დაწუნება არ ეთაკილებოდეს, მაგას არ
წავყვებით და გაუთხოვარი კი დავრჩებითო.

უმცროს ქელესსაშვილს დაუყოვნებლივ მისდიოდა გასათხოვარი ქალე-
ბის ნალაპარაკები.

— პურს ვაჭმევ, შევინახავ, ჩავაცმევ. მეტი აბა ჩემგან რა უნდათ! —
იტყოდა ხოლმე გაჯავრებით. ასეთი პასუხისათვის ქალებმა კიდევ უფრო
აიბუეს სტუდენტი.

— ძალს შენი გადაგებული ლუკმა, ქელესსაშვილო! — გააგონა ერთ-
მა გაბედულმა სახალხოდ. ურაზა ცდილობდა ქალებისაგან ასე შერისხული
უმცროსი ძმა ხალხში გამოეყვანა, მეზობლებთან და მთელ სოფელთან საქმიან
ურთიერთობაში ჩაება. ხან დაპყრიდა ხმას — ჩემ ხასწავლ ძმას მანქანატრაქ-
ტორების სადგურის აგრონომად ნიშნავენო. ხანაც რაიკომის მესამე მდივნობას
უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ გადიოდა დრო და არსად არ ნიშნავდნენ.

ქელესსაშვილების აძულების მიზეზი მარტო საცოლო ქელესსაშვილი არ
იყო. სოფელში ყველას ახსოვდა, რაც ურაზამ მის უფროს ძმას დაატეხა თავ-
ზე. მერე და როგორ ძმას! სწორედ ის მოსწონდათ ხაზრეთელებს მეზობლად:
სწორედ ის ძმა იყო განთქმული მთელს ხაზრეთში შრომის დიდი სიყვარ-
ულით. უფროს ქელესსაშვილს სახელად ყაფლიანი ერქვა კოლმეურნეები კი,
დიდი და პატარა, ყაფლიას ეძახდნენ. ყაფლია მამისშვილებს შორის ყველაზე
უფროსი იყო. ჯერ უწლოვანი იყო, როცა კოლმეურნეობაში შევიდა. მან
უყოყმანოდ დაურია საკოლმეურნეო საქონელში მამის დატოვებული ცალი
გახდნილი კამეჩი, ერთი ფური და ზაჭი. მეტიც არა ჰყავდა რა მთელ
ოჯახს.

კოლმეურნეობაში შესვლის წუთიდან დღედაღამე განუწყვეტლად მუშაობ-
და ყაფლია მინდორსა და ბაობში.

გარდაცლილი დედ-მამის მსგავსად მთელ ოჯახს ინახავდა, არჩენდა თავის
უმცროს მამისშვილებს. არაფერს აკლებდა შინაურებს; გაამზითვა და გაათხოვა
დები. ურაზა კი სკოლაში დაუდიოდა.

— ბიჭო, ყაფლია, შენ მანდ ფრთხილად იყავი, შენთვის ეცადე რასმე! —
ეტყობდნენ მეზობლები.

— უმცროსებს ფეხზე დავაყენებ. მერე ჩემი თავის შენახვა აღარ გამი-
ჭირდება, — ეუბნებოდა ის ყველას პასუხად.

გადიოდა დრო. ყაფლიამ ოჯახი წინ წასწია. ურაზას შეეძლო თავისთავის
მოვლა. მაშინ ყაფლიამ ცოლი შეირთო, გამოეყო ოჯახს. ახლად ამენებული-

სახლი და სხვა ნამშრალი უმცროს ძმებს დაუტოვა. თვითონ იქვე ეზოში ჩადგმული პაპისეული ძელური ბოსელი გაიკეთა ბინად. რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა იქ თავისთვის ტკბილად. ძმებს მაინც ეხმარებოდა. უმცროსი რომ ისევ სკოლაში დადიოდა, ურახა ხან ერთ კურსებზე მიდიოდა, ხან მეორეზე და ოჯახის შენახვით თავს დიდად არ იწუხებდა. ამასობაში დიდი სამამულო ომი დაიწყო. ყაფლია ჯარში გაიწვიეს. სამი წელიწადი დაჰყო ფრონტზე. მეოთხე წლის დასაწყისში ნახევრად გონებაშერყეული მოიყვანა შინ გამცილებელმა მოწყალეების დამ. ძმები შინ დაუხვდნენ, ურახა ჯავშნით გადაჩენოდა ომს. უმცროსი კი ჯერ უწლოვანი იყო. ხაზრეთის ჰაერმა, ცოდის ზრუნვამ, კვებამ, მოვლამ, ომის ინვალიდი მალე გამოაბრუნა და ფეხზე დააყენა. ოღონდ სულ ვერ გამოაჯანსადა. გულყრა დასჩემდა ყაფლიას. ავადმყოფობა უეცრად წამოუვლიდა, დასკემდა მიწაზე, პირზე დუქი მოდიოდა. დიდხანს ეგდო ხოლმე ძირს მთლად გრძობა წართმეული. როცა ზეზე წამოდგებოდა და გონება დაუბრუნდებოდა, ყაფლია მწუხარებას ეძლეოდა. ხედავდა, გრძობდა, რომ შრომის ის უნარი დაჰკარგვოდა, რომლითაც ახარებდა თავის თავს, ცოლს, ხუთიოდე წვრილშვილს, მეზობლობის უღელსაც ადვილად სწევდა და კოლმეურნეობაშიც პირველ მშრომელ მარჯვენად ითვლებოდა. ძმებს ხომ სულაც ვეღარ ეხმარებოდა. ათიჯალისწუნეს ძმებმა. რატომღაც არ ეკარებოდნენ და არც თვითონ იკარებდნენ შინ. ამ დროს ურახა უკვე სოფლის დაწესებულებებში მუშაობდა. მას თავში მოუვიდა ომისგან გაუბედურებული უფროსი ძმა ქელესხაშვილების სამკვიდროდან მოეცილებია. მალე ამის საბაბიც მიეცა.

ხაზრეთის ქვეუბანში ცხოვრობდა ქოჩიაშვილების გვარის ოთხმოც წელიწადს გადაცილებული მოხუცი ქალი ეკია, რომელსაც კარგად მოწყობილი სახლკარი და საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა. ამ მოხუცის ორი სრულიად ახალგაზრდა და ახლად ცოლშერთული შვილიშვილები ომში დაიღუპნენ პირველ თვეს.

ახალგაზრდა რძლებმა ერთი მემკვიდრის გაჩენაც ვერ მოასწრეს, რამდენიმე წელიწადს დაჰყვეს დიდ დედაპილთან, უყვარდათ ქმრების დიდდაკარგადაც უღლიდნენ. ეკიას საყვედური არ ეთქმოდა, მაგრამ თვითონ ეკია არ ისვენებდა, როცა დაქვრივებულ შვილიშვილის ცოლებს უყურებდა. ერთხელ მოიხმო კიდევაც ისინი და მკაცრად უთხრა:

— მომავალი დამელუბა, ამოვიბოგე. ამოვწყდი.

სულ პატარა რძლებმა ტირილი მორთეს.

— ნუ წივით! — შეუტია ეკიამ. — მიყვარხართ. ძალიან მიყვარხართ, მაგრამ თუ ჩემი შვილიშვილები აღარ არიან და მემკვიდრე კი არ დამიტოვეთ, არც თქვენ მინდიხართ.

— არა, დედი, — შეეხვეწნენ რძლები, — თქვენთან ვიქნებით! — და თავიანთი ბედით გულწრფელად შეწუხებულები გულში ჩაეკრნენ მოხუცს.

— გაჩუმიდით! — კვლავაც შეუტია ეკიამ. — მე თქვენ ცოდოს კისერზე ვერ ვიდებ. მე არ მაჩუქეთ მემკვიდრე, სხვას მაინც ნუ მოაცილენთ.

— აბა როგორ ვქნათ, დედი? — უფრო შეწუხდნენ ქალები.

— გათხოვდით, ან მამებს დაუბრუნდით.

ახალგაზრდა ქვრივებმა ერთი-ც იუარეს და მეორეც. რამდენიმე თვის მერმე კი, თითქოს ერთმანეთს პირი მისცესო, ერთი რკინიგზის კონდუქტორს გაჰყვა, მეორე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ქვრივ მექანიკოსს.

ეკიამ მათ ქორწილები გადაუხადა, რითაც ძალიან გააკვირვა ხაზრეთელი-

ბი. თუმცა ყველანი ლაპარაკობდნენ, ასეთი ზარიანი გამოტირილიც არ ხავსო. წაივდნენ ახალგაზრდა რძლები თავიანთი გზით. ეკია მთლად მარტო დარჩა ოთხ კედელშუა შეგებში გახვეული. სახლის საბოლოოდ გამოცარიელება ეკიას თავზარი დასცა. აუტანელ დარდს მიეცა მოხუცი. ლოგინად ჩავარდა ზამთარში. კარგ ამინდში ჯოხს დაყრდნობილი ძლივს დალოღავდა მის მომავალგაწყვეტილ ეზო-გარემოში. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოხუცს ერთ დღეს გამოუჩახეს სასოფლო საბჭოში. ეკიამ ჯოხი დაიბიჯგა და ნელ-ნელა გასწია. ურახამ ის დიდი მოკრძალებით მიიღო. ფეხზე წამოუდგა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დაჩაჩანაკებულ დედაბერს. მერე სკამიც დაუდგა და დაჯდომა უშველა.

— ვის რად ვკირდები? — მკვახედ იკითხა დედაბერმა.

— ჩემ ძმას, ყაფლიას ხომ იცნობ? — შეეკითხა პირდაპირ ურახა.

— ვიცნობ. კარგი მუშა კაცია.

— დროებით ჩაისახლეთ შინ, თუ გინდათ იშვილეთ კიდევაც. სანამ ცოცხალი იქნები სარჩო-საბადებელს გაგიჩენს. შეშა, წყალი, ნავთი, მარილი არ მოგაკლდება.

ეკიამ თავი დააქნია. მარტო დარჩენილმა მოხუცმა გაიხარა, რომ მასზე ვილაცა ზრუნავდა. მარტო ის რად ღირდა, რომ ჯერ არ დავიწყებოდათ, ბოლო დროს დედაბერი ნანობდა, ნეტავი რძლებს გათხოვება რად ეურჩიეო. არ იცოდა, რა ძნელი და აუტანელი იყო მარტობა. ახლა ამიტომაც უმაღვე დათანხმდა საბჭოს თავმჯდომარის წინადადებას, თანხმობის განცხადება ჩააბარა ქელესსაშვილს. იმ საღამოსვე თავის ცოლ-შვილით ყაფლია ეკიას სახლ-კარზე გადავიდა საცხოვრებლად, როგორც ნაშვილვე. კვლავ ახმაურდა ეკიას დადუმებული ეზო. თითქმის სამი წლის განმავლობაში საქმე კარგად იყო. ტკბალად ცხოვრობდნენ. მერე აირიენ. მიზეზი ყაფლიას ავადმყოფობა შეიქნა. გულყრამ უმატა კაცს. გრძნობაზე მოსვლის შემდეგ შინაურობას დაერეოდა. სცემდა ყველას, ვისაც კი დაიხელთებდა. ერთხელ ეკიასაც სწვდა, კინაღამ სული გააფრთხოვინა. ყაფლიანის ცოლსა და შვილებს თავიანთი ავადმყოფი ჰყავდათ საპატრონო. დედაბერს ვილა ჩიოდა. მას ხმასაც აღარ სცემდნენ. გათხოვილმა რძლებმა და ახლო მეზობლებმა იჩივლეს, მაგრამ ამის გაგებაც არ სურდათ ყაფლიას შვილებს. ამას ის მოჰყვა, რომ გატეხილი პური აღარ გამოთელდა. ყაფლია ავად იყო. მოხუცმა კი ახალგაზრდები ახლოს არ გაიკარა. ქოჩიაშვილების გამოცოცხლებულ სახლკარიდან თითქმის ყოველ დღე საშინელი კივილი ისმოდა. ბოლოს ისევე ყაფლიამ ვედარ გაუძლო არევ-დარეულობას. გადასწყვიტა ისევე დაბრუნებოდა ზეუბანს. ერთხელ შეჰკრა ბარგი ურემზე დაუწყო რაც რამ ებადა. გაირეკა ხარი და მიადგა ისევე თავის ძველ, მამაპაპისეულ ნასახლარს. უმცროსი ძმის ცოლს ნასახლარი ისევე ბოსლად ექცა. ძმის ოჯახის ზეუბანში გამოჩენა იუცხოვა ურახამ. თავისი უმცროს სტუდენტ ძმასთან ერთად გაუვარდა უფროს ძმას შარახე. იფნის ჯოხით გასახრა ძმა, რძალი და ძმისშვილები. დასახლება კი არა ზეუბანში გამოჩენა აუკრძალა ყველას. მაშინ ყაფლიან ეკიასთან აღარ დაბრუნდა. საღლაც ზემოთ. მთის ძირას დაიდგა ხიხატუე პატარა, ნახევრად მიწური ქოხი. დაიწყო ცხოვრება თავისთვის სულ თავიდან.

თავი ოცდამეექვსე

მას შემდეგ, რაც ფანოზამ და პატია დარაჯმა სესეს სახლი გაჩხრიკეს და პატრონი შინ ვერ იპოვეს, ზინო, დათია და მეზობლები კოლმეურნეობის კან-



ტორისაყენ გაემართნენ. იქ უკვე საკმაოდ ბევრ ხალხს მოყყარა თავი. ბულაღტერის წუხანდელ გაფრთხილებას, სესე არ გათქვათო, ვერ ემოქმედნა. მთელ სოფელში ყველამ დაწვრილებით იცოდა, რაც მომხდარიყო კანტორაში ღამით.

— ცულად წაუვა საქმე! — წუხდნენ სესეს მეგობრებო.

— ახია მაგის თავზე, — ამბობდნენ ზოგიერთებო.

კანტორაში შესვლის უმალ, როგორც კი ზინომ სიმთვრალისაგან ამობნელებულ თვალებში ჩახედა ურახას, მაშინვე მისი ძმა ყაფლია მოავლნდა.

— აგერ პარტორგანიზაციის მდივანიც მოვიდა! — (ზინო პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე იყო) — ზინო, ქალო, როგორ მოგწონს შენი ქმრის ბიძის ოინებო? — კარზე გამოჩენილს მიძახა ბასა სამარლანიშვილმა.

— ვინ ჩემი ქმრის ბიძა! რა დააშავა! — გაიოცა ზინომ.

— დათია თურმე წუხელის აქ არ იყო! მითომ არაფერი ვითხრა?

— ჩემი შვილების სიცოცხლემ, — დაიფიცა ზინომ. — დათიას ჩემთვის დალაგებულად არაფერი უთქვამს. განთიადზე მოვიდა შინ, მესაქონლეობის ფერმაში ყოფილიყო, ხბორებო მიეღო. დაღლილი იყო და მაშინვე ჩაწვა, დაიძინა.

ბასა მიხედა ზინოს თავდაქერის მიზეზს და ახლა ბულაღტერს მიუბრუნდა.

— შენ საღდა იყავი, ჰა? შე ზარალო, შენა! ამ ხალხის თანდასწრებით მითხარი, ვინ და რა უყო ჩემს კომბოსტოებს.

— აგერა! — გაშალა ხელი და უჩვენა გაჯავრებულმა ბულაღტერმა კომბოსტოს ნაფლეთებზე, — აგერა, ნახე რაც უყვეს შენ ხუთ თავ კომბოსტოს!

— მერე შენ გულხელდაკრეფილი უცდიდი, ჰა?

— მე ყველა კოლმეურნის უკან დევნა არ შემიძლია. ნეტავი ჩემ საქმეს აუვიდე და... — ეს თქვა და წამოდგა, კუთხიდან ცოცხი აიღო. საცხებგადასმული ფოთლები შეაგროვა და შეახუხულავა.

— ეს კომბოსტო ასე! გაზეთის, ჩვენი რაიონის გაზეთის შეურაცხყოფა არაფერია?! — აბრუხუნდა ურახა. — ამას, ჩემო კარგებო, სულ სხვა სუნის უღის. მარტო გაზეთის ავდება კმარა შვიდი წლით ვირის აბანოში თავის ამოსაყოფად. იკავკავოს შვიდი ცივი ზამთარი ოთხ კედელს შორის იმ... იმ... იმ..

ურახამ ენას კბილი დააქირა.

— აგრე, აგრე, ეგ მოუხდება და უეჭველადაც მაგას ვუხამთ! — ბანს აძლევდა ქელესსაშვილს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— შენ მანდ შენთვის იყავი, — აწყვეტინებდა სიტყვას ბასას ურახა, — მე არავითარი მოხმარება არ მჭირდება. ბევრ მაგისთანას გავსწორებვიარ. მაგასაც ეგ ღლე მოელის რა იქნა, ცამ ჩაყლაბა, თუ მიწამ! არა, ქვესენელში ვერ ჩაიკრებოდა. მოვნახავთ, მივაგნებთ, საფლავიდანაც კი ამოვიღებთ. — ყვიროდა და ემუქრებოდა სესეს ურახა. ბოლთას სცემდა კანტორის ოთახში. ხან ბულაღტერს წადგებოდა თავზე და ხან გრძელ საკამებზე ჩამომსხდარ კოლმეურნეებს გაეჭიმებოდა წინ.

— ამას ყველაფერს ჩემ მამამთილზე ლაპარაკობთ? — შეეკითხა ზინო, — მერე, მითხარით, ასეთი რა ჩაიღინა მაინც! ხუთი თავი კომბოსტო დაჩიხაო? შინა გვაქვს ქალაქში წასაღები კომბოსტო. ინებეთ, სამჯერ მეტს მოგართმევთ. ისე კი ღმერთმანი, ციხეში ჩავსვამო, ვირის აბანოში გავგზავნიო, ეგეთი რა სჭირს? ოჯახი არავისთვის დაუქივევია, გამველლისათვის ჩიტიც არ აუფრენია. თქვენ კი... ისე გამოგყავთ, თითქო სახრე აულია ხელში, ძმისთვის გვერდები აუჭრელებია.

ზინოს ამ უკანასკნელ სიტყვებზე კოლმეურნეებმა ერთმანეთს გადახე-



დეს, ყურები სცქვიტეს. სკამებზე ჩურჩული შეიქნა. არც ურახას გამოეცინა ქარაგმული. წამით ენა წაერთო. მაგრამ მალე მოვიდა გონს. ზინოს სამაგიერო არა უთხრა რა, თითქოს მხილება მისი მისამართით არ იყო მიმართული. უფრო ამაყი რიხით ღრიალსა და მუქარას უმატა.

— არა, არ ავადღენ ვირის აბანოს! ეს გადაეწყვიტე და ასე გავატარებ კიდევაც ცხოვრებაში! — ზინოს შეხედა და ჩაილაპარაკა, — ეს ისე ნაღდი სასჯელია, როგორც ახლა დღეა.

— სამართალს გადაეცით! — გაისმა ხმა.

— თუნდაც მოსამართლეს გადაეცეთ, მოგებულს მაინც არ გავუშვებთ. სსსამართლოში მივალთ მეცა და ბასაცა. მაშინ ვნახოთ, ვის შეაწევენ და არ აზღვევინებენ:

— ბევრს ვერაფერს დააკლებენ! — დაიძახა ვილცამ უკანა სკამებიდან.

— რაო? მაშინ მე ურახა აღარ გყოფილვარ!

გულმოსულმა საბჭოს თავმჯდომარემ მუშტი დაჰკრა ბულალტრის მაგიდას. სქელი წიგნები ძირს გადმოცვივდა, მინა გაიბზარა. ბოლოს როგორც იქნა, დამშვიდდნენ ოდნე. ბასამ პატია დარაჯს დაუძახა რაღაც საქმეზე გასაგზავნად.

— ჯერ, ბიჭო, მოგვაყევი, როგორ იყო! — დაუბრიალა მას თვალები ურახამ.

— როგორ იყო, ბატონო და... რაიონიდან გვიან დავბრუნდი, წერილები და გაზეთები მოვიტანე, დავარიგე. ვნახოთ, ერთმა, აღარ მახსოვს ვინ იყო, გაზეთი გაშალა, ვხედავთ, ქალალზე სესე ხატია, კომბოსტოებისათვის ხელი გადაუხვევია.

— კმარა, გაჩუმდი ბიჭო, ვარეთ გაეთრიე. — დაუღრიალა მას ბასამ. — აქებენ, აღიდებენ, ის კი, ნახეთ, როგორ უხდის სამაგიეროს. ეს რა გვიქნა იმ ოჯახქორმა. — შემოიკრა ხელები თავზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. გაზეთი აიღო, გაშალა და ქელეხსაშვილს გადასცა. მან გამოართვა თავთბოლომდე ჩაათვალიერა სურათი და წერილი. რაღაცას ჩიფჩიფებდა თავისთვის. ხან მუშტს ასუსურებდა ჰაერში, ხან ჩექმიან ფეხს დააბრაგუნებდა იატაკზე, ხან ბულალტრის შეუბღვრდა, ხან ხალხს გადახედავდა გრძელ სკამებზე რომ ისხდნენ და დიდად არ წუხდნენ, რომ თავმჯდომარეებს საიდგანდაც წყალი შეეპარათ ქვიტკირის ბალავერში და კედელი ერღვეოდათ.

როცა ურახამ კიდევ ერთხელ ჩაიკითხა გაზეთი, უეცრად ზეზე წამოვარდა. თითქოს მოხსენებას აკეთებდნო, ლაპარაკს მოჰყვა:

— მაშ ასე. მე დამითმეთ ახლა სესეს თავი. მე ვასწავლი იმას ჭკუას. ჯერ კარგად გამოვიძიებ. გავიგებ, ვინ ჰყავს სოფელში კარგი მეგობარი და მესაიდუმლე. სესე მაგას მართო თავის გონებით ვერ გაბედავდა. მის ზურგს ვილაც უფრო მსხვილია ამოფარებული. აი, მე იმასაც გამოვავსკარავებ. ვინ არიან ისინი? იმ თავს უნდა მივაგნო, ვინაც სესეს ხელებით ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მუგუზალს უჩიჩხუნებს. თორემ აბა, სესე თალალაშვილი ვინ კლია? ვინ არის, რა არის? აბსოლუტური ნულია და მეტი არაფერი. მაშ, მაშა! სიცოცხლე აქვს ურახა ქელეხსაშვილს — იპოვნის მოკირკიმალეს. ამრეგ-დამრეგს საკინძეში ჩაავლიბს ხელს, ასწევს და დაგანახვებთ ყველას. არ გაუვა, არა! ვიპოვი, აღმოვაჩენ! ჩავიგდებთ ხელში! მოვუჭერთ ქანჩს, გათქვამს მის ამფსონებს და როგორ! მაგაზე უკეთესი ბიჭებისათვის ჯერ მითქმევინებია, მერე მომიგრებია კისერი! დიახ! ასე ვიქმ, როცა აღმოვაჩენ, ყველას ერთად

შევეყრი, კისერში ნიახურს ჩავათესავ და მოვთხრი კიდევაც. მაშ, მაშა! ურახამ თავისი ქადლის შესრულების გზაკვალი.

ურახა ვაიტაცა ლაპარაკმა. რაც უფრო მეტს რომედა, მით უფრო სჯეროდა თავისი სიტყვებისა. ტრაბახმა მსმენელეზებად იმოქმედა. ბევრი შეაფიქრინა და შეაშინა კიდევ. კოლმეურნეები წამოდგნენ. ნელი ნაბიჯით გარეთ გადიოდნენ. ზოგი კი ნანობდა, ნეტავი ფეხი მომტეხოდა, კანტორაში სულ არ შეესულიყავი, ურახამ სესეს მერმე თვალში მე არ ამომიღოსო. უფრო გაბედულები კი ისხდნენ. ხან ურახას შესტკეპროდნენ, ხან თავმჯდომარეს და ბუღალტერს. ურახა კი მაინც ვერ დაცხრა. ადგებოდა, დაჯდებოდა, ფეხებს აბრაგუნებდა. ცხენისებურ, დიდ, ჩოტია კბილებს აღრჳილებდა. ბასა სამარლანისშვილი ერთ ადგილზე მძიმედ იჯდა, იღიმებოდა. როცა ურახა მის გვერდით დაჯდებოდა, საბჭოს თავმჯდომარეს დაბალი ხმით აწვევებდა ყურში:

— აგრე, აგრე, ურახა! აბა მართლაც, სესე ვისი ტიკი-ტომარაა და რა შეუძლია? მას სხვა აგულიანებს, თორემ ქება კაცს, თუნდაც დაუმსახურებლად აქებდნენ, რად უნდა ეწყინოს. განა ქება გინებაა?! მაშ დაძებნე, ყველა სოროს პირი ამოაბრუნე. სწრაფად მონახე, ვინაც მირევს კოლმეურნეობაში. მომიყვანე იმათ ჰობტში ქელესსაშვილო!

— მაშ პირველად სესე ავსწიო? — შეეკითხა ურახა ბასას.

— ჰო, პირველად, მალე, ეგ მომაცილე სოფლიდან და...

— ამ სიტყვების შემდეგ ბასა ზეზე წამოდგა, პატია დარაჯი მეორე ოთახში გაიყვანა, იქი რვეულის ფურცელზე ლურჯად, ავტოკალმისტრით რაღაცა დასწერა, დარაჯს ხელში მისცა და თან დაარიგა:

— გასწი, ბიჭო! ეს ქაღალდი იმ გომბიოს, ლეონილას მიე. მომსებული ზუთი დედალი დაიჭიროს, ორმოციოდე კვერცხი კალათაში ჩაალაგოს ბზის სადებში, ყველაფერი ერთად შინ გამომიგზავნოს.

— მერე, ბატონო?

— მერე ის, შე სულელო, რომ ურახას უბურმარილოდ ვერ გავუშვებ. ტყუილად კი არ გვემსახურება. ფერმიდან საწყობს გაუარე, მეკუჭნავეს ისე, ზეპირად გადაეცი, ახალი კასრიდან ოცი ლიტრა ძველ-შავი გადმოსხას და თავისი ხელით შინ ამომიტანოს.

— მერე, ბატონო?

— მერე, შენ შინ დარჩი, დედაკაცებს დაეხმარე სასმელ-საჭმელის მომზადებაში. შეშა დაუჩიხე, ცეცხლი დაუთთე, წყალი შეუტანე. თუ პური ამოსაკრავია თონეში, ძეძვის კონები ჩაყარე და ჩაუთთე.

პატია გავიდა გარეთ. მეფრინველეობის ფერმას მიაშურა. ბასა კი ისევ კანტორაში შებრუნდა და ურახას გაელაპარაკა.

— შენ, ურახა, ამბობ, ომის დროს მელიციის უფროსად ვიყავიო, ომის შემდეგ, ბარემ ორჯერ, ერთხმად სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიესო. ახლა მეც მათქმევიჩე ჩემი და ყველამ გაიგეთ რა ცეცხლში გამივლია. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ თავბრუდახვევის წელიწადს დამაყენეს პირველად. მას შემდეგ ორჯერ გადაამირჩიეს და ორჯერვე მე ამირჩიეს. ეს უკანასკნელი წელიწადია გამოჩნდნენ მოკირკიმალები, თორემ მანამდე ცხვირით სულის მოთქმას ვერავინ მიბედავდა სოფელში. ეე... სასმელი აქეთ და საჭმელი, ჰაერი არავის აკლია, სკოლაც ავაშენე, წყაროებიც ამოვაცემენტე, სასოფლო გზებიც გავიყვან-გამოვიყვანე. ნეტავი სხვა რაღა უნდათ, არ ვიცი ღმერთმანი!

— სხვა არც უნდათ, არც ერგებათ და არც ჩვენ მიეცემთ. — მრისხანედ თქვა ურახა ქელესსაშვილმა.

ანერკო ღმინძე

ანერკო ღმინძე

კატარღა „თოლიამ“ დაზიანებული იალქნიანი ხომალდი „ტავრიდა“ უკან გამოიბა და ნავსადგურის კარისაკენ გაემართა.

კრიდა. ძლიერმა ზღვაურმა ქუდი კინალამ მოხადა „თოლიას“ ხანდაზმულ, შუატანის კაპიტანს — ყარამან კალანდაძეს. მან ქუდი გაისწორა, შავი საწვიმრის საყელო აიწვია, ნაპირისაკენ ერთხელ კიდევ გაიხედა, მზედაკრული სახის ყოველი ნაკვეთით გაუღიმა ტანაშოლტილ ეთერს.

ყარამანს ბევრი ქალისათვის უკოცნია, ზოგი თითქმის ყვარებია კიდევ, მაგრამ რასაც ახლა განიცდიდა, ეს იყო რაღაც ახალი, ვარსკვლავებამდე ამალღებული, უსაზღვრო სინაზით აღსავსე გრძნობა.

კაპიტნის უმცროსი ძმა — წვერულვაშახლადამოფეთქილი მერაბი კიჩოსთან დალაგებულ ბაგირზე იჯდა, ფიქრობდა: „ობლები დაგვზარდა, გზაზე დაგვაყენა, ოჯახს ახლა მაინც მოჰკიდოს ხელი და გაიხაროს“. ყარამანის საცოლის გარეგნობა და ხასიათი მოსწონდა, ერთი რამ გულს მაინც უღონებდა — ყარამანი ოცი წლით უფროსი იყო ქალზე. ეთერი ბოლომდე ერთგული და მოყვარული დარჩება, თუ ინანებს — ხანში შესულ კაცს რატომ გავყევი ცოლადო? ეგებ უღალატოს და სიბერე გაუმწაროს?

ძმა შეებრაღა, ცრემლიც კი მოადგა თვაღზე.

ბათუმის ნავსადგურიდან ღია ზღვაში გავიდნენ, ეთერი თვალს მიეფარა. პორიზონტთან, ზღვისა და ცის შორის გავლებული ზურმუტისფერი გრძელი არშია შორეულ ნაძენარს გავდა. მღელვარე ზღვაზე ჩნდებოდა და ქრებოდა მოკლე თოვლისფერი ზოღები. რამდენიმე ზოღი ზოგჯერ ერთმანეთს გადაებმოდა და იკლაკნებოდა.

კატარღის მახლობღად ხანდახან ზვირთი ქაფს ხუჭუჭ მოგრძო ფაფრად მოიგდებდა, მცირე მანძიღს გაივღიდა. ქაფს მოიშორებდა და ლურჯი, გამჰკვირვალე მიედინებოდა ნაპირისაკენ. ქაფი კი ფართოვდებოდა, მრგვალდებოდა.

მერაბთან მზარეუღის შეგირღმა — მოკღეშარღლიანმა ბიჭმა მიიღბინა, კრძალღით მოახსენა:

— ვახშამი მოგიტანეთ.

მერაბმა ბიჭუნას ფაფუკ, მწიფე მოცვისფერ თმაში ხელი აღერსიანად ჩაავღო.

— გული ხომ არ გერევა?

— არა.

— კარგია, ზღვა რომ არ გწყენს.

მერაბი წამოიშარტა, მხრები გაშალა, კაიუტაში შევიდა, იფანქრა. ზვირთებისა და პირქარის ხმაური თანდათან უფრო მკაფიოდ აღწევდა მის ყურამდე.

„ამინდი გაფუჭდა, არ უნდა წამოვსულიყავით, ნეტავ როდის მოვშორდები ამ ოხერ ზღვას“. — გაიფიქრა, კაიუტა დასტოვა, ყარამანს ჰკითხა:

— ბავირები ხომ არ დავაგარძელოთ?

— ღელვამ თუ იმატა, ჩვენსა და ტავრიდას შორის მეტი მანძილია საჭირო. დარჩეს ისე, როგორც არის, დილით შემცვალე.

სამი საბუქსირო ბავირი ხან ლარევით იჭიმებოდა, ხან წყალში იძირებოდა.

ღამე უფრო ძალუმად დაბერა ქარმა. „თოლიას“ ცხვირი ხან წყალში იფლობოდა, ხან კი ისე მალდა იწეოდა, მერაბი საწოლს ეჭიდებოდა — არ გადმოვარდებოდა. კატარღა ტალღაზე გადადიოდა და წინ მიიწევდა. ტალღები ხანგამომწვებით ზედიზედ შემოუტყვედნენ „თოლიას“, მაშინ იგი ცახცახს იწყებდა, კენესოდა, აჭრიალებული კედლის ფიცრებიდან მტვერი და საგოზავი ზედ აცივოდა მერაბს. კედელზე ჩამოკიდებული ჩონგური ქანაობდა, კედელს ეხეთქებოდა, უცნაურ ხმებს გამოსცემდა — თითქოს მოსთქვამსო.

ზვირთი გეზს უცვლიდა კატარღას. ახალგაზრდა, თმაბურღული, დამკლავებული მესაჭე შტურვალს ებრძოდა.

ყარამანი „ტავრიდისაკენ“ ხშირად იყურებოდა. მის ფოკანძაზე წითელი ფარანი ბეჟუტავდა. ფარანი ხან ზევით მიცურავდა, ხან ქვევით ვარდებოდა, ხანც წყლის მტვერში უჩინარდებოდა.

ვეება ზვირთები კატარღის ქიმებს ზათქით ასკვებოდნენ, გემბანზე უხუთლით გადმოდიოდნენ და ისევ ზღვას უერთდებოდნენ.

ფოთის შუქურას ამოდ ექებდა ყარამანი...



დილით მერაბმა ძმა შეცვალა.

პირღრუბლიანი ყარამანი კიბეს ფეხათრევით ჩაჰყვა, თვალი კვლავ შეავლო კლდოვან ნაპირს, მერე თავი მოწყვეტით მიატრიალა შავგვრემან, ზორბა ძმისაკენ, არაფერი უთქვამს.

ქარიშხალმა კატარღა და ხომალდი გაიტაცა, კლდეებით დასერილ ანატოლიის ნაპირისაკენ ეზიდებოდა...

მერაბმა ფოთის ნავსადგური რომ ვერ იხილა, გოცდა. როცა ტანთ იცვამდა, დარწმუნებული იყო — ფოთის ნავსადგურთან იმყოფებოდნენ, შტორმის გამო შიგ ვერ შედიოდნენ. იცოდა: ასეთ ამინდში გემებსაც კი უჭირდათ ფოთის ნავსადგურში შესვლა.

წარბეშეყრილი მერაბი ტაძრის დარ მთას ათვალიერებდა, ფიქრობდა, — სადა ვართო. ეს მთა სადღაც უნახავს, მაგრამ სად, როდის? და უცებ გაახსენდა: ლაზეთია, ის ნაპირია, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიმსხვრა და ჩაიძირა ხომალდი „ავთანდილი“ მთელი თავისი ეკიპაჟით. ხომალდზე კაპიტნის თანაშემწედ მერაბის სიყრმის მეგობარი — სახემზიანი, ზღვისფერთვალედიანი, ყოველთვის სუფთად, გემოვნებით ჩაცმული ილია ბოლქვაძე მუშაობდა.

„ნუთუ მეც აქ უნდა მომედოს ბოლო? როგორ უღმობლად, შეუპოვრად მოიწევენ ჩვენსკენ მთები! ახლა თუ გადავურჩი სიკვდილს, სამუდამოდ დავემშვიდობები ზღვას, ჩემი უკანასკნელი რეისია!..“

მერაბმა ანაზღად თვალი მოჰკრა კიჩოსთან მდგომ, ფერმიხდილ, უაზროდ

მლიმარ ბიქს. კულულებად დაყრილი მოცვისფერი თმა ქარს ცალ მხარეზე მოექცია. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბიქს დასკუივლა — ნუ დგახარ გემბანზე, ქვევით ჩადიო. ბიქმა ვერ გაიგონა, ქიმს ჩაჰიდებული, თავაწეული ვილაცას უღიმოდა, ხანდახან თვალებს ნაბავდა და პირს აღებდა.

„შეიშალა“ — გაუელვა მერაბს ფიქრმა.

ზვირთი ქიმს კვლავ გადმოველო, ბიჭი დაატრიალა, ზღვაში გადაათრია და დაჰფარა. მერაბმა წყლიდან ამოწვდენილი მისი პატარა თითები წუთით დალანდა, დაიგმინა, წყალში გადასახტომად გაიწია, ამ ღროს მესაქემ შეაჩერა.

— რას სჩადიხართ?

მერაბი უმალ გამოფხიზლდა, ცივმა ოფლმა დაასხა, ყრქოლამ აიტანა, მესაქეს როგორც მხსნელს შეხედა, ხმის კანკალით წარმოსთქვა:

— ჰო, მართლაც, მართლაც ეს რა სულელური ნაბიჯი უნდა გადაემდგა, ამ გამაგებულ ზღვას ბიქს ვერ წავართმევ, მე კი... უთუოდ... უთუოდ დავიხრჩეები...

• •

ყარამანი სავარძელში იჯდა.

კარადაში ჭიქებისა და საინების ნამსხვრევები წკარუნობდნენ, კაიუტის ფიცრები ჭრაქუნობდნენ. ერთი ილუმინატორიდან წყალი წვეთავდა, მერაბის საწოლზე მოკალათებულ, აღუღუნებულ ანგორულ კატას ყურზე ეცემოდა. კატა თავს იქნევდა, ყურს არხევდა.

ყარამანმა ჩასთვლიმა და უცებ შეკრთა, ადგა, საკაპიტნო ბოგირისაკენ გასწია.

მერაბს შიშისაგან სახე თეთრად მოქცეოდა, ყარამანს შუშის თვალებით უცქეროდა.

— ხომ ხედავ კლდეებს... გადავკრათ საბუქსირო ბაგირები, გადავკრათ, გადავკრათ, ჯანდაბას „ტავრიდა“, ჩვენ მაინც ვუშველოთ თავს, — ყვიროდა მერაბი და ორთავე ხელს იქნევდა.

„აქ აღარ შეიძლება მისი დატოვება, ახლაც წახდა“, — ყარამანმა განიერ ბეჭებზე ხელი მოხვია, დაუყვავა: — წადი, დაწეკი, შენ ავად ხარ, დაისვენე, დაიძინე...

• •

„თოლისა“ მანქანა სრული დატვირთვით მუშაობდა, ქარიშხალი ნაპირისაკენ მაინც მიაცურებდა კატარლასა და ხომალდს.

ზღვისა და ზღვაურისაგან მკერდშერდევულ, ტიტველ, უზარმაზარ კედლებით ატყორცნილ მთებთან წყლის მტვერი ნისლივით იდგა.

სახედალეული, თავიდან ფეხებამდე სველი ყარამანი სამი დღელამის განმავლობაში საკაპიტნო ბოგირს არ მოშორებია.

მერაბს ზღვამ აწყინა, არაყს სევამდა, მეტწილად იწვა, ბორგავდა, სიკვდილის შიში ძვალსა და რბილში გასჯდომოდა. ჩასთვლემდა, უცნაურად გაღიმებული ბიჭი თვალწინ დაუდგებოდა, მერე ქრებოდა ბიჭის სახე და მშფოთვარე ზღვის ქაფიანი ზედაპირი ივსებოდა წყლიდან ამოწვდენილი პატარა, თეთრი თითებით...

ქარი თუმცა კლებულობდა, ზღვა არ ცხრებოდა „თოლიასა“ და ნაპირს შორის მანძილი მოკლებოდა.

ისმოდა ტალღებთან შერკინებული, ფისისფერი ღრუბლებით თავწაყრული მთების დაუცხრომელი გუგუნნი.

ღროდადრო მთის მწვერვალს თოლიები მოწყდებოდნენ, ზევით აცურდებოდნენ, წერტილებივით ელაგდნენ და ლიცლიცებდნენ.

ყარამანი ტელეგრაფის სახელურს გადასწევ-გადამოსწევდა, სამანქანო განყოფილებიდან იშვიათად იძლოდნენ პასუხს.

„მოიქანცნენ. კიდევ ოთხასიოდე ნაბიჯი და „ტავრიდა“ კლდეს შეასკდებოდა“, — ფიქრობდა ყარამანი.

როცა ნაპირამდე ორასი ნაბიჯი-ლა დარჩა, ყარამანი ორთქლის ჯალამბარს ეცა, ლუზები ჩაპყარა, მერე ჯალამბარი ფრთხილად, ნელ-ნელა დაამუხრუჭა. რამდენსამე წუთს ჯაჭვებს აკვირდებოდა. ჯაჭვები დაიჭიმა. შუბლი გაეხსნა ყარამანს, საკაბიტრო ბოგირს დაუბრუნდა, მესაქეს მხარზე ხელი დაჰკრა.

— ჩვენ კიდევ ვიბრძობებთ, ლადო, სიკვდილს ავრე ადვილად როდი დაენებდებით. ხომ ხედავ — ქარს სული ეპარება, მთავარია ჯაჭვმა არ გვიღალატოს. დროა სხვამ შეგცვალოს, წადი, დამიძახე.

— მე არა ვარ დაღლილი, — კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, ენა მუცელში ჩაუფარდა, სალოკი თითი კატარლის ბოლოსკენ გაიშვირა. ყარამანი გაქვავდა — თვალს არ ენდო, მერე ძმისაკენ ტორტმანით გაეშურა.

მერაბი ცულს იქნევდა, საბუქსირო ბაგირებს სჭრიდა. ყარამანი ხელებში სწვდა.

— მომწყდი! — არყისაგან გამობრუყულ მერაბის ფართოდ გახეილ თვალებში მუქარაც იხატებოდა, მუდარაც.

— გონს მოდი.

მერაბმა გაიბრძოლა, ძმას მხრით უბიძგა. ყარამანი ზღვაში ჩაეარდა და მერაბი ცულიანად გადაიყოლია. წყალში ხელი უშვა მერაბს, მყის იგრძნო: თავს ზემოთ კატარლის ორ-ლაპოტიანი ხრახნი მუშაობდა. არ მომხედესო — უფრო ღრმად ჩაყვინთა, მერე პორიზონტალურად გასცურა, კატარლასა და ხომალდს შუა ამოპყო თავი და „თოლიასაკენ“ მხარულით მოუსვა. ჩქარა დარწმუნდა: კი არ უახლოვდებოდა, შორდებოდა, ზვირთები „ტავრიდისაკენ“ მიაქანებდნენ. იქ ორი კაცი — დაბალი, თმათეთრი კაპიტანი ანტონ ხორაეა და აყინიწული ნაოსანი იდგნენ, ხელთ მანველი რგოლები ეპყრათ. აი, ტალღამ ყარამანი „ტავრიდის“ მარცხენა ქიმისაკენ წაიღო, ორმა რგოლმა მასთან ტყაპანი გაადინა, ყარამანი ორთავეს ჩაებლაუჭა. ხორაეამ და ნაოსანმა რგოლებზე მიბმული ზაწრები ღონივრად მოქაჩეს, რგოლები ქიმთან მიაცურეს, სადაც თოკის კიბე ეკიდა. ყარამანი კიბეზე სწრაფად ავიდა — ტალღამ არ მომისწროსო.

ხორაეამ — სთხოვა — ტანისამოსი გამოიცვალეო, ყარამანმა ყური არ ათხოვა, დაძაბული „თოლიას“ მისჩერებოდა, ელოდა: გემბანზე გამოისახება მერაბი და ბაგირებს გადასჭრისო.

მერაბი არ ჩანდა. ეს ახარებდა და ამავე დროს გულს უკლავდა, ძმის არაფერი იცოდა.

— მერაბი თუ ავიდა კატარლაზე? — თითქოს საკუთარ თავს ეკითხებოდა, ჩაილაპარაკა „თოლიასაკენ“ თვალეზმბიყრობილმა ყარამანმა.

ხორავა დუმდა, ნაოსანს კი მოგრძო სახე წამოეფაკლა, გავანჩული, ქერა წარბები შეეკრა, ზიზლით, პირის მანჭვით თქვა: — არ დაგვინახავს.

ყარამანს კეტივით მოხვდა ნაოსნის სიტყვები, შემობრუნდა, ნაოსანს კუმტად მიაჩერდა. „შემარცხვინა, თავი მომჭრა მხდალმა მერაბმა“, — გაიფიქრა, დაღონდა, ნაოსანს ზურგი აქცია.

— როგორ ფიქრობ, ანტონ, ამ ღამეს უნდა შეიცვალოს ამინდი.

— მე მგონია, ღამის თორმეტზე ნაპირიდან დაბერავს ქარი და ზღვას დააწყნარებს, — ანტონს შეებრალა „თოლიასაკენ“ სევდითა და რაღაც იმედით მზირალი ყარამანი, გრძნობდა: ძმის შესახებ ეწადა საუბარი, ამინდზე კი მსჯელობდა. — ძველი ნავი მაქვს, ყარამან, ზღვა თუ არ დაწყნარდა, ვერ წახვალ, ნავს ვერ ვენდობი. იქ შენი ყოფნა საჭიროა, მაგრამ რას იზამ, უნდა მოითმინო.



მართლაც, ღამით ქარი ჩადგა, ღელვამაც საგრძნობლად იკლო. ყარამანი ნავში ჩასვეს, „თოლიაზე“ გადაიყვანეს. კატარღის მილთან ორ ნაოსანს შეეყარა.

— აქ რას აკეთებთ?

— თქვენ გიცდით, ბატონო კაპიტანო, ლუზები გვიშლის ხელს, თორემ წინ წაიწვედით.

— ამოიღეთ! — ბრძანა, მესაჭეს დაუბარა, — ამ კურსით ივლი, მე ჩქარა მოვალო, მერე თავის კაიუტას მიაკითხა. მერაბის ცარიელ საწოლს რომ შეხვდა, გულმა ისეთი ბავა-ბუგი აუტეხა, სუნთქვა გაუძნელდა. აქლემისფერი ზეწარი ასწია, ბალიში გადმოაბრუნა, მერე დაიმუხლა, საწოლს ქვემოთ თვალი გააპარა და უცებ მოეშვა, დაუძლურდა, ფეხზე აღგომა გაუჭირდა.

ანთებულნი ფარნით კატარღის ყოველი კუნჭული დაათვალიერა, ისევ მერაბის საწოლისაკენ გაუწია გულმა, ეძებე და იპოვნით, ანუგეშებდა გული.

ყარამანმა ზღვის სუნითა და მარილით გაყენთილი თითები შეახო მერაბის ჩონგურს — კედელზე ცემისაგან გაბზარულსა და სიმებდაწყვეტილს. უნდოდა ხმამალა ეტირნა, გულში უსასრულობამდე გაზრდილი დარღის ნაწილი მაინც გარეთ გამოეტანა, მაგრამ გაშტერებულ, გამშრალ თვალებს ცრემლი ვერ გამოაყოინა, ქარისა და ზღვის მარილისაგან დახეთქილ, გაშავებულ ტუჩებს ვერაფერი ათქმევინა. ზღვასთან ბრძოლებში გაჰალარავებული მეზღვაური დიდი ხანია მოკლებული იყო ცრემლთა დენისა და მოთქმის უნარს.

„მაინც რამ დალუბა მერაბი?! — ფიქრობდა საკაპიტნო ბოგირის მოაჯირზე დაყრდნობილი. — ცურვა ჩინებული იცოდა, თუმცა... ისინი ხომ კატარღის ლაპოტებიან ხრახნთან აღმოჩნდნენ!.. ყარამანმა იგრძნო ეს, მთვრალი, ალგზნებული მერაბი კი ალბათ ლაპოტის მსხვერპლი შეიქნა... ჩემი წინაპრები მეზღვაურები იყვნენ, ამიტომაც საზღვაო საქმე შეევასწავლე მერაბს, მეგონა კარგი მეზღვაური დადგებოდა, შეეცდი. ღელვას ვერ იტანდა, იზნეოდა, ზღვა არ უყვარდა, მე კი ძალას ვატანდი. შეეცდი და დაეღუპე ბიჭი, ჩემი ერთადერთი ძმა.“

ქიშ ტალღა რომ ჩაუვლიდა და ფოსფორულ შუქს აალივილივებდა, ყარამანს ეგონა — მერაბი ნიშანს მაძლევს — აქა ვარო... ერთხელ შუქში გახვეული ძმის ღამაზი სახეც კი მოეჩვენა...

ფოთში ჩასვლისთანავე უკვალოდ გაქრა ყარამანი. მისი მაგიდის უჯრაში ბარათი იპოვეს, რომელშიაც ბოდიშს იხდიდა ეთერის წინაშე, სამუდამოდ ემშვიდობებოდა, ბედნიერებას უსურვებდა.

მას შემდეგ ოცდაათმა წელმა განვლო.

სუსხიან ზამთარში, ბალტიის ზღვის პირას, მწუხრის ქაშს, თბილად შეფუთულ ხუთ ესტონელ მეთევზეს უხმოდ მიჰქონდა უბრალო კუბოში ჩასვენებული მოხუცი ქართველი მეზადური...



მოთა კუკია

საყვირის ხელი

კოცმა

ახლა, ღამეში არჩილის დედაც
გამოჩნდა ღარის სანაპიროდან.
მტირალი ბავშვი მიეკრა მკერდთან,
არჩილიაო, — ხალხში ყვიროდა.
დილით მდელიოზე აორთქლდა

თრთვილი,

ცას გადაეკრა ფერი იათა,
თან წაიყვანა ნინომ ყმაწვილი
და სოფლის გზაზე გაიკიაფა.
დღემდე სიმართლის უარმყოფელი,
ფიქრობდა: „რაკი სევდა მრგებიო,
თუნდაც გაიგოს მთელმა სოფელმა,
უნდა გავაცნო ბავშვი ბებიას“...
ეზოში დახვდა არჩილის დედა,
ჰგავდა სიზმარში ნანახ შავოსანს.
მოხუცი კართან კანკალით შედგა,
ალარც აცალა სტუმარს შემოსვლა:
— შენი დახსნილი მოდისო, არჩილ, —
თითქოს შინ ეჯდა შვილი ცოცხალი.
ცრემლებს აფრქვევდა დაღლილი

ტანჯვით,

მომველინაო ღმერთი მოწყალე.
ვისი არისო ბავშვი პატარა,
რად მიუგავსო არჩილს თვალები?
არჩილიაო იქნება, მართლა? —
და მიეფერა ბავშვს ნეტარებით.
ხელებით თითქოს ფანტავდა ღარდებს,
ბავშვს არიგებდა დაბეჯითებით:
— ხემო პატარაო, ო, თუ გიყვარდე,

კამეჩებს ნულარ დაეჭიდებო!
ნინოს ანაზღად აღმოხდა კვნესა,
ღელვამ შეიპყრო მოულოდნელმა.
გულს ეღვასავით ჩამოჰკრა კვესი
შავით მოსილი ქალის გოდებამ.
ოთახის კარი დაუხვდათ ღია,
შეირხა დედა, როგორც აჩრდილი.
საზარელ დუმისს შეხედა ფრთხილად:
აგერ არისო, შვილო, არჩილიც.
ბალიშზე ჩანდა ჭაბუჯის სახე —
ფოტოსურათი გადიდებული.
გაპლვიძნიაო თითქოსდა ახლა,
ქერს შესცქეროდა გარინდებული.
საბანქვეშ რალაც თრთოდა ტანივით,
თითქოს შეირხა, თითქოს გასწორდა..
და დედის ხელით შემოტანილი
თბილი ნამცხვრები იდო საწოლთან.
ნინომ ვერ შეძლო მეტის ატანა,
ოთახს მოშორდა უცებ სტუმარი.
სახლი მოჰგავდა ზღაპრულ აკლდამას
და სასაფლაოს — ეზო მდუმარი.
მოხუცმა წასულს შეხედა ეჭვით,
რომ მიჰყვებოდა გზას გამალებით.
— რად წამართვიო პატარა ბიჭი?
რად მიუგავსო არჩილს თვალები?



ეკის მთებიდან დაიძრა თოვლი,
თითქოს დაირღვა თეთრი მწვევრვალი.
ტყისპირ ბუხრიდან ამოძვრა ბოლიც,

ისე, ვით კატა, ჩიტის მღვეარი.
 არ დაუკლიათ ხუროებს ხელი,
 ლევანის ფიქრი თავლში გალესეს:
 აღარც კარები, აღარც სარკმელი,
 არ გაუჭრიათ სოფლის მხარეზე.
 ქარმა თანდათან ნისლი მოცელა,
 ველს გადაეგლო წელგამართული
 და სოფლისაკენ ზურგშექცეული,
 ტყისპირ გამოჩნდა ოდა-სართული.
 გაპქრა ეჭვები, ქმრის გულს რომ
 სწვავდა,
 თავს უწოდებდა ახლა იღბლიანს.
 ძველთაძველ ჩონგურს დინჯად
 გადასწვდა,
 დაპქრა სიმებს და ჩაილიღინა.
 მთებს აღუპყრიათ ღრუბლის მკლავები,
 მინებებიან ცეკვას ვნებიანს.
 მთვარე — დაირა და ვარსკვლავები
 ჩამოფანტული ფოფინებია...



კარგია, როცა გარეთ თოვლია
 და შინ — ბუხარი სხივთა მფანტველი.
 ფანჯრებს აწყდება ანათროლოები
 ფოთლისოდენა თოვლის ფანტელი.
 თოვს და არც გინდა გამოიდაროს,
 ფიქრი გეშლება გულში ვარდებად.
 ამ დროს გახდები სულით მდიდარი,
 ამ დროს ქვეყანა შეგიყვარდება.
 და თოვა უფრო კარგია მაშინ,
 და გული ღბინში უფრო ებმება, —
 თუ კოყა ღვინოც გიდგას ოდაში,
 ცოტა არაყიც მოგეძებნება.
 სტუმრად მოგივა კარის მოყვარე,
 დააბაკუნებს ფეხებს შებარდნილს
 და, მხრებზე ფიფქებ-გადანაყარი,
 ბუხარს შეხედავს მოსალმებამდის.
 კერა აზიდავს ბოლქვებს კუნაპეტს,
 მოყვრებმა ერთურთს ახედ-დახედოთ.
 აშიშინდება ცეცხლზე კუპატი,
 სუფრაც გაჩნდება სახელდახელო.
 სტუმარი სალამს მოკითხავს დასძენს,
 ალიკლიკდება ღვინოც დოქიდან
 და გაიბმება ბაასი მასზე,
 თუ დიდი თოვლი როდის ყოფილა...

თოვლმა ხეებიც ღამის დაფაროს,
 ძილი დაუფრთხათ ტყეთა ბინადრებს.
 შეკბულდრებია შაშვი ლაფაროს
 და სახურავი თოვლს ვერ იმაგრებს.
 ცულ გუნებაზე ადგა ლევანი,
 ვერ მოსივენა, ღამე ჩაშხამდა.
 ნინომ ცივ ბუხარს შეავლო თვალი,
 ქმარს გადმოხედა სახეგამშრალმა.
 ლევანი კარში გავიდა დინჯად,
 ეზოში დახედა შაშვთა ჭანჭახი.
 ვეება მორი კარგახანს სინჯა,
 მაგრამ... უტარო ნახა ნაჯახი.
 თვითუნებურად აღმოხდა ხენეშა,
 შორეულ წარსულს უხმოდ შეჰყურებს.
 სახლში ბუხარი მიელის შეშას,
 და პატარები გვანან ბელურებს.
 ლევანს შრიალით ეხვევა ქარი,
 ქარსაც სურს ფიქრი ფიქრს დააჯახოს?
 როგორ გასათალოს ნაჯახის ტარი
 უიარაღოდ და უნაჯახოდ!
 ზედმა ამგვარად რისთვის დანაეხა?
 ნეტავი, გულის ხმა არ ესმოდეს.
 ერთხელ... გაუტყდა ტარი მამასაც
 და სხვა ნაჯახი სთხოვა მეზობელს.



ღამით სოფელში ჩამტყდარა სახლი,
 თრთიან ხეები — თეთრი ირმები.
 დააქროლებენ გლეხები მარხილს
 და ოდა-სახლებს ტვირთს უმციბრებენ.
 ლევანის გულში შიში შეიქრა, —
 ირხვეა მისი სახლიც ახალი
 და სახურავის საზარელ კრიალს
 ისმენს ოჯახი გულის კანკალით.
 მამის ნიჩაბი მონახა სადღაც,
 თავის ცოლ-შვილი სურს გაახაროს.
 ოდის სახურავს მოეწვო მალლა
 და ოფანის ჰგავდა სამყარო.
 ჯერ ნაპირიდან კრამიტი სწმინდა,
 მალლით მოაწვა თოვლი შექრილი,
 გადმოყირავდა სახურავიდან
 და ჩაიკარგა თოვლში კენჭივით.
 წამოდგა, ისევ დაჯდა ბუხართან...

ჩამოინგრევა ჭერი ნამდვილად!
ტახტს გრძნეულივით მოშორდა კატა
და პატრონისკენ გაღიადგილა.
— გამოდით გარეთ, — უცებ ხმა ესმით,
ვილაც საჩქაროდ აღებს კარებსაც.
იმედის შუქმა ინათა მყისვე,
ჟიმედობის შხაშში ნალესმა.
ლევანი გარეთ გარბის ხალისით,
ღმიელი მაინც ვერ იმსახურა.
ხედ სახურავზე დგანან გლეხები
და გამალებით სწმენდენ სახურავს.
საქმეს მორჩნენ და დაიძრნენ მედგრად,
სდუმს არემარე თეთრად ნახატი.
ხელი მხედრულად ასწია ერთმა
და გადმოსძახა ლევანს:
— ნახვამდის!

• •

თოვლი მთებისკენ დაიძრა ზანტად,
კვირტებმა გაშლა გულში გაივლეს.
მაგრამ სამი დღეც ისესხა მარტმა
და დაუშინა კოხი ყვავილებს.
— კაფე-თესეო, — გუგულის „ხვეწნამ“
ლამის მოპგვარა ლევანს სიცილი
და გასათბობად მორზე გადაწვა
გაფიჩხებული ზამთრის სიცივით.
გზაზე გამონდა ვილაც მხედარი,
სოფლის თავკაცი იცნო ლევანმა.
არ ეპიტნავა მოხედვა მწყარალი,
შებლი სიმწრისგან გადაენამა.
მაინც წამოდგა იგი საჩქაროდ,
ცხენიც შეჩერდა შეთამაშებით.
პირზე დააღწა მოსულს შაქარი:
— არ გებრალეზა, ლევან, ბავშვები?
ჩვენ როდი გვინდა მოგდგეთ ძალაზე,
მაგრამ ერთი რამ უნდა ვახსენო:
დიდი ხალისი და სილამაზე
შრომის გარეშე აღარ არსებობს...
დადიხარ, თითქოს დოვლათზე იჯდე,
აღარ დაეძებ ბედს და საშოვნელს.
ნატერისთვალი თუ გიღვეს ჯიბეში,
ხელს ერთი წამით რომ არ აშორებ!
ლევანს გაუჩნდა სხვა სატკივარი,
დღემდე ნამალი ეჭვიც გატოვდა:
იქნებ, იცისო ბავშვის ამბავი

და მიძაგებსო გულში კაცობას...
— არაო, — უცებ წამოსცდა მკვანედ,
გონს ვერ მოეგო, დარღმა დასძლია.
თვით არ იცოდა, რას უპასუხა:
დარიგებას თუ ეჭვებს ღვარძლიანს.
— არაო, — კუშტად კვლავ მიატყუვა, —
შინ ბევრი მაქვსო საქმე ისედაც.
მიკობ-მოკობა რალაც სიტყვები —
სიძემ ნაჯახი მოიმიზეზა.

* *

რომ ჩამოყვებით ცუდლარს თავდაღმა,
გზად ბუჩქნარების მთელი გუნდია.
კაცს დაუღვია წყლისთვის ყაღაღა,
წისქვილის ღარში შემოუგღია.
წისქვილში ერთი ბერიკაცია,
ვერვინ იხილოს წამით მოცილილი.
მალლით დღედაღამ მტვერი აცეცია,
თაფლიკაცია ის დალოცვილი.
მხარბეჭი ჯერაც მოუჩანს სწორად,
ლხინში დაგატკობს, ქირში გიშველის.
გგონია: ფქვილი თუ მოიშორა,
გამოუჩნდება თმაში გიშერი.
აქ მათუსალა ბერიკაცები,
რომ არ ფიქრობენ ჯერაც სიკვდილზე,
სხედან, მსჯელობენ თვალთა ციმციმით,
ჩიბუხი მუჭში სულ უგზავიზებთ;
არ შორდებიან წისქვილს კვირადღეს,
ფიქრით, აზრებით და მღელვარებით...
არ აგერევთ გზა წისქვილამდე, —
მიგაცილებენ თეთრი ალვები.
ნინოს ალვები არა სჭირდება,
ხელში საფქვავით მოდის შარაზე.
ნიაგი მოსდევს დასაჭიდებლად,
თითქოს შეჭხარის მის სილამაზეს.
გვერდით მოჰყვება შვილი პატარა,
უცნობთა მზერით დანაეჭვები.
პატარა ტომრით, ვითომ საფქვავად,
მასაც გაუღვეს მხარზე კენჭები.

• •

— ქალო, ვინ მოგცა საფქვავე მარტოს,
ვინ გამოგიშვა სოფლის თვალამდე?
თავს უნდა გადგეს შენი პატრონი

და ცხრაკლიტულში უნდა გმაღავდეს.
შენმა სიმაღლემ, თეთრმა დაწვებმა
ცაში მზე დასწვეს, გული — მიწაზე.
წელზე მარჯვენაც შემოგაწვდებო,
მაგრამ ვაქცაიც ვერ აგიტაცებს.
მაინც ნისლივით დაიარები,
პეპელა შენზე მძიმე მგონია.
ზურმუხტისფერი დიდი თვალები
რა წინაპრისგან გამოგყოლია?
ვის შეუძლია ქვეყნად კაცთაგანს
დაპხატოს თუნდაც შენი თითები.
იქნება, სახლში სარკე არცა გაქვს,
შენი სარკეა ლურჯი ზვირთები.
მე შენი თმებიც ვერ შემიქია,
ფერთა სიმრავლე ვერ ვიმსახურე.
როგორ მოგრთავდა მწვანე ჩიქილა,
შენი თვალების ფერი საყურეც!
რისთვის გიმზერენ თითქო ვერ ხედები,
რომ უფრო დასწვა გული დამწვარი.
ქალს თუ ჭალარაც ასე უხდება,
ვის რად სჭირდება გიშრის ნაწნავი.
რძეს უნდა სვამდე მაგ ვარდის პირით.
წყაროს წყალს როგორ დაეშურები.
ხელში მარაო უნდა გექიროს,
დაბლა გეფინოს აბრეშუმები.



ნინო მიაღდა წისქვილის კარებს,
მოხუცის გული ცოდვით აივსო.
თითქოს ძველი და ახალი მთვარე
ერთმანეთს შეხვდნენ სამოუსაიფოდ.
„ძველი“ ნაკვერჩხალს მისწვდა
დადარში,
თითქოსდა კენზი აზიდა წყლიდან
კამათელივით შეათამაშა
და ჩიბუხისკენ წაიღო მშვიდად.
ვერ დაუმაგრა სადავი სათქმელს
და დაბერტყა გულა-ნაბადი:
— ნინო, მეუღლე რად არ დასაქმე,
ვერ მოიტანდა საფეკავს აქამდის?
ქართველთა შვილებს და ნაშიერებს
როდი გვიჩვენებ ჩვენი პაპანი:
ტყეს შევეჩიხნოთ გოლამშიერნი,
ქალს ვაზიდვინოთ მძიმე ჭაპანი.
ლონით ამირანს ვერც მე ვჯაბნდი.

დღეი ყურით არ დამიჭერია.
წლებს თუ გაპხედავ, აღმა რომ მიდის,
ჩემი ცხოვრების ნაბიჯებია.
არ შეგეცქეროდი სხვის ხელებს ხენგშით,
პირგამოვლილი შევხვდი მზის ციალს.
არ გამივლია წისქვილის ყელში,
სხვა ყველაფერი გამომიცდია.
არც დღეს მიცევივ დიდი ნაფოტი,
ვჯახირობ, როგორც გლეხკაცს
შეკფერის.
მზე დოლაბების ხმაში ამომდის,
შინ მელოდება ჩემი ბებერი...
მტრის დასაცინი გავიხდა ქმარი,
შენი იმედით ლუკმას არ ნატრობს, —
ენას ილესავს მოხუცი მწყრალი —
მთიდან ღრუბელი მოდის საავდრო.
— რაღა ვქნა, პაპავ, ბავშვების დედამ,
როგორ შეგკადრო ქმარს სამდურავი
... მისგან წვალბა თუმც დაებედა,
ნუ შეუგინებთ ლევანს ნურავინ.
ნუ ჰკითხავთ: ასეთს როგორ გაჰყევო,
ყველა ტკივილი სხვებთან როგორ
თქვას?
ნუ ჰკითხავთ! როგორ გაიგოს ყველამ
ქალის ცრემლი და ქალის გოლგოთა...



სიცოცხლის ჰანგებს დოლაბი მღერის,
ნინოს გულს სწვდება ჟრჟოლის
მომღებად.
დადარში ცხვება პატარა კვერი
და ბავშვი კერას არა შორდება.
წამით დასძლია ფარული ღელვა,
გვერდზე გაიხმო ნინო ბებერმა:
— ერთსაც გაგიმხელ, შვილო,
ბარეღამ, —
მშვიდად შეხედა და მოეფერა, —
არჩილის დედა გემასსოვრება,
შენი დამხსნელის დედა მზებნელი.
ვაი, რაღა ღირს მისი ცხოვრება,
კარი-კარ დადის შვილის მძებნელი.
ეტყვიან:
— შვილი ღმერთმა გიცხონოს...
— ის ზომ მოკედაო, — შეკვივლებს
თვითონ, —



მიცვალებული როდის გიხსენეთ,
 პატარა ბავშვზე გეკითხებითო!
 ზოგჯერ ღამითაც, შავი ძაძებით
 დაუვლის ქუჩებს, ბნელით მოფენილს.
 შენს სახელს ყვირის, ამ ბავშვს დაეძებს.
 მოხუცის ცოდვით იწვის სოფელი...
 ნინოს ცრემლები ჩაუდგა თვალში,
 ბერიკაცმა კი დასძინა რიდით:
 — მართლაც ჰგავს არჩილს ლევანის

ვაჟი.

ალბათ ამისთვის გეძებთო იგი...

ჩიტის ჭიკჭიკზე ადგა ლევანი,
 მიწამ რომ ნისლი მოიშლილთა,
 წნელი ატეხა ფიჩხებში მალევით
 და გადახედა თაელას ირიბად.
 აღარც აცივია, აღარც აცხელა,
 თავიც არ ჰქონდა დიდი ფიქრისა,
 მამისეული ღამაში ცხენით
 ბაზარს მიადგა გამთენიისას.

აბაშამ იცის ბაზრის მაზანდა
 მართლაც ზღაპრული და დიდებული.
 ვერ ჩამოვილი კვირას ბაზართან,
 რომ არ შეჩერდე გაღიმებული.
 მარწყვის იშოვნიო შუაზამთარში,
 ალბათ მაზია თქმული ნამდვილად
 გლეხი აქ შენს წინ გულუხვად გაშლის,
 შინ გასაყიდი რაც აბადია.
 აგერ ბატონები რბიან მოხდენით,
 თხრილთან მიმჯდარა კაცო ილამი...
 გაქანდამსკლარი ჩანან ძროხები,
 ჯანგებ სამი დღის მოუწველავნი.
 — კარგი ცხენო, — ვილაც გაყვირის,
 ვიწრო შუკაში ჭურანს აგელვებს
 და გასაყიდად მთელი ნახირი
 მოუდენიათ რიონგაღმელებს.
 მსხობებს დაგიყრიან ამოსარჩევად,
 ფიქრობ: გაღნება ხელის შეხიბით.
 — წვიმა იქნება, — ვილაც იჩემებს
 და ღასს უკლებენ ზორაგს გლეხები...
 ლევანი მყიდველთ ითვლის ათობით,

არ უფროხილდება სხვათა ათასებს,
 გულს ეძნელება ცხენის დათმობა
 და ქვიშის თოკად მისთვის აფასებს.
 ბოლოს... ხურჯინით დაბრუნდა სახლში,
 კიშკრის ურდული ვახსნა ხველებით.
 ბავშვებმა ღხენით შემოჰკრეს ტაში
 და შეაყენეს ჯოხის ცხენები...

კვლავ აიდრუბლა კერიდან კვამლი,
 ქულები ცაში ჰგავდნენ ხომალდებს.
 საზრდოს საყიდლად დაბროდა ქალი,
 ფული იკმარეს გაზაფხულამდე.
 ის გაზაფხულიც მალე გაფრინდა,
 დარდიც გაცოცხლდა გულის ჰიადა;
 ხან ნივთებს ყიდდა, ხან ქათმებს ყიდდა...
 ლევანი ბაზარს შეაჩიავდა.
 მოყვრებისათვის კარიც დარაზა,
 მიირხეოდა უქმად ეს წელიც
 და ერთ კვირადღეს, მალევით, შარაზე
 ჩამოატარა ძროხაც მეწველი.

შემოდგომაა, მღერის ბუნება —
 ძილგატეხილი და დაუღლებელი.
 სავსე ბელლებთან წვანან ურმები,
 თავქვეშ მკლავივით უღვეთ უღელი.
 ვის არ ახარებს ღალობა სოფლად,
 ხარობენ, სტუმარს მოსდევს სტუმარი
 და არემარეს, ეშხით მოფენილს,
 მხოლოდ ლევანი შესცქერს მდუმარი.
 დილას კვლავ მოჰყვია ფიქრი არჯალი,
 ლევანმა ფიქრთან როდი იდავა.
 აილო მამის ქამარ-ხანჯალი,
 ესლა შემორჩა გაუყიდავი.

ბაზრის ბოლოში სამკედლო არი,
 კვამლში ჩაფლული და შემკვარტლული.
 უროს გუგუნის ტალღებზე მდგარი,
 მაინც ყოველთვის ფიქრში გართული.
 ყრმობიდან იცნობს ლევანი მკედელს —
 გულმართალი და სათნო კაცია

არ გილაატებს თუკი მიენდე,
 არ დავახარჯავს სიტყვას ღვარძლიანს.
 ტკბილია ხსოვნა ბავშვობის დღეთა,
 თუ სიხარულის ეშხით გამკობდა.
 მათ ურბენიათ ყრმობისას ერთად
 ჰქონიათ ტკბილი ამხანავობა.
 შემდეგ გაიყო ბილიკი მათი,
 გზა გაიფიწლა მათი ორადა.
 ერთს ინახავდნენ მშობლები თბილად,
 მეორე შრომამ დააფოლად.
 მან ომიც ნახა, ზღვა სისხლის დენა,
 მისთვის დასახა ერმა გულადად.
 წყალივით იცის რუსული ენა,
 ცოტ-ცოტას ლამბავს გერმანულადაც.
 მეგობრის ნახვა, ბაასი თბილი
 ახლა მოუნდა ლევანს რატომდაც.
 წამით ბავშვობის დღეთა ნათელი
 გადმოიღვარა წლების გადმოდმა.
 სამქედლოს კარი შეაღო ფეხით,
 თვალს ეხამუშა შავი კედელი.
 ვით ჟანგიანი რკინის ნატეხი,
 კვამლში, ქურასთან ჩანდა მქედელი.
 დრო არ დასჭირდა შემოსულს დიდი,
 პირდაპირ თქვა და გახსნა ქალაღი:
 — ქამარ-ხანჯალი მაქვს გასაყიდი,
 მოზარნიშული, კონტად ნახატი.
 მქედელმა მშვიდად შეხედა ლევანს
 და აეზნიქა მხრები ახოვანს.
 ამოისუნთქა საბერველივით,
 ცეცხლის ბუბუნი ამოაყოლა:
 — სჯობს თითო ჭიქა გადავკრათ
 ერთად,
 ჩვენი ბავშვობის დღენი ვახსენოთ.
 ხანჯლის გაყიდვა რად გინდა, ნეტავ,
 ვინ შეიძინოს, ვინ იარსენოს?
 ნიეთი ქალაღდში ისევ შეხვიეს,
 ლევანმა მკლავქვეშ ამოიჩარა.
 გამოემართნენ და ერთ მეღვინეს
 მოუსხდნენ ღვინის გაუსინჯავად.
 გროლმა ნიაემაც დაბერა ახლა,
 ღრუბელთა ჩრდილმა ბული მოლოკა.
 კასრზე უწყვიათ ყველის ნატეხი,
 პრასის მწნილი და მწარე ბოლოკი.
 მეღვინე ღვინოს ლიტრებში ასხამს
 და ნოეს ვაზის ღვინოდ ასაღებს.
 მქედელი ჭიქას ავსებს ხასხასას,

ექებს მეგობრის გულის გასაღებს
 — არ დამემღურო, გაგიმხელ ფხიზელს,
 ადრე ბეჯითი კაცი მეგონე.
 ნეტავი, სოფელს რად გაეზიზნე,
 რად მოახატრე თავი მეგობრებს?
 თოხნა არა გსურს? ჩემთან იარე,
 მკლავი ჩემთანაც სცადე ერთხანად.
 ისეთ ხელობას გავიზიარებ,
 შემოგნატროდეს მთელი ქვეყანა...
 დაცლილი ბოთლი აივსო ისევ,
 ღვინო მოჩქეფს და ტიკი მქლევდება
 გასტეხეს პური და გულის სიმზე
 სიტყვა ჩამოჰკრა. ისევ მქედელმა:
 ლევანი საღდაც გაფანტულ აზრებს
 მისდევდა, იჯდა ასე მღუმარი
 და, ნღვლიანმა, ბოლო ჭიქაზე
 ზანტად მიუგდო მქედელს უარი.
 თითქოს ფიქრებმა მიზანს მიაგნეს,
 თვით დაემსგავსა საესე ლიტრიანს.
 თავში შეუჯდა ღვინის სიმაგრე,
 შეუტია და შეუღიტინა.
 ახლოს მოლანდა მეღვინე იმ დროს,
 სიტყვა ესროლა, როგორც ქამანიდი:
 — ქამარ-ხანჯალი უნდა იყიდო,
 ბრძანება არის ჩვენი თამაღის!
 მეღვინემ ხანჯალს შეხედა კუშტად,
 დაცლილ ბოთლს საესე ბოთლი მიუღდა.
 ლევანმა კასრზე დააგდო მუშტი
 და ოც თუმანზე შედგა ჯიუტად.
 სხვა მეღვინეთაც მოხედეს ჩუმად,
 აბრიალებენ თვალებს ღვინისფერს.
 მუქაში ცვარიც აღარ გაუვათ,
 ამ ვერცხლის ხანჯალს ფულებს ვინ
 მისცემს!
 ჩამოატარეს მაინც ღობურად,
 ლევანმა ფასი თქვა და მოლობა.
 დიდხანს იმსჯელეს ასე სოფლურად,
 მაინც მორიგდნენ ბოლოს როგორღაც.
 მქედელი ბრაზით წამოდგა ჩქარა,
 არჩია „მისთვის“ გვერდი ექცია.
 ჯერ არც შეეღო სამქედლოს კარი,
 ლევანი უკვე წამოეწია.
 ვერ დააკავა მქედელმა ბრაზი
 და უროსავით სიტყვა აძგერა:
 — თურმე ყოფილხარ ბოვანი ბაზრის,
 კარგად გავიგე, ძმაო, ამჯერად.



„ბაზრის ბოგანო“ უეცრად მოლბა,
ახლა თავს სდებდა მჭედლის

სანაცვლოდ:

— ნუ მიბრაზდები, გაფიცებ ძმობას,
შენ ხომ მჭედლობა უნდა მასწავლო
რად შეგეცვალა, ნეტავ, იერი?
რად შემომცქერი ასეთ სახითა?
შინ ორი ბავშვი დამრჩა მშვიერი,
მისთვის დამჭირდა ხანჯლის გაყიდვა.



და მეორე დღეს სამჭედლოს კარი
ლევანმა ისევ ააჭრაილა.
უროს სცემს ვაჯი პირმომცინარი
და იზმორება რკინა ბრჭყვილა.
მჭედელმა ბოლო ზოდიც გაკვერა,
ლევანს ესროლა მზერა ერთგული
და სამუშაო დღის დამთავრებას
ლევანიც შეხვდა გაღიმებული.
მჭედლის სახლისკენ მიდის ამაყად,
მათთან ცხოვრებაც გულით ინება.
არც კი იციან ცოლად ვინა ჰყავს,
სხვა რამ საიდან ეცოდინებათ.



ერთი ქორწილის ხალხმა სამხარი
ნადიმს ამსგავსა, ნადიმს გულგაშლილს.
ოჯახის ბურჯი თოვლდანაყარი,
ცალთვალა კაცი იჯდა შუაში.
ნასამხრალს ხისძირ გაშალეს ნარდი,
სხვა რა ინატროს დარდით დამწვარმა.
ნარდს დავიწყება სცოდნია დარდის,
თუ თვითონ ნარდმა არ გაგამწვარა.
ლევანი თამაშს გულდაგულ მიჰყვა,
გზას არ გასცქერდა ფართო ეზოდან.
დაკისკისებდა ძვალი დაყრილი
და ცალი თვალი ორ თვალს ებრძოდა.
ბერიკაცს სახე გაუმზიანდა,
გასტყორცნა, სტუმრის დარდი

დაფლითა

და ცალ კამათელს ბზრიალ-ბზრიალით
ფეხი დაუცდა ნარდის დაფიდან.
შორს, მყინვარებში ჩადნა ბადახში,
შეტყვეისფერდა სილურჯე ცათა

და ცალ კამათელს მამა ბალახში
ეძებდა, როგორც დაკარგულ ცალ
თვალს.



— სად დაგიკარგავს თვალი, მოხუცო,
ხელში შამხანა არა გჭერია.
მხოლოდ უროთა სიმღერას იცნობ
და ძველ სამჭედლოს დაბალჭერიანს.
ცხენისწყალს არც კი გასცილებიხარ,
თვალდასაგებად ვინ დაგივულა?
ფოლადის ზრიალს მოჰგავს შენი ხმა,
საბერველივით სუნთქავ დიდგულად.
ქვეყნის შემოვლაც აღარ გიცდია,
რაც ამ მიწაზე კერა გამართე.
შენ შრომის მეტი არა იცი რა
და ცალი თვალით ეძებ კამათელს.
ჯაგვარდნებს ჰედდნენ შენი პაპანი,
ომშიც ვაჭრილან კერის იმედად.
მესმის ჰქონოდათ ხმლისდანაკრავიც,
შენ კი აქ სახმლოდ ვინ გაგიმეტა?
ან ეს შვილები როგორ დაზარდე,
ყველა გამრჯე და დაუზარელი?

შენებრ მკლავმაგარ მჭედლებს ამზადებ
და საუკუნოდ სიკვდილს არ ელი.
ლევანსაც ჰყავდა მამა მშრომელი,
თვითონ კი მიწას ჯერ არ შებმია.
როგორ ვუხსენო ავად მშობელი,
საფლავში ძვლები აყვირდებიან.
ადრე ეღირსა „სულის ცხონებას“,
ოფლად დაღვარა ძალა მაჯიდან.
ის ხარის ბეჭად თვლიდა ცხოვრებას,
ძის მომავალი ვედარ განსჭვრიტა.
სხვის ვაჟთა ავ-კარგს ვინ გრძნობდა
მისებრ,

განა დაღლილა კარგთან ომითა!
და დაილია სახნისი ისე,
რომ სადგისიც კი არ გამოვიდა.
შენ კი ყრმობითვე შრომაც გიზიდავს,
გიწამებია ძველი ანდაზაც —
შვილები მტრულად გამოგიზრდია
და გაფასებენ ერთი-ათასად.
შენთვის მანანა მოცვივა ციდან,
ლევანს დარდი ჰკლავს ნატერის
მმუსრაივი,
შენ სასმისებში ჩიტის რქე გიდგას,

მის სუფრას ასდის ნატისუსალი.
ყველა საკუთარს უკეთებს კერას,
ასეა ჩვენი დღე და მოსწრება.
სადმე რომ ფეხი დაუცდეს, მჯერა,
ყვეფი ძაძებით შეიმოსება.
მას სხვა დარდიც აქვს შრომაზე დიდი.
სიკვდილზეც დიდი და საშინელი.
ჯერ არ გაშლილა ბალახი მინდვრის,
მისი ჭრილობის დასამშვიდებლად.
შეუნდე, ზოგჯერ თუ დაღონდება,
ან ვერ დაატკბობს კვამლის სურნელი.
ათას უროს ქვეშ არ გაბრტყელდება
მისი ტკივილი განუკურნელი.
შენ ხომ ისა ხარ, ვინაც ამ სოფლის
წმინდა სახელი მხრებით ასწია,
შენ ხომ ისა ხარ, შვილთა აყვანი
საკეთილდღეოდ ვინც დაარწია!
მაინც ეჭვები გულში ჩამკვრია
და მინდა გულის კარი გააღო:
შენი ჩაქუჩით ნაჭედი რკინა
ვინ დავაძგერა უიარაღოს?
კედელზე თოფი მოჩანს ახალი,
კურდღლებს თუ დასდევ ტყეში
ხანდახან.

დავსებული გაქვს მარცხენა თვალი,
დასამიზნებლად მუდამ მზადა ხარ.
ცალ თვალში, თითქოს ელვას მალავდე,
შუქია ციდან გადმონაშენი.
გამიღიმე და წამომალანდე
კბილები, როგორც პატრონტაშები.
გული ყოველთვის გქონია ქველი,
ვიცი ამაღამ ვერ მოისვენებ.
ვერ გავაწვდინე შენს ფიქრს მტკაველი,
მისთვის სახელიც აღარ გიხსენე.
სხვანი განსჭვრეტენ რასაც ნატრობდი
ხმაშეწყობილი უროს გუგუნთან
და შენი შუბლის უცხო მხატვრობას
გადმოიღებენ უკვდავ ჩუქურთმად.
ქარი უბერავს, ვით საბერველი,
ზეცას აღვივებს ძალა უშრეტო.
მთვარე გამხდარა გასაკვერავი
და უროებად გიჩანს მუშტები.

ოჯახს მოაკლდა მეუღლე, ტოლი,
რალას გახდება ნინოს ქალობა.

და თითქმის შეწყდა ბუხარში ბოლი,
თითქმის ჩიტების შეწყდა გალობაც.
ნეტავ, დაურჩეს ქმარი ერთგულად,
ნეტავ, მისდიოს საქმეს ბოლომდის,
ნეტავ, მშვიდობით იაროს მუდამ.
კიდევ აიტანს ნინო მოლოდინს.

კერას ცხენის ხმა მოუგდო ქარმა,
ჰიმნარს მოადგა მგზავრი უცნობი
და მის დაძახილს, ნიავის დარად,
მოჰყვა სურნელი ხეთა ფურცლობის.
ნინო ჰიმნარსკენ გარბის წვიმაში,
მკერდში ჩაუდის წყალი წურწურით.
შეკრთა მხედარი ქალის წინაშე
გზაში ცხენდაცხენ ჩამოწეული.
თმა ჩამოშლია ცხენოსანს კოხტად,
ბავშვებს შესცქერის და ხმას ილაღებს.
ცხენიდან მარად რიცა გადმობტა,
ცხენს მოემატა თითქო სიმაღლე.
შემდეგ კერისკენ გაექცა თვალი,
ცეცხლს მიეფიცხა ცივი ხველებით.
ცხვირსახოცივით დაქმუნა ალი,
ზედ შეიმშრალა თითქოს ხელი.
— ნუ ვაგაოცებთ ჩემი სტუმრობა,
მკედლის ნაცნობი კაცი გახლავართ.
ბავშვებისათვის ხორავი მომაქვს,
ვგონებ, მოვზიდე შეულახავად.
ვიცი, იკითხავთ ახლა ლევანსაც,
შრომობს, ეჩვევა უკვე მკედლობას, —
ფანტავს სტუმარი სიტყვებს ლამაზად,
გულს მღელვარება გადაეკლობა.
ნინოს ხურჯინმა მოჰგვარა შვება
და... იგრძნო კაცის მზერა დამწველი.
ჭვრეტდა სტუმარი ქალის მშვენებას —
თმის სტრიქონებით მკერდზე
დაწერილს.

„იქნებ თვით ქალმა შეიხსნა ღილი,
ბროლის თითებმა, იქნებ, იანცეს?“
სტუმარს გაუწყდა წამით ღიმილი
და შეუგორდა გული დიაცხე.
ნინოც შეირხა ღელვით ავსილი,
მხედრის სურვილი იგრძნო იმანაც.
ახლა შენიშნა ღილი გახსნილი
და შიშველ მკერდზე ხელი იტაცა.



ჭეი, ქალებო, რაც უნდ გდაგადედთ აუწერელი, მძიმე დარდებით, — თუ მამაკაცმა თვალი დაგადგათ, მაინც კეკლუცად გაიბადრებით. და ვერ დაფარა ნინომაც ღელვა, გულმკერდი, მზეში ამონავლები. და მოენატრა წელს მოსარტყმელად ქმრის თუ, საერთოდ, კაცის მკლავები. ჩამოჰკრა წამმა, როს ზოგი ქალი მზადა. დაგვეს გაუბრძოლებლად. აღზნებულ გულში, ოცნების მალვით ერთუტრის ჩაპხედეს თანატოლებმა. მაგრამ მხედარმა, ნისლმოფენილი, ვერ ივრძნო ქალის ნატვრა ფარული, — რადგან ის წამი არ მოფრენილა ოქროს ივინების ნაზო ქოჩარუნით. დაემშვიდობა ნინოს მხედარი, ასე ავზნებას არა კვირობდა. და ცხენის ფეხთა თქარუნი ჩქარი გაქრა ცუდღარის სანაპიროდან.



ქალი სიმდიდრეს თუ აღარ ნატრობს, გულს უხალისებს ბედი ნანატრი, — თუნდაც ოცნებით ქმარს უღალატოს, ქმრისთვის ესეც კი არის ღალატი. მაგრამ თუ ქალი სიხარულს ეძებს ქალს შავი ბედი თუ ალატაკებს. — მის ტარიელსაც შეხვდებით ძნელად შინიდან წასულს და ნალალატებს.



„ნეტავ, ვინ იყო ის უცხო კაცი? გზები საიდან გადმოულახავს?“
საღდაც დამწვარა ამგვარი განცდით, ნინოს მისებრი მზერაც უნახავს... და როცა ბავშვებს გაუტკბათ ძილი, ნინომ ფიქრებთან ყოფნა არჩია. სარკის წინ დადგა, შეიხსნა ღილი, გულმკერდი ფართოდ გამოაჩინა. მკერდზე ვარსკვლავმა იფეთქა კენტად, შემდეგ დაწყვილდა აფერმკრთალებით.

ნინომ მისსავ მკერდს, თოვლივით სპეტაკს ჰკრეტა დაუწყო მხედრის თვალებით.



შინდისფერ კაბით მოირთო ღილით, ჩამოაშორა მტვერი ხილაბანდს და მიაწვდინა იმ დღესაც თვალი, ლევანს ქურასთან რომ იხილავდა. მაგრამ უეცრად ღილის ბინდ-ბუნდში რალაც სინათლე გაჩნდა ნარინჯად, მხედრის ჩვენებამ, ისე ვით გუშინ, თითქოს ოთახში შემოაბიჯა. ისევ დაადგა ნინოს თვალები, წინ აღემართა ნათელ სახიანს. ტყისკენ დაიძრა, ვით ნამთვრალევი, გამოიტყუა ქალიც სახლიდან. თვალთ ძილი ადევთ პატარებს ადლი, მთისკენ დაიდეს გზები ქარებმა და საბანაოდ მიჩნეულ ადგილს მიადგა ნინო აუჩქარებლად. ხელების თრთოლვით კაბა ასწია, თოვლის სითეთრე აჰყვა შვინდისფერს, კაბა დაეცა მიწას ნაწვიმარს და აელვარდა ზეცა შვიდივე. ორივე პეშვით მკერდი აწიდა, ძარღვთა კანკალი ივრძნო საოცრად, ლოყა შეახო თვითვე აზიზად, უსათუთესი გრძნობით ჩაჰკოცნა. ინატრა მხედრის რკინის მკლავებში თეთრი მტრედივით შეფრთხილებმა, მის ყურებამდე ჩაჰრილ ლაშვებში მარწყვის ტუჩების დალილვებმა; გაუპარსავი პირის ხახუნით თეთრი ლოყების ანაკვერჩხლებმა ყამირი გრძნობის აწ გასატეხად, თმაში ჰალარის გასამეჩხრებლად. ვარსკვლავთა დათვლა ინატრა გულით, ყველა ოცნების ყრმისთვის განდობა, გაშლილ ნაბადზე შიშველ სხეულის კლაკენა, წამება, ოფლად დადნობა... კვლავ მოეფერა მისსავ სხეულს, წყალში ჩამალა შოლტად მოქნილი და ცუდღარიდან ნისლის ხვეული ამოიკლავნა მადლა ორთქლივით.

— ჰეი, ცუღლარო, კაცთა ნათლულო,
როგორ გახსენო ისევ ცუღ-ღარად!
თოვლის სხეულზე შემოსალტულო,
კაცივით ვნებამ აგამდულარა?
შენ ვერ გაიგებ ალბათ ვერასდროს
სიძვა-არსიძვის ფილოსოფიას.
ემშაკმა იცის ვინ ვის ღალატობს,
ვინ როგორ მიდის წუთისოფლიდან.

*
* *

ბაზრის ბოლოში სამჭედლო ქშინავს,
მოჩანს ლევანი მჭედლებთან მდგარი.
ქურას ყოველწუთს ნახშირი შია,
რკინას — ცეცხლი და საბერელის ქარი.
ლევანს თუმც გული მოსძახის: დაჰკარ!
თუმც გრდემლს დასცქერის თვალთა
კაშკაშით, —

მაინც ამდენხანს, რატომღაც მკლავი
ვერ გაიწაფა კვერის დაკვრავში.
ერთი რომ დაჰკრავს, ის უნდა მიჰყვეს,
თითქოს ჰანგია, ხმა ხმას რომ ერთვის.
ხან ადრე დაჰკრავს, ხან იცდის დიდხანს
და მისი ურო სტყუის ყოველთვის.
არვის სცალია სიცილისათვის,
კვამლი დასერეს ცეცხლის ენებმა.
და ჭაბუკები ლევანის ხათრით
მალმალ სხდებიან შესასვენებლად;
ასანთს ვაჰკრავენ, ქაჩავენ თუთუნს,
თითქოს არ ეყოთ ბოლი ნახშირის.
ჯდება ლევანიც,

ბაასობს, ითმენს,
განგებ ილიმის სახეგაშლილი.
მკერდი მღელვარე ფიჭვებით უცემს,
ვერ იტანს სიციხეს, ხელთა სიშავეს.
ზოგჯერ სხვა მჭედლებს არც კი

დაუცდის,
თვითვე დაჯდება და ოფლს იმშრალეებს.
უცებ ოცნება უმხურვალესი
აღანთებს მის გულს ღელვით ახალით.
შორიდან თითქო ნინოს ხმა ესის
და პატარების სიცილ-ხარხარი...

*
* *

და ერთ დღეს, როცა დაუდევარი
ოდნაეად დაცხრა ქარი მამაცი, —

ნინომ შენიშნა გზაზე ლევანი,
მოაბიჯებდა მთვრალი, ბარბაციით...

ღარო, ცუღლარო, შენ რად ხარხარებ?
გაჩუმდებოდე, ნეტავ, მაცდურო.
ცუღს ცუღის კარგი რომ არ ახარებს,
რა საჭიროა დაადასტურო.

კარგს კარგთა რიცხვის ზრდა ახალისებს,
მუხებს შეხედე როგორ მღერიან.

ნინოს კისკისსაც, იქნება ისმენ,
შეხედე რარიგ მოუღბენია.

გგონია ლევანს უმტყუნა ძალამ,
რაც ვაისტუმრე, იგივე დაბრუნდა?

გამარჯვებული მეომრის ალამს
ხომ არ ელოდი მისგან საბუთად.

გეტყვი, სიბრაზით თუნდაც დაიხრჩო,
ხმას ავიმალღებ მჭედლის საქებად:

ალბათ, დალია სამაღარიჩო,
თორემ ღვინოსთან რა ესაქმება!

სამჭედლოს გახსნის! მაშ, რა გეგონა?
ხვალ აამღერებს რკინას მითროლვარეს.

მოდი, უსმინე შენს ნამეგობრალს
ცოლს რა სიტყვებით აღაფრთოვანებს.

ვერ ვისწავლეო?!

ხუმრობს პირველად,
შეცვლა სწადია ქალის გუნების.

ზოგჯერ ბრიყვსაც ხომ დაეჯერება,
ახლა კი მაინც ვერ გერწმუნები.

ღვინის ბრაღია. ჭიქა ხასხასა
ხუმრობის დედა არის პირველი.

შენ რომ ხახაში წვეთი ჩაგასხან,
ალბათ, უმაღლე გადაიჩრევი.

მაგრამ... მე ვხედავ ლევანის ღაღადს
ხუმრობის მაღლი აღარ აცხია.

შენ კი რა გითხრა, მართლაც ცუღლარო,
ალბათ, ელოდი ამ დღეს მარცხიანს.

*
* *

შუღამეა, ლევანის თვალებს
არ ეკარება ძილი წამითაც.

ნეტავი, დილა მოვიდეს მალე,
რაკი სიმშვიდე გაქრა, წავიდა.

მამლის ყვივლი მოესმა ახლოს,
უცებ გაუწყდა ძაფი ოცნების.

თითქოს ყინულის ხელი შეახეს,
კედელს მიეკრა ის გაოცებით.

„ნეტავ საიდან მოფრინდა ეს ხმა?“ —

სულ აუმღერია გული ფიქრებმა.
 ალბათ მოტყუვდა, ალბათ მოეცმა,
 თორემ მოსახლე აქ ვინ იქნება!
 კვლავ განმეორდა ხმა ახლობელი,
 ყვილის ძაღლების ყეფაც დაერთო.
 ნუთუ მოადგა კარზე სოფელი,
 ნუთუ ტბისპირიც გახდა საერთო?!
 ვერ მოისვენა, გაიჭრა გარეთ,
 გულს ასე დაჭრილს რა გაამრთელებს!
 მიმოიხედა და სოფლის მხარეს
 ხედავს სინათლის ციციანთელებს.
 სივრცეა შუქით გულდასერილი,
 მოჩანს სურათი ცეცხლის მომდები;
 ოდას ზურგიდან წამოპარვიან
 ახალმოსახლე გლეხთა ოდები...
 „დიცათ, ხალხო! ლევანს კვლავ სჯერა:
 მახეს დაუგებს ყველა მიმქარველს,
 შორს, ამ ტყის იქით გამართავს კერას,
 სულ ნაბდისგავლა მიწას იკმარებს“...
 თითქოს მგლის სული მოედინაო,
 მირბის და რწმენდა გულში აღრმავებს.
 მთებში მოდიოდდა სხივთა მდინარე,
 ასე სცოდნია ნაშუადამეცა.
 აი, ადგილი ფეხდაუდგამი,
 აქ დასახლდება, ფაცხას დაიდგამს.
 არ შეაშფოთებს მცირედი ჩქამიც,
 ახალ ცხოვრებას შექმნის თავიდან.
 გულზე მოეშვა ამ სიჩუმეში,
 თითქოსდა ქვეყნის ვალი ემართა.
 და ახლა იგრძნო შიშველ ფეხებში
 აუტანელი ჩხვლეტა ეკალთა.
 შევიშალო, იქნებ ნამდვილად, —
 ჩურჩულებს მდგარი საცელისამარა...
 ტყისკენ მოიწევს სინათლე დილის,
 ფრინველთა ძილის მოსაპარავად.



დილამ ნინოსაც მოჰპარა ძილი,
 იღვიძებს, ესმის გულის ურევება.
 ვერ შეეჩვია საკმაოდ ღიმილს,
 კვლავ მოსდგომია უბედურება.
 ფიქრობდა: შიმშილს კერიდან აღგვკვით,
 ეზოს თანდათან ვაქტევთ ედემად.
 ეგონა: ქმრისგან იყო ხორავი,
 გამოაგზავნა თურმე მქედელმა.
 უცებ გზისაკენ გაექცა თვალი

და გაოცება ველარ დაფარა:
 გზაზე ლევანი მორბის ღრიალით,
 სივრცეს მთარღვევს საცელისამარა.
 გლეხებმა თვარი მოჰკრეს და იცენეს,
 გაოცებულნი სიცილს აყრიან.
 მორბის ლევანი და იმათ სიცილს
 მოურბენინებს ქარი აყვია.
 ტახტზე დაემხო ლევანი თავქვე,
 ბალიშს ჩაეკრა დალილ სახითა.
 გულში კარგახანს აწყობდა საქმეს,
 შემდეგ: გაიჭრა ისევ სახლიდან
 და აუგორდა კვლავ რაკი გული,
 კვლავ მოიკითხა ხურო განთქმული
 და, სოფლისაკენ ზურგშექცეული,
 ისევ დაინგრა ოდა-სართული.
 შორს კი, სოფლიდან ობლად
 მივიარდნილ,
 ხმამიუწვდენელ მთათა მახლობლად
 მოაკალოვებს ერთი ადგილი
 ლევანის ახალ სამოსახლოდა.
 ლევანის გულის ტკივილიც დაცხრა,
 ჰკოცნიდა ხეებს ქარში მტოკავთა.
 სახელდახელოდ დაწნული ფაცხა
 ხით ჩამოვარდნილ ბუდეგ მოჰგავდა.
 და ტყის სიღრმეში, ბებერ იფნებთან,
 ლევანის შიშით, სწორედ იმ დღიდან
 ცაზე ჩიტები ვერ გადიფრენდნენ,
 ძირს ქიანქველა ვერ გაივლიდა...



თუმც სახლის ფულით ზამთარი სძლიეს,
 ვაზაფხულს მოჰყვა გაღარიბებაც.
 სახლი გაყიდეს...

ჩიტე რა არი
 და ჩიტის ქონი რაღა იქნება.
 კაფე-თესეო, — ხმა გუგულისა
 ველებს აცოცხლებს ფხვიერ მიწიანს.
 ისევ ამღერდა ლევანის გული
 და... ზაზრისაკენ გამოიწია.
 თვით ვასაყიდი რაღა ებადა,
 ფასების კითხვით დაკმაყოფილდა.
 უცნობ გლეხებთან სიტყვებს ბერავდა
 მონახეტები გაღმა სოფლიდან.
 ღიმილი პირზე ჭუჭყივით ეცხო, —
 დარდს ვერ დაუხვდა ისევ მამაცად.
 ერთი არაყით ყელი ჩარეცხა
 და შინისაკენ წამოპარბაცდა.

რატომღაც ხალისს გრძნობდა თანდათან,
 ძალა იპყრობდა ახალგაზრდული.
 ვილაყის ცხენი ნახა ჭალასთან
 გილაღებული და ღარღასმული.
 „რა ეღირება, ნეტავ, ჭურღანი“, —
 ფიჭის თავისთავად ფიჭი მოება.
 ცხენი, გაშლილი ჭალის სტუმარი,
 კვლავ შეერია ტყის მყუღროებას.
 — ლევანს ვახლავართ, — გღეღების
 ხმაზე

შემოტრიაღდა იგი წუთითა.
 თითქოს მოაგნეს ჭურღობის კვალზე,
 ლამის აღმოხდა გული ბუღიღან...



ნინოს დააწყდა გზისკენ თვალეღი,
 ეკ, არ დაადგა შიმშილს საშველი!
 ნამტრიაღევი და ფერმკრთალეღი,
 შემოხვევიან დეღას ბავშვეღი.
 დეღის გულს მაინც იმედი ავსებს,
 ნეტავ, ვინ მისცა ძალა მთებური!
 აი, ლევანიცი!

სოფლის გღეღკაცებს
 აქეთ მოუძღვის გააფთრებული.
 ნუთუ ცხაღია? მისი ყიყინი
 ცას აზანზარებს, ღრუბღებს შეერთო.
 მუშტებს მოიქნევს გზაზე გიყივით:
 ჩემს ჭოხში მაინც დამასვენეთო.
 ნინომ დღღმამაც შენიშნა შორით,
 მოხუცებულთა მოღის ლაშქარი.
 ხეღავს: ლევანის პირველი ცოლიც
 მისკენ მოიწევს, ისიც აქ არი.
 ის მეწისჭვიღეც, ხეღებგაშლიღი,
 ფართო გულმკერღით ნიაღს შეღმღია.
 იქნებ წაართვან უფროსი შვიღი
 და ჩააბარონ თავის ბებღას.



ხალხით აიღსო ეზო გაშლიღი,
 მათ წინ სიღართღე დაღდა მსაჯულღად:

— გაღაკარგულხართ ბზობის ყვეღვეღით,
 სიღარიბემაც ვერ მოგარგულათ.
 წამოღით სოფღად და თქვენს

ნასახლარს
 მიხეღეთ, განზე რისთვის დაღიხართ.
 უყეთეს სახლსაც აეღიგებთ ახალს,
 ოღონდ იზრომეთ ჩვენთან მხარიმხარ...
 არის კამათი დაუფთარაღი,
 ლევანი გულქვა გახდა ნამღვიღი.
 სეტყვას ქვა დახვდა გაუბზარაღი,
 ბაღავს — სასმისი ძირგავარღნიღი.
 ნინო მშობღლებთან აღურსად დნება,
 დაბერებულან საბრაღოეღი.
 ხვალ თუ ზეგ, აღბათ, დაიმღერება
 მათი სიცოცხლის საგაღობელი.
 ო, აღბათ, მამა აღრე ვერ დგება,
 ჯანს უძღღურება შეთვისებღია,
 წყაროღან კოკა ვერ მოაქვს დეღას
 და ორიღვ ერთად ეზიღღებღან.
 აღბათ, ტირიან, ღამეა როცა,
 გულს არაფერი არ უხარღია,
 დეღა ხატის წინ დაღღება ლოცვად
 და მოხუც მამას ჩასთვეღემს ბუხართან.
 მათ პურის ჭამას არცა აქვს გემო,
 სუფრასთან უზით დარღიღეც ბებერი.
 ორი სიცოცხღე, ვით ერთი, დნება
 და არღინა ჰყავთ დამტრირებღი.
 ბავშვეღებს ჰკოცნიან დაღვრემიღლები:
 თქვენ მაინც გენახეთ, გაგვახართო.
 მოხუცებს ცრემღი აღარ ეღევათ,
 სხვათა თვალეღბშიც ცრემღი აენთო.
 მხოლოდ ლევანის პირვეღი ცოღი
 ვერ ავსებულა გრძნობის დუღღღით,
 ნინოს მახღობღად დამღღგარა ცაღად
 და იქედნურად სახე უღღიმის.
 ვერ გამოუთქვამს ბოღმა ხმამღღლა
 და მრისხანება გულს შემოენთო,
 ნინოს ვაყს უხმო, ხალხს გაღასძახა:
 — ცხოვნებულ არიღის არ გაგონებთო?
 — გამეცაღენით, — ყვირის ლევანი
 გაფითრებულად მღღგარი აქამღღე.
 შეხეღდეს იმის სისხღღიან თვალეღბს
 და გღეღკაცეღი შიშით გაქვაღღენენ.

(გავრძეღება იქნება)

მოთარ ჩეჩელაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

ვცხადებ ვნაობას

საიღუპლო სერობა

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, რომ მე მხდალი არა ვარ, არც ურიგო მებრძოლი ვახლავართ... თუ რამე ცუდი გავით ვემხე, ეგ ზოგიერთი არაჩიოთხე ენატანიას მოჭორილი იქნება...

ხმელ-ხმელი იაშა წუხანდელი გამოყოლილია. სახე მიტკალივით აქვს გაფითრებული — ამ დილით სიმთვრალის გამოყვანა ვერ მოასწრო, ისე დაგვაცხრა თავზე პოლკის უფროსი. ახლა იაშა დგას მის წინაშე, ჰროლა თვალები საკმაოდ სულელურად უპარბალებს, საუბარში თავისდა უნებურად გრძელ ხელებს იშველიებს, მერე უცებ აგონდება, რომ უფროსის წინ გაჭიმული დგომა ჰპართებს, ხელის ვეება მტევნებს სასაცილოდ ფარჩხავს და ისე მიიწეებს სხეულზე.

— დიახ, იმას მოგახსენებდით, ალბათ ჩვენი მოქიშპეები ცდილობენ წყლის ამღვრევას და...

— Молча-ать!! — იქეჟა სმირნოვა. — კმარა ამდენი სისულელის ჩმავა!.. ნუ მიედმოედებით და ნუ ფანტაზიორობთ! თქვენ რა გგონიათ, მე ბრმა ვარ თუ სულელი? გუშინწინ რომ ბანქოს თამაშზე შემოგისწარით გალემილს — ესეც ენატანიებმა მოჭორეს? გუშინ რომ შეზარხოშებული აბრძანდით თვითმფრინავზე — ესეც? ყური მიგდეთ, ამხანაგო ლეიტენანტო: ეს უქანასკნელად გამიფრთხილებიხართ! გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! — ძლივს ამოთქვა იაშამ.

— მაგას ვნახავთ, როგორ არის თქვენთვის გასაგები და რას ნიშნავს უქანასკნელი გაფრთხილება!.. კოჩერგინ!

— აქ ვახლავართ!

— აქ რომ ბრძანდებით, ეგ არ კმარა! ერთი ჩაიხედეთ სარკეში — რას დამგვანებხართ! გაბურძენული წვერი, დათითხნილი ჩექმები. ღილები რაღას გიგავთ? ოფიცერი ასე უნდა გამოიყურებოდეს? — პოდპოლკოვნიკმა ერთი-ორჯერ უხმოდ აგვიარ-ჩავგვიარა მიწურების წინ გაწყრივებულ მფრინა-

* გაგრძელება იხ. „ცისკარი“, 1958 წ. № 7, 8, 9, 11. 1959 წ. № 1.

ვებს და კვლავ კოპებშეკრულმა განაგრძო: — თუ იმას ფიქრობთ — სულ ერთია, ესკადრილის უფროსი დაპრილია, კონტროლს აღარავინ ვაგვიწვესო? ა?.. ზოლოტუხინ, ქული გაისწორეთ და საყულო მჭიდროდ შეიბნით. აქ მე ბულვარი არ მომიწყვია!.. — ბოლთა დაარტყა და იქ შეჩერდა, სადაც არცადი ლეონტიევის ჩექმები კრიალებდა: — უნდა გრცხვენოდეთ, თავი გაქვთ მოსაპტრელი! თქვენი თანამებრძოლიდან მაინც აიღეთ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს საბჭოთა ოფიცერი!

და მან ლეიტენანტ ლეონტიევეზე მიგვითითა.

ლეონტიევეს წამწამიც არ აუხამხამებია, სახე არ შეუცვლია. ღირსეულად, დაჯერებული სახით გაკიმულიყო მწკრივში. ხოლო ჩემს გვერდი-გვერდ მდგარმა ტიუკოვმა და კირსანოვმა პოლკის უფროსის უკანასკნელ სიტყვებზე ჩუმად ჩაიციენეს. სმირნოვს არ გამოაპარვია:

— მანდ შეწყვიტეთ კრეკა! — დააბრიალა მან თვალები. — ვინც ხუმრობის გუნებაზეა იმათ მალე გავუხდი სახუმროდ საქმეს!.. ჩეჩელაშვილო, მწკრივში რომელ ნომრად ფრენთ ხოლმე?

— მესხეთე ნომრად, კირსანოვის თვითმფრინავს მივყვები, ლეიტენანტ ლეონტიევის წინ.

— აჰა! დღეის შემდეგ ესკადრილის მეთაურის მანქანას ვაყვებით, ზოლოტუხინის წინ. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

მაგრამ არაფერიც არ არის გასაგები. რას ნიშნავს ჩემი წინ გადაყვანა? კარგ მებრძოლად ჩამთვალეს და დამაწინაურეს, თუ... არა, კარგი მებრძოლი სავალდებულო არაა აუცილებლად პირველთაგანი მიფრინავდეს, მწკრივის ბოლოში ყოფნაც არაა ნაკლებად პასუხსაგები საქმე. მაშასადამე პირიქით, რაღაც არ მოეწონათ ჩემი, გამოუცდელად თუ ცუდ მებრძოლად მიმიჩნის და...

სისხლი ამემღვრა.

ამასობაში სმირნოვი უკვე დაშვებული ხმით განაგრძობდა!

— ვიდრე ეფრემოვი შეძლებდეს ფრენას, პირველი ესკადრილის მეთაურობას გასწევს ლეიტენანტი ლეონტიევი. აბა თქვენ იცით, არ დაიჩქაროთ უფროსის გამოკლება... მით უმეტეს, ხომ იცით — დღეს ძალიან მძიმე ბრძოლა მოგვლით.

წამით დაყოვნდა, შეყოყმანდა, რაღაცის თქმას აპირებდა და თითქოს ვერ გადაწყვიტა. ხელი ჩაიქნია, გაგვშორდა კიდევ; მაგრამ უეცრად ისევ შემობრუნდა და ჩუმად, ძალზე ჩუმად, რაღაცნაირი მტკივნეული ხმით მოგვმართა:

— არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ... ცუდი ხმები მომდის, ერთობ ცუდი. არც კი მინდა დავიჯერო. რაღაცას ამბობენ პირველ ესკადრალიაზე... ვილაც მხდლა გამოერიაო, საბჭოთა მებრძოლის სახელს ვილაც არცხვენსო... — სიტყვა მოსხიპა, თვალი მოგვევლო. — დმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ ნამდვილი ამბავია, ვისაც შეეხება, დროულად მოვიდეს გონს, თორემ...

და არ დაასრულა, მუქარის სიტყვები ველარ ამოთქვა მისმა ბაგემ, ველარ დაგვამუნათა საყვარელი თანამებრძოლები. ისედაც დიდი ტანჯვის საფასურად შეძლო თავისი ნაფიქრალის გაზიარება...

აეროდრომისკენ მიმავალი ვარიას შევეყარე.

მაგრამ ნუთუ ეს ის მხიარულა გოგონაა, ამ ორიოდე კვირის წინ რომ გავიცანი? რამ ჩააქრო მისი ციმციმა თვალები, შუბლი რამ მოუღრუბლა? რატომ შემომცქერის აგრე საეჭვოდ?

— ვარია, რა მოგივიდა?

მან პასუხი არ გამცა; მხოლოდ ახლოს მოვიდა, ძალიან ახლოს და გამხვრეტი მხერით შემომამშტერდა. კარგახანს მიყურებდა ასე, მერე მისი ბაგეები ნელნელა გაიხსნა და უცნაური რამ გავიგონე:

— არა, ეს არ იტყოდა, არასგზით არ იტყოდა!

გაოცებული ჩაყუჩრებდი ზღვისფერ თვალეშში და თითქოს შორიდან მომესმოდა მისი ჩურჩული:

— არა, ასე ვერ შემხვდავდა, თვალს ვერ გამისწორებდა. არა, ნამდვილად არა! — უეცრად ადგილიდან მოწყდა და სირბილით განაგრძო გზა.

— ვარია! — დავედევნე. — ვარია, დაიცადე, ერთ წამს გაჩერდი!

— მერე! მერე!.. — მომამახა უკანმოუხედავად.

— ვარია!..

— საღამოს გეტყვი... საღამოთი მომძებნე...

საკმაოდ უსიამო ფიქრებით მიყვები ნაცნობ ჭყაპსა და ტალახს. ან კი რა უნდა მქონდეს გასახარელი? ავერ რამდენმა ხანმა გაიარა, რაც ახალ პოლკში მოვედა და მთელი ამ ხნის მანძილზე რაღაც შებორკილივით ვარ, თითქოს უცხო ვიყო, თითქოს მტრის ბანაკში მოვხვედრილიყავი და არა მოყვრებისაში. ვერ დაუახლოვდი ბიჭებს. გული არავინ გამიხსნა, გული! გულს ვილა დაეძებს, ზოგი შუბლსაც არ მიხსნის, თორემ... ვერაფერი გამიგია — რა ხდება, ვის რა დავუშავე, ვის რა ვაწყენინე! იქნებ თავიანთ შესაფერის თანამებრძოლად არ მთვლიან, ჰა? მაგრამ არა, ეს მიზეზი არ უნდა იყოს. ასე რომ იყოს საქმე კობებს რაზე შემოიკრავდნენ, ზურგს რატომ შემამკვედნენ!.. პირიქით, შეეცდებოდნენ ხელი შეეწყით ჩემთვის, დამხმარებოდნენ, ესწავლებინათ... ერთადერთი, ვისთანაც ნამდვილად დავახლოვდი არკადია, ლეიტენანტი ლეონტიევი — გულისხმიერი კაცი, ზრდილი, თავაზიანი; ამდენი ხანია მიცნობს და ისევ „თქვენობით“ მომმართავს ხოლმე. თუმცა მარტო მე კი არა, ყველას ასე მიმართავს. თავის მხრივაც ასეთ კილოს შოთხოვია. არა, თვითონ არ გეტყვის ამას, მაგრამ გავრძობინებს, მივახვედრებს. როგორი დამცინავი ღიმილი გადაუსერავს ბაგეს, ზოლოტუხინი რომ აროხროხდება. „ეი, ლეონტიევ, სად ყოფილხარ?“

რა თქმა უნდა, ძნელი მოსასმენია გაუთლელი ზოლოტუხინის როხროხი!

ერთადერთი ის არ მომწონს ლეონტიევისა, რომ ჩემთან ერთად იაშასაც ემეგობრება. ამის გამო ხშირად აღმოჩნდები ხოლმე ბანქოს მოთამაშეთა და მსმელთა კამპანიაში და ვისმენ იაშას იქედნურ, გადაკრულ, ჩათინაურბნარევი მიქარვას. ვისმენ, გული მომდის, იქაურობის მიტოვება მინდა, მაგრამ არკადის ხათრით ადგილიდანაც არ ვიძვრი, ხმასაც არ ვიღებ.

არადა ასეთ ცხოვრებას არც აეროკლუბში ვიყავი შეჩვეული, არც სასწავლებელში და არც ძველ პოლკში, მორკოვეკინის ბიჭებთან. რა თქმა უნდა, ბრძოლა ბრძოლაა და, სადაც უნდა ვიყო, რა ხალხიც უნდა მერტყას გარშემო, მე ჩემი უნდა გავაკეთო, მაგრამ...

ეჰ, რაღა მაგრამ!... ჩვენი ესკადრილია უკვე მზადაა ასაფრენად. ჩემი მანქანის გვერდით გუგუნებს ლეიტენანტ ლეონტიევის თვითმფრინავი. მე ვუყურებ მის კონტა მოიერიშეს. თვითმფრინავი № 12. მიხარია, რომ ასე ახლოს ვიქნები მეგობართან, ფეხდაფეხ მივყვები მის მანქანას. ასეთ დროს კაცს ბრძოლის ხალისი გემატება როგორღაც...

მარტინოვიჩი
მოდერნიზაცია

აი, ავიმალაურეთ კიდეც უკან დარჩა აღლერი, ზღვა, ნაცნობი ფრონტის ხაზს ვუახლოვდებით.

ყურებზე მომაგრებული მცირე რადიო აშიშინდა. ეს არკადი ლეონტიევის ხმაა, ესკადრილის ამჟამინდელი მეთაურისა. ყველას მოგვმართავს:

— ჩემი თვითმფრინავი აღარ მემორჩილება. როგორც ჩანს, დაზიანებულია. ფრენას ვეღარ შევძლებ. ვბრუნდები აეროდრომზე. ზოლოტუხინ, წინ გადმონაცვლეთ, თქვენ გასწევთ ესკადრილის მეთაურობას...

იმ დღეს სასტიკი ბრძოლა გადაგვხდა, მაგრამ განსაკუთრებული და საოცარი არაფერი მომხდარა: გვესროდნენ და ვესროდით, ნოვგდევენენ და მივდევიდით, გვეკვეთებოდნენ და ვეკვეთებოდით, ვლწოდით და ვწვავდით და ვანადგურებდით.

მხოლოდ აეროდრომზე დაბრუნებისას მოხდა საოცრება. კაბინიდან რომ ჩამოვიდე და ჩვეულებისამებრ მარტო გავუყევი გზას, ტექნიკოსი მკრტიჩიანი წამომეწია:

— თოთარ-ჯან, თუ ძმა ხარ, გამაგებინე — რატომ დაბრუნდა ლეიტენანტი ლეონტიევი?

— როგორ „რატომ დაბრუნდა“. იმიტომ, რომ მისი მანქანა დაზიანებული ყოფილა. როგორღა უნდა წამოსულიყო?

— საიდან იცი?

— თვითონ გვითხრა, საიდან უნდა ვიცოდე!

— მაშ მეც გეტყვი ერთ რამეს, — ჩურჩულზე გადავიდა აშოტი, თუმცა ირგვლივ არავინ იყო გამგონი: — მე თვითონ შევამოწმე მისი თვითმფრინავი და...

— და?..

— აი, ეს მარჯვენა გამიხმეს, თუ ერთი დეტალი მაინც იყოს გაფუჭებული. მანქანა სანიმუშოდ მუშაობს...

ჰო, იმ დღეს კიდეც მოხდა ერთი საოცარი ამბავი, მაგრამ ეს უკვე შებინდებისას იყო, როდესაც მე ვარიას მივაკითხე თავის მიწურში.

ჩემს დანახვაზე იგი სასწრაფოდ წამოხტა, გარეთ გამომიყვანა, ხელი გამომდო, კარგა ხანს მატარა, ვიდრე სიბნელეში არ დავეინთქებოდით, იქ შეჩერდა, ხელში ხელა მაგრად ჩამჭიდა და მკითხა:

— მითხარი, ატაშა, თუ გყვარებია როდისმე?

ეს ისეთ კილოზე იყო ნათქვამი, რომ უეჭველსა და პირდაპირ პასუხს მოითხოვდა, თავის დაძვრენაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

— ნამდვილად, სერიოზულად — არავინ, — ვუპასუხე და ვიგრძენი, როგორ ამძიგვრდა გული, როგორ დამირბინა სხეულში რალაცნაირმა ყრუანტელმა, რომელიც შიშის მომასწავებელი უფრო იყო, ვიდრე სიამისა.

— არც ეხლა გიყვარს? — კიდეც უფრო მომიჭირა ხელი ვარიამ და ბინდბუნდშიც კი შევნიშნე, როგორ აუკიფდა თვალები.

გულმა ცემას მოუხშირა და შიშისა და უსიამოვნების უცნაური გრძობაც გამიძლიერდა... სამიჯნურო საქმეებში გამობრძმედილი არ ვიყავი, მაგრამ იმდენი კი გამეგებოდა, რომ გადაჭრით დამესკვნა: ყოველთავე, რაც იმ წუთას ზღებოდა, აშკარად ნიშნავდა ქალიშვილის მხრივ სიყვარულის გამოცხადებას, ყოველ შემთხვევაში მინიშნებას ან რალაც ამდაგვარს მაინც.

ესე იგი ვარიას მე...

თავბრუ დამეხვა. გაოგნებული ვიდექი და ვცდილობდი გაფანტული აზრი მომეკრიბა.



მაშასადამე, ასეა საქმე: ვარიას შევეყვარებივარ. ეტყობა, ჩემი მხრივაც ასეთსავე გრძნობას მოელოდა და, რაკი მე არაფერი გავუმჟღავნე, თვითონ ცდილობს მათქმევინოს...

მაგრამ ღმერთმა იცის, რომ მე ამგვარი გრძნობა გულში არ გამივლია, არც დამსიზმრებია. ვარიაც, ლიზას და ნატაშას მსგავსად, მხოლოდ კარგ, გულითად მეგობრად მიმაჩნდა. მეტი არაფერი. სრულებით არაფერი...

„შავთვალწარბა ქართველიო,
მისი ეშხით დათვევირო“.

მომავონდა უცებ გოგონების წანამღერი. მაშინ ეს სიტყვები უბრალო გახუმრებად, მეგობრულ შაირად მაივჩინე. ახლა კი სულ სხვაგვარად მესმის მათი მნიშვნელობა.

მაგრამ ამდენი ფიქრის დრო აღარაა: ვარია ჩემს წინ დგას, აღგზნებული თვალებით შემომყურებს და, ეტყობა, გულის ფანცქალით ელოდება ჩემს პასუხს. ჰო, გულის ფანცქალით ელოდება, საშინლად დელავს. ჩემი პასუხი როგორი-ღა იქნება? რა უნდა ვუთხრა? თუ ვუთხარი — კი, მიყვარს-მეთქი, ამას უეჭველად მოჰყვება მომდევნო კითხვა: „ვინ, ვინ გიყვარს?“ ვარია ხელს კიდევ უფრო მომიჭერს, გულიც უფრო აუფანცქალდება და ჩემს პასუხსაც უფრო გულგადაღებული დაელოდება. მერე რაღას ვეტყვი? შენ მიყვარხარ-მეთქი — ვერ შევძლებ ასეთი საძაგელი სიტყვის თქმას: ამგვარ რამეს არც ჩემს თავს გვადრებ და არც ვარიას. სხვა რამე რომ ვუთხრა? ვთქვათ, თბილისაში მყავს დატოვებული გულის სწორი. შავვგერემანი, შავთვალწარბა, ეშხიანი სტუდენტები (ვარიას წარმოსახვით). კი მაგრამ ან ამგვარ სიტყუეს რა ფასი აქვს, რის მაქნისია? ფუჰ, რა საზიზღრობა იქნება, ნამდვილი პროვინციელი დონ-ჟუანის როლში გამოვალ!

არადა ისიც ხომ არ შეიძლება, რომ ავდგე და ასეთი რამ წამოვროშო: „ამხანაგო ვარია, შენ მამაცი მებრძოლი ხარ, შესანიშნავი ადამიანი, მშვენიერი ქალიშვილი, მაგრამ მე შენ არ მიყვარხარ. დაივიწყე ეგ გრძნობა და მეგობრებად დავრჩეთ!“ ეს საზიზღრობასთან ერთად სასაცილოც იქნება, ძალზე სასაცილო...

— რატომ არაფერს მეუბნები? — გამომარკვია ვარიას ხმამ, რომელიც ახლა ათრთოლებული მომეჩვენა.

— რა გითხრა, ვარია, რა? — შევეკითხე უმწეოდ.

— ახლა თუ გაყვარს-მეთქი ვინმე.

— არა, არავენ! — გადავჭერი უეცრად და მძიმე ტვირთი ჩამოვიხსენი. ვარიას ხელი ცივად მომშორდა, რამდენადაც ვავარჩიე სიბნელეში — მისი აკიაფებული თვალებიც ჩაქრა. ქალიშვილი მცირე ხანს უჩუმრად იდგა ჩემს წინ, შემდეგ ჩამწყდარი ხმით წაილაპარაკა:

— მაშ შენ ვერ გამოიგებ, ვერაფერს ვერ გამოიგებ...

აჰა, დაიწყო, დაიწყო ჩემი სატანჯველი! ახლა ამას მოჰყვება ცრემლები, ქვითინი, ან, რაც ყველაფერზე უარესია, იქნებ უსიტყვო გაქცევაც. ყოველ შემთხვევაში რომანებში მუდამ ასე ხდება და ვარია ვითომ რთო არის სხვა ქალიშვილებზე უარესი ან, თუგინდ, უკეთესი?

მაგრამ ვარიას არც ცრემლები წამოსვლია და არც არსად გაქცეულა. თავდახრილი იდგა ჩემს წინ და რაღაც ფიქრს მასცემოდა.

— მაინც რას ვერ გაიგებ, ვარია? იქნებ მითხრა, იქნებ გაგიგო, — ვეღარ ავიტანე ღუმილი.

ვარიამ სევდიანად ამომხედა:

— ეჰ, გეტყვი, მაინც გეტყვი: ვერ გამიგებ, რას ნიშნავს სიყვარული და საყვარელი ადამიანისაგან შორს ყოფნა.

— როგორ შორს ყოფნა? — მართლა ვერაფერი გაიგე.

— შორს, ძალიან შორს ყოფნა. შენ ადლერში ხარ, შავი ზღვის პირას, ის კი აქედან ძალიან შორს, ვთქვათ, ლენინგრადთან, ბალტიის ზღვის სანაპიროსთან. შენ იბრძვი, თავგამოდებით ეკვეთები მტერს... ისიც იქ იბრძვის, ისიც მხოლოდ მტრის განადგურებაზე ფიქრობს... მაგრამ ბრძოლის შემდეგ, ბინდი რომ ჩამოწვება და გარემო ცოტათი მაინც მიწყნარდება, შენცა და ისიც ერთად ხართ... თქვენი სულეები ერთდება... გაიგე? თქვენ ერთმანეთს ხედებით და საუბრობთ, თვალეში ჩასცქერით ერთმანეთს, უსიტყვოდ, უთქმელად მიუხედებით სათქმელს... ასე გადის დღეები, თვეები... წელიწადი, წელიწადნახევარი... და უეცრად ის გეუბნება, ვთქვათ, წერილს გწერს და გეუბნება — შენი თვალეების გამომეტყველება ველარ გამიხსენებიაო, ვიგონებ და შენი სახეც თურმე წამშია მეხსიერებაშიო... გაიგე? — და ვარიას მართლა აუთრთოლდა ხმა, მართლა წამოუყვია ცრემლები, ნელ-ნელა, დაბა-ღუბით. ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, როგორ მოსცურავს მის დაწვებზე ცრემლები, — გაიგე? გამიგე? — ავლავ მეკითხება იგი. — გაიგე? ის გეუბნება ამას, ის, სხვა კი არა!..

გაშტერებული ვდგავარ. ვერაფერს მიემხედარვარ — რას ნიშნავს ეს ყოველივე: ქალი ჯერ სიყვარულს მიხსნიდა, გულის ფანცქალით ელოდებოდა ჩემს პასუხს. ახლა კი ვილაც ლენინგრადთან მყოფი არსება გამოტყვრა და იმის გახსენებაზე ვარია ცრემლად იღვრება... ჰა? ეინ არიო, ვინო? ის, ვთქვათ, ლენინგრადთან იბრძვისო, ბალტიის ზღვის სანაპიროსთანო? ხა-ხა-აა! რა ეშმაკეები არიან ეს ქალები! არა, ჩემო გოგონა, ასე ადვილად ვერ ამიხვევ თვალეებს! ვითომ რა, ჩემგან უარია რომ მოისმინე, შენც ინტიმარი აღარ გაიტყე, არა? აქაო და ვერ მოგართვეს, გეგონა შენზე ვიყავი გამიჯნურებული, მაგრამ მოტყვილიდო, მე შენზე არც მიფიქრია, ჩემი სატრფო აქედან ძალზე შორს არიო, ჰა?

მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა ვარიას უეცარი შეცვლა ამეხსნა. მეც ამგვარად ავხსენი და გუნებაში სიცოცხლორეულმა ვკითხე:

— მაინც ვინაა ის შორეული რაინდი, ა?

— როგორ? — თითქოს ვერ გაიგონა ვარიამ, თითქოს ღრმა ფიქრსა და ოცნებაში იყო დანთქმული, თავის არარსებულ გულის სწორს იგონებდა.

— ვინ არის-მეთქი ვილაც „ის“?

— ეჰ, ატაშა, რა ადვილი სათქმელია „ვილაც ის“! ხომ გითხარი, ვერაფერს გამიგებ-მეთქი... ავერ ერთი წელი შესრულდება, რაც ამ პოლკში ვარ და არავისთვის გამიზიარებია ჩემი გულისნადები. შენ რატომღაც თავიდანვე უცნაურად მოგენდე, რატომღაც ვერ მოვისვენე, ვიღრე არ გითხარი ჩემი და სლავას ამბავი. და აი, შენც სხეებისნაირი ყოფილხარ, დაცივისის მეტი ვერაფერი გამიგეტე ჩემთვის. თუმცა რა ვიცი, შენ კი გიცნობ კარგად? იქნებ ისიც მართალია, რაც მითხრეს, რაც ყურში ჩამაწვეეთეს...

მაგრამ მე მისი ბოლო სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ტვინში ლურსმანივით ჩამესო სახელი „სლავა“.

არა, რა ძალა ადგას, სახელიც რომ ხელად მოიგონა? ვითომ ამით სურს მარწმუნებინოს ვილაც მითითური მიჯნურის არსებობა!

— კარგია, კარგი! სახელიც მშვენიერი ჰქონია შენს შეყვარებულს. „სლავა“! ძალიან მომწონს.

— ატაშა, დამცინი თუ მართლა ამბობ? — შიშნარევი იქვით შემეკითხა ვარია.

— სრულებითაც არა. — მივუგე და უტბად თავში ელვასავით გამკრა: იქნებ ვარია არაფერსაც არ იგონებს და ნამდვილ ამბავს მეუბნება?

მაგრამ ეს აზრი თითქმის შეურაცხყოფელად, ჩემი თავმოყვარეობის შემლახველად მომეჩვენა რატომღაც. მაინც შევეკითხე:

— მართალი მითხარი, ვარია — რაც წელან მოჰყევი, ნამდვილი ამბავია. აუ მოიგონე? გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი!

— როგორ მოვიგონე? — გულწრფელად გაიოცა ქალიშვილმა.

— არ მოგიგონებია? სლავა მართლა არსებობს და შენც ნამდვილად გიყვარს?...

სიტყვა პირზე შემაწყდა.

— ატაშა, შენ უფიქრდები შენს სიტყვებს?

— მაშ ის რა იყო... ის... შენი ხელი... გამოხედვა... შეკითხვები... — გამბობდი ბურანში დანთქმულივით და ბურანშივე ვგრძნობდი — უდიდეს სისულელეს ჩავდიოდი. მაგრამ სიტყვა უკვე ნასროლი იყო და უკან ვეღარ დავიბრუნებდი.

— რაზე მეუბნები? — ვერ ხედებოდა ვარია.

— მაშ მე შენ... შენ ჩემდამი არაფერი? — დიდი გაჭირვებით ამოვღერდე როგორც იქნა.

და ვარიასაც უცებ ელვასავით გაუბრინა ერთმა აზრმა, უცებ ჩასწვდა ყოველივეს. მაგრამ ეტყობა დასარწმუნებლად მაინც შემეკითხა:

— ატაშა, შე ჩერჩეტო, შენ გეგონა, რომ მე შენ... მე სიყვარულს გიხსნიდი?

ვიდრე რაიმეს თქმას მოვასწრებდი, ორივემ ერთიმეორეს ხელები ჩავეკიდეთ და ორთავეს გულაინი სიცილი აგვიტყდა — წრფელი, განწმენდილი, ჯანსაღი სიცილი.

მცირე ხნით ამღვრეული ფიქრი და გრძნობა დამეწმინდა, აზრი გამინათლდა, გულზე მომეშვა და ძალიან მხიარულ, კარგ გუნებაზე დავდექი. მინდოდა ხელი კიდევ უფრო მჭიდროდ ჩამეკიდებინა ვარიასათვის და ერთად გაქეციულიყავით, გვერბინა, დიდხანს გვერბინა, ვიდრე ქანცი არ გაგვიწყდებოდა და გული საგულედან არ ამოგვივარდებოდა.

მაგრამ ვარიამ უეცრად შეწყვიტა სიცილი და ძალიან, ძალიან სერიოზული ხმით შემეკითხა:

— ატაშა, ყველაფერს გაფიცებ, ახლა რასაც გკითხავ, წელანდელივით მართალი მითხარი, არაფერი დამიმალო!

— ჰო!

— ესე იგი, შენ იფიქრე, რომ შენზე შეყვარებული ვიყავი, ხომ?

— კარგი ეხლა, გვეყოფა სულელობა!

— არა, მითხარი, გთხოვ! ამას დადი მნიშვნელობა აქვს... ძალიან გთხოვ!

— ჰო, ვიფიქრე და დარწმუნებულაც ვიყავი ბოლომდე.

— და შენ მაინც გულწრფელად მიპასუხე, ხომ? — არავინ მყვარებია და არც მიყვარსო, ხომ? ეხლა მითხარი — შენი ნაფიქრი რომ სწორი გამომდგარიყო და მე შენთვის მართლა ამეხსნა სიყვარული, რას იზამდი?

წამით ისევ გაიჩაჩუნა ეჭვმა თუ ეჭვისმაგვარმა გრძნობამ: იქნებ ლენინგრადელი მიჯნურის ამბავი მართლა მითი იყოს და ვარიას მართლა მე ვუყვარვარ?

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი გაელვება იყო და მე მტკიცე ხმით განვაცხადე:

— არ ვიცი, ვარია, ღმერთმანი არ ვიცი!.. თუ სიმართლე გინდა, მთელი

ხნის განმავლობაში, რაც შენ შეკითხვას მაძლედი, მაგ საკითხზე ვიმტკიცებდი... და ტვინს და ვერაფერი მოვიგონე... ალბათ ნუგეშისცემას დავაპირებდი... — და სასწრაფოდ დავატანე: — ოღონდ სულელად არ ჩამთვალე, იცოდე!

ვარიამ გაიხარა და მერე როგორ გაიხარა! ერთი შეხება და შეზბრიალდა, ტაშიც კი შემოკრა. მერე ხელები ისევ მჭიდროდ ჩამჭიდა და სხაბა-სხუბით ჰომეყარა:

— ატაშა. შენ გენაცვალე, რა კარგია!.. ოი, როგორ მიხარია!.. რომ იცოდე, მე დამნაშავე ვარ შენს წინაშე, ძალიან დამნაშავე ვარ!

— შენ მე ამაღამ მართლა გამასულელებ, ვარია! ეხლა უკვე სულ აღარაფერი გამეგება!

— ყური მიგდე! — ხმას დაუწია ვარიამ. — ეხლავე აგიხსნი ყველაფერს — რაც მითხრეს, რაც კინალამ დავიჯერე, კინალამ მართლა ცუდი გავივლე გულში...

— ვინ გითხრა, რა გითხრა, რა გაივლე?

— ვინ მითხრა — ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს ერთი. თქმით კი ასეთი რამე მითხრეს: თითქოს შენ დაგეტრბახეზინოს ბიჭებში... ოი, როგორ მრცხვევინია თქმა!.. კარგი, კარგი, ნუ აფუტხუნდი, გეტყვი! თითქოს შენ დაგეტრბახეზინოს ბიჭებში — ვარენკა ჩვენს პოლკში ყველაზე კარგი გოგოა და მაგ კარგ გოგონას ორ კვირაში გაგისაღებო... გაიგე?.. ღმერთო, როგორ მრცხვევინია!.. ვარიასთანები შემიცდენიაო?! ხომ იცით ჩვენი ამბავი — შავთვალწარბა ქართველს წინ ვინ დაუდგებო!.. გაიგე?

მაგრამ მე უკვე აღარ მსურდა მოსმენა. შევეღრიალე:

— ეხლავე მითხარი — ვისგან მოდის ეგ ბინძური ხმა, თორემ!.. თორემ!.. თორემ არ ვიცოდი, რას ვიზამდი.

— უნდა მაპატიო, ატაშა, არ მიწყინო, იცოდე! ოდნავ, სულ ოდნავ მეც შეეფიქრინა. რა ვიცი, არც ისე დიდი ხანია გიცნობ და... ხომ იცი, ადამიანის გაგება ადვილი არაა...

ვარიას ღუღუნა ხმა გულზე მალამოსავით მეღვრებოდა, აყეფებულ სისხლს მიწყინარებდა, მაგრამ ბოლომდე ვერ დამიწყინარა.

— მე შენ გეუბნები, ეხლავე მითხარი, ვინ დამიყარა ასეთი ხმა!.. გეუბნები მითხარი, თორემ!

— მოიცა, ატაშა, ამის თქმას არავითარი აზრი არა აქვს... მით უფრო ახლა. შემდეგ ვნახოთ... ჯერ მე თვითონ ვეტყვი საკადრისს იმ ვაჟბატონს...

— შენ რაც გინდა, ის უთხარი!.. ეგ ჩემი საქმე არაა. გეუბნები — ახლავე უნდა დამისახელო ვინც არის! — და კინალამ ყელში ვწვიდი სიმწრისაგან.

— დამშვიდდი-მეთქი, ატაშა! მომისმინე...

— მაშ არ გეუბნები, არა? არ გეუბნები?

— არა, არ გეტყვი! — მტკიცე ხმით განმიცხადა ვარიამ.

— კარგი, ძალიან კარგი! — ვიფშენეტდი ხელებს და სასწრაფოდ რაღაცის მოფიქრებას ვცდილობდი. — კარგი, ხომ არ გეუბნები! აბა იცოდე — ეგ ქორი კი არა — ნამდვილი ამბავი მოუტანიათ შენთვის... მართლა ვთქვი ასეთი რამე და მართლა მქონდა განზრახული...

— ხა-ხა-ა-ა! ატაშა, რა სულელი ხარ, ატაშა, ნამდვილი შტერი! ხა-ხა-ა-ა — აკისკისდა ვარია.

— რაც გინდა ის დამიძახე. მართლა ვაპირებდი, გეუბნები, მართლა ვაპირებდი და გავაკეთებდი კიდეც!..

— ოი, ნუ მომკალი სიცილით, ატაშა! რა გამოუცდელი ყოლიფხარ, რა ბავშვი ხარ! ხა-ხა-ი!

— რატომ ვარ გამოუცდელი? — ვიწყინე მე.

— იმიტომ, რომ, შე სულელო, გულში რომ მაგნიირი განზრახვა გქონოდა, როცა ის იფიქრე — ვარია სიყვარულს მიხსნისო, ჩემს შეკითხვებზე კერპივით „არა-არას“ კი არ დაიძახებდი, მეტყობი: „ჰო, ვარია, მიყვარს, მიყვარს ერთი ქალიშვილი და ეს ქალიშვილი... ამ ქალიშვილს ვარია ჰქვია...“ შენ, შენ მიყვარხარ, გენაცვალე!“ აი, რას მეტყობი და შეეცდებოდი ჩემთვის ხელი მოგეხვია? გეკოცნა... შენ ხომ გეგონა — შენზე ვიყავი შეყვარებული. ჰოდა, გულში რომ რამე გქონოდა, ასეთ შემთხვევას ხელიდან გაუშვებდი?! აი შე სულელო! ხა-ხა-ა!..

შემრცხვა. მართლა გავსულელდი, სისულელე წამოვროშე. ვარია ჩემზე გამოცდილი ფსიქოლოგი აღმოჩნდა. მაგრამ იხტიბარის გატეხა არ მინდოდა და ჯავრიანი, თუმცა უკვე დაშვებული ხმით ვუთხარი:

— კარგი, ეგ აგრე იყოს. მაგრამ თუ იმ ვაჟბატონის სახელს არ მეტყვი, იცოდე — მორჩა ჩვენი მეგობრობა.

— ეხლა ნუ მკითხავ, ატაშა, შენი ჭირიმე, ეხლა ნუ! — დამიტეხა და დამიყვავა ვარაამ. — სხვა დროს იყოს, ხვალ იყოს... ზეგ იყოს. მხოლოდ ეხლა ნუ, ძალიან გთხოვ! კარგი? აი, ასე სჯობს! აღარ მიწყრები? აღარ მეტუტები? აბა, მოდი, შევერიგდეთ! მაკოცე! მოდი მე გაკოცებ პირველი!..

ჩვენს გვერდით თითქოს რაღაცამ გაიშრიალა. თავი ავწიე. ვიღაც ახმახი წამოგვედგომოდა სიბნელეში.

— რომელი ხარ?

— კოცნაობთ? — იქედნურად ჩაიქირქილა ხმელ-ხმელმა იაშამ.



ვარიასთან საუბრის შემდეგ ჩემთვის ზოგი რამ ნათელი შეიქნა. მიგზვდი ვიღაც არამზადას მიერ გავრცელებული ბინძური ჭორი უკვე მთელ პოლკს მოსდებია. აი, თურმე რატომ მიბღვერენ ბიჭები. ყოველ მათგანს ვარია საკუთარ დად მიაჩნია, დასაც ურჩევნია. და ასეთ ქალიშვილზე ახალგამოჩეკილ მოიერიშეს — ლეიტენანტ ჩეჩელაშვილს საზიზღარი რამ უთქვამს, ისიც დაქადნებით უთქვამს, გულში ბოროტი, ბილწი აზრი ჩაუდევია!..

სიმწრისაგან და უილაჯობისაგან მთელი ღამე კბილებს ვაკრატუნებდი და საბნის ყურს ვღეჟავდი. უილაჯო მდგომარეობა არ იყო? რა უნდა მომემოქმედა, რით დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე, ჩემი პატიოსნება? ვარიას ჩამოვშორებოდი, მისთვის ზურგი მექცია, ხმაც აღარ გამეცა? იტყოდნენ — აბა, ეგეც შენ, ხომ ჩავივარდა კოვზი ნაცარში, ხომ ეცადე და არ გამოგივიდაო... არაფერი დამემჩნია და ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონოდა ვარისთან? აღარც ეს შეიძლებოდა, ჩანდა, მდგომარეობა უკვე ძალზე დაძაბული იყო და ბიჭებს მოთმინება ელევოდათ.

ახალა მაგონდება წინა დღეებში მომხდარი ამბები, რომლებსაც მაშინ, თავის დროზე ყურადღება არც მივაქციე.

ერთხელ ჩვენი ესკადრილის ბიჭები ერთად ისხდნენ აეროდრომზე. დავინახე და მათკენ გავეშურე. ჩემს მიახლოებაზე მხიარული საუბარი უცებ მოსხიპეს, აიბურძგლენ, მოიღუშენ, მტრულად შემომხედეს. მხოლოდ კოჩერგინმა პირზე გაურკვეველი ღიმილი აიკრა და გადაჭარბებული თავაზით მკითხა:

— როგორ ბრძანდებით, ქალების გულთამპყრობელო?

მაშინ გულიანად გამეცინა მის სიტყვებზე, რალაცნაირად მესიამოვნა კიდევ, რომ ამდენი ხნის უბრად ყოფნის შემდეგ ძლივს ერთმა მფრინავმა მინც გამეცა ხმა, რალაც მითხრა, გამეხუმრა, სალაპარაკოდ ერთმინიწვია. ჰო, მესიამოვნა და ჩემის მხრით მეც შევეცადე პასუხად საოხუნჯო რამე მეთქვა, ფთქვი კიდევ, მაგრამ ჩემს მტეს არავის გაცინებდა (არც გაღიმებია, სიცოცხლე დაეძებდა!), შუბლი არავის გაუხსნია.

თურმე რა ვიცოდი, რას ნიშნავდა „ქალების გულთამპყრობელი“

ამ ორი-სამი დღის წინ კიდევ მიწურში ვიყავი წამოწოლილი. მფრინავები ჭრახის ირგვლივ ხორბოცობდნენ. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე ჩამოედვოთ სიტყვა, ნაირ-ნაირ ამბებს, ზოგს ნამდვილსა და ზოგსაც მოჭორილს, ჰყვებოდნენ, იცინოდნენ, ცოტას ტრაბახობდნენ კიდევ, ცოტას ამაღებდნენ, ზოგჯერ ბილწსიტყვაობასაც არ ერიდებოდნენ. მე მათს ლაპარაკს ყურს არ ვუგდებდი, ჩემი საფიქრალი მქონდა. მხოლოდ ხანდახან მოაღწევდა ჩემს ცნობიერებამდე ცალკეული სიტყვები თუ წინადადებები. მაგრამ ერთმა რამემ კი მიიპყრო ჩემი ყურადღება. ბიჭებმა რომ ძალიან შესტოპეს, მანამდე მდუმარე ზოლოტუხინმა ერთი გულჯავრიანად შეიკურთხა და ბიჭებს შეუტია:

— კარგი ახლა, მოკეტეთ, თორემ ამ გაცეცხლებულ გულზე ერთს კარგად გაზიარებთ და... — მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — ზოგიერთს სხვასაც ზედ მოგაყოლებთ... დედას უტირებ, დედას!.. — შემდეგ წამოხტა, მიწურიდან გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, კინაღამ ჰანტიკებიდან ჩამოავდო.

ახლა ჩავწვდი მისი სიტყვების მისამართს: „ზოგიერთი სხვა“ მე ვიყავი. მე შემეჭრებოდნენ ნართაულად. ზოლოტუხინი და ვარია ხომ გულითადი მეგობრები იყვნენ!..

არ იქნა და ძილი არ მომეკარა ფიქრმორეულს. მივლულავდი თუ არა, თვალწინ მეხატებოდა ჩემი თანამებრძოლების მოქუშული სახეები, ზოლოტუხინის გაცეცხლებული თვალები, ხმელ-ხმელი იაშას უსიამო კრეჭა და მესამოდა მისი ჭირჭილი, იქედნური, ყრუანტელის მომგვრელი, კმაყოფილი ჭირჭილი ნათქვამი ერთადერთი სიტყვა: „კოცნაობთ?“

დილით ლავადმომბებული და თვალმდასიებული გამოძვევრი მიწურიდან. გარეთ უკვე ერთი ჩოჩქოლი იყო შემდგარი. პოლკის თითქმის ყველა მფრინავს თავი ერთად მოეყარა. ვიდაცას ბუზებივით ეხვეოდნენ, ერთმანეთს წინ წადგომამი ეცილებოდნენ, ყაყანობდნენ, ყვიროდნენ.

მეც გავეშურე იქითკენ, მეც გავძვერ-გამოძვევრი ხალხში და მალე შევიტყე საქმის ვითარება. თურმე უფროსი ლეიტენანტი ივანე ბარსუკოვი დღეს აპირებდა თავისი გამოგონების პრაქტიკულად შემოწმებას.

საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავი შესანიშნავი, ყოველმხრივ სანდო და ბრძოლაში გამტანი მანქანა იყო. მხოლოდ ერთადერთი ნაკლი გააჩნდა მას — კული არ ჰქონდა დაცული. მოიერიშის პილოტს მხოლოდ ის შეეძლო — მისი მხედველობის არეში მოხვედრილი მიზნისათვის მიეშვა ცეცხლი, ზურგიდან წამოპარულ მტერთან კი ვერაფერს აწყობდა. ეს იყო „აქილევისის ქუსლი“ ამ დიდებული მანქანისა. გერმანელებმა კარგად იცოდნენ ეს ამბავი, ამიტომ ბროლის დროს მუდამ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე უკანიდან, თვითმფრინავის კულის მხრიდან წამოგვპარვოდნენ. თუ რამე ზიანი მოსდიოდა ჩვენს მოიერიშეებს, მეტწილად ამ მიზეზით ხდებოდა ხოლმე.

ამის თაობაზე ხშირად გვილაპარაკია, გვიმსჯელია, თავი გვიტეხია, მაგრამ ამით საქმეს ვერაფერს ვშველოდით. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ შეიარაღების



ინეინერმა ბარსუკოვმა დაიქადა — ამ საქმეს თუ არ ვუშველე, კაცი ფილვარო. დაიწყო კიდევ მუშაობა ერთ-ერთ თვითმფრინავზე უკანა, მსროლელის კაბინის გასამართავად. პოლკის ბიჭები ერთავად დასცინოდნენ — ტყუილად წვალობ, არაფერი გამოგვიყო. მაგრამ ივანე პასუხად არას ამბობდა, კრიჭაშვიტული ჩაჰკრიკიტებდა თავის საქმეს და, აი, მიუღწევია კიდევ მიზნისათვის, დღეს მისი გამოგონების ბედი წყდება.

— ვინ წამოვა ჩემთან ერთად, ვის უნდა მსროლელად გავყვე ჩემს მანქანაზე? — გამომწვევად იკითხა ბარსუკოვმა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა — ბიჭები ასეთ ჯიქურ კითხვას არ მოელოდნენ. შემდეგ ერთად აყვირდნენ:

- მე წამოვალ!
- ჩემთან გერჩივოს, ივან!
- ზოლოტუხინი წამოვიდეს!
- არა, მე უნდა გავფრინდე პირველი!
- ჩეჩელაშვილი! — დაიძახა ვილაცამ.

ერთი-ორმა მფრინავმა წაიფრუტუნა. ფიცხლად შევტრიალდი — ყელში მინდოდა ვწვდომოდი ამ არამკითხვ ხუშარას. თავდაპირველად ზოლოტუხინის გამხვრეტ მზერას წაავწყდი. „ორმეტრიანი ილიოტი“ თვალებით მჭამდა, მომეჩვენა — საცაა თვის გოლით მარჯვენას გამართავს და გამარტყამს-მეთქი. ზოლოტუხინის უკან ხმელ-ხმელი იაშა აფათურებდა ჭროლა თვალებს, ვილაცას ეძებდა შეკრებილ ხალხში.

— ჩეჩელაშვილი! — ხელახლა დაიძახა იაშამ.

არა, ბარსუკოვის მეწყვილედ არ მასახლებდა იაშა, ეტყობა რაღაც საქმე გამოსჩენოდა. რა გაყვირებს-მეთქი, შევეკითხე უნდომლად.

— ოჰ, აქა ხარ? — გაუხარდა იაშას. — წამოდი ჩქარა, სმირნოვი გვაბარებს.

პოლკის უფროსის კაბინეტში შესვლისთანავე არკადის კრიალა ჩექმეში მეცა თვალში. ლეიტენანტი გაჭიმული უსმენდა პოდპოლკოვნიკს.

აღმოჩნდა, რომ ჩვენ სამნი, ლეონტიევის მეთაურობით, დაუყოვნებლივ უნდა გავფრენილიყავით მახლობელ ზღვისპირა ქალაქში ფრიად საშურო დავალების შესასრულებლად და ზოგ-ზოგი რამის ჩამოსაზიდად.

...საშურო საქმე მალე მოვათავეთ, მაგრამ აღღერში გადასატანი ტვირთის მიღება მეორე დღიამდე არ მოხერხდებოდა. არკადი ტელეფონით დაუკავშირდა სმირნოვს და მისგან დარჩენის უფლება მიიღო. წინ გვედვა თავისუფალი დღე.

— ახლა რა ვქნათ? — მიამიტად იკითხა იაშამ.

— პირველ ყოვლისა — საპარიკმახეროში! — გასცა ბრძანება არკადიმ. — ერთი ადამიანურად გავიპარსოთ და დავსუფთავდეთ. მერე ღმერთი გვიჩვენებს.

გაკონტავებულნი, დასუფთავებულნი და საკუთარი თავის ღირსებით აღვისილი სადალაქოდან რომ გამოვედით, ღმერთმა მართლა გვიჩვენა გზა — რა სჯობდა ზღვისპირა ქალაქის მშვენიერ ქუჩებში გასეირნებას!

ომი თავის დაღს დიდ ქალაქებს უფრო აჩნევს. დაბები და პატარა ქალაქები, მით უმეტეს ზღვისპირას მდებარენი, ომის დღეებშიც ინარჩუნებენ სიკონტავესა და ნანატრ მყუდროებას.

ახალმორწყული, მოასფალტებული ქუჩა. ლაზათიანად ჩაცმული მოქალაქენი. ყრიაშულითა და ჩანთების ქნევით სკოლისაკენ მიმავალი ბავშვები.

გაზონები. მარადმწვანე ხეები. ზღაური და თბილი მზე, მზიარულ მთაზე მოკაშკაშე, მაცდური და მომთენთავი მზე. კაცს აღარც გაგახსენდება, რომ აქვე, ასიოდე კილომეტრზე ფრონტის ხაზი გადის და ადამიანები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთებიან ერთიმეორეს.

სამივენი შესანიშნავ გუნებაზე დავდგაოთ. ნელნელა მივსერიანობთ. იაშა საკმაოდ წვეროსან ანგლოტებს ჰყვება, მაგრამ არკადი და მე სიცილით ვი-ხოცებით, გვაცვიფრებს ჩვენი ამუსონის გონებამახვილობა.

ბოლოს არკადი იმდენად პრეტურ გუნებაზე დადგა, ესენინის ლექსი გაიხსენა და ხმაშალა დეკლამაციას მიჰყო ხელი:

„Вы помните,
Вы все, конечно, помните...“

იაშას მგონი „მესერშიდტების“ არ ეშინია ისე, როგორც ლექსებისა. ჯერ მოიწყინა, მერე თვალეზი ააცეცა, საღდაც გასხლტა და დაგვეკარგა. თუმცა დიდი ხნით არ დაკარგულა. ვიდრე არკადი თვალეზის ნაბვით დაას-რულებდა გრძელი ლექსის კითხვას, იგი ხელახლა მოგვევლინა ბალივიოთ აწყობიანებული:

— გაიჩარხა საქმე. გოგო გავიჯანი — ქალის უნახვევს გაგხდით. საღამოს პაემანი მაქვს, კინოში მივდივართ. თუ ძალიან შემეხვეწებით, თქვენც წაგიყვანთ, ისინი სამნი იქნებიან...

— რა ფილმი გადის? იქნებ არც ღირდეს შესვლა და დროის დაკარ-გვა! — განურჩეველ კილოზე იკითხა ლეონტიევმა.

მაგრამ მისი თვალეზი ნეტარების ღიმილს აფრქვევდა...

შემდეგ პლაჟზე გავედით, სკამი მოვძებნეთ და დიდხანს ვისხედით გარინდებულნი.

ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე იაშამ არ აღმოაჩინა, რომ ჩვენ დილას აქეთ არაფერი გვექაშა.

— ო-ო, ეგ პრობლემა ღირს დაფიქრებად, — გამაწლაკუნა პირი არკა-დომ. — რას იტყვი, ოთარ, საით აჯობებს წასვლა?

— მე მგონი აეროდრომზე დავბრუნდეთ. იქ მშვენიერი სასადილო უნდა იყოს და ალბათ არავინ დაგვიამაღლის სამ ულუფას.

— შენ გიყი ხარ, ვილაცა ხარ! — გაცოფებული წამოვარდა იაშა. — ძლივს ერთი დღე მოგვეცა ადამიანური ცხოვრებისათვის და ამ დღესაც რუხულნი ქაშით გინდა ამოვიყოროთ? არა, ძმაო, მე ჯერ ჰქუა არ დამიკარ-გავს!

— წავიდეთ! — გასცა ბრძანება ლეონტიევმა: — აქვე ახლოს რესტორანია.

პატარა რესტორანში იმ დღეს მგონი ჩვენ აღმოვჩნდით პირველი მუშტ-რები. იაშა ხელობის ფშენტით მიადგა ბუფეტის დახლს, მე და არკადი კი პირდაპირ გავემართეთ განცალკევებული ოთახისაკენ. აქედან ჩანდა ზღვა და მზით განათებული უაკრიელი პლაჟი.

კარგა ხანს ვტკბებოდი სანახაობით. რაცა მოვიხედე, ჩვენი სუფრა უკვე დახუნძლული იყო კერძებით. სუფრასთან კი ხმელ-ხმელი იაშა ასეტილიყო და დახვეწილი მოძრაობით აძრობდა საცობს არაერთ სავესე ბოთლიდან...

სასმელი უჩვეულოდ ადრე მომეკიდა. მეოთხე ჭიქა რომ გადავკარიოთ, თავი უკვე მიბრუნდა და სუფრა ქანაობას იწყებდა.

ჩემს მეინახეებს გადაეხედე — ჯერ არაფერი დატყობოდათ, ისხდნენ და ღინჯად მასლაათობდნენ. გული მომივიდა — მე რა ამათზე ნაკლები ვარ-მეთქი! ეს რომ არა, აღარ ვაპირებდი დაღევას.

არკადიმ თბილისის სადღეგრძელო შესვა. ვიდრე იგი თავის ათწუთიან სიტყვას დაამთავრებდა, იაშამ ორი სასმისის გადაკვრა მოასწრო.

პირველი სიყვარულის სადღეგრძელომ მომტეხა კისერი. აღარ მახსოვს როგორ ჩამოვდევი თავი იდაყვზე და როგორ წამილო ძილმა...

— ის იყო, მაშინ ამებნა გზა-კვალი. სიყვარული... პირველი სიყვარული... ოჰ, ნინა... ნინა, ძვირფასო!..

ბურანში მესმის არკადის ხმა. როგორც ჩანს, ღიღხანს არ მიძინებია — საუბარი ისევ პირველ სიყვარულს შეეხება. მინდა თავი ავწიო, თვალი გავახილო, მაგრამ ვერც თავს მოვრევივარ და ვერც დამძიმებული ქუთუთოები გამიხსნია.

— ჰო, იმ წელს იყო სწორედ, ჩალოვი რომ დაიღუპა, მაშინ გამომიცხადა ჩემმა სატრფომ — თუ მართლა ვიყვარვარ, მფრინავი უნდა გამოხვიდეთ... მეცხრეელასელი ვიყავი და თავი სისულელეებით მქონდა გამოტენილი... ის იყო-მეთქი, მაშინ ამებნა გზა-კვალი — თბილისის აეროკლუბში ჩავწერე... რა ჩემი საქმე იყო მფრინავობა? ალბათ პოეტი გამოვიდოდი, ანდა მსახიობი, ან სხვა რამე ჯანდაბა... დასწყევლოს!.. მაგრამ ფრენა რომ ვისწავლე და ერთხელ ნინას სახლს თავზე გადავუქროლე, ღირდა ერთ რამედ...

— თითო ზომ არ გადაკრათ? — გაისმა იაშას შემპარავი ხმა.

— გადაკრათ! ეჰ, სულერთია!..

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა. მე ერთხელ კიდეც ვცადე თავის აწევა. მაგრამ ამაოდ. ამასობაში არკადიმ განაგრძო:

— მერე ეს ოხერი ომი დაიწყო და მართლა მფრინავი გავხდი. ნინა უკვე მოსკოვში სწავლობდა, უცხო ენებზე... აღარაფერი ვიცი — სად გაქრა, რა ბედი ეწია... ეტყობა, ევაკუაციაში მოხვდა და...

ამჯერად დუმილი ღიღხანს გაგრძელდა. ის იყო, ხელახლა ძილი მიპყრობდა კიდეც, რომ ისევ გაისმა არკადის ბარიტონი.

— ეხლა გესმის — რატომ შემიყვარდა ვარია? იმას ჰგავს, ჩემს ნინას. ჩემს ზღვისფერთვალებას... გაიგე?.. შემიყვარდა, დიახ! დიახ, ფრთხილად იყო ის ორმეტრიანი იდიოტი, თორემ... ვანანებ, გაიგე? ვანანებ-მეთქი! — და არკადიმ მუშტი დასცხო მაგიდაზე. — არაფერს არ მოვერიდები იცოდე, არავის უაინდობს!..

არკადი თითქმის ყვიროდა. მაგრამ როცა იაშას წინადადებით თითოც გადაჰკრეს, ხმა დაურბილდა:

— ეს საწყალიც იმის გულისთვის გავწირე იაშა, მხოლოდ იმის გულისთვის...

— ეგ საწყალი, რომ იცოდე, ძალიან კარგი ბიჭია. მშიშარა რომ არ იყოს, ბომბების ამბავი რომ არ ვიცოდე... შენ ხომ იცი, მე ლაჩრებს ვერ ვიტან. ან მოვკვდები და ან მაგას გამოვასწორებ. დაიცა, ერთი როგორმე ნაღდად წავუსწრო დანაშაულზე და მერე მე ვიცი, იაშა არ გყოფილვარ. თუ...

— ჰო, ჰო, შენ იცი და შენმა ბომბებმა. არ მიყვარს მაგაზე ლაპარაკი...

— დაიცა, შენ რა სთქვი? როგორ გავწირეო?

— ე-ეჰ! გავწირე, აბა რა ვქენი. კაცს მეგობრად მიგაჩნევარ და მე კიდევ, მე სულძაღლმა, ჭორი მოვუგონე... ზოლოტუხინისათვის მინდოდა დამეჯახებინა...

— რომელი ჭორი?

— აი, მაგაზე და ვარიანზე რომ დადის, ვითომ მაგას ეთქვას — ვარენკა ორ კვირაში ჩემი იქნებაო...

გულში რაღაცამ მიჩხვლატა. აშკარა იყო — ლაბარაჯი მე შემეხებოდა. კიდევ ბევრი რამ გახდა ჩემთვის აშკარა. ელვის უსწრაფესად გამოვფხიზლდი, მაგრამ რაღაც სასწაულით თავი შევიმაგრე — ზეზე არ წამოვჭრილვარ. კიდევ მქონდა იმედი: იქნებ სხვაზე-მეთქი ლაბარაჯი. წამით გავიტრუნე და დაძაბულმა ყური მივუვღე. ამჯერად იაშას ხმა ისმოდა:

— ე-ე, შენ ხუმრობ, ძმაო, ეგ ჭორი არ იქნება, მე თვითონ ვნახე ესა და ვარია წუხელის, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ.

— მიჰქარავ! — იქეჟა ლეონტიევმა და სკამის მოძრაობის ხმაზე მივხვდი, რომ ფეხზე წამოიჭრა. — ინტრიგას თავი დაანებე, იაშა, თორემ წიწილასავით წაგაცილი თავს, ძაღლიშვილო!

— აბა-ა, თავს ნუ იგდებ, ბატონო ლეიტენანტო, — გაისმა იაშას მშვიდი, შემბარავი, იქედნური ხმა. — მე კაცი მეგონე, შე უბედურო, დედალი ჯოფილხარ, ლეონტიევი, ჭორიჯანა და სულმოკლე... მართლა რომ გიყვარდეს ის გოგო, მაგეებს აღარ იკადრებდი ვაჟკაცი... ან მე როგორ მიბედავ მასეთი სიბინძურის მოყოლას! — უეცრად ხმას აუწია იაშამ. — რა, ლოთი რომა ვარ, ხომ არ გგონია ჩემი კაცობა და ჩემი ნამუსი დაკარგული მქონდეს... ფუჰ, შენი... — და გავიგონე, როგორ ისროლა იაშამ ფურთხი გარკვეული მიმართულებით.

— ახ, ასე-ე?!

აქამდე უცნაურად ვიყავი გაშეშებული, ვერასგზით თავი ვერ ავწიე. გული ყელში მებჯინებოდა, სისხლი მიდღღდა, მაგრამ თითქოს მრცხვენოდა კიდევ რაღაცისა... არკადის მრცხვენოდა, მის თვალეზში ჩახედვისა მრცხვენოდა, რადგან მათში ძველი სათნოების ნაცვლად სიბილწესა და სინდაბლეს დავინახავდი.

მაგრამ თავის შეკავებაც აღარ შემეძლო. ზეზე წამოვიჭერი.

ძლივს მოვატანე თვალი, როგორ ეძგერა არკადი ლეონტიევი თავის ადგილზე უძრავად მჯდარ იაშას, როგორ ელვისებურად წამოიჭრა იაშა და გამეტებით მოუქნია გრძელი, ძვლოვანი მარჯვენა.

ლეონტიევი კედელს შეენარცხა და უგრძნობლად ჩაიკეცა...



— დიდი უცნაური ვინმე კი ყოფილხარ, ჩემო ძმაო! — გამომიწოდა ხელი ბორის ზოლოტუხინმა, როდესაც აეროდრომიდან მომავალი გზად გადავეყარე. თვალეზში შევხედე — ეშმაკურად, მხიარულად უცინოდა და უკიანდებდა.

— რაზე მეუბნები?

— როგორ თუ რაზე! კაცს კეთროვანივით გერიდებოდით, პირს არ ვიჩვენებდით და ერთხელ მაინც გეკითხა — რა მოხდა, რატომ მემღურითო! პო, ნუ მიაშიტობ, ვითომ ვერაფერს ხვდებოდე... იაშამ ყველაფერი გვიამბო.

მელღვარებისაგან სული ყელში მომებჯინა და კინალამ ცრემლი არ მომდგა. მინდოდა რაღაც მეთქვა და ვერ ვახერხებდი.

— ჰა, რას იტყვი, დავივიწყოთ ყველაფერი?.. ჩვენა, ძმაო, ცუდი ბიჭები არა ვართ, მეგობრობაც ვიცით და კაცის გატანაც. მაგრამ ის გოგო... იმ გოგოს... მოკლედ, ხომ იცი, რა ხმებიც დავიყარა იმ აშშორებულმა არისტოკრატმა. ჰოდა, ჩვენც ყალყზე შევდექით, გადავირიეთ. ცოტა კიდევ და ცოცხალი

ველარ გადაგვიჩემბოდი. მართალია, ჩვენც დამნაშავენი ვართ — ასე უცებ უნდა დაგვეჯერებინა ჭორისათვის... მაგრამ იმ ოხერმა ისე მოხერხებულად დააგო ბაღე... თან ვარიაც საეჭვოდ იქცეოდა — ეს მეცადინეობაო, ის კონცაო... მოკლედ დავივიწყეთ! ჯანდაბას ლეონტიევის თავი და ტანი! ამინ!

დაუბრებულნი და ნაჩხუბარნი რომ დამეგობრდებოან. მათ ყურებას არაფერი სჯობს — პირდაპირ სულში უძერებიან ერთიმეორეს. მე და ბორისსაც ასე მოგვივიდა. ტკბილი მუსიკით მოვეყვებოდით აეროდრომიდან მომავალ გზას. ტალახი უკვე გაეშრო თებერვლის მცხუნვარე მზეს. ცხელოდა. შემოგარენი უჩვეულო მყუდროებას მოეცვა. ჩვენ დინჯად მივაბიჯებდით, საჩქარო არაფერი გვექონდა: პოლკის ღია პარტიული კრების დაწყებამდე მთელი საათი იყო დარჩენილი. ბორისი იმდღევანდელ ამბებს მომიტხრობდა. გუშინ და დღესაც მან და ივანე ბარსუკოვმა ერთად იფრინეს ინჟინრის მიერ მოწყობილი ახალი თვითმფრინავით. ბარსუკოვი მსროლელად იჯდა და ორ დღეში სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

— უნდა გენახა, როგორ აირიენ ფრიცები, — ჰყვებოდა გახალისებული ზოლოტუხინი. — არაფრით არ მოელოდნენ, რომ საბჭოთა მოიერიშე კუდიდან ცეცხლს გამოაფრქვევდა!.. სულ აებნათ თავგზა. ბარსუკოვმაც არ დააყოვნა და მისცხო და მისცხო ტყვიამფრქვევი. სულ კუდით ქვა ასროლინა!

ჩვენს უკან, აეროდრომის თავზე ზუზუნნი გაისმა. ორი თვითმფრინავი მოემართებოდა დასაშვები ბილიკებისაკენ — თვითმფრინავები ნომერი 12 და ნომერი 5. უსიამო გრძნობამ მომიცვა: მე-12 ნომრიანი მანქანა ხომ არკადი ლეონტიევის ეკუთვნოდა.

— ნეტავი რა მოხდა? — თითქოს თავისთავს ჰკითხაო ზოლოტუხინმა.

— რა უნდა მომხდარიყო?

— ეგ ლეონტიევის და კოჩერგინის თვითმფრინავებია. მაგათთან ერთად ხომ ვარია და ვალოდია ტიუკოვიც გაფრინდნენ!..

მანქანები უკვე მიწას უნდა შეხებოდნენ ბორბლებით. როგორღაც მეუცნაურა მათი ზუზუნნი.

— ალბათ რომელიმე ობიექტზე დაყოვნდენ, — მივუხე მე.

ზოლოტუხინმა შემომხედა და ერთიმეორეს თვალი რომ გავუსწორეთ, უცერად ორივე გაურკვეველმა შიშმა მოგვიცვა.

— ჰო, რალა თქმა უნდა, ახლა ხომ ისეთი ვითარებაა, წყვილ-წყვილად ფრენა სჯობს ოთხი მანქანის მწყობრში ჩადგომას. ალბათ ისინიც მალე დაბრუნდებიან. — შეცვლილი ხმით ამბობდა ზოლოტუხინი.

— რასაკვირველია, მალე დაბრუნდებიან! — კვერს ვუკრავდი მე. თან ორივენი უკან, აეროდრომისაკენ მივდიოდით ჩქარი ნაბიჯით.

— მაინც ვკითხოთ კოჩერგინს... — ჩაილაბარაკა ბორისმა და ნაბიჯს უფრო მოუმატა.

— ვკითხოთ, ვკითხოთ! — და სირბილზე გადავედიო...

ჩვენს მეტი თითქოს არავინ ჩანდა, საიდან მოიყარა თავი ამდენმა ხალხმა? წინათგრძნობა და შიში გადამდებია. ალბათ ამიტომ გავრბივართ ყველანი ერთმანეთის წინ-წინ.

ორმა მფრინავმა დიდი გაჭირვებით ჩამოიყვანა კაბინიდან შუბლზე სისხლჩამოღარული, სანახევროდ ცნობაწართმეული გრიშა კოჩერგინი. მაინც მივაყარეთ შეკითხვები. ერთიმეორეს არ ვაცლიდით, ყველას ერთად გვინდოდა გვევგო ვარიას და ტიუკოვის ამბავი. მაგრამ კოჩერგინმა ხელით რალაც გაურკვეველი მოხაზა ჰაერში და ნიკაბი მკერდზე ჩამოუფარდა.



მამინ ხელიერთპირად შეგბრუნდით და იქითკენ გავეკანეთ, სადაც ჩერებულყო თვითმფრინავი ნომერი 12. იქ არავინ ჩანდა, ჩამი-ჩუმი არ მონდა, კაცი იფიქრებდა — ამ მანქანას პილოტი არც ჰყოლიაო. მხოლოდ უფრო ახლოს რომ მივიბრინეთ, თვითმფრინავის ვეება ფრთის ქვეშ, მწვანეზე, კრილა ჩექმებს მოვკარი თვალი. პირქვე დამხობილ ლეიტენანტს მხრები უთრთოდა, ხელებით პოტნიდა, ბლუჯავდა, თხრიდა ბალახს და მიწას.

საჭირო აღარ იყო შეკითხვების მიცემა, ამბის ვაგება და დეტალების გამოძიება. ისედაც უკვე ვიცოდით ყველამ: ზღვისფერთვალება ვარია აღარასოდეს მოფრინდებოდა ჩვენს აეროდრომზე.

ეს არ იყო ყველასათვის კარგად ნაცნობი ღია პარტიული კრება, რომლის მსგავსიც არაერთხელ ჩავგიტარებია ფრონტული ცხოვრების დროს. მიწური ყრუდ ბუბუნებდა; იტყოდით — სადაცაა აქედან ხორცშესხმული რისხვა გაიქრება და ავბედითად დაატყდება თავზე პირველსავე შეხვედრილ მოწინააღმდეგესო. მთელი პოლკი შეაძრწუნა ვარიასა და ტიუკოვის დაღუპვის ამბავმა. მფრინავები ფიცს დებდნენ, რომ მტერს ამ დანაკარგს ასმაგად აზღვევინებდნენ.

უცებ თავმჯდომარის მაგიდასთან ვალოდია კირსანოვი მიიჭრა. ხელში ქალღლის ნახევს აფრიალებდა. ეს იყო განცხადება, რომლითაც ითხოვდა პარტიის რიგებში მიღებას. მიწურში სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში ზედღიხედ გაისმა რამდენიმე წამოძახილი:

— მეც ვითხოვ მიღებას!

— მეც!

— ჩემი განცხადებაც განიხილეთ!

ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი...

ყველანი კომკავშირელები არიან, კომკავშირის მიერ აღზრდილი მფრინავები... ცხადად ვიგრძენი: ეს ბიჭები ჩემს ნაგრძნობსა და ნაფიქრს გამოხატავდნენ. ამიტომ ფეხზე წამოვიჭერი და დავიძახე:

— მეც შემომამქვს განცხადება... გთხოვთ განიხილოთ და უარი არ მითხრათ. ვფიცავ, რომ...

— კმა-ა-არა! — გაისმა ამ დროს შემზარავი ღრიალი და ყველანი იქითკენ შევტრიალეთ, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. ჭრაქის მბჟუტავ სინათლეზე ძლივს გავრჩევდა კაცი: მიწურის კუთხეში ფეხზე იდგა ხმელ-ხმელი იაშა, ეტყობოდა — ამჯერადაც ნასვამი. იმ გუნებაზე რომ ვყოფილიყავით, იქნებ გავკვცინებოდა კიდევ, იმდენად უადგილო და ახირებული იყო იაშას საქციელი. თავმჯდომარემ მაგიდაზე ფანქარი ააკაკუნა. აქეთ-იქით უკმაყოფილო შეძახილები გაისმა. გვერდზე მყოფნი ხალათზე ექაჩებოდნენ იაშას. მაგრამ მან ხელი აუტკრა, ძელზე მსხლმ მფრინავთა რიგები გამოარღვია, მაგიდას მიუახლოვდა და (რას ვიფიქრებდი!) სწორედ ჩემს პირდაპირ შეჩერდა, ბოღმით საესე ხმით ამოიხრიალა:

— კმარა-მეთქი! გაათავე ეგ კომედია! ვარიას ხსოვნას მაინც ეცი პატივი, შე!..

აშკარა იყო — მე მომმართავდნენ. მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ რაღაც გაუგებარი ხდებოდა.

— მე მეუბნები? — ძლივს ამოვიღე ხმა ფეხზე მდგომმა.

— დიახ, დიახ, შენ გეუბნები: ან ახლავე გაათავე კომედია, შენი პირით აღიარე ყველაფერი, ან კიდევ... თუ არა და...

— რა უნდა გავათავო, რა უნდა ვალიარო, ბიჭო, ვაგიყდი?

— რა და შენი სიმხდალე, შენი ქვეშევრეობა და პირვერობა!..

სისხლი თავში ამივარდა. ირგვლივ ყოველივე გაქრა. ვხედავდი მხოლოდ იაშას ბოლმით ათრთოლებულსა და გადაფითრებულ სახეს, ჩემზე გადმოკაკლულ თვალებს და ავსებული ვიყავი ერთადერთი გრძნობით: ეს სახე უნდა დამეჩეჩქვა, უნდა გამექრო, იქაურობისათვის მომეშორებინა.

რალა თქმა უნდა, იაშამდე არავინ მიმიშვა; შეიქნა ჩოჩქოლი, ყვირილი, აურზაური.

თავმჯდომარემ მრისხანედ დასცხო მუშტი მაგიდას. უეცრად ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და იაშამ ხელახლა ხმა ამოიღო:

— მე გთხოვთ, სიტყვა მომცეთ, სულ ორი წუთით! დროს არ დაგაკარგვინებთ...

— თქვი...

იაშა წინ წადგა, მთელ მიწურს მიუბრუნდა:

— აქამდე მე არაფერს ვამბობდი. ვფიქრობდი — ის, რაც მე ვიცი, იქნებ შემთხვევის ამბავია, აღრე თუ გვიან საქმე გამოსწორდება-მეთქი. მაგრამ დღეს ჩეჩელაშვილმა ისეთი თავხედობა გამოიჩინა, რომ... ჰმ... პარტიაში უნდა შესვლა ვაუბატონს... პარტიაში... ვაიგეთ? მერე და რით დაიმსახურა ამის უფლება, რით ისახელა თავი?.. სიმხდალით და დედლობით?..

მიწური უკმაყოფილოდ შეიმშუმუნა, აქა-იქ რაღაც ჩაილაპარაკეს. იაშას ამ ამბისთვის თითქოს ყურადღება არც მიუქცევია, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და განაგრძო:

— მე ვიცი, ჩემი სიტყვების არ გჯერათ. მსმელი კაცი ვარ და სახელი მაქვს გატეხილი. ამიტომ აქამდე არაფერს ვამბობდი. ეხლაც არ ამოვიღებდი ხმას, მაგრამ ამის მოთმენა არ შეიძლება... არ მოტყუვდეთ! ჩეჩელაშვილი არაა პარტიაში მიღების ღირსი!.. — ბოლო სიტყვები თითქმის ყვირილით ამოისროლა იაშამ.

— იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ? — ჩაურთო თავმჯდომარემ.

— მოგახსენებთ, მოგახსენებთ, ახლავე მოგახსენებთ!.. ერთ ამბავს მოგიყვებით, მხოლოდ ერთ ეპიზოდს... — სხაპასხუპით მიაყარა დედკოვმა. — ეს ამბავი შარშან მოხდა, ორმოცდაორი წლის ოცდაექვს თებერვალს... — მან გორიზად გადმომხედა და ისევ კრებას მიუბრუნდა. — ჩვენი თვითმფრინავით მტრის ტერიტორიის თავზე, ზღვის პირას მივფრინავდით. უცებ ვხედავთ — ნაპირთან წყლის სვეტები წამოიმართა. ჩვენ გაგვიკვირდა — იმ ადგილას რამდენიმე უმნიშვნელო შენობის მეტი არაფერი ყოფილა, წყალშიც ერთი თუ ორი კარჭაბი ტივტივებდა — ეს იყო და ეს... მაშ ვის მოუვიდა თავში იმ ადგილის დაბობნება? იქით გავეშურეთ და დავინახეთ ჩვენი პოლკის თვითმფრინავი, რომელიც ზღვაში აცარიელებდა ძარას, უსარგებლოდ ჰყრიდა ბომბების ტვირთს... ცხადია, რატომ ხდებოდა ეს ამბავი — იმ თვითმფრინავში მჯდომ ვაუბატონებს დასაბობმ ობიექტზე გამოჩენა ეშინოდათ. იფიქრეს — მარტონი ვართ, ვინ რას გავგიგებს, ეს ტვირთი უკაცრიელ ადგილას ჩამოვყაროთ და მერე მშვიდობიანად და გულარხეინად შინისაკენ გავიქურწოთ. აი, რა ხალხი იჯდა იმ თვითმფრინავში... და იცით, ვინ იყო იმ მანქანის მფრინავი, ეკიპაჟის უფროსი? აი, ეს ყმაწვილი გახლდათ, ეხლა პარტიის რიგებში მიღებას რომ თხოულობს... — და მან ჩემსკენ გამოიშვირა უზომოდ გრძელი მარჯვენა.

მიწურში სამარისებური სიჩუმე დასადგურებელიყო. ყველა გალურსული იჯდა და ელოდა მოსახდენს. იაშა მცირე ხანს ასე ხელგამოწვდილი იჯდა,

შემდეგ იმ ხელით შუბლზე გამოსხმული ოფლი მოიწმინდა და განაგრძო:

— რაც მართალია, მართალია — კარგ საქმეს არ დავფარავ. ამ ამბავს რომ ვუთვალთვალავდით, იმავე წუთას ოთხი „მესერი“ დაესხა ჩვენს თვითმფრინავს. ცუდად გექონდა საქმე. მაგრამ ევა და მავის ბიჭები მოგვეშველნენ... არ ვიცი, როგორ მოუვიდათ ასეთი ვაჟკაცობა... ზოდა, გადაგვარჩინეს. მოკლედ რომ ვთქვა, გერმანელები გავაქციეთ. მეტს აღარ გავაგრძელებ. იმ ამბავის დაიწყოება მინდოდა, მაგრამ ესლა, აი ამ ჩვენს პოლკში ჩეჩელაშვილი მოვიდა თუ არა. მაშინვე ხმები დაიჩხა: ვილაც სულმოკლე და ლაჩარი გამოგვერია ჰფრინავებშიო, ზომბების ტვირთს ობიექტის თავზე მისვლამდე ჰყრის, ცოტა აანს ღრუბლებში მიიმალება და მერე უკან დაბრუნებულ ესკადრილიას უერთდებაო... გახსოვთ, ამხანაგმა სმირნოვმაც გადმოგვერა ამის თაობაზე სიტყვა!.. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იყოს ის დედალი, ჰა? ვინ უნდა იყოს-მეთქი!

ესლა კი აფუგუნდა მიწური, აყრილ სკასავით აფუგუნდა, აზუზუნდა და აჩოჩქოლდა. მრავალი მზერა იყო ჩემსკენ მოპყრობილი, ალაგ-ალაგ ისიც წამოიძახეს — ჩეჩელაშვილმა თავი იმართლოს თუკი შეუძლიაო. ხმაური მატულობდა. მე გაფითრებული ვიჯექე და, ესლა რომ მაგონდება მაშინდელი ჩემი თავი, მგონი მართლა სააშკაროზე გამოყვანილი დამნაშავეის შესახებდაობა მქონდა. ყოველ შემთხვევაში საძაგელ დღეში ვიყავი.

არა, რა სათქმელია, ადრე თუ გვიან ხომ უნდა გარკვეულიყო ჩემი სიმართლე! მაგრამ ეს „ადრე თუ გვიან“ უფრო „გვიან“ იქნებოდა; რით შემძლო თავის მართლება? აქამად მხოლოდ სიტყვით, მომავალში კი საქმით, მოქმედებით. ამ ადელეგებულსა და ნერვებდაძაბულ ხალხს კი შესაძლოა ჩემი სიტყვა ამ წუთას არ ერწმუნებინა, საამისო პირი უჩანდა საქმეს.

წამოდგა პოდპოლკოვნიკი სმირნოვი. მის დანახვაზე მიწურში ხმაური მიწელდა და ყველამ გაიგონა პოლკის უფროსის დაბალ ხმაზე ნათქვამი:

— მოუესმინოთ უმცროს ლეიტენანტ ჩეჩელაშვილს... თქვენ დაჯექით, დედაკო!

ბევრი საფიქრალი და ასაწონ-დასაწონი არაფერი მქონდა. გულწრფელად დავიწყე იმის მოყოლა, თუ რატომ ჩავეყარეთ მაშინ ზომბები ზღვაში. ეს იყო მანევრი, რომლის წყალობითაც რამდენიმე ასეული უდანაშაულო ქალი, ბავშვი და მოხუცი სიკვდილს გადაგარჩინეთ, მტრის ობიექტი კი დავბომბეთ-მეთქი.

— მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, — დავუმატე ზოლოს. — ჰო, რაც შეეხება იმ ამბავს, რომ ესლა ამ ჩვენს პოლკში ურევია ვილაც ლაჩარი, მავისას ვერაფერს მოგახსენებთ, არაფერი ვიცი...

— სტყუი! — წამოვარდა ფეხზე იაშა. — ნუ გგონია ასე ადვილად გავკაცურო შენი გულისამაჩუყებელი თავგადასავლით... კარგი, ვთქვათ, შარშან მართლა შენ რომ მოპყევი, ისე იყო საქმე. წელს რაღა ღმერთი გიწყება?

— დედაკო, ვიდრე თქვენი თვალით არ გინახავთ, რომ ჩეჩელაშვილს ზომბები მიზანთან მიფრენამდე ჩამოეყაროს, მანამდე მასეთ მძიმე ბრალდებას ნუ წაუყენებთ, — უთხრა სმირნოვმა.

— როგორ თუ არ მინახავს? ვნახე, ამ ორი თვალით რაც ვნახე, იმას მოგახსენებთ... — იაშამ თვალთ კირსანოვი მოსძებნა და იმას მიმართა: — ვალოდია, ხომ ხედავ, რა ხდება! სიმართლე ესლავე უნდა გავარკვიოთ. აბა გულზე ხელი დაიდე და ისე მიპასუხე, რასაც გკითხავ. წინა პარასკევს მე და შენ საკუთარი თვალთ დავინახეთ თუ არა, რომ ორი ჩვენი თვითმფრინავიდან ერთ-ერთმა ზომბები უკაცურ, ტრიალ მინდორს დააყარა თავზე?



მიწური გაიტრუნა პასუხის მოლოდინში. მრავალი წყვილი თვალი დო ვალოდია კირსანოვს, რომელმაც მტკიცე ხმით განაცხადა:

— დავინახეთ.

— რა ნომრები ჰქონდა იმ თვითმფრინავებს?

— ერთს თორმეტი და მეორეს შვიდი.

— უჰ! — ერთად ამოიგმინა რამდენიმე გულმა. იაშა სხაპასხუპით განგრძობდა:

— ჩვენთავან ვერც ერთმა ვერ გაარჩია — ნამდვილად რომელი იყო ამ ორი თვითმფრინავიდან. მაგრამ თქვენ თვითონ დაასკვნით: თორმეტი ნომერი, მოგეხსენებათ, ლეონტიევისაა, შვიდი ჩეჩელაშვილისა. მართალია, გუშინდელს შემდეგ ლეონტიევზე დიდი წარმოდგენის არა ვარ, გავიგე, რა ფრინველიც ბრძანებულა, რა სინდისის პატრონი ყოფილა. მაგრამ ხელს მოვიჭრი. თუ ვინმეს შეუძლია დააბრალოს ლეონტიევს — შენ მხდალი, ლაჩარი ხარ, ბომბებს უდაბურ მინდორზე ჰყრი, მიზნის თავზე გამოჩენისა გეშინიაო. როგორც მფრინავს და მებრძოლს ლეონტიევს აუგად ვერავეინ მოიხსენიებს. ეს ნამდვილად ასეა. ხომ ასეა?

— ასეა, ნამდვილად ასეა! — ერთხმად დაიგუგუნა მიწურმა.

— დიხ, ასეა. ლეონტიევს ორი ორდენი ტყვილად არ მიუღია; სანიმუშო ოფიცრად ითვლება და ბევრი სასახლო საბრძოლო დავალება შექსრულებია.

— სწორია, სწორს ამბობ! — კვლავ დაადასტურეს აქეთ-იქიდან.

— ჰოდა, თუკი სწორს ვამბობ, თქვენ თვითონ დაასკვნით-მეთქი: იმ ორი თვითმფრინავიდან ერთ-ერთმა ნამდვილად უკაცურ მინდორში ჩამოჰყარა ბომბები. რომელი იქნებოდა იმ ორიდან — მეთორმეტე თუ მეშვიდე? ლეონტიევი თუ ჩეჩელაშვილი?

სამარისებურ სიჩუმეში იაშამ გამომწვევი მხერა მოავლო მიწურში შეკრებილთ და, რაკი ყველა სახეზე თავისი აზრის დასტური ამოიკითხა, უზომოდ გრძელი მარჯვენა კვლავ ასწია და ჩემსკენ გამოიწოდა.

საშინელი იყო ის წუთი. გასუდრული დარბაზი. ჩემსკენ მოპყრობილი მრავალი წყვილი მრისხანებით აღსავსე თვალი და ჩემსკენ მამხილებლად გამოშვებული იაშას მარჯვენა, უზომოდ გრძელი მარჯვენა, რომლის საჩვენებელი თითი ზედ შუბლზე მქონდა მოღერილი და ამ შუბლს მიდაღავდა თუ მიხვრეტდა.

ციემა ოფლმა დამასხა, უმწეოდ მივიხედ-მოვიხედე და ამდენ მრისხანე მხერას რომ წავაწყდი, ველარ გავუძელი, თვალები დავხარე.

მხოლოდ უეცრად ვიგრძენი, არ დამინახია, ისე თვალდახრილმა ვიგრძენი, რომ იაშამ თავისი უზომოდ გრძელი მარჯვენა ნელნელა დაუშვა და თითქოს საჯარო წყევლისაგან გამათავისუფლა. მიწურშიც რალაც სხვაგვარი ჩურჩული ატყდა.

თვალები ავწიე. თავმჯდომარის მაგიდისკენ ნელი ნაბიჯით მიემართებოდა ლეიტენანტი არკადი ლეონტიევი. სახე თითქოს მშვიდი ჰქონდა, მაგრამ დილას აქეთ ათი წლით მაინც იქნებოდა მობერებული. გაცივებულ თვალებში კი გამომეტყველების ნასახიც აღარ ჩანდა.

ლეონტიევმა გაოცებისაგან გამშრალ იაშას ჩაუარა. მაგიდასთან შეჩერდა და ჩუმად უთხრა სმირნოვს:

— გთხოვთ ტყვილად ნუ სტანჯავთ უმცროს ლეიტენანტ ჩეჩელაშვილს თქვენი ეჭვებით. მიზანთან მიფრენამდე უდაბურ მინდორებზე და ცარიელ ზღვაზე მე ვყრიდი ხოლმე ბომბებს...

წამით გაჩუმდა. ადგილზე იდგა და ისე ირწეოდა, იფიქრებდით — ეს-
ესაა დაეცემაო. ბოლოს თავს ძალა დაატანა და სათქმელი დაასრულა.

— ეს იყო ჩემი ცხოვრების დემონი, ეს დაწყვეტილი შიში... ბავშვობი-
დან ეს მტანჯავდა, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი ჩემი სიმხდალის დაფარვას.
ეპვიც არავის მოსვლია არასოდეს. თქვენც ასე აგიხვიეთ თვალი — მამაც
მფრინავად მიცნობდით... ალბათ ბოლომდე ასე დარჩებოდა, ვერაფერს გაი-
გებდით... მაგრამ... ესლა ყველაფერი გათავებულია და სულ ერთია — ვინ რას
იფიქრებს ჩემზე...

შემდეგ ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და გასასვლელისაკენ გაემართა.

(გაგრძელება იქნება)



მალკა ღაიანი

რაც გაუახსენდა

ზოგჯერ ქუთაისიდან გვევლინენ სამსონის ოჯახს მოწინავე ადამიანები, მათ შორის კირილე ლორთქიფანიძე, ძმა ფეროსინესი, დავით წულუკიძე, ვეროპაში განსწავლული ინტელიგენტი, ზოგჯერ ნიკო ნიკოლაძეც სოფ. ჯიხაიშიდან, სადაც მაშინ მას სოფლებსათვის გაპყავდა მდინარე ცხენისწყლიდან არხი სარწყავი წყლის მისაწოდებლად და საწულუკიძეც მის რჩევა-დარიგებას მიჰყვებოდა, ზოგჯერ თვითონ აკაი და მაშინ იყო, რომ „გაბედნიერებული“ იყო ფეროსინე, მთელი მისი ოჯახი და მეზობელი წულუკიძეებიც.

აკაის, რალა თქმა უნდა, შეჰქონდა დიდი სხივი ყოველგვარ დიდსა თუ პატარა შეკრებულებაში, თავისი მაღალი აზროვნებისა, მახვილგონიერებისა თუ მახვილსიტყვაობისა, ზოგჯერ კი კვიპატაიანი მოსწრებული სიტყვებისაც. ამიტომ უყვარდათ ყველგან, ამიტომ ვერ ვლენდნენ, ამიტომ ესიენ გარშემო.

გარდა ყველა ამებებისა, ფეროსინეს ძალიან უყვარდა საერთოდ ამებების მოსმენა, თუ კი ვინმე კარგი მომთხრობელი იყო ამებებისა, და აკაის ხომ ამებებში ვინ დაეტოლებოდა.

ის კი არა, როცა მე უკვე დავეფუკადი, შეხვედრისას. ყოველთვის რასმე მაამბობინებდა ფეროსინე. მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, თუ როგორი უშუალო მსმენელი იყო ეს დარბაისელი ქალი. ამის ყოველ ნიუანსს მასზე დიდი გავლენა ჰქონდა და პატარა სამწუხარო დიდად აღაშფოთებდა, სამხიარულო ხომ ზოგჯერ თითქმის თავშეუყავებელ სიცილ-ხარხარს იწყვედა.

ერთხელ ვუამბე რომელიაღაც რუსულ ლიტერატურულ ჟურნალში ამოკითხული ანეკდოტური ამბავი. მოთხრობას რუსულად „Господин Скромник“ ეწოდებოდა და შიგ გამოყვანილი იყო ერთი მეტრსმეტად მორიდებული ყმაწვილი კაცი. მის უფროსს და მის თანატოლ აშხანაგებს ყველა უყვარდა ეს ყმაწვილი, რადგან ის იყო უმწიკვლო ზნეობის ადამიანი, დაცირებულ მოვალეობათა ზუსტი შემსრულებელი და სხვ; თავისი მორიდებული ხასიათით ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც ვარდებოდა, მაგრამ მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას ეს არას აკლებდა. სამსახურში მის უფროსსაც ძალიან მოსწონდა და ხშირად ეპატიჟებოდა თავისთან, მაგრამ ეს მაინც ვერ ბედავდა მისვლას, მხოლოდ ერთხელ კი როგორც იყო გაბედა და ეწვია. ზაფხული იყო და ახალი ნასადილევი უფროსიც თავის აივანზე გრილოში იყო წამოწოლილი. ყმაწვილი რომ ეწვია, დიდად ვაიხარა და საუბარი გაუბა. „სკრომნიკიც“ აძლევს ლაკონიურ პასუხს, „პო, არა“, თან ოფლი წყურწყურით ჩამოსდის სახეზე და ხშირ-ხშირად ცხვირსახოციც იხოცავს. უფროსმა შეამჩნია, რომ ყმაწვილ კაცს ძალზე ცხელია. შორიასლო ჰქონდა წყალი იდგა და მიუთითა: გასაგრძელებლად დალიეთ. „სკრომნიკმა“ ბევრი იუარა, ბოდიშიც მოიხადა შეწუხებისათვის, მაგრამ უფროსი ისე ჩააცვიდა, რომ ძალისძალით დააღევირა. სმის დროს „სკრომნიკს“ კინაღამ გული აერია, მაგრამ მგეც ჩარა არ იყო, მოთმინა და ისევე თავის სკამზე დაჯდა. ამ დროს თათხიდან გამოვიდა ოჯახის დისახლისი და მაგიდას მიაშურა. დაცლილი ჰქონდა რომ დანახა, თითქმის შეჰკვივლა: ვინ დაცალა ეს ჰქონა? საქმის ვითარება რომ გავეცო, ერთი საოცრად გადიოქისისა: ეს რა გიქნიათ, ჰქონა ხომ სასაქმებელი ზეთი იყო. უფროსი ძალიან შეწუხდა: ჩემი ბრალია, მე დავაძალე, მეგონა, თუ გაცი-

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 4, 5, 7 (1957 წ.).

გბული ლიმონადი იღდა კიჰაშიო და... შეწუხდა! თუმცა „სკრომნიკს“ დიდხანს აღარ დაუცდა და შინისაკენ მოკურცხლა.

მეორეჯერ კიდევ ეს „სკრომნიკი“ ეწვია თავის ტოლს, ახალგაზრდა თანამოსამსახურეს სალამო ხანს. მასპინძელ ცოლ-ქმარს გაეხარდათ მისი მისვლა და არ იცოდნენ, რითი ვეცათ პატივი. ჩაი დააღვიინეს, ტკბილი ნამცხვრები და მურაბებიც მიართვეს. მსუბუქმა საუბარმა და ხუმრობამ კარგა ხანს გასტანა. მაგრამ მოთავდა ყველაფერი. სასაუბროც შემოელიათ. დღამდა კიდევ. აგერ უკვე 9 საათია. „სკრომნიკი“ კი ზის თავის სკამზე გაუნძრევლად. შესარულდა ათიც. მასპინძლები შეშფოთდნენ: სტუმარს ხომ ვერ გააგდებდნენ, არა-და სტუმარი არ ინძრევა. მასპინძელთაგან ქმარი ხმამალა ამბობს:

— უჰ, უკვე ათი საათია. მეფთრთმეტე იწყება, გესმით? ტრამვაის ხმა ნაკლებ ისმის...

ცხადია, ეს ნიშანია იმისი, რომ სტუმარს დაგავიწყდა შინ წასვლა, დრო არის უკვეო. ეს კარგად ესმის სტუმარს, მაგრამ არ ინძრევა.

ცოტახნის შემდეგ მასპინძლის ცოლი ეკითხება „სკრომნიკს“:

— როდესაც თქვენ სახლში გაგვიანდებთ, როგორ შედიხართ თქვენს ბინაში? მეზობლებს აღვიძებთ, თუ თვითონ გაქვთ ცალკე გასაღები?

სტუმარი ამაზე დიდის მორიდებით და ზრდილობით უპასუხებს: ცალკე მაქვს გასაღებიო და თან სკამიდან წამოიწვება.

მასპინძლებს ჰგონიათ, ახლა კი გვეშველა და წვაიო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! — სტუმარი ისევ ჯდება და თითქო უფრო საფუძვლიანად.

გადის კიდევ ცოტა ხანი და უკვე შეშფოთებული დისახლის წამოდგება და ამბობს:

— უკვე ძალზე გვიანია. ახლა საღდა წახვალთ. მართალია, ჩვენ ძალაღან ეფიროდ ვცხოვრობთ, მაგრამ აგერ ტახტზე დავიგებთ და მოისვენეთ...

ამის საპასუხოდ „სკრომნიკი“ მარდად წამოდგება თავის სკამიდან და დისახლის შოახსენებს:

— მე დიდი ხანია მინდოდა წასვლა, მაგრამ თქვენ ჩემს ქულზე იჯექით და ვერ შეგაწუხეთ!...

ამაზე ეფროსინეს აუტყდა სიცილი, მაგრამ როგორი სიცილი? უშუალო, ბავშვური და მოურევნელი.

ამ სიცილში მე დავინახე ეფროსინეს სრული უზადო და სპეტაკი პიროვნება.

ამ ჩემი „სკრომნიკის“ ამბავს ეფროსინესთან ერთად ისმენდნენ მისი ქმარი სამსონი და ერთიც მისი ბიძაშვილთაგანი ოხუნჯი იასონ წულუკიძე.

მე ამბავი დავასრულე. ეფროსინე კიდევ იცინოდა. ამ დროს იასონი დემონსტრაციულად წამოდგა თავისი სკამიდან და ვითომ სერიოზულად ხმამალა წარმოსთქვა:

— კაცო, ვიღაცა ქულზე ვზივარ. მგონია შალვას ქულაია... არ დაგავიანდეს, ბიძია, წაიღე სახლში...

მაგრამ ვერ გამაბრწყავა.

— არა, ბიძია, არსადაც არ მივდივარ და ჩემი ქული კი აი აგერ ჰკიდა.

ვუჩვენე, სადაც ეკიდა და... ატყდა ხელახალი სიცილ-ხარხარი და იმ დამეს ვახშმადაც კი დამტოვეს.

ასე რომ სოფ. საწულუკიძეოში და მის არემარეზე ეფროსინე წულუკიძე ერჩეოდა სხვა ქალბატონებში თავისი თითქო უბრალოებით, მაგრამ იმავე დროს შესანიშნავი სულიერი სიმადლით, და საღამოობით მის ოჯახში სტუმრების თევმოყრას რიგითი და ჩვეულებრივი ქეიფის ხასიათი კი არა ჰქონდა, არამედ უფრო როგორიღაც მაღალი დონის იერი ეძლეოდა. ამ შეკრებოებს, როგორც ზემოთაც ვთქვი, უფრო ინტელიგენტები სჭარბობდნენ და მათი საუბარი მეტწილად მიმდინარე საზოგადოებრივ საკითხებს ეხებოდა. ასე რომ, მე რომ მკითხოთ, ეფროსინეს „საღამოობა“ უფრო სალონურ ხასიათს ატარებდნენ და თვით ისიც შეიძლება მინიატურულად, მაგრამ არსებითად მაინც საფრანგეთის განთქმულ ქალს მაღამ რეკამიეს მივაშვავსოთ.

მთავარი საზრუნავი კი მაინც ეფროსინესა და სამსონისათვის მათი ერთადერთი ქალიშვილი — ცუტუნია იყო. შინ ასწავლიდნენ და ამისათვის ჰყავდათ დაქირავებული ღვდამძუძეები თუ ისე, პირდაპირ მასწავლებლები. როგორც ღვდისერთა, მეტად ვანებვიერებულად იზრდებოდა. აქ ეფროსინეს დასძლია დედობრივმა სანტიმენტალობამ და ქალიშვილი სათანადოდ ვერ აღზარდა. ნებისყოფას მოკლებული, მეგრევი ხასიათის ქალი დაღდა შემდგეში.

ერთხელ ამ გოგონას მასწავლებლად ჰყავდა მეტად მოხდენილი ქალი, თამარ მესხი. ადგილობრივი ახალგაზრდობა თავს დატრიალებდა და ისიც, უთუოდ, თავმოწონებოდა, მაგრამ



თავის გულის კარი მინც არავის გაუღო, რადგან მას ჰყავდა საქმრო, საუცხოო, განათლებული ყმაწვილი კაცი და მისი ერთგული იყო.

აქ გული არ მითმენს, რომ ჩემი „გატაცებაც“ არ მოვიხსენიო. მე უკვე სცენაზე გამოსული ჭაბუკი ვიყავი და, რასაკვირველია, მეც მოვიხიბლე „თამარით“. ერთ დროს ვითომ ლექსად ასეთი ზმა ვუძღვინი:

ვითა მარადის ცაზე მზე,
მე სხივითა ვარ მოსილი.

არ გაჭრა, მხოლოდ ზრდილობიანი ღიმილი გამოიწვია.

20

სოფ. საწულუკიძეოში კიდევ ცხოვრობდა ერთი ოჯახი ლევანტი წულუკიძისა. უკვე მოხუცი იყო ჩემსობას, მაგრამ დაქვრივებულმა მინც შეირთო ახალგაზრდა აფაქიძის ქალი. უშვილო იყო და ეს ძალიან აწუხებდა, მაგრამ რადგანაც მის მეორე ცოლსაც შვილი არ ეყოლა, ამიტომ თავის ძმას, ქუთაისში მცხოვრებ სამხედრო სამსახურში მყოფ პოლკოვნიკ ნიკოლოზ წულუკიძეს, რომელსაც ბევრი შვილები ჰყავდა, ერთი ვაჟი, კოლია, ჩამოართვა და თვითონ იშვილა.

აი ეს კოლია შეიქნა რაც შეიქნა! ტიპური მაშინდელი თავადიშვილი: განებურებული, გიჟმაგი, ლოთი-შფოთი და სკანდალისტი. კოლია ერთ დროს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, მეტად ნიჭიერიც იყო თურქი და მისგან გამოელოდნენ, რომ თავის დროზე სასარგებლო კაცი დადგებოდა, მაგრამ თავადების საკრიზისო შეითხე კლასს ვერც კოლიამ ააღწია, გამოხტა, ჩაიცვა ჩოხა-ახალუხი, დაიკიდა რევოლვერ-ლეკურ-ხანჯალი და გადაეშვა, როგორც იტყვიან, „მოუკრეფავში“. ამაში ხელს უწყობდა ბიძამისის ლევანტის კარგი შეძლება, გვირავი მათულის საგარნობი შემოსავალი. ირგვლივ კი კოლიასთვისაც ცთუნება დიდი იყო, ბევრი მისი ტოლებიც, ასე ფუქსავატად ცხოვრობდნენ და... გაუდიოდათ.

მეც ერთ დროს, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი შვილებს სულ სხვა რეჟიმითა და წეს-რიგით გვზრდიდა, როგორც ზემოთაც მაქვს ნათქვამი, მოხიბლული ვიყავ ვარგენტული იერით ახალგაზრდა თავადებისა და მეც ვნატრობდი ჩოხა-ახალუხს. ერთ დროს ვატარებდი კიდევ, მხოლოდ ერთი კი უნდა ვთქვა, რომ არასოდეს იარაღი ვისმეზე შესატყვევდ არ ამოძილა და არც არასოდეს არავითარ სუფრის ჩხუბსა და სკანდალში მონაწილეობა არ მიმიღია. მახსოვს, საყვარელი ლაღო მესხიშვილი, როცა „ჩერქესკით“ გამოვეწყე, მეუბნებოდა:

— შალვა, იცოდევ, ესეთი მორთულობა შენც გშვენის, მაგრამ იარაღი არავიზე არ უნდა იხმარო. აი შეხედვ ვიქტორ გამყრელიძეს...

ეს იყო მშვენიერი არტიკლი ქართული თეატრისა, თვითონ ილია ჭავჭავაძემ რომ შეაქო პიესა „სამშობლოს“ გვირის, სვიმონ ლიონიძის როლში.

— ვიქტორი ხომ სულ ჩოხა-ახალუხს ატარებს და იარაღიც ზედ ასხია, — მეუბნებოდა ლაღო, — მაგრამ თავის დღეში იარაღი არავიზე არ უხმარია... მართალია, ბუნებით დინჯია და შეიძლება ამის გამოც, მაგრამ სიღინჯეში მისი წაბაძვა დიდად გამოვადგება.

ეტყობა დავიჯერე, რადგან ამ მხრივ მართლა „დინჯაღ“ წავიდა ჩემი საქმე.

კოლია წულუკიძე კი არ გაუღდა ასეთ გზას.

ლამაზი კაცი იყო, ბრგე, შვავგერმანი, ძალიან ლამაზი მოყვანილობის თვალები ჰქონდა, წამწამები კი ისეთი გრძელი და ზევით აპრეხილი, რომ თითქმის წარბებს უერთდებოდა, მახვილი სიტყვის პატრონიც იყო და ქალები იხიბლებოდნენ, მაგრამ მის საზოგადოებაში გამოჩენას მინც ყველა უფრთხოდა, განსაკუთრებით ქეიფი. კაცმა არ იცოდა, როდის მოუვლიდა „პოხონდრია“. უბრალო რაიმე სიტყვაზე, საქციელზე ხშირად ატეხდა ერთ აურზაურს და მისი დამშვიდება მეტად ძნელი საქმე იყო. როდესაც ასეთ მდგომარეობაში ჩივარდებოდა, თვალები თითქმის გაუსისხლიანდებოდა და ვედრაფერს ხედავდა გარდა ამორჩეულ პიროვნებისა, მაგრამ ხშირად გამაზევებლებსაც მოხვედრიათ მისგან.

ხშირად იჯდა ციხეში: ზოგჯერ რაიმე დეპოზისათვის, ზოგჯერ კაცის მკვლელობის გამოც. ერთ დროს ამან არ მოკლა მენშვეიკების მინისტრი გობეჩია?

კოლია ჩემი ნათესავი იყო დედის მხრივ და მე მემგობრობდა. მიუხედავად ასეთი შფოთიანი ხასიათისა, მას უყვარდა თეატრი, ლიტერატურა. თვითონაც თარგმნიდა ხოლმე ქუთაისის თეატრისთვის პიესებს. საერთოდ თავისებური პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა და მრუდვ გზით რომ არ ევლო, უთუოდ ქვეყნისთვის გამოსადეგი პიროვნება შეიქნებოდა.

უყვარდა წიგნების კითხვა. საერთოდ განვითარებული კაცი იყო. მეც მარჩუქება ხოლმე ძვირფას წიგნებს. ერთხელ დიდად გამაკვირვა: გერცენის „Было и думы“ მაჩუქა. წარმოიდგინეთ, ასეთ ლიტერატურასაც ეტანებოდა.

და აი ამ კაცთან მე ხშირად დავიარებოდა. იმ დროსაც კი, როდესაც ციხეში იჯდა. განსაკუთრებით ერთ დროს, როდესაც რაღაც პატარა დებოზისტების ქუთაისის ესრეთ წოდებულ „პატარა ციხეში“, ე. ი. საპატიმროში იჯდა, მხოლოდ რამდენიმე თვე ჰქონდა მისჯილი და... მთავრობის ნებართვით ცხოვრობდა ისე, თითქოს რომელიმე კარგ სასტუმროში ერთი საუკეთესო ნომერი დაუქირავებიათ. მასთან ხშირად დაიარებოდნენ სტუმრები, თითქმის ყოველდღე, და ზოგჯერ მასთან სადილადაც რჩებოდნენ.

ერთ ასეთ მის სადილს ციხეში შევესწარ მეც. სტუმართაგანი თითქმის არავე იყო, მაგრამ ციხეში მჯდომი სხვა ტუსალები კი ბლომად იყვნენ, უფრო ისეთები, რომელთაც შედარებით მცირე სასჯელი ჰქონდათ მისჯილი. აქ იყვნენ იმერელი თავადები ხიღირბეგიშვილები, ბიძა-მამისწულები, იყო რაჭიდან აზნაური ბაქრაძე და სხვ.

როცა მივედი, ყველანი უკვე სუფრას უსხდნენ და კარგა შეზარხოშებულებიც იყვნენ. კოლიამ რომ დამინახა, ისე მიმიღო ახალგაზრდა ჰაბუკი, თითქო ვინმე მეტად საპატიო სტუმარი მისვლადეს. სხვები ვაკეციებულები იყვნენ თუ კოლიამ რატომ მომაქცია ისეთი დიდი ყურადღება, მაგრამ როცა გაივს, რომ დადიანი ვარ და ისიც ნიკოს შვილი, მაშინ ისინიც ჩემდამი ერთგვარი პატივისცემით გაიმსჯვალნენ და ეს უთუოდ იმ მიზეზით, რომ, ერთი, მაშაჩემს პატივს ცემდნენ, როგორც წარჩინებულ კაცს დასავლეთ საქართველოში და, მეორე, დადიანის გვარისეული თავადანაწარმოებისთვის მისაჩნევი რამ იყო.

კოლია იყო თამადა და... სხვათა შორის, „ღიდის რეჩით“ ჩემი სადღეგრძელო დალია ჩაისი კიბით. ჭიქამ ჩამოიარა, ყველამ დაცალა კიდევ, მაგრამ ერთ ხანდაზმულს ჩარჩა ჭიქაში ღვინო. ეს შენიშნა კოლიამ. ის დაჰპირდა, რომ დაველეო, მაგრამ არ კი დალია. ეწყინა კოლიას. კიდევ შენიშნა და უთხრა, ჭიქა მჭირდება და გამომიგზავნეთ. ხანდაზმული, ეტყობოდა, უკვე შემოვრალი იყო და ცოტა მკვხედ გამოეჩნაურა კოლიას:

— რა გამიჭირე საქმე... წადი შენი... — და რაღაც, ეტყობოდა უზრდელი რამ, თითქო თავისთვის წაიბურტყუნა.

აი ამაზე კი სკამიდან წამოვარდა კოლია და შესძახა:

— ახლავ ბოდიში მოიხადე შენი სიტყვებისთვის, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ.

იმან ბოდიში არ მოიხადა. ახლა პირდაპირ გინება წამოცდა. ამაზე კოლია გადაიარა, თვალის დახამხამებამდე მივიარა მაგივნებელს, გრძელ და ფართო წვერებში ჩაავლო ხელი და, ეტყობა, ძალზე მოსწია.

აი აქ მოხდა, რაც მოხდა: აურხაური, ყვირილი, ხრიალი, თეფშების, ბოთლების, ჭიქების მტერევა. ყველა ერთიმეორეში აირია და არავე არის მშველელი და გამაზვეებელი.

მე კი ვღვაჯარ გაშეშებული, თან დიად შეწუხებული ვარ, რომ ჩემმა სადღეგრძელომ გამოიწვია ეს აფორიაქება. ამის გარდა, მინდა კოლია ჩამოვართო ამ არეულობას, მაგრამ მის მაგარ ჩაბლუჯული ჰყავს მკაცრებში ხანდაზმული კაცი და ხელიდან არ უშვებს. კოლიას რომ ხელი მოეკიდე მისაშველებლად, არც მოუხდენია ისე, ერთი იდაყვით ისეთი ამოკრა „გულბოყვეში“, რომ კინალამ გული შემიწუხდა და მოვფორდა.

კიდევ კარგი, ტუსალებს არც ერთს იარალი არ ჰქონდა, თორემ შენს მტერს! — უსათუოდ სისხლი დაიდგებოდა: ჯერ ერთი თვითონ კოლია და მერმე ხიღირბეგიშვილები, ახალგაზრდები, ღონიერები და კარგი ვაკეციები; მაგრამ ყვირილ-ხრიალზე შემოვიდა ციხის უფროსი თავისი თანამშრომლებით და, როგორც იყო, ერთი-მეორეს დააშორა მოჩხუბარნი. ხიღირბეგიშვილები როგორღაც სიტყვებით დააშოშმინა და ოთახიდან გაიყვანა, კოლია კი ოთხ კაცს ხელით ჰკავდათ დაკავებული და აი მაშინ ენახე, როგორ გაუსისხლიანდა კოლიას თვალები, როგორ დაჰკარგა ყოველივე შეგრძნობა გარემოსი.

მე კი უფროსმა მითხრა, რომ გავცლოდი იქაურობას. შემდეგში გავიგე, რომ კოლია თოკებით შეებოჭათ და ისე დაეგდით ლოგინზე, სანამ გამოიძინებდა.

მაგრამ ავერ მეორე შემთხვევა. ეს უკვე თბილისში მოხდა. ქართველ მსახიობთა კავშირი თავის სასარგებლოდ ფასიან საღამოს მართავდა. ეს იყო ანშნევიკების დრო. როგორც ყოველთვის, ასეთ საქველმოქმედო საღამოებზე საღამოს დიასახლისები სხვადასხვა ფარულში ვაჭრობით თუ ნობათების მირთმევით, ზოგჯერ მიძალბებოდაც, მოსულ სტუმრებს მეტს ახარჯებდნენ, ვიდრე მათ ჰქონდათ განზრახული. ამ საღამოს დიასახლისებმა იყვნენ ჩვენი მსახიობი ქალები და თავიანთ ამ არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნო მოვალეობას კეთილხინდისიერად ასრულებდნენ. სტუმრებში გერია რომელიღაც დანაშაულისათვის ციხეში ერთხელ კიდევ მჯდარი და ახლად გამოსული კოლია წულუკიდა. ამას საღამოზე ხარჯისათვის მიძალბება არ უნდოდა, ისე-ადა ხელგაშლილი კაცი იყო და საღამოს გამმართველებს სულ ხელის გულზე დაჰყავდათ. შემდეგ გახშმისათვის ცალკე სუფრა მოითხოვა და დამპატივა, რადგან იცოდა, რომ იმ ქამად მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე მე ვიყავი და ამ საღამოს „ბედ-იბაბი“ მეც შემეხებოდა.



ჩემთან ერთად დაბატივა ქართული თეატრის მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი. კოლია იცოდა, რომ ელო იმ დროს ჩემი ცხოვრების თანამგზავრი იყო და სხვადასხვა ქალაქში დრამატულ სეზონებს ერთადვენი ერთად ვუძღოდით ხოლმე.

კოლია ძალიან კარგ გუნებაზე იყო, თავისებურად მახვილობდა ნაცნობებში და ჩვენი კავშირის დასახმარებლად სხვებსაც ფულს ახარჯებდა. შუალაშე რომ გადავიდა და ხალხი სხვადასხვა ცალკე თავის სუფრას მიუჯდა, ესტრადაზე დაიწყო მსახიობთა გამოსვლები და სხვათა შორის ერთმა მსახიობმა გამოაცხადა: გათამაშებული იქნება აუქციონი, აუქციონში გაიყიდება ვასო აბაშიძის ფერწერით შესრულებული სურათი და ვინც ვაჭრობაში მეტს გაიღებს, სურათიც მას დარჩებაო. დარბაზში ვახშად იჯდა თავის სტუმრებით იმ დროს სახელმოხვევით მგონია პირველი და უკანასკნელი ქართველი მილიონერი, აკაკი ხოშტარია. პირველმა ამან ამბილ-ლა ხმა აუქციონში მოწაწილეობის მისაღებად. დაასახელა კიდევ არ მახსოვს როგორიღაც კარგა მსხვილი თანხა, ამაზე კოლიამ უღვაშებზე ხელი გადაისვა და ერთი ორჯერ მეტი თანხა დაასახელა. აყვენ სხვებიც, მაგრამ ბოლოს მხოლოდ ორნი დარჩნენ: კოლია და ხოშტარია. კოლიას თითქო უხაროდა, რომ მილიონერს ეჯობებოდა და მე და ელოს ხშირად გადმოველაპარაკებდა: ნახავთ, სანამდე ავიყვან მაგ „გაბერისსაო“. აღარ მახსოვს რაღაც დიდ ციფრზე კი შეჩერდნენ ორთავენი და მეტის მომატება თითქო უხერხულიც იყო, მით უფრო, რომ ყოველი მომატებისას ყველა შეჯიბრში მყოფს თავისი დასახელებული თანხა უნდა შეეტანა აუქციონის გამგესთან.

აუქციონში კარგა სიჩუმის შემდეგ გაისმა საბედისწერო: ერთი... ორი... სამი... და ვასო აბაშიძის სურათი გაუბრუნინეს ხოშტარიას. ამაზე კოლია წამოვარდა:

— სად მივაქვთ სურათი, სად? უკანასკნელი თანხა მე დავასახელე, თქვენც — მიმართა აუქციონის გამგეს — ჩემ შემდეგ ერთი, ორი, სამი გამოაცხადეთ. მშასაღამე, სურათი მე დამრჩა. მომბრუნინეთ ჩქარა... ჩქარა! — უკვე აღუღებოდა წარმოთქვა კოლიამ უკანასკნელი სიტყვები.

აუქციონის გამგე კი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ხოშტარიამ თავის მხრით კიდევ წაუმატაო, მართალია, დაბლა წარმოთქვა, მაგრამ წამატებით ნამდვილად წაუმატაო, მაგრამ...

ამაო!

კოლიამ არ დაიჯერა, წამოვარდნილმა თავისი მაგიდა გადააბრუნა და ტურქლის მსხვრევის ხმა მთელ დარბაზში გაისმა. იქ მსდომნი შეშფოთდნენ, კოლია კი ხანჯალამოღებული გამგისაკენ გაექანა. გამგე ფურცლებს-ფურცლებს გადაიშალა. სუფრიდან სხვა სტუმრებზე წამოიშალნენ და ხმაშალა აცხადებდნენ: აქ ხომ საკრებულაო, იარაღი რატომ არ ჩამოარაგებენ წულუკიძესო, მაგრამ სხვები უხსნიდნენ, იარაღის ახსნას კოლიას ვერაინ გაუბედავდაო. იყო ერთი ორმოტრიალი. ზოგიერთმა კოლიას შეჩერება მოინდომა, მაგრამ თავის ირგვლივ ისე იქნევდა ხანჯალს, რომ ვერაინ ეკარებოდა. მოვიდა საკრებულოს მორიგი მამასახლისი, კარგად ცნობილი დეკლამატორი, მშვენიერი წამითხველი ილიასი და სხვისი ლექსებისა, დრამატული საზოგადოების აქტიური წევრი, კოლია ერისთავი, თითქო მეგობრობდა კიდევ წულუკიძეს, მაგრამ მოჩხუბარს არ გააკარეს: შეეშინდათ, არ მოერიდება და დააზიანებსო. კოლია წულუკიძე კი ამ დროს, რაკი აუქციონის გამგე თავის ადგილზე ვერ ნახა, მთელ დარბაზში, იმერულად რომ ეთქვათ, „დარბაზობდა“ და სულ არა „დარბაზის ერი“.

ჰმ! დარბაზის ერი! აქედან ხომ არ არის — „დარბაზიევი“?

სახეში შეგხედე კოლიას და რა დავინახე: თვალები სულ გასისხლიანებოდა. მაშინვე უკუვდექი, რადგან ვიფიქრე, ახლა ეგ ვეღარაფერს ვერ ჰხედავს და ვაი იმას, ვინც წინ დაუხვდება მეთქი. მაგრამ ამ დროს უტბად მოვარდა ელო ანდრონიკაშვილი, პირდაპირ წინ დაუდგა და კარგა მტკიცედ შესძახა:

— კოლია! რას ჩაიხიარ, გენაცვალე! როგორ გეკადრება?! ჩვენი საღამო ვინდა ჩაშალო?..

და მოხდა სასწაული. ელო რომ წინ დაუდგა, ეტყობა როგორღაც დაინახა და დიდის სისწრაფით მიატოვა ხანჯლის ტრიალი, ქარქაში ჩაავი კიდევ, შემდეგში ზრდილობით მკლავი მკლავში გაუყარა და თითქო სრულიად დამშვიდებული დაუბრუნდა თავის წაქცეულ სუფრას.

სუფრა მალე აღადგინეს ოფიციატებმა, ელომაც კვლავ მოითხოვა სასმელ-საჭეფარი. სხვა სუფრიდან ელოს სადღერაძელო შესვეს, როგორც ქართველი თეატრის არტისტისა, მისი დღევანდელი „გმირობა“ არავის უხსენებია, რომ კოლია ამითი არ გაეხელებიათ. თვითონ კოლიამაც ყველას გასაგონად დიდად შეამკო ელო, როგორც არტისტი, როგორც იშვიათი მოცეკვავე ქართულისა (ამაშიაც განთქმული იყო) და როგორც სანიმუშო ქართველი ქალი.

ელოს კი შემდეგში ულოცავდნენ კოლიას „მოთვინიერების“ შემნა საქციელმა ძველი ჩვეულება ვაგახსენა, ქართველი ქალი ჩხუბის დროს მანდილს რომ გადაუდებდა მოჩხუბაროაო, და სხვ. საღამო თავისი მზიარული და კეთილი გზით წარიმართა.

ასეთი უსწორმასწორო კაცი იყო კოლია წულუკიძე და აკი თავისი ცხოვრება მაინც საპყრობილეში დაასრულა. ზემოთაც ვთქვი, ძალიან ხშირად ციხეში იჯდა-მეთქი. „ციხეს“ შიგნით

ვაშობ, რომ ჩემ დროს საპყრობილეს თუ საპატიმროს ხალხში „ციხეს“ ეძახდნენ შემდეგში დამჩემდა.

კოლია კი არამც მარტო საქართველოს „ციხეებში“ იჯდა, არამედ ციმბირშიაც კი იყო გადასახლებული ერთ ხანს და იქ საცხოვრებელიც მიუჩინეს, მაგრამ ვერც იქ მოსვენება და ერთ დროს თვით იქაურ გუბერნატორის ქალშვილი მოტაცა. ამ გარემოებამ ვაუთაცეცა სასჯელი, მაგრამ შემდეგ მისი ნამდვილი ცოლის მეოხებით... (ცოლად ჰყავდა ბაბო შარვაშიძის ქალი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის და მწერლის, აფხაზეთის მთავრის შვილის ვიოლე შარვაშიძის და, რუს ხელმწიფის კარზე ფრეილინად ნამყოფი და კარგა გავლენიანი სასახლის კარზე) აი ამ ქალის მეოხებით ციმბირიდანაც დააბრუნეს, მაგრამ შემდეგში ბაბომ ვეღარ აიტანა კოლიას მუდმივი დანაშაულებრივი „ცეკქობა“ და გაეყარა კიდევ. ამის შემდეგაც კოლია განაგრძობდა „თავისებურ“ ცხოვრებას და, როგორცა ვთქვით, მაინც საპყრობილეში დაასრულა თავისი დღენი.

მე კი ერთხელ, ჩემი სიჭაბუქისას, ძალიან კარგი საქმე გამოვეცა: 17—18 წლის ვიყავი, რომ ჩემთვის ვწერდი და კარგა ბლომად ლექსები დამიგროვდა. ვუკითხავდი ჩემიანებს, ვარდა მამაჩემისა (მისი მრცხვენოდა). ისინი მამხვენებდნენ და აი დღეიდანვე თვოლნამ, რომელიც ზეითაც მყავს ნახსენები, მიჩნია, რომ ეს ლექსები ცალკე წიგნად გამოვეცა.

ხომ იცით ასეთი შექმნება რაც არის დამწყები მწერლისთვის და ისიც ჰაბუქისათვის. თუ როგორი იყო ამ ლექსების ღირსება, ამას შემდეგ ფურცლებზე დავინახავთ, მაგრამ მე რომ იმათ აღარ ვეფასებ, ამას იმიტაც მიხვდებით, რომ არც ეგენი და არც საერთოდ სხვა ჩემი ლექსები შემდეგ ჩემს გამოცემებში არსად არ შემიტანია. იმ დროს კი გამოვეცი და წიგნს „ნაპერწყალი“ დავარქვი.

რაკი ასე „ავტრუდი“ და სხვებმაც ამატრუდეს წიგნის გამოსაცემად, მიმართე ფერაქეს და ზედგინიძეს, იმათ სტამბა ჰქონდათ, ჩვენს სათეატრო აფიშებს ისინი ბეჭდადენენ და აქედან ვიცნობდით, თორემ ქუთაისში მაშინ კიდევ იყო სხვა სტამბაც.

ამათ კი — ფერაქემ და ზედგინიძემ — ძალიან გულითადად მიმიღეს, განსაკუთრებით ფერაქემ, როგორც ლიტერატურის უფრო მოყვარულმა. ერთ დროს თვითონ ყოფილა სტამბაში ასოთამწყობად და იქიდან ჰქონდა გამოყოლილი მხატვრული ლიტერატურის სიყვარული.

გამოართვის ჩემი რვეული, თითქო ხელში ასწონდასწონეს და გამომიცხადეს, გამოვეცემით, თან მომილაქუცეს: რამდენი ლექსები იბეჭდება ახლა ცალკე ბროშურებად, მაგრამ ნიკოს შვილის ნაწერი უფთოდ უკეთესი იქნება და ჩვენ სიამოვნებით გამოვეცემით. ამ „ნიკოსშვილობამ“ ამ საქმეში ცოტა არ იყოს დამაშინა, მაგრამ ისეთი მოურევნელი სურვილი ჰქონდა გამოცემისა, რომ უკან არ დავიხიე.

იმავე დროს მითხრეს, ამ რვეულიდან ბეჭდვა, ე. ი. ასოთამწყობა არ შეიძლება, რადგან ქალაქის ორივე გვერდზეა დაწერილი, სტამბისთვის მარტო ერთ გვერდზე უნდა იყოს და ხელახლა უნდა გადაწერო.

სტამბისათვის ამ ტექნიკურ მომარჯვებულობას პირველად მაშინ გავეცანი და, რალა თქმა უნდა, შევასრულე კიდევ.

ჩემთვის უფრო ძნელი იყო მეორე პირობა — ფულის გადახდა: ჩვენ ისე მდიდრები არავართ, რომ ავტორებს ჩვენი ხარჯით წიგნები ვუბეჭდოთ და არც, საერთოდ, გამოცემლობას ვეწვეითო. ასე რომ დამაყისრეს — სტამბის ხარჯი მე უნდა გადაემხადა.

ამა სილადან? 17—18 წლის ყმაწვილს, რასაკვირველია, არავფრი სასმასური არა ჰქონდა. მამას კი ფულს ამა როგორა ვთხოვდი. ჩემი ნაწერების გამოსაცემად?

მე შეიძლება მაშინ მომწონდა კიდევ ჩემი ნაწერები, მაგრამ ეს კი ვარკვეულად ვიცოდი, რომ მამას არ მოეწონებოდა და აკი მართლაც! ერთხელ, მას შემდეგ, რაც ჩემი წიგნი დაიბეჭდა და ხალხში გავრცელდა კიდევ, მე მამასთვის მაინც არ მიმიტანია, მაგრამ ვილაც „ჩემი ცოდვით საესეს“ უხარებია მამისთვის — ხედავ, შენი შალვა როგორი „პოვეტ“ დამდგარაო!

მამამაც საღამოს, ჩაის სმის დროს, როდესაც ჩვენი დარბაზი სტუმრებით იყო სავსე, გადმოიღო ჩემი „ნაპერწყალი“ და ფურცლა დაუწყო. მიხვდებით, რა გუნებაზედაც დავდგებოდი: „რას იტყვის? დამმარხავს თუ... ცოტაოდნად მაინც მომიწონებს?“...

მამას უყვარდა ასეთ საოჯახო შეკრებილებში სხვადასხვა საგანზე საუბარი — იმ საკითხზე, რაც საერთო საუბარში წამოიჭრებოდა ხოლმე — და მამას საუბარი მარტო საუბარი კი არ იყო, არამედ პირდაპირ ლექციები, ათსანიარი საბუთით და მყარი ლოლიკით გამტკიცებული.

მამა ენციკლოპედისტი იყო, დიდად მომზადებული პიროვნება.

თან... ეს ლექციები მშრალი და ბევრისათვის გაუგებარი მეცნიერული დებულებებით კი არ



იყო სავსე, არამედ ყველასათვის ხელმისაწვდომი ფრაზეოლოგიით აწყობილი და ნელი ჰუმორით შეზავებულიც.

მამას ხელში უკვია ჩემი „ნაპერწყალი“ და მომღიძირა ფურცლავს, მე გული მითრთის, თან უკვე ცულ გუნებაზე ვღაგები. მამას ხელში ეს ჩემი ლექსთა კრებული რა სიფრთხანა ბროშურად გამოიყურება.

დაიწყო:

— აბა, გადაეხედოთ ქუჯის ნაწერებს...

მე თავიდანვე ვერ დავებედ მწერლობაში და სცენაზე ჩემი ნამდვილი სახელითა და გვარით გამოსვლა „ქუჯი“ დაივრქვი და კარგა ხანს ამ ფსევდონიმით ვმწერდებოდი.

მამა განავრძობდა:

— დაეხედოთ თავფურცელს. „ნაპერწყალი“ ძალიან კარგი. ეს ავტორის უფლებაა — რაც უნდა ის დაარქვას, ამაში ვერ შევეცილებით, მაგრამ ქვევით ამ თავფურცელზედვე აქვს ეპიგრაფად მოყვანილი თავისივე ერთი ლექსიდან ასეთი ტაგები:

„ჯერ ყმაწვილი ვარ, ჩემგან ქვეყანა
კიდევ ბევრს ელის ნამუშევარსა.
კვლავ აქვს იმედი, რომ კვლავ იხილავს
ჩემი ხელების მონაწევარსა!“

ამას თითქო არა უშავს-რა. ყმაწვილი კაცი იმედს გვაძლევს, რომ კიდევ იმუშავებს, მაგრამ ეს „ჩემი ხელების მონაწევარსა“ რაღა? — მამამ ხაზი გაუღეს სიტყვას — „ხელების“. — ხელები რა? ყანის მუშა ხომ არა ხარ, ბიჭო? მწერლობას აპირებ. — ეს მე მომმართა.

ირგვლივ ნელი სიცილი გაისმა. მამამ განავრძო:

— აქ ჯოღდა გეტქვა: ჩემი გონების ნამუშევარსა... მაგრამ ამას დავეთხოვით. ეს რა არის? ერთი ლექსის სათაური: „ევებზე“. ვითომ რატომო? ქალები არ შეიძლებოდა გეტქვა?

ამ დროს მინდა მამას მოვასხენო, რომ „ევებზე“ მითომ ჰქვიან ნაწარმოებს, რომ მე უფრო მაცთურ ქალებს ვგულისხმობ ამ ლექსში. ადამი ხომ ევამ შეაცინა! — ეს მინდა ვეტქვა, მაგრამ თითქო დამბლადაცემულივითა ვარ და ენა არ იძვრის. უთუოდ გაფითრებული ვივარ ჩემთვის.

— ოო, ეს ყველაფერს სჯობიან — და წაიკითხა: — „საქმე ის არის“. ბიჭო! — კვლავ მე მომმართა. — პოეზიას ემსახურები და ლექსსა სწერ თუ მოწინავე სტატისა? „საქმე ის არის“ რომ არაფერი პოეტური თქმა... — თან გაიხსენა ერთი ყველა იქაურისათვის ნაცნობი აზნაური, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა ასეთი ფრაზის ხმარება: „საქმე ის არის, ბატონებო“... და სხვ.

ამითი მამამ ირგვლივ მყოფნი დიდად აცინა.

— კაცო! არც ერთი პოეტური სახე. ან პიროვნების, ან ადგილმდებარეობის. ბუნების. ბერთეში მაინც დაგავიწყდა?

და მოყვა და მოყვა.

— არა, შალვა! შენ პოეტი არა ხარ!

დამმარხა.

კარგადაც ინება. ამის შემდეგ მე რაიმე სალალობოს თუ ვიტყვოდი მეგობრებში, ლექსი კი არასოდეს აღარ დამიწერია, თორემ ვინ იცის შემდეგშიაც რამდენჯერ ვავაჯახებდები მკითხველებს ჩემი — ჰა, ჰა! — პუბლიცისტური ლექსებით.

კარგად მიიხრა: მოწინავე სტატისა ხომ არა სწერო.

ჩემ ვარდა შემდეგში ძალიან გავრცელდა „მოწინავე სტატების“ ლექსად „ჩამოძერწვა“ სხვების მიერ. ახლაც, საუბედუროდ, ბევრი ეტანება ესეთ „პოეზიას“, მაგრამ ეს უთუოდ იმიტომ, რომ თავიდანვე მათ მამიჩემისთანა მამხილებელი არავინ მყოლიათ.

და აი ამ ჩემი „ნაპერწყლის“ გამოცემა იკისრა კოლია წულუკიძემ. იმიტომ უფრო მოყვევი ამ ამბავს.

როგორღაც სიტყვამ მოიტანა და კოლიას ეუამზე ჩემი „გაპირებების“ ამბავი. მაშინვე მკითხა: რამდენა ჰირდებო. მე ფერაძისაგან ვიცოდი, რომ თორმეტი მანეთი იყო საჭირო. კოლიამ მაშინვე აიღო და მომიცა.

ახლა გაუკვირდება ადამიანს — წიგნის ბეჭდვა რა იაფი ყოფილაო, მაგრამ, ჯერ ერთი, მე მართალს მოვასხენებთ და, მეორეც, ჩემი „წიგნიც“ ერთი მართლა სიფრთხანა ბროშურა იყო, 30—32 გვერდისა და ეს საფასური არც თუ ისე იაფია, როგორც პირველად მოგვიჩვენებდა.

ამგვარად პირადად ჩემი პირველი და უკანასკნელი მეტეხატი იყო კოლია წულუკიძე. ამის შემდეგ მე სხვა არავინ მყოლია ამგვარებში ხელის შემწყობი.

ამგვარად წინა თავებში მე მოვითავებ ჩემი სოფლებში ყოფნის თუ ცხოვრების ამბები და ახლა უნდა შევეუდგე ქალაქად გადასვლას. თუმცა აქავე უნდა ვთქვა, რომ გარდა ჩემ მიერ ზემოაღნიშნულ სოფლებისა, სხვა სოფლებშიაც შემხვედრია ყოფნა, მაგრამ ჩვენი სოფლები საერთოდ ერთიმეორესა ჰგვინდნენ, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მამას ბავშვობაში დავეყვადით: ეს იყო უფრო ძველი მონასტრების თუ სხვა ძველების ადგილები — მცხეთა, გელათი, მარტვილი, ხობი, წალენჯიხა, ძველი „სობორობები“ თუ სხვა ნაშენობა. ბევრი რამ შესამჩნევი იყო აქ: ადგილმდებარეობაც, თვითონ შენობები, იქ მოთავსებული ხატები, წიგნები. მანუსკრიპტები და სხვა ნივთიერი სიძველენი და, ცხადია, ბავშვებს — მე და ჩემს დას — მამის ამეუბნის არა გვესმოდა-რა, მაგრამ მათი დათვალეობით მაინც შევეჩვიეთ წარსულის მიკრძალვას, პატივისცემას და შემდეგში უკვე სიყვარულსაც.

ამასობაში, ე. ი. მოგზაურობაში, მოვიწიფე და სახლში უკვე მარტო მეგობრებთან კი აღარ ვეწვიოდი, არამედ წერა-კითხვასაც მოვიკიდე ხელი. კითხვა ძალზე შემეყვარდა. მამას კარგა მორბილი ბიბლიოთეკა ჰქონდა და... დავეწაფე, მხოლოდ კვითხურობდი ყველაფერს, რაც კი ხელში მომხდებოდა, გარდა სამედიცინო წიგნებისა, — მამა თვითონ იყო დახელოვნებული მეურნალი და ამ დარგის წიგნებიც უხვად ჰქონდა. ჰოდა, კვითხურობდი ყველაფერს, ყოველგვარი სისტემის გარეშე, არაფერს დამხმარე და გზის გამკვლავი არა მყავდა. მამა სახლში ხშირად არ იყო და წიგნების კითხვაშიაც, უკვე მოვიფუტულს, არ მეხმარებოდა და არაფერს ესრეთ წოდებულ „ზნეობრივ“ რჩევა-დარიგებას არ მაძლევდა. ეს არ უყვარდა. ამიტომაც ვიზრდებოდი, როგორც რამდენჯერმე ვთქვი, „ტლუ ბიჭად“, ოღონდ კითხვის გარდა წერაც დავიწყებ და ისიც ლექსებით.

თუ რა ბედი ეწვია ჩემს „მოლექსეობას“, ეს უკვე ზემოთ მოვიხსენიე. ისე კი ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ 14 წლის ყმაწვილმა, 1888 წ., საკუთარი ხელნაწერი ქურნალიც კი დავაარსე „მოზარდის“ სახელწოდებით და დიდი დახელოვნებული რედაქტორიც ვაგნდი. 1892 წლამდე გავრძელობა ჩემი ქურნალის გამოცემა. ჩემ გარდა ქურნალში მონაწილეობას დებულობდნენ: მისა ცხაკაია, დუტუ მგერელი, ორი ადგილობრივი პედაგოგი: ლადი გაგუა და ივანე ცხაკაია. შინაურებში: ჩემი და ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი მოურავთავანი გრიგოლ ბოჭუჩავა.

მე ხომ პირადად ვწერდი: ლექსებს, მოთხრობებს, პატარ-პატარა პიესებს და პუბლიცისტურ სტატიებს. ქურნალის გავრცელებაში, ე. ი. მის რამდენიმე ეგზემპლარად ვაღწერაში, მეხმარებოდა განსაუფრთხილებით ორი ახალგაზრდა: ძივი ფალავა და სვერეიანი კორნე.

ასე რომ ცოტათი კი არ მომწონდა თავი, რომ ასეთი ნაყოფიერი „ქურნალისტი“ შევიქნენ.

მაგრამ ყველა ამის გახსენების დროს არ შეიძლება არ გავიხსენო მეორე მხარეც ჩემის ზრდისა და „განვითარებისა“.

აქ შეიძლება ზოგ სათაყილოზეც მექნეს საუბარი და ამის აღწერამ მკითხველის თვალებში იქნებ მაგნოს კიდევ: რა ყოფილა ეს ჩვენი შალვა? ან ეს „სათაყილოები“ რა მოსატანია და რა გასახსენებელი, — შეიძლება თქვას ვინმემ.

მაგრამ მე რაც ვამახსენებდა, მისი „მრული და მართალი“ ყველაფერი მინდა მოვიხსენიო. მართალია, უან-გაგ რუსო არა ვარ, რომლის სახელსაც მისმა „აღსარებამ“ ვერაფერი აგნო, მაგრამ ეს ნაწერი მარტო მკითხველისთვის არა მაქვს წასაკითხად განკუთვნილი — არამედ, როგორც თავშიაც მაქვს ნათქვამი, თვით ჩემი თავის შესამოწმებლად, თუნდაც ასე შეგვიანებით, რა გამოვიდა იმ არსებისაგან, რომელიც მე „მებარა“, ე. ი. ჩემი თავი.

17 წლისა ვიქნებოდი, როცა სტუმრად ვიყავ დეიდა თეოდონას ქალიშვილის საშა ლოლობერიძის ოჯახში ს. ჯიხაიშვილს.

საშას ქმარი დავით ლოლობერიძე კარგა განვითარებული კაცი იყო, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ბესარიონ, ნიკო და გიორგი ლოლობერიძეების ძმა და ბიძაშვილი. გვარიანი მამულს ჰქონდა და მოკავახებოდა ეწყოდა. თან დიდი პურმარირის კაცი იყო და მისი სახლი უფლამ სტუმრებით იყო სავსე. ამას გარდა თვითონ მშვენიერი ტენორი ჰქონდა და საუცხოოდ მღეროდა ქართულსა და ევროპულ სიმღერებს. ეს ვარემოებაც ძალიან იზიდავდა მომსვლელებს და იყო ერთი დაუსრულებელი ქეიფი და ღრეობა მის სახლში.

რასაკვირველია, პურადლების დროს მათ სუფრას მეც ვუჯექი და ვუკვირდებოდი იქ მყოფო, ხანდახან დავითის სიმღერაში ბანით მეც ვეხმარებოდი, რადგან ჩვენივე სიმღერები ძალზე მიყვარდა, რაც ავგრ ჩემს ღრმა მოხუცებულობამდე გამომყვა. თან ბანძაში ერთგვარად შექმნილი მქონდა სიმღერის ჰანგები და ხერხი მათი შესრულებისა და ჩემს დახმარებას სიმღერის მცოდნეები არ უგულბებდნენ.

ერთ დღეს სტუმრები არ იყვნენ. სუფრას ვუსხედით ოთხნი: თვითონ დავითი, მისი მეუღ-



ლე საშა, მისი ბიძაშვილი, ახალგაზრდა ბენედიქტე ლოღობერიძე, უწყინარი და ზრდილობისადაშიანი, თან ღვინის კარგი ამტანი და სიმთვრალის დროსაც კი მეტად წესიერი. დავითი წინადღის წაღვინევი იყო, „ნაბახურეზე“ მოუნდა გუნება ისევე ღვინით გამოეკეთებინა და დაიწყო დიდი ჭიქით ღვინის სმა. ვადაულოცა ბენედიქტეს, იმანაც ჩამოართვა ჭიქა და გამოცალა, მაგრამ ეტყობა მართო ორის სმამ დავითი არ დააკმაყოფილა და მე მომშარდა:

— შალვა, მოდი დალიე შენც... უკვე ვეკაცი ხარ... არ გაწყენს...

მე საერთოდ პრანქია კაცი არასოდეს არ ვიყავ და ცოტა მეუხერხულა დავითის წინადადება, რადგან იმ დროს რამდენიმე ყლუბს თუ დავლევედი იჯრაზე, თორემ სრული ჭიქებით ღვინო არასოდეს არა მქონდა მანამდე დალეული. არც თუ ტრფილი ვიყავ ღვინისა, მაშინ, როდესაც ჩვენს პოეზიაშიც კი შემოპარული იყო ღვინის სიყვარული. მსმელები ხომ სულ მის ქება-ილდებაში იყვნენ.

აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი: მე საერთოდ ცხოვრებაში ღვინის მსმელის სახელიც კი გამოვიარდა, ბოლო ხანებში ხომ ჩვენებურ სუფრაზე, ოფიციალურ ბანკეტებზეც ხშირად თამადაც ვყოფილვარ და კარგა ბლომდაც დამილევია, ხშირად ვაღამბითაც, ერთიმეორეზე მიმიყოლებია ღვინის სმის დღეები, ლამეებიც გამითევია, მაგრამ — საყვირველი კია, — თვითონ ღვინო როგორც ასეთი, რაც უნდა კარგი ხარისხის ყოფილიყო, არასოდეს არ მყვარებია და არც ახლა მიყვარს. არასოდეს არ მომნატრებია ღვინის დალევა, არ მიზოდავდა, მაგრამ საკმარისი იყო ამხანაგებში ან რომელიმე შეკრებილებაში მოგხედრილიყავ, რომ პარტნიორებს მე თვითონ ვაძლავდი ღვინის დალევის და ამ საქმის დიდი ინიციატორი ვხდებოდი.

ასე იყო, ვიმეორებ, მაგრამ თვითონ მე არასოდეს ამ სითხის მიღება არ მომნატრებია.

იმ დღეს კი ვეჩიხაშში დავითმა დამაჯერა და მეც მათთან ერთად იმდენივე დავლიე, რამდენიც დავითმა და ბენედიქტემ.

ისინი ცოტა შეზარხოშდნენ, მეც როგორღაც „აღტაცებული“ შევიქნენ, დავითს კიდევ უნდოდა დაელოა, მაგრამ სახლში ღვინო გამოლეულიყო და ღუქანში ღვინის მოსატანად მისმა მეუღლემ მოსამსახურე აღარ გაავაზვანა.

დავითი დამორჩილდა. ავდექით. ბენედიქტე თავის სახლში წავიდა, დავითი დაწვა და მოისვენა. მე კი ავტრუვედი, ველარ ვისვენებდი, თან ვატყობდი, რომ გული ამერია და ძლივს გავასწარი ოთახებს, რომ ეზოს რომელიღაც ღობის ძირას ვაგუთავისუფლებულიყავ უჩვეულო სითხისაგან. ისე მოვეშვი და დავუძლურდი, რომ შინ შებრუნების თავიც არა მქონდა, მაგრამ სასუს შეენიშნა ჩემი მდგომარეობა და მზარეული გამოეგზავნა დასახმარებლად. ეგეტ მხარში ამომიღდა, შინ შემეყვანა და ტახტზე დამაწვინა.

ეს იყო ჩემი პირველი ნათლობა ღვინის ემბაზში.

ამის შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ პირველად ასე სასტიკად მაწყინა ღვინის დალევაში, როგორც ვთქვი, მე თვით ვავდი ღვინის მსმელთა დიდი ამფსონი და მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ ხელობაშიც სათაბილო, მაგრამ მაინც დიდი სახელი გამივიარდა.

მე ზემოთ მოვისხენიე, პირადად არასოდეს არ მენატრებოდა ღვინის სმა-მეთქი, მაგრამ ამ ჩვეულებასაც მე უფრო წამბამელობით დავეჩვიე, ისე, როგორც თამბაქოს წევას. როგორ? ჩემი ტოლები ღვინოსაც სეამენ, პაპიროსსაც ეწევიან, ქალებსაც ეარშიყებიან, მე კი რა, იმათზე ნაკლები ვარ-მეთქი? და... ყველა ამ ხელობას თანდათანობით შეეუღლეთ.

აქ ქალების არშიყობამ ცოტა გვიან მომაკითხა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ამაზე მე სხვა აღავას ვილაპარაკებ.

ისე კი კარგა ხანს ვიყავ გატაცებული ჩემ ვარშემო მყოფი მაშინდელი ახალგაზრდობის (უფრო თავად-აზნაურთა წრიდან) ჩაცმულობით და საქციელით. ასე რომ ერთხანს მეც ვიღოდი მრუდე გზით და ჩემთვის სხვა ინტელიგენტურ სამუშაოს რომ არ ეშველნა, ვინ იცის რა გამოვიდოდა ჩემგან.

მამას ბოლო ხანებში არ ეცალა ჩემი აღზრდისათვის. საქმეების თუ სამსახურის გამო ხშირად ტოვებდა ოჯახს და ჩვენ თითქო მიტოვებული ვიყავით მამიდის ან დეიდის ანაბარა: ესენი კი საყვედურებით და ხანდახან „შიშხათით“ ცდილობდნენ ჩემს გამოსწორებას, მაგრამ ასეთი მოპყრობა ჩემზე არა სჭირდა.

მამას უძრახავდნენ უკვე 17 წლის ქაბუკის ასე მიტოვებას, პირშიაც უსაყვედურებდნენ თურმე, მაგრამ ის იგერიებდა, შალვას ისეთი დგრიტა აქვს შთანერგალი, ხელს არ ვაღამყვებაო.

ერთხელ ვაზეთშიც კი ვაუწერეს — შვილს ხელი ააღო და სწავლა-განათლებას არ აძლევსო. ეს ვარემოება კი გამოიწვია შემდეგმა:

ჩემმა ბიძამ, თავის დროზე ვანოქმულმა სარდალმა, პეტრე მხეიძემ ერთ დღეს სოფ. ბერთეშში მშვენიერი ბედაური მოიყვანა ჩემდა საჩუქრად. მამა შინ არ იყო, მაგრამ ძვირფას სტუ-

მარს, რასაკვირველია, სათანადო პატივი სცეს; ჩემი ბიძებიც, ბერთემელი დალიანებრიც მოყვნილები და მზიარულება გააჩაღეს. მე კი სადილად იმდენ ხანს არა ვმჯდარე, რამდენიც თვალაშინაურად ცხენს თავს ვეველებოდი.

ცხენი საერთოდ ბავშვობიდან მიყვარდა და როდესაც საკუთარი გამიჩნდა, ჩემზე უბედურეგის ვინ იქნებოდა!

უნიშნო შავი იყო ეს ცხენი, ყარა მალალი და მშვენიერად ჩამოსხმული აგებულება, ფეხები ჰქონდა ისეთი ჩამოძერწილი, თითქო საუკეთესო მოქანდაკის ნახელოვნებითა, თავიც ჰქონდა მეტად ლამაზად მოყვანილი და თვალები ხომ გონივრული და თითქო სათნოებით სავსე. ერთის სიტყვით, მეტად შეგული მერანი. მე ხომ თავიდანვე დამატყვევა მისმა სიყვარულმა, გამიჩნდა საზრუნავი, დამესმა მიზანი — საღამოობით, ნასადილევს, ჩემი ხელით შემეკავა და მესეირნა ჩვენს სოფელში.

სახელიც შეეურჩიე: „ყარაგოზი“. ლერმონტოვს დავესესხე მისი კაზბიჩის ცხენის სახელს. მაშინ უკვე წაითხული მქონდა მისი „ჩვენი დროის გირია“. და აი, მართლაც, ყოველ საღამოობით ჩემი ხელით შეეკავებოდი და დავეირობდი ბერთემის ქალებსა და გორაკებზე.

ერთ საღამოს გადავიცვი ჩვენ ოჯახში მყოფი ყრუ-გორგის ჩოხა-ახალუხი.

ჩვენს სახლში მამას ბევრი ჰყავდა შემოხიზნული. მასაკუთებითი ვაჟები. ზოგი როგორღაც „ბედისაგან იყო დევნილი“ და მამისგან მოელოდა ნუგეშს და მისი საქმის გამოსწორებას, ზოგიც დაავადებული იყო და ჩვენსა მკურნალობდა მამას რეცეპტით და რჩევა-დარჩევებით, ზოგიც პირდაპირ ინვალიდი იყო და მამასთან ჰქონდა თავი შემოფარებული. ასე რომ ერთ დროს ჩვენს ოჯახში იყო კუტი ანტონა, რომელიც შემდეგ ისე გამოჩნდა, რომ ცხენად კი დაჰკენებოდა, და ზემოხსენებული ყრუ-გორგის.

იმავე დროს ვიღამაც მოიყვანა და ჩვენს ოჯახში შემოჩნდა ბრმა ცხენი. ბრმა იყო, თორემ ისე საუცხოო ლაფში იყო და ხშირად ჩვენი სოფლიდან რომელიმე ჩვენ მოსამსახურეს ვაჭაზუნდით თვით ჩვენს სამაზრო ქალაქში გაზუთების, წამლების და სხვა რამ საოჯახო ნივთების მოსატანად.

ამ ინვალიდების შესახებ მამამ ერთხელ ლექსად ესეთი მუნასობიც კი გამოთქვა:

„ბრმა ცხენზედა კუტი შეესვი, ყრუ მივეცი წინამძღვარად,
ხეიბარი ხეიბარსა გადავები მოსახმარად,
ბრმა ვილოდეს, ყრუ ხედვიდეს, კუტი იჯდეს ფრთხილად, წყნარად
და ასე ამა მკვავრობითა მათ იარონ მთა და ბარად“.

ამათ შორის ყრუ ჩოხა-ახალუხს იცვამდა. მე ვთხოვე და, რასაკვირველია, მათხოვა. შეეკაზმე ჩემი ყარაგოზი და „ჩერქესკიანი“ მოვახტი სასეირნოდ. მაგრამ ეზოდან რომ გავედი, არ ვიცოდი საით წავსულიყავ, რადგან ბერთემის ყველა კუთხე თითქმის მოვლილი მქონდა. ამ ბუბაში მივაღდექი ჩვენს კელაქ მდინარეს ტეხურს. მის კიდეს რომ მივაღდექი, უანიდან დამიბანახს მუშებმა და შემაჩერეს: სად მიდიხარ, წყალი ძალზე მომატებულიაო. მე შეეყოყმანდი. ამასობაში მეითხეს, საიდან მოდიხარო. მე მამამ, რომ ვერ მიცნა, მე მივიას, აოლოტურ სიცრუეს დავაღდექი: ზუგდიდიდან მოვდივარ-მეთქი. ეუპასუხე. მერე ხობის მდინარეში როგორ გადმოხვედიო, მაგრამ სიცრუეს სიცრუე მივაყოლე: ხილიდან მოვუარე-მეთქი. ვიცოდი, რომ ხობის წყალზე ხილი არსებობდა, მაგრამ სად იყო, რა ადგილას, თვალით არ მენახა. ამ პასუხებზე ერთი კი თავი გაიწიეს და მაინც მიჩრჩიეს, რომ მოლიდებული მდინარისათვის თავი აგერიდებოდა. მეც თითქო დაეუჯერე და სხვა მზრთი ვაეუხვიე. იმავე დროს გამახსენდა, რომ ჩვენს სოფელში მდინარის სამი ფონი იყო და ყველაზე უკეთესად „იციხრა ფონი“ იყო მიჩნეული. მეც იქით ვაეწიე. აქ დამშლელი არავინ შემხვედრია და პირდაპირ შევაღვე ტეხურში ჩემი ყარაგოზი.

რა ჰქვიანი ცხენი იყო, თან რა შემძლე და ღონიერი. მდინარის შუაგულ რომ მივედი, წყალმა წულა-მესტზე შემომასხა. ცხენიც, ვიგრძენ, რომ მიწაზე ფეხს კი არ ადგამდა, უკვე იურავდა. ვიგრძენ, მაგრამ არ შემიშინებია, მხოლოდ მდინარის ტალღებმა თვალი არ მომჭრას; თავებრე არ დამახსას-მეთქი და მეც მოპირდაპირე ნაპირს დავუწყე ყურება. ვიცოდი, რომ მდინარეში წყლის მოძრაობას არ უნდა დაექვერდებ. და აი ჩემმა გონიერმა მეგობარმა სრულის დამშვიდებით და დაუზიანებლად გამიყვანა მეორე კიდევზე.

ასლა რას შერბენ, შალვა-პატრონო? უკან დაბრუნება სახიფათოდ მივიჩნიე და გადაეწყვიტე წავსულიყავ სოფ. ბანძას, მამიდა ნინოსთან. ასეც მოვიქციე. სულ დამეიწყა, რომ გზაში კიდევ ორი მდინარე უნდა გადამეცურა: ტარჩელი და აბაშა. მაგრამ ცურვა არ დამსჭირდა ყარაგოზს. ორივე პატარა მდინარე იყო და იქამად აქ წყალიდობასაც დაეკლო, ასე რომ პირდაპირ ფეხდაფეხ, ლაფშურის დნჯი ნაბიჯით გამიყვანა ჩემმა ტაქიმმა.

ჩვენი სოფლიდან ბანამდე მხოლოდ ერთი საათის სავალია და მეც ვალე მიადექი მამიდას ეზოს ჰომოქარს. შეგარდა და ეზოში ცხენი შევაჯირითე კიდევც. მამიდა აივანზე იღვა და პირველად ვერ მივინო „ჩეჩქესკიანი“. შემდეგ კი ერთი სიხარულით შეიკვირვა: „უი, შალვა!“ მომი-
 ალერსა, შინ შემეყვანა და ჩემი უკან დაბრუნება არაფრით არ მოისურვა. დამდებოდა კი-
 დეც და, მართალია, ჩემი მამიდაშვილი, ალექსანდრე ფაღავაც მოვიდა, იმას შეეძლო გამოამყო-
 ლოდა, მაგრამ მეორე დღემდე იმანაც ვადაღვა ჩემი წამოსვლა. იმ დამეს იქ დავრჩი.

ამასობაში სოფ. ბერთემს დიდი აურზაური დატრიალებულა. რომ დავივციან და დაღამდა
 კიდევც, არამც თუ ჩემს სახლში აწვიანებულან, არამედ ჩემი ბიძებისას, სხვა მეზობლებშიაც,
 გლეხები, აზნაურები. დიდხანს ეუძებნიათ, მაგრამ რომ ვერ ეუნახავართ, მდინარეს მიაშუ-
 რეს თურმე — ხომ არ შევიდა და მომატებულ წყალში დაიხრჩო. ნაქალაქეისკენაც გაუგ-
 ზანიათ კაცი, სადმე ხომ არ გამოირიყათ და ის დამე თითქმის მთელ სოფელს არ დაუძინია.

მე კი მამიდასთან მეორე დღით აივანზე ჩაისა და მშვენიერ „შევიშტარს“ (ჰადის ხაჭაპური)
 გეახლებოდით და, გავიხედოთ, ვიდაც ჩამომონძილი, ახალუხისამარა სწორედ ჩვენი ბრმა ცხენ-
 ნით არ მოგვადგა! ეს ჩვენი მოურავი გრიგოლ ბოქუჩავა იყო, რომელსაც არც დაუხურავს
 ისე, მოუსარებია, რადგან გაუგია, მგონი მეყანეებისგან, ვიდაც ახალგაზრდა, უწვერულვაჰო
 ჩოხიანი ყმაწვილი მიაღვა ტეხურს და გასვლას აპირებდაო. გრიგოლს უფიქრნია — შეიძლება
 გავიდა და თუ გავიდა, სად წავიდოდა, უთუოდ მამიდასთანო, და წამოსულა.

გრიგოლს შემოვიდა ეზოში, მოადგა აივანს და არც სალაში და არც არაფერი უტროსებსა და
 პატრესაცემ ადამიანებს, პირდაპირ მე შემომხედა და ხმაშალა წარმოსთქვა:

— ვაიმე, მამულო დაღუპული!

გამომიგლოვა: ეს რა შვილი გამოუვიდა ჩვენს სასახელო ნიკოსო, და მაშინვე დაუწყო
 ჩემს ცხენს ძებნა.

შემდეგში, როდესაც მე მოვწიფულდი კი არა, ხანშიაც რომ შევედი, ხშირად ვახსენებდი
 გრიგოლს:

— არ ვაგიმართლე, გრიგოლ, შენი წინასწარმეტყველება, გამომიგლოვე, მაგრამ... და სხვ.
 და ორთავენი ვიცინოდით.

მეორე დღეს დიდის ფანით, გრიგოლი, ალექსანდრე და კიდევ ალექსანდრეს ერთი ორი
 ახლო მეზობელი მეხალა და პატარძალივით მიმიყვანეს შინ.

მთელი ჩვენი ეზო სავსე იყო ბერთემლებით, ქალი, კაცი.

ცხენიდან რომ ჩამოხტბი, შეიქნა ერთი ხვევნა-კოცნა და მოლოცვები.

აი ამ შემთხვევამ დააწერინა რუსულ ვაზ. „Новое обозрение“-ს კორესპონდენტს ჩემზე შე-
 რილო.

ის წერდა:

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნიკო დადიანს ჰყავდა ერთი საუცხოო ვაჟი, შალვა, მაგრამ
 საოცარი ის არის, რომ ეს მოწინავე კაცი თავის შვილს უსწავლელს ტოვებს. შალვას კი სწავ-
 ლა სწყუროდა, მაგრამ არავინ იყო გამკითხავი და ისიც ერთ დღეს სახლიდან გაიქცა — მხო-
 ლოდ შორს ვერსად წავიდა და მეორე სოფელში თავის მამიდასთან ამოჰყო თავი.

მამამისი კი არავითარი ზომებს არ ლებულობს, რომ შვილს სწავლა მიაღებინოს და დიდად
 გასაკვირია, რომ ესეთი მოწინავე კაცი, როგორც ნიკო დადიანია, ასე ეპყრობა თავის ერთად-
 ერთ ვაჟსო.

მამა მაშინ თბილისში იყო და როდესაც ზემოხსენებული კორესპონდენცია ამოკითხა გა-
 ზეთში, მკითხველი მიხედება, თუ რა გუნებაზედაც დადებოდა, მით უფრო, რომ კორესპონდენ-
 ციაში მოყვანილი მოსაზრება მამაჩემის შესახებ არ იყო მართალი.

ის სულ სხვა, თავის, შეიძლება, ორიგინალური პედაგოგიური შეხედულებების საფუძველზე
 მზრდიდა და თან სწამდა საერთოდ ჩემი საქციელი.

მაინტელემინც მამას არავითარი რეპრესიული ზომები არ მიუღია ჩემს მიმართ, თითქო
 უყურადღებოდ დატოვა ჩემი საქციელი: ბანამში ცხენით გააპარვა... მხოლოდ, შემდეგ, ერთხელ
 კიდევ გავიფიქრე: აი თურმე როგორ იწერება ისტორია!

ჩემი აღზრდა კი წავიდა თავისი გზით.

(გაგრძელება იქნება)



გეასიმა ზიკსხადავა

ღენინური კომკავშირის საზმირო საქმეები

„მოგზაურო! შეატყობინეთ სპარტას მოქალაქეებს, რომ ჩვენ ყველანი აქ დავცით, ვიცავდით რა ჩვენს სამშობლოს.“ კლდეზე ამოკვეთილი ეს სიტყვები ეკუთვნის სამას ბერძენს, რომლებმაც სპარსელ დამპყრობლებს გზა გადაუღობეს და გმირულად დაეცნენ თერმოპოლის ხეობაში. ეს სიტყვები თავისი სიღაღით ყველას აღტაცებს, მათ ღღემღე მთელი კაცობრიობა აღტაცებაში მოჰყავს. მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი და კიდევ უფრო დიდი გმირობა ჩაიდინეს საბჭოთა აღმსარებლებმა, საბჭოთა არმიის მებრძოლებმა, ჩვენმა სახელოვანმა კომკავშირელებმა, ახალგაზრდობამ სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში, დიდი სამამულო ომის თვალუწყვედენ ფრონტზე.

ღღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები, სახალხო დამოკრატის ხალხები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ სოციალიზმის დიად მონაპოვართა ერთგული დამცველის მთელ მსოფლიოში მშვიდობის უძლეველი გუშაგის — საბჭოთა არმიის შექმნის 41 წლის თავს, საესეებით კანონზომიერად წარმოგიდგება ლენინური კომკავშირის საგმირო საქმეები.

— ვემსახურეთ სამშობლოს, ვიცოცხლოთ ხალხისათვის! — ასეთი იყო და არის ბოლშევიკური პარტიის პირშოს — ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ღვევიზი. და კომკავშირის ისტორია საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის, კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლისა და შრომის დიადი და შთამაგონებელი მატიანეა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს კომკავშირი, დირსეულად აფასებს მას. ამ შეფასების ბრწყინვალე გამოხატულებაა, ის, რომ ლენინური კომკავშირის აღისდერ დროშას ხუთი ორდენი ამწვენებს.

კომკავშირმა დიდი და სახელოვანი გზა განეწლო. მრავალფეროვანი და მდიდარი მისი წარსული, შინაარსიანი და მიმზიდველია მისი მოღვაწეობა ამჟამად. კომკავშირი ყოველთვის იყო

და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე, სოციალიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლი. დიდებით მოსილი მისი სახელი მკიდროდა და კავშირებული ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგებისა და კომუნისმის აშენებისათვის ბრძოლის ისტორიასთან.



1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირების პირველი ყროლობა, რომლის მუშაობა მიმდინარეობდა 4 ნოემბრამდე. ყრილობის გახსნის დღე — 29 ოქტომბერი საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში შევიდა, როგორც კომკავშირის დაარსების დღე.

პერიოდი, როდესაც კომკავშირი წარმოიშვა, მეტად მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ეს იყო სამოქალაქო ომის მრისხანე წლები. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ დაიარაზმენ შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა ურიცხვი ძალები. მათ სურდათ მოესპოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, სისხლში ჩაეხშოთ საბჭოთა ხელისუფლება, კვლავ დაედგათ მუშებისა და გლეხებისათვის კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის უღელი, გადაექციათ რუსეთი უცხოელ კაპიტალისტთა კოლონიად.

კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის ხელმძღვანელობით დარაზმა, ადაფრთოვანა ჩვენი ქვეყნის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის მტრების გასანადგურებლად. საბჭოთა რესპუბლიკის დაცვისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის იყვენ კომკავშირელები, ახალგაზრდობა. კომკავშირმა რაჰენინე მოპილოზაცია ჩაატარა და თავისი საუკეთესო ძალები ვაგზავნა საბრძოლველად ფრონტზე. კომკავშირელები მოწინავეთა რიგებში, ბრძოლის ვადამწყვეტ უბნებზე იყვნენ და სიცოცხლის დაუზოგავად ანადგურებდნენ სოციალისტური რევოლუციის მტრებს. „ყოველ ჩვენთავანს, — იგონებდა კო-



მუნისტური პარტიის სახელოვანი შვილი ს. მ. კიროვი, — რომელიც მაშინ ფრონტზე იყო, ახსოვს თუ რა უზარმაზარი, მე ვიტყვოდი, განსაკუთრებული როლი შეასრულა მაშინ კომკავშირმა. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ამხანაგებო, რომ ჩვენი, ბოლშევიკები, საერთოდ რომ ვთქვათ, ისეთი ხალხი, რომელმაც იცის თავისი სიცოცხლის დაუზოგავად ბრძოლა, ზოგჯერ ჩვენც კი „მშუროთ“ ვუყურებდით გვირებს, რომლებსაც კომკავშირი იძლეოდა მაშინ. საკმარისი იყო შეგვხედათ კომკავშირელთა ამ ახალგაზრდა პოლეკებისათვის, რომ შეგმატებოდით ახალი ძალა, ახალი რწმენა შემდგომი ბრძოლისათვის“ (ს. მ. კიროვი ახალგაზრდობის შესახებ გვ. 148-149).

მაშინ, როცა ფრონტებზე მყოფი კომკავშირელები მუსრს ავლებდნენ თეთრგვარდიელებსა და ინტერვენტებს და გმირობისა და მამაცობის მაგალითებს იძლეოდნენ, ზურგში დარჩენილი კომკავშირელები, ახალგაზრდობა მთელ თავიანთ ძალღონეს ამხარდნენ მტრის განადგურების საქმეს, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ საბჭოთა არმიას.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე კომკავშირელთა სახელოვანი ბრძოლები იყო და არის ჩვენი მწერლების შემოქმედებითი მუშაობის ამოუწყერაი თემა. საბჭოთა სამშობლოსადმი, მუშებისა და გლეხებისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი კომკავშირელთა მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულებას ასახავს ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვ. მაიაკოვსკის შემდეგი სტრიქონები:

„პირველ ბრძოლიდან
უკანასკნელ დაქუხებამდე,
ახალგაზრდული
თავდადებით და გატაცებით,
ვიბრძოდით მეღვრად,
არ დაეზოგეთ
სიცოცხლე ნორჩი.
მშვიდ მწყურვალე და უძილო
სდევნიდა მტარვალს
ჩვენი კავშირი,
თვრამეტი წლის ყმაწვილ კაცების, —
მუშათა, გლეხთა
სისხლი და ხორცი“.

კომკავშირის გმირული ეპოპეა მოცემულია ნ. ოსტროვსკის უკედავ რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ წიგნს წარმოადგენს, და ჩვენი მწერლების სხვა მთელ რიგ ნაწარმოებებში.

ლენინური კომკავშირი ყოველთვის უდიდეს მხრუნველობას იჩენდა საბჭოთა არმიისადმი. ამ მხრუნველობის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოხატულებაა ის, რომ კომკავშირმა თავის V ყრი-

ლობაზე, 1922 წელს, შეფთობა აიღო საბჭოთა არსაზღვაო ფლოტზე.

1928 წელს, წითელი არმიის 10 წლისთავთან დაკავშირებით, კომკავშირი სამოქალაქო ომის მერიტოში სამშობლის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მთავრდამ წითელი ღრმის ორდენით დააჯილდოვა.



შეწყდა ქვეშევრდების გუგუნი. დამთავრდა სამოქალაქო ომი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ სძლია მრავალრიცხოვან შინაურ და გარეშე მტრებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშვიდობიან შემოქმედების შრომას შეუდგნენ. და აი, კომკავშირმა, როგორც პარტიის ერთგულმა თანაშემწემ, მიზნად დაისახა მთელი თავისი ძალები დეარაზმა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებთან დაწრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

კომკავშირის მუშაობას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მიერ 1920 წლის 2 ოქტომბერს კომკავშირის III ყრილობაზე წარმოთქმული ისტორიული სიტყვა. დიდი ლენინი მოუწოდებდა კომკავშირს, ახალგაზრდობას ესწავლათ კომუნისმი, მიუთითებდა, რომ ცოდნის დაფუძვლისათვის გადადგმული თვითეული ნაბიჯი მკიდროდ დაეკავშირებინათ პრაქტიკულ საქმიანობასთან, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან.

„ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი ყრილობაზე, — ნიშნავს — საქმე ისე წარმართო რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალღონე უსაზღვლო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა. მხოლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდა კაცი თუ ქალი“ (იხ. ტ. 31, გვ. 357). დიდი ლენინის ბრძნული მიზითებებით აღდგოთენებული კომკავშირელები, ახალგაზრდობა შეუპოვრად სწავლობდნენ სკოლებში, დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში წერა-კითხვის უტოლინარობის ლიკვიდაციისათვის. ეხმარებოდნენ სკოლებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ახალგაზრდობა იბრძოდა ფაბრიკებისა და ქარხნების ამუშავებისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენისათვის, აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტურ შაბაოებებში. სოფლად კომკავშირი ეხმარებოდა პარტიას კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ღარიბი გლეხობის დასარაზმავად, მუშათა კლასისა და საშუალო გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად.

შრომითი გმირობისა და სიმამაცის უნახავი მა-

საქმეების
საქმეების

გალობები გვიჩვენა კომკავშირმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში. კომკავშირებს, საბჭოთა ახალგაზრდებს კარგად ესმოდათ, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განუხორციელებლად შეუძლებელი იყო სოციალიზმის გამარჯვება, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ისინი იყვნენ საწარმოებში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის ინიციატორები. მათი თაოსნობით შეიქმნა დამკვერელი ბრიგადები. ხოლო 1929 წელს, როდესაც საბჭოთა ხალხი შეუდგა პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, კომკავშირმა მალა ამართა სოციალისტური შეჯიბრების დროსა.

არ არსებობს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, ჩვენი უზარმაზარი სოციალისტური სამშობლოს არც ერთი კუთხე, სადაც კომკავშირებს თავდადებულად არ ემუშავათ, სადაც თავიანთი მჭექაერე ენერჯია არ დახმარავთ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. კომკავშირები აქტიურად მონაწილეობდნენ პირველი ხუთწლიანების პირამიდების — სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, დნეპრპენსის, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხნის, დონბასის ქვანახშირის მადარობისა და მეტალურგიული ქარხნებისა და მრავალი სხვა საწარმოს მშენებლობაში. არასრული ცხვებით პირველი ხუთწლიან მშენებლობებზე სამუშაოდ გაიგზავნა 200 ათასზე მეტი კომკავშირელი.

კომკავშირელთა შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე მოწონებასა და აღტაცებას იწვევდა. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ლენინური კომკავშირის ღვაწლი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში: 1931 წლის იანვარში, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 7 წლისთავზე, დამკვერლობისა და სოციალისტური შეჯიბრების საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის კომკავშირი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

მნიშველოვანი როლი შეასრულა კომკავშირმა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. მან დიდი დახმარება გაუწია პარტიას წერილ, დაქაქსულ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნისათვის ბრძოლაში. კომკავშირმა მოაწყო ორი მასობრივი ლაშქრობა „მოსავლისა და კოლექტივიზაციისათვის“. სოფლად მოაწვარი-შეებად ვაგზავენ 20 ათასი კომკავშირელი, კოლმეურნეობების ხელშეწყობისთვის, ბრვიადრებად წამოაყენა ათასობით ახალგაზრდა, აღზარდა ტრაქტორისტთა დიდი არმია. კომკავშირი მხარში ედგა პარტიას მოლიანი კოლექტივიზაციის

საფუძველზე კულაკობის როგორც სოციალისტური რევოლუციის საწინააღმდეგო ძალის წინააღმდეგობის იღებდა კოლმეურნეობებში შრომის წინააღმდეგობის მოწყობას, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის კომკავშირს საბჭოთა მეურნეობების შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელშეწყობით, საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომით პირველი ხუთწლიანი წარმატებით შესრულდა. საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მოწინავე, მძლავრი ინდუსტრიისა და მსხვილი, სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად გადაიქცა. საბჭოთა ხალხის ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაში ღირსეული როლი შეასრულა ლენინურმა კომკავშირმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ.

მალა სწავარმო აქტივობა, უჩვეულო შრომითი ენთუზიაზმი გვიჩვენა კომკავშირმა მომდევნო ხუთწლიანებით გათვალისწინებულ გრანდიოზულ სამუშაოთა პროგრამების განხორციელებაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ახალგაზრდობას ყველა პირობა შეუქმნეს სწავლა-განათლებისათვის, კულტურული ზრდისათვის. კომკავშირი ყოველთვის მტკიცედ ასრულებდა დიდი ლენინის მითითებას კოდნის შექმნის, მეცნიერების დაუფლების შესახებ. მარტო პირველი ორი ხუთწლიან მანძილზე კომკავშირელთა რიგებიდან მომზადებული იქნა 118 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, სოფლის მეურნეობის 69 ათასი სპეციალისტი, 19 ათასი მასწავლებელი, 9 ათასი ექიმი და ა.შ. კომკავშირში აღიზარდა მრავალი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი, მრავალი მეცნიერი, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე, რომელთა სახელით კანონიერად ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობასთან ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის დაუღალავ მუშაობასთან ერთად ლენინური კომკავშირი მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიხიკური და სულიერი ძალების მკაცრი გამოცდა იყო. ამ გამოცდამ ერთხელ კიდევ მთელი მსოფლიოსათვის და სიცხადით გამოაჩინა კომკავშირის, როგორც კომუნისტური პარტიის უახლოესი და უერთგულესი თანაშემწის როლი. ჩვენი სამშობლოსათვის უდიდესი საფრთხის



დღეებში კომკავშირლები კომუნისტებთან ერთ-
თად მიდიოდნენ ფრონტის ყველაზე გადამ-
წყვეტ, ყველაზე მძიმე და სახიფათო უბნებზე
და მტრის მუსრს ავლებდნენ. სხვა რომელი
ქვეყნის ისტორიაში იცის გმირობის, სამშობლო-
სათვის თავდადების ისეთი მაგალითები, როგო-
რიც ჩაიდინეს კომკავშირის მიერ აღზრდილებმა
მიხილ უწყევლა, პეტრე ხარითონოვმა, ალექ-
სანდრე პოკრიშკინმა, ივანე კოყელუმმა, ჭიკოც
ბენდელიძემ, ალექსანდრე მატროსოვმა, იური
სმირნოვმა, ნოე ადამიამ, შოთა გამეცემლიძემ და
სხვა მრავალმა ვანა ოდესმე დაიწყებებს მიეცე-
მა მტრის ზურგში მებრძოლი კომკავშირლე-
ბის — ზოია კოსმოდემიანსკაის, ლზა ჩაიკინას,
კრასნოდონის არალეგალური კომკავშირული
ორგანიზაციის „ახალგაზრდა გვარდიის“ ხელ-
მძღვანელების ოლეგ კოშევიის, ივანე ზემენუ-
ხოვის, სერგეი ტიულენინის, ულიანა გრომო-
ვას, ლუბა შევცოვას და ივ. ტურკენინის სახე-
ლები, რომლებშიც მთელ მსოფლიოს დანახებეს
სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდობის სე-
ლიერი სიმდიდრე და სიმდიერე.

... 1943 წლის იანვარში, როცა საბჭოთა არ-
მია ძლიერდებოდა მიიწვედა წინ და კრასნო-
დონის განთავისუფლების დღეები ახლოვდებო-
და, პიტლერელმა ჯალათებმა ხელთ ჩაიგდეს
ახალგაზრდა გვარდიელები და ციხეში ჩაპყარეს.
შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რაც იატკ-
ქვეშევლებმა განიცადეს ფაშისტთა ხელში. მაგ-
რამ მათი გული ვერაფერმა ვერ გატეხა, მათი
გმირული ნებისყოფა ოდნავადაც არ შერყეუ-
ლა. ისინი ვეჯაკურად იტანდნენ ფაშისტი
მხეცების მიერ მიყენებულ ტანჯვა-წამებს.
არც ერთ მათგანს ფიცისთვის არ უღალატნია,
არც ერთი მათგანი სიკვდილის წინ არ შემდრკა-
ლა. ისინი თავაწეულნი, სიმღერით მიდიოდნენ
უკანასკნელ გზაზე. ეს იყო სიმღერა, რომელსაც
მეფის ციხეების ჯურღმულებსა და კატორღაში
მღვროდნენ ჩვენი წინაპრები, სიმღერა რომე-
ლიც ასე უყვარდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს:

„Замучен тяжелой неволей,
Ты славной смертью почил.
В борьбе за рабочее дело,
Ты голову честно сложил.“

ამ სიმღერით ისინი ვამოებოვნენ სამშობლოს.
საბჭოთა ხალხს.

რა დიდმა სულიერმა ძალამ შთააგონა ალექ-
სანდრე მატროსოვი, როცა იგი თავის სხეულით
გადადგარა მტრის ტყვიამფრქვევს, რათა გზა მიე-
ცა თავისი დანაყოფისათვის? რა იდეალები
ამოძრავებდა სევასტოპოლის დამცველებს, რო-
ცა გრანატებით ხელში უყვიოდნენ გერმანიის
ტანკებს და ანადგურებდნენ მათ? რა აღაღებ-
დათ ლეგენდარულ სტალინგრადელებს, როცა

ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ ვოლგის
პირზე? სხვა მრავალი გმირის მსგავსად ისინი
არ ზოგავდნენ თავიანთ სიცოცხლეს, რადგან-
მტკიცედ სწამდათ თავისი საქმის — კომუნის-
ტური პარტიის საქმის უძლეველობა და სიდა-
დე, სწამდათ, რომ ჩვენი სოციალისტური სამ-
შობლო, საბჭოთა ხალხი, რომელმაც კაცობრი-
ობას პირველმა გაუყავა გზა სოციალიზმისაკენ,
ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებდა, რომ
მტერი განადგურებული იქნებოდა, გამარჯვება
ჩვენ დაგვრჩებოდა.

გამარჯვების რწმენა არ ტოვებდა მათ უკა-
ნასკნელ ამოსუნთქვამდე. ჩვენი საქმის სიმართ-
ლე აძლევდა მათ ტიტანურ ძალას.

...უამთა სვლას თავისი კანონები აქვს, მრავ-
ალი რამ უფერულდება ადამიანის ცხოვრება-
ში, მრავალი კიდეე სავსებით დაიწყებებს ეძლე-
ვა, საფლავების გორაკებიც გასწორდება... მაგ-
რამ არის ისეთი რამ, რაზედაც დროთა ვითარე-
ბა ვერ მოქმედებს, ისეთი რამ, რასაც დაიწყე-
ბის ჟანგი არასდროს არ მოეკიდება. ეს არის
კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბ-
ჭოთა ადამიანების, კომკავშირელების, საბჭოთა
ახალგაზრდობის გმირობა დიდ სამაშულო ომში.

გმირებს აღიღებს საბჭოთა ხალხი. მათ სახე-
ლებს საბჭოთა ადამიანები მუდამ ღრმა სიყვარ-
ულთა და მოწიებით წარმოთქვამენ, მათს
სსოვნას სათუთად ინახავენ, თაობიდან თაობას
პატივისცემით გადასცემენ.

ასეთივე მამაცობით, მზურვალე პატრიოტიზ-
მის გრძნობით, მტერზე გამარჯვებისათვის თავ-
დადებულობით იყო აღსავსე მილიონობით
ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება
ზურგში.

„სამუდამოდ შევა ისტორიაში, — ამბობდა
ი. ბ. სტალინი თავის მოხსენებაში „დიდი ოქ-
ტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27
წლისთავი“, — უმავალითო შრომითი გმირობა
საბჭოთა ქალებისა და ჩვენი სახელოვანი ახალ-
გაზრდობისა, რომლებმაც თავიანთ მზრებზე გა-
დაიტანეს ძირითადი სიმძიმე ფაბრიკა-ქარხნებ-
ში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეო-
ბებში შრომისა, სამშობლოს ღირსებისა და
დამოუკიდებლობისათვის; საბჭოთა ქალები, ჭა-
ბუქები და ქალიშვილები მამაცობასა და გმი-
რობას იჩენენ შრომის ფრონტზე. ისინი აღ-
მოჩნდნენ ღირსნი თავიანთი მამებისა და ვაჟი-
შვილებისა, ქმრებისა და ძმებისა, რომლებიც
სამშობლოს იცავენ გერმანელ ფაშისტ მტარ-
ვალთაგან.“

როგორც ფრონტზე, ისე ზურგში კომკავშირ-
ლებმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ ერთხელ კი-
დეე მთელი სისასენი გამოავლინეს სოციალის-
ტური ოქოქის ადამიანის მძალიე მორალური
თვისებები: თავისი საქმის სამართლიანობის
ურყვევი რწმენა, გამედელობა, მამაცობა, ბრძო-
ლაში უშიშროება, მტრის ღრმა სიძულვილი.

სამშობლოს მხურვალე სიყვარული, სამართლიანი საქმისათვის, სამშობლოსათვის თავდადება.

სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი მუშაობის გაწევისათვის კომკავშირი დაჯილდოვებული იქნა ლენინის ორდენით.



დიდი სამამულო ომი ჩვენი ქვეყნის გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებით სრომას დაუბრუნდა. ახლა კომკავშირი, ახალგაზრდობა მთელ თავის ძალს, ცოდნასა და ენერჯის ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცების საქმეს ახმარს.

ომისშემდგომი ხუთწლეულების გეგმები მილიონობით ახალგაზრდის დროშა, მათი შემოქმედებითი შრომის საბრძოლო პროგრამა გახდა. საბჭოთა ახალგაზრდობის მგზნებარე პარტიოტიზმი, კომუნისტური პარტიისადმი მისი უსაზღვრო ერთგულება ახლა უჩვეულო ძალით ელინდება საწარმოებსა და რკინიგზის ტრანსპორტზე, სოციალისტურ მიწდერებსა და ახალმშენებლობებზე გვირუთი შრომით, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ბეჯითი სწავლით.

უქანსკენ წლებში კიდევ უფრო ამაღლა კომკავშირული ორგანიზაციების აქტივობა სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში. პარტიის მოწოდებით 300 ათასზე მეტი ახალგაზრდა პარტიოტი გაემუშრა აღმოსავლეთისა და ციმბირში, ჩრდილოეთისა და დონბასში ახალი ქარხნების, ელექტროსადგურების, შახტების, მალაროების, რკინიგზების ასაშენებლად. კომკავშირლებმა და ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიოში უდიდესი კუბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში, აგრეთვე ირკუტისკის, გორკის, კამისა და კახოვის ჰიდროელექტროსადგურების აგებაში, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების მკეთებელი 450 საწარმოოს მშენებლობაში. მათ ააგეს მაღალვოლტაჟიანი ელექტროგადამცემი სახი ირკუტსკი — ბრატსკი, ყრუ ტიაგაში გაყვანის რკინიგზა სტალინსკი-აბაკანი. ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ატომური ელექტროსადგურებისა და სხვა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობაში, აგრეთვე აქტივის ათვისებასა და ანტარტიკის შესწავლაში.

ლენინური კომკავშირი ახალგაზრდობის ძალღონეს წარმართავდა და წარმართავს სოფლის

მეურნეობის მეკეთრი აღმავლობისათვის. პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, ოქროს ასოებით ჩაიწერება კომუნისტური მშენებლობისა და ლენინური კომკავშირის სახელოვანი საქმეების მატანეში ახალგაზრდობის გმირობა ყვამირი მიწების ათვისებისათვის ბრძოლაში. 350 ათასი ახალგაზრდა გაემგზავრა კომკავშირის საგზურით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში. მათ თავიანთი შრომით, გმირობითა და მამაცობით დიდი დახმარება გაუწიეს პარტიის 36 მილიონზე მეტი ჰექტარი ყვამირი და ნასვენი მიწის ათვისებას და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში მარცვლელის დიდი ბაზის შექმნაში. პარტიამ მაღალი შეფასება მისცა კომკავშირის შრომით თავდადებას. „ნება მიბოძეთ, — თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშიოვმა პარტიის XX ყრილობაზე, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სახელით მხურვალე მადლობა ვუძღვნა კომკავშირებს, აგრონომებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს — ყველა პარტიოტს, ვინც გამოეხმურა პარტიის მოწოდებას და აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი მიწების ათვისებაში. თავდადებული შრომით მათ მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს“.

თვრამეტმილიონიანი ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა, ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. კომუნისტური მშენებლობის დიდებულ ბროგრაფმა, რომელიც დასახა ყრილობამ მომავალი შვიდი წლისათვის, შემოქმედებითი ინიციატივის ზრდის შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლების ფართო სარბიელს უქმნის კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას. ჯერ კიდევ ყრილობისათვის მზადების დღეებში კომკავშირის ინიციატივით გაჩაღდა ახალი პარტიოტული მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა. და ვინ იცის კიდევ რამდენ ასეთ პარტიოტულ ინიციატივას გამოიჩენს კომკავშირი შედწლედის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.



დიდი და საამაყო შილწევებით ხასიათდება საქართველოს კომკავშირის საქმიანობა, მთელი მისი ისტორია.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაბოგართა დაცვისათვის ბრძოლის, ქვეყნის ეკონომური ძლიერებისათვის თავდადებული შრომის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლები-სა და გამარჯვებისათვის დაუღალავი მუშაობის



სახელოვანი გზა ვანვლო. საქართველოს კომკავშირელებმა, ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, კულტურული რეფორმის განხორციელებაში.

დიდი სამამულო ომის დროს საქართველოს კომკავშირელებმა და კომკავშირში აღზრდილებმა, ახალგაზრდობამ სამშობლოს წინაშე მოვაღებობს მაღალი შეგნება გვიჩვენა. ფრონტზე წასვლებმა ვეკაცური ბრძოლით ამრავლეს ჩვენი სახელოვანი წინაპრების გმირობა და სიმამაცე, დიდების შარავანდედით შემოსეს საბჭოთა სამშობლო. რაოდენ მეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის 65-ზე მეტ კომკავშირელსა და კომკავშირში აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო ათასობით კომკავშირელი დაჯილდოვდა ორდენებით. ფრონტზე წასულთა ან ჩამორჩეობდნენ ზურგში დარჩენილი კომკავშირელები, ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი მამაცური შრომით აჩქარებდნენ მტრის განადგურებას. ჩვენი სოციალისტური მრეწველობის სხვადასხვა უბანზე მოშუავე ათეულ ათასობით კომკავშირელები შრომითი გმირობის სწორუპოვარ ნიმუშებს გვიჩვენებდნენ. ასევე შრომითი მამაცობის უბადლო მაგალითებს იძლეოდნენ კომკავშირელები და ახალგაზრდობა სოციალისტურ მინდერებზე. კომკავშირის ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდული ბრიგადები და მაღალი მოსავლისათვის მებრძოლი რგოლები.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა მთელ თავიანთ მჩქეფარე ენერგიას ახმარდნენ და ახმარენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი აყვავებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბრძოლას საქმეს, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლას საქმეს.

მთელ თავის სახელოვან საქმეებს, თავის გმირულ გამარჯვებებს კომკავშირი, რომელმაც მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაში, უმაღლის ჩვენს საყვარელ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის სწორ, ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და მუდმივ დახმარებას. პარტიამ, დიდმა ლენინმა შექმნეს, აღზარდეს და ბრძოლებში გამოაწრთეს კომკავშირი, განსაზღვრეს მისი ამოცანები, ასწავლეს, აღაფრთოვანეს იგი ხალხთა ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

კომკავშირელებს, ჩვენს ახალგაზრდობას უნდა აქვთ შეგნებული, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნეს მათ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო და ნათელი გზა, შეუქმნეს სწავლის, შემოქმედებითი შრომის ყველა პირობა, თავიანთი ნიჭისა და უნარის გაფრჩქნისა და გამოყენების ფართო ასპარეზი. კომკავშირმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ კარგად იცის, რომ კომუნისტურმა პარტიამ შთაუენერგა მათ ყველაზე კეთილშობილური თვისებები: მშრომელთა საერთო ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება, საერთო საზოგადოებრივი საქმისათვის მთელი ძალღონის მოხმარება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, სოციალისტური საკუთრების თვალისწინებით გაფრთხილება, საბჭოთა სამშობლოსადმი უსახვერო ერთგულება, ხალხის მტრებისადმი სასტიკი სიძულელი, ხასიათის სიმტკიცე, მიზნის სიცხადე და მისი განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლა, სიძნელეების წინაშე უშინებობა, ყველა და ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვის უნარი. ამიტომ არის, რომ კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას უსაზღვროდ უყვარს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია, ამიტომ იგი მზად არის და ყოველთვის ერთსულოვნად ეხმარება პარტიის ყოველ მოწოდებას, მთელ ძალღონეს ახმარს პარტიის მიითებებთა განხორციელებას. ასე იყო სიმოქალაქო ომის წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნის პერიოდში, დიდი სამამულო ომის დროს, და ასეა ახლაც. როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახეულ კომუნისტური შეგნებლობის დიად პროგრამას.

მაღლიერი საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან კომკავშირის უდიდესი დამსახურებით სოციალისტური სამშობლოს წინაშე, სულით და გულით უსურვენ კომკავშირს ახალ და ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. და ეკვი არ არის, რომ კომკავშირი, რომლისთვისაც უცხოა მოპოვებული წარმატებებით დაკმაყოფილება და განცხრამა, თვითდამშვიდება და ყოყმობა, კვლავ ძალღონის დაუწოვავად იბრძოლებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის, მას კვლავ მაღლა ეყრებინა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მძალავი ნაბიჯებით ივლის წინ კომუნიზმის ასშენებას.



თეიშეაჲს ბაჲუაჲშილი

ღირსეულ ტრადიციათა განსაზღვრებალ

საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობამ კიდევ ერთხელ აღნიშნა ჩვენი ლიტერატურის მიღწევები ამ უკანასკნელ წლებში, აღნიშნა ქართული მწერლობის მაღალი დეურის და მაღალმატრული დონე და ის წვლილი, რომელიც მას შეაქვს კომუნისმის მშენებლობის საქმეში. საანგარიშო მოხსენებაში უკვე სახელომხევილი შემოქმედთა გვერდით დასახელებული იყვნენ ახალგაზრდა მწერლებიც, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხანია, რაც შემოვიდნენ ჩვენს ლიტერატურაში და უკვე განსაკუთრებული ადგილი დაიჭირეს კიდევ.

ჩვენი ლიტერატურა დღითიდღე ივსება ახალი შემოქმედებითი კადრებით, რომლებსაც მოაქვთ ახალი თემები და ინტონაციები, მოაქვთ ახალგაზრდული ცეცხლი და ახლის ძიების დაუცხრომელი სურვილი. აი, უკვე ათი წელია სისტემატურად გამოდის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა აღმზახი „პირველი სხივი“, რომელიც ავლენს და გზაზე აყენებს ნიჭიერ ახალგაზრდობას. მისი პირველი შემდგენელი და შემქმნელი უკვე სამწერლო მოღვაწეობის ფართო გზაზე გამოვიდნენ. მათმა ნაწარმოებებმა თავიდანვე მიიჭიკეს ყურადღება. ჩვენი მკითხველისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი არიან მ. მაკავარიანი, ა. სულაკაური, მშები ჭილაძეები, შ. ნიშნიაძე, რ. ინანიშვილი, ნ. კილასონია, ჯ. ჩარკვიანი და სხვანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე საყურადღებო და საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს მათ, რომლებიც მწერლობაში კომკავშირული საგზურებით მოვიდნენ, რომლებმაც კომკავშირული სკოლა გაიარეს. რომლებმაც მოიტანეს ახალი თვალთახედვა და ცხოვრებისეული გამოცდილება, განსხვავებული ჩვენი მწერლობის ძველი თაობისაგან. ეს გასაკვირვებ არ უნდა იყოს, რადგან ჩვენი ახალგაზრდობის საბედნიეროდ იგი ცხოვრობს დიდ კომუნის-

ტურ გარდაქმნათა ეპოქაში, დიდი ძვრების პერიოდში და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და მისი პოეტური აღიარება გამოღვიძრებაც თავიდანვე ამ ეპოქაში იწყება და მიმდინარეობს კიდევაც.

და ეს ითქმის არა მარტო მწერლობის ახალგაზრდა თაობაზე, არამედ მთელ ჩვენს ახალგაზრდობაზე, რომელიც თავისი განათლებითა და ცხოვრებისეული მომზადებით იმდენად წაივია წინ, რომ ძნელია მასთან იმ ენით ლაპარაკი, რომლითაც თუნდაც ამ თანამოებტიოდვე წლის წინათ ველაპარაკებოდით.

მაშასადამე ფაქტია, რომ ახალგაზრდობამ ეს ძვრები და დიდი გარდაქმნანი სწორად გაიგო და გაიაზრა, ამ სიძნელეებმა, მათმა გადალახვამ და დაძლევამ ჩვენს ჭაბუკებსა და ჭალიშვილებს კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა კომუნისმის გამარჯვებისა, რწმენა ნათელი მომავლისა და მისი ესთეტიკური მოთხოვნილებებიც უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

რით გამოიხატება ყოველივე ეს? ეს გამოიხატა ათასობით გამრობისა და შრომითი მუშაობის მაგალითით, ჩვენი შესანიშნავი მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელაგენციის თავდადებული საქმიანობით და თუნდაც იმით, რომ დღეს რ. ტაბიძეს, შ. ფალიაშვილს და ლ. გულიაშვილს გაცილებით მეტი მკითხველიც ჰყავს, მსმენელიცა და დამფასებელიც. ამ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ნიჭიერი ახალგაზრდობა მოვიდა. ეს შეხებება პროზასაც, დრამატურგიასაც და პოეზიასაც. მათ თან მოიტანეს მეტად საინტერესო ბიოგრაფიაც, დაკავშირებული საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებით ცხოვრებასთან. ეს ყოველივე მეტნაკლებად აისახა მათს ლექსებში, პიესებში, მოთხრობებშია და რომანებში. ბუნებრივია, რომ ლიტერატურაშიაც ახალგაზრდა მწერლებმა მოიტანეს ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული თემები,



ერთგვარი მისწრაფება ახალი ფორმებისაკენ, ცხოვრების თავისებური თვალთახედვა და მხატვრული ასახვა.

მართალია ამ ბოლო დროს ბევრი რამ ძალიან კარგი ვაყვით, მაგრამ ნაკლებ საყმაოდაა და ამაში ჩვენი ახალგაზრდობაც ცოდვას.

ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ სათანადოდ არ ეხმარება თანადროულობის მტკივნეულ საკითხებს და ჩვენი ცხოვრების რიტმს ვაცილებით ჩამორჩება. ბუნებრივია დაიბადოს ასეთი კითხვა: ჩვენს მწერლებს, მათ შორის ახალგაზრდებსაც, მხატვრული ოსტატობა აკლიათ, თუ ცხოვრების ცოდნა? არც ერთი, არც მეორე. მაშ რაშია საქმე? ჩვენმა მწერლებმა ცელად არ გამოიგონ, თუ ვიტყვი, რომ, რა თქმა უნდა, არა ყველას, მაგრამ ბევრ მათგანს, ალბათ, ჩვენი დიდი ცხოვრების განცდა აკლია და აქედან გამომდინარე ამ ცნობებისეული განწყობაც. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ხშირად შევხვდეთ მუშებს, წაუკეთხოთ ჩვენი ლექსები, შოკისმიწით მათი პრეტენზიები, ტაში დაგვიკრან და ტაში დაუკრათ, ბევრი ვალიაოთ და ბევრიც შევპირდეთ. საქმე ის არის, რომ მათთან ერთად განიცადო ფოლადის გამოდნობაცა და ყანის თესვა და მოყვანაც, ხოლო შემდეგ კი შენებური თვალთახედვით ასახო თანამედროვე გმირი ადამიანი. და თუ ჩვენ წლიდან წლიამდე ერთობმეულებს, კრებულებს თუ რჩეულებს სახით სისტემატურად გამოვცემთ ძველ ნათქვამს ან გადაამღერებულს, მაშინ ბუნებრივია, რომ მათს ავტორებსაც შემოქმედებითი წვისა და ძიების სურვილი დაეკარგებათ.

მასწავლამე, ჩვენი მწერალი ცხოვრების ძირში შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არ უნდა ჩაიღოდეს, არამედ სისტემატურად, არა დღეებით, არამედ წლიებით.

ხშირად ამბობენ — ჩვენს ლიტერატურაში და, კერძოდ, ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში თავს იჩენს ერთგვარი გატაცება ეგზეტოწოდებელი წმინდა ლირიკით. ჩვენ რაპელები როდი ვართ და, საერთოდ, ლირიკას როდი უარყვით; მაგრამ ჩვენ გვიკრძება მეტროპოლი ლირიკა, რომელსაც მოქალაქეობრივი ღირებულება აქვს, რომელიც გამსჭვალული იქნება სიცოცხლის ღრმა ადამიანური სიყვარულითა და ოპტიმიზმით. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ხშირად ქვეყნდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც სინამდვილის მოვლენებისადმი ერთგვარი ობივატურული დამოკიდებულება გამოსკვივის და ახალგაზრდა მწერალი თუ პოეტი ცდილობს ორაგინალური პროზით წარადგეს მკითხველის წინაშე. მართა-

ლია, ამ ნაწარმოებებში არ არის ჩვენი სინამდვილის დამახინჯებული სურათი, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, მაგრამ მათი მასშტაბი იმდენად მცირე და პირადულია, რომ ისინი ვერ აღიან ჩვენი ლიტერატურის მოქალაქეობრივი ქვლერადობის სიმადლეზე. ჩვენ არ გვინდა ზერეზე, სქემატიური ლექსები, რომელთაც მოქალაქეობრივი ლირიკის პრეტენზიები აქვთ, მაგრამ პოეტის ვიწრო ინტიმურობასა და მწერულობას ვერ სცილდებიან. ასევე საჭიროა არა თემის იდეურობის ამოფარება, არამედ ამვე თემის ახალი მხატვრული ხელოვნებით გადაწყვეტა. თორემ ზოგს ჰგონია, თუ კოლმეურნეობაზე ან ქარხანაზე დაწერა, მაშინ ყველაფერი რიგზეა, მაშინ შეიძლება მისი დაბეჭდვაც. თუ არა ამას, აბა რას უნდა მივაწეროთ ვ. ჯავახიშის ასეთი ლექსი:

ქალაქიდან ჩამოვედი,
რომ სოფელი გვეჩანა,
სოფელი ხომ თავიდანვე გვაოცებდა ჩვენა.
ახლაც მივიკრის:
ვაშლის ხეზე რომ გასულა ვენახი,
ნეტავ ხეზე რა უნდოდა ვენახს!
მაგონდება სიყმაწვილე,
თანატოლებს ვეძახი,
საღალბოდ ტყეში ერთად დავდიოდით
ჩვენა.
ჩემს პატარა ბიჭობაში თხამ შექამა ვენახი.
ეხლა ძია მოსე იცავს
კოლექტივის ვენახს.

საინტერესოა, რა შეიძლება ვუწოდოთ ამას, ლექსი?..

ჩვენს კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში ხშირად ისეთი უკიდურესობაც შეიმჩნევა, როდესაც ცალ-ცალკე განიხილავენ ლიტერატურული ნაწარმოების იდეურსა და მხატვრულ მხარეს. ხელოვნების ყოველ ქეშმარიტ ნაწარმოებში იდეურობაცა და მხატვრულობაც ერთმანეთზე გადაჯაჭვულია. ამ ორი ძირითადი მხარის დანაწევრება და განცალკევება შეუძლებელია, ასეთ რამეს აუცილებლად შემოქმედებითი მარცხიც მოსდევს ხოლმე. ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყნდება ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც არც ერთი და არც მეორე მხრივ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ძველებს თავი რომ დაუანებოთ, მე ისევ ახალგაზრდების შემოქმედებიდან მოვიტან მაგალითს.

გორის ლიტერატურულ აღმზანაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

ხეიბარებით დავალ ხეივნებს,
გულის სიმები დავარბევიან.

ეს მწუხარებაც დაეაზვიენ
შენი თვალების ჩქერებს.

ვაპ, როცა ბედმა არ გახეირა,
მიწას მიბარდა მერე.
მე ხშირად მოვალ იას ამალით
და შენთან დავცილი მუხას,

მიწამ ახაროს ისამანი...
რომ ვინახულებთ მკვდართა სავანეს,
მათ დავაყარეთ გულზე.
როცა დრო მოვა ჩემი სამარის,
მეც დამაყარეთ ისამანი.

ამ სტრიქონების ავტორს თუ ფრაზების რახა-რები პოეზია ჰგონია და თავისი ნიჭი სწორედ არ წარმართა, სჯობია ახლაც მიაკაროს თავის მუხას ისამანი. რა თქმა უნდა, ჩვენმა მწერლობამ გაბედულად უნდა გაუღოს კარი ყოველ ახალგაზრდა პოეტს, რომელსაც მოაქვს ჩვენი ცხოვრების თავისებური დანახვა დღევანდელი ადამიანის მახვილი თვალით. მოაქვს ფორმის სიახლეც, მაგრამ ნამდვილი პოეზია უნდა გავარჩიოთ მოჩვენებითი ნოვატორობისაგან. ეს იმასა ჰკავს, როდესაც ძველ, გახუნებულ სამოსელს გადაბრუნებულს იცვამენ ხოლმე.

მართებულად იყო აღნიშნული, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს პროზაში დიდი გამოცოცხლებაა. ქართულ პროზაშიც ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი მოვიდა. მათი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ასახავს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, შრომას, ოჯახის პრობლემებს, აყენებს წარსულის გადმონათობთან ბრძოლის საკითხს, გვხატავს გმირულ ისტორიულ წარსულს. ამ ნაწარმოებების ერთი ნაწილი იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, დავას. თუ ექვეყნარეშა რ. ინანიშვილის, რ. ბეჯანიშვილის, ე. ყიფიანის და სხვათა ნაწარმოებების იდეური მიზანდასახულობა, ოპტიმიზმი და მხატვრული ოსტატობა, გვხვდება ახალგაზრდა ავტორთა ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც ესა თუ ის თემა დამუშავებულია ზედმეტად ესკიზურად, ღრმა აზრისა და ემოციურობის გარეშე, წერის თანაბარი მანერით ვერ არის ასახული ცხოვრება მთელი სიღრმითა და სილამაზით, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქმის საქმე გვქონდეს იდენტურ მანიერებასთან ან ჩაუარდნასთან (როგორც ეს ზოგჯერ კრიტიკოსს ეჩვენება ხოლმე). მე მხედველობაში მოქვს გ. რჩეულიშვილის, გ. გვეგეშვილის, ს. კორინთელისა და სხვათა მოზარობები, რომლებშიც საკმაო ხმაური გამოიწვიეს.

თუ ჩვენი ლიტერატურა დღესდღეობით ჩამორჩება ჩვენი ცხოვრების განვითარებას,

ამაში პირველ რიგში ჩვენი კრიტიკაა დამაშავე. ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების განხილვის ვარდება. პირველი — როდესაც ხელალებით უარყოფენ იმ ახალსა და კარგს, რომელიც ჩვენმა ახალგაზრდობამ მწერლობაში მოიტანა და ცდილობენ იდეური მანიერება დაინახონ იქ, სადაც ეს არ არის და მეორე — როდესაც ზომამე მეტად ადიდებენ და აქეზებენ მათ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მწერლები უხალისოდ ეკიდებიან ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოების გარჩევა-განხილვას. ხშირად შეგვხვდებით ისეთ ფაქტს, როდესაც ახალგაზრდა კაცს ლიტერატურულ ნიჭს შეამჩნევენ და მასწინე ხოტბადიდებას შესახებ, იქვე არ უსწორებენ ნაკლსა და უარყოფის, აყოფიერებენ, დიდ წარმოდგენას უქმნიან თავისთავზე, ეს კი სიფიზილეს აღწევს და შემოქმედების თვითმკაცროვლებას იწვევს. რა თქმა უნდა, შეცდომებისაგან და ნაკლისაგან მწერალი არასოდეს არ არის დაზღვეული, მაგრამ თუ ის ახალგაზრდაა, თავიდანვე უნდა გავუწუროთ. თავიდანვე უნდა ვაიზარდოს იგი, თორემ ის ნაკლი, რაც მასში ჩანსახით არის მოცემული, შეიძლება შემდეგ დიდ მანკად ვაიზარდოს.

პირუტყვ ხდება ხოლმე: თუ დამწყებ ან ახალგაზრდა მწერალს, კრიტიკოსს რაიმე ნაკლი შეამჩნიეს, თავიდანვე ისე დასცხებენ. რომ თუ მას ნებისყოფა არ ეყო, შესაძლოა მწერლობაზედაც ააღებინონ ხელი.

ზოგჯერ კრიტიკის მახვილი მიმართულია მხოლოდ ახალგაზრდობის მიმართ. ყველამ რომ გულში ჩაიხედოთ და პირდაპირა ვთქვათ, ვანა ცოტა ძვეყნდება ისეთი ლექსები, მოთხრობები ან რომანები ძველი თაობის წარმომადგენლებისა, რომლებმაც შეიძლება თავის დროზე კარგა და დიდი რამ შექმნეს, მაგრამ დღესათვის მათი ახალი ნაწარმოებები დიდ ლიტერატურულ ღირსებას არ წარმოადგენენ. მაგრამ ისინი იმეჭლებიან, ქვეყნდებიან, კაცი მათ შესახებ არაფერს ამბობს, უტყვენ რომ ვთქვათ, ზოგჯერ აქებენ და ადიდებენ კიდევცა და ხომ შეიძლება რომელიმე ახალბედა მწერალი ან პოეტი შეცდეს და იფიქროს: აი, მას აქებენ, მამსადამე, ეს კარგაო — და თვითონაც დაიწყოს ასეთი ნაწარმოებების წერა. ვფიქრობთ, ადვილი დასაშვებია. მამსადამე, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა უნდა იყოს პირუტყვი, დაუნდობელი ყველას მიმართ, მაგრამ ამავე დროს ობიექტური და განსაკუთრებით ახალგაზრდობის მიმართ ძალიან ზომიერი, სათუთი, გააზრებული ასეურა და ათასჯერ.

აქვე ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ, თბი-

ლისს ვარდა გამოდის ლიტერატურული ჟურნალები, აღმანახები, ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოებები ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, სტალინში; მათში გამოქვეყნებული ნაწარმოებები ყველა თანაბარ დონეზე არ დგას. ამაზე კი როგორც ჩვენი მწერალთა კავშირი, ისე ლიტერატურული პრესა საერთოდ დუმს. ცუდი არ იქნება, თუ ჩვენი ცნობილი მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები, თბილისის ვარდა საქართველოს სხვა ლიტერატურულ ცენტრებში მხოლოდ იუბილეებზე და შეხვედრებზე კი არ ივლიან, არამედ წაველენ იქ, ჩაჯდებიან რამდენიმე თვეს, იქნებ წელიწადსაც, დაეხმარებიან როგორც ახალგაზრდა მწერლებს, ისე უკვე სამწერლო ასპარეზზე გამოსულ ავტორებს იდეურ წრთობასა და მხატვრულ დაოსტატებაში.

ბოლო უნდა მოვლდეს იმ მდგომარეობას, როდესაც ერთი და იგივე ნაწარმოებები, ეს განსაკუთრებით უფროსი თაობის მიმართ ითქმის, სისტემატურად იბეჭდება და ქვეყნდება ცალკეული გამოცემლობების ხაზით. ზოგიერთი მათგანი წლობით დამტვერიანებული ინახება მაღაზიის წიგნის თაროზე; ამავე დროს ჯერაც არ არის მოკვარებული ქართული კლასიკოსების ნაწარმოებების ბეჭდვა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და თანამედროვე პროგრესული საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნა და გამოქვეყნება; ბოლო ახალგაზრდობისა თუ რაიმე იბეჭდება და ქვეყნდება, მისი ტირაჟი ზოგჯერ ძალზე მცირეა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მათი შემოქმედების წინაშე ფორმალურად ვალის მოხდა.

ახალგაზრდა მწერალი დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. მისი ინტერესები ლიტერატურის ფარგლებს უნდა სცილდებოდეს და მას ისევე უნდა აინტერესებდეს მუსიკა, ფერწერა და თეატრალური ხელოვნება, როგორც საკუთარი შემოქმედება. ახალგაზრდა შემოქმედთა შორის არ არის ის კავშირი, რომელიც ჩვენში ერთ დროს შესანიშნავ ტრადიციად იყო ქვეყნით.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მწერლები არ იცნობენ, ან თითქმის არ იცნობენ მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდა მწერლებს. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს არ ზღაპნიან შემოქმედებითი მივლინებებით საბჭოთა კავშირის მსმტებით.

ლიტერატურის ახალი ძალების გამოვლენა ჩვენში ერთგვარად სტიქიურად ხდება. „ლიტერატურულ გაზეთს“, „ლიტერატურული გაზეთის“ მსგავსად, შეუძლია დაბეჭდოს ახალგაზრდა პოეტების ლექსები და წინ რომელიმე ცნობილი მწერლის წერილი წარუძღვას.

თუ ჩვენ გვინდა ახალგაზრდობა ნამდვილად საიმედო ძალად იზრდებოდეს, უფრო აქტიურად უნდა ჩაებათ მწერალთა საზოგადოებრივ საქმიანობაში, აგრეთვე ცალკეული ჟურნალ-გაზეთების რედკოლეგიების შემთავლებაში. ეს კარგი იქნება როგორც მათთვის, ასევე ჟურნალ-გაზეთებისათვისაც.

ყველა ის ნაკლოვანება, რომლებიც ჩვენი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების ახასიათებს, არა მარტო მწერალთა კავშირის ბრალია, არამედ ჩვენი — კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაც. ამ ნაკლოვანებათა გამოკვლევად უკანასკნელ დროს გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინა განიხილა „ციკლის“ მუშაობა და უფროსი პრინციპული და ობიექტური შეფასება მისცა. მწერალთა კავშირის გამგეობასთან ერთად ჩატარდა ახალგაზრდა მწერლების შეხვედრა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებთან და ამ სახელისათვის მებრძოლ ახალგაზრდობასთან. ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია, რომელმაც განიხილა 1958 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები, აგრეთვე „პირველი სხივის“ საიუბილეო გამოცემა. ახლო მომავალში განზრახული გვაქვს პერიფერიებში მომუშავე ახალგაზრდა ლიტერატორთა შემოქმედების განხილვა. განზრახული გვაქვს ახლო მომავალში მწერალთა კავშირთან ერთად ახალგაზრდა მწერლები შემოქმედებითი მივლინებებით გაავაზრდოთ მოძვე რესპუბლიკებში.

ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდობის შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებას.

ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს ყველა საშოობლება აქვთ იმისათვის, რათა დაეუფლონ შემოქმედებით მწვერვალს და გაზდნენ დიდი ლიტერატურული ტრადიციების ღირსეული გამგებლებად.



გელა გაბუნია

ჩვენი საყვარელი ღმერთი

ამ ბოლო დღოს ჩვენს ლიტერატურას შეემატა ბევრი ახალი სახელი, რომელთა პირველ წიგნებს მკითხველი თითქმის უკვე ვაეცნო: მას მოეწონა ის ახალგაზრდული წყურვილი ახლის ძიებისა, რომელიც ასე ნათლად ჩანს ამ წიგნებში, ოპტიმისტური შემართება და სიცოცხლის სიყვარულით გამთბარი პოეტური სახეები.

საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ წიგნების კითხვის დროს, მეტად საინტერესო და მრავალმხრივია. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად უფრო საყურადღებოა იმ სადავო საკითხების შესახებ ლაპარაკი, რომელთაგანაც, რასაკვირველია, შეუძლებელია დაზღვეული იყოს პოეტის პირველი წიგნი.

ყველაზე მძაფრად, ახალგაზრდა პოეტების კრებულთა წაკითხვის შემდეგ, ისმება ხოლმე კითხვა, რომელიც თავისთავად არც თუ ისე ახალია. აი ისიც: როგორ უნდა ესმოდეს ჩვენს ახალთაობას თემის აქტუალობა? ცხადია, არა-ვინ არ დაიწყებს კამათს იმის შესახებ, რომ ლექსის თანადროულობა დამოკიდებულია თვით ავტორის პოზიციაზე თავისთავად „აქტუალური თემა“ არ არსებობს. „თუკი მხატვრის მიზანს წარმოადგენს კომუნიზმის იდეალებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — თუკი იგი ხალხის ინტერესებით, მისი ფიქრებითა და მისწრაფებებით ცხოვრობს, მაშინ, როგორი თემაც არ უნდა აიღოს მან, ცხოვრების რაინაირი მოვლენებიც არ უნდა ასახოს, მისი ნაწარმოებები უპასუხებენ ხალხს, პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს“.


მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ერთხანს — ჩვენს პოეზიაში იყო ერთგვარი ვატაცება ისეთი თემებით, რომლებიც უმრავლესად მხოლოდ ერთ დღის „აქტუალობას“ ემსახურებოდა. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივად, პოეტი სწორდა არა იმ დიდ წვილზე, რომელიც საერთოდ შეაქვს საბჭოთა ხალხს კაცობრიობის ისტორიაში, — იგი უფრო ზედაპირულად ეხმარებოდა

ყოველდღიურობის დინებას და ვერ აღიქვამდა ცხოვრებისეულ მოვლენებს თავისი ტემპერამენტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უფერულობა თუ უსისხლობა ლექსისა იყო მიზეზი, რომ მიუხედავად „აქტუალობისა“ ლექსი ხშირად ვერ აღწევდა მკითხველის გულამდე.

ტემპერამენტს, ე. ი. თვით მწერლის პიროვნებას, რომელიც ყალიბდება ცხოვრების გარკვეული ცოდნის საფუძველზე, მიჰყავს მწერალი „თავის საყვარელ“ თემებამდე. იგი ვერ დასწერს თანაბრად ყველაფერზე, მას თავის განსაკუთრებული სამყარო აქვს და ამ სამყაროში აკეთებს აღმოჩენებს, სწორედ ამით იქცევა ის მკითხველის ყურადღებას.

ღღეს ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ლექსებში შეიძინევა ზემოაღნიშნული ტენდენციის საბასუხო რეაქცია, ცდა იმისა, რომ საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე, მახლობელი თემების გზით გადაიჭრას ლექსის თანადროულობის საკითხი. ცხადია, ეს ბუნებრივია. სინამდვილის ჳერეტის მხატვრული ალლო და დიდი ინტელექტი პოეტს სწორად აძებნინებს ხოლმე ძირითად, წამყვან ძალას კერძოსა და ზოგადას ურთიერთობის განხილვის დროს. ტალანტის ეს ორი განუყრელი თვისება იცავს ავტორს მოსალოდნელ საშიშროებისაგან: ესაა პოეტური სამყაროს შეზღუდულობა, მცირედი სათქმელი, ამოფარებული პეიზაჟურ ფერწერას, დიდი იდეის დაწვრილმანება, — ერთი სიტყვით, იმ მოქალაქეობრივი პათოსის უქონლობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ყველა დროის ლექსში მხატვრული პეიზაჟი. ჩვეულებრივად, ასეთი უქონი იქნებ ტექნიკურადაც უნაკლო იყოს შესრულებული, მაგრამ, ცხადია იგი მაინც ვერ შეედრება ჩვენს საყვარელ ლექსს.

საყვარელი ლექსი არ გვშორდება ხოლმე დიდ სიხარულსა და ტკივილშიც, იგი ძალის გემატებს და გვზრდის სულთერად. რამდენჯერ, სრულიად უნებურად, მოგვგონებია ჩვენ შესისხლხორცეული ტაყები უმძიმეს და უნეტარეს წუთებ-



შიც კი. და იქნებ არც ისე შორის ვიქნებით სი-
მართლისაგან თუ ასე გადავასხვავებებთ ცნო-
ბილ ანდაზას: მითხარი, რომელი ლექსი გიყვარს
შენ და გეტყვი ვინა ხარ...

ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნი თითქ-
მის შეუძლებელია დაზღვეული იყოს ჩრდილო-
ვან მხარეებისაგან და ეს გასაგებია. პირველი
წიგნი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ჯამია იმ
ძიებებისა, რომლებიც ავტორისათვის მომავალი
მუშაობის საფუძველს წარმოადგენს. პირიქით,
უფრო სანეკოდ გამოიყურება ხოლმე ნააღრმე
ოსტატობა, სადაც დახვეწილ სტილსა და მო-
ზომილ დაკვირვებათა იქით ხშირად იმალება გა-
ცვეთილი გზით სიარული. ასეთი ლექსის კითხ-
ვის დროს გამახსოვრდება ის, რომ ლექსს არა
ქმნდა რაიმე თვალნათლივი ნაკლი. მეტიც: შე-
იძლება თითო-ორლა პოეტურმა სახემ აღტაცე-
ბაც გამოიწვიოს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ აღ-
რე თუ გვიან, იგი მაინც სხვათა მის მსგავსთა
შორის გაითქვიფება, რადგან მოკლებულია უმ-
თარესს — თვითმყოფადობას.

აი ამ თვითმყოფადობის შეძენა არის სწო-
რედ მწერლის გამარჯვების საწინდარი. თვით-
მყოფადობა ბუნებრივ ნიჭთან ერთად მწერ-
ლის ცოდნასაც ეყრდნობა, რომელიც აძლევს
მას ტაბიურის დანახვის საშუალებას და მის
სწორად წარმოსახვას ხელს უწყობს.

პოეტი ქმნის მაშინ, როცა არ შეუძლია,
რომ არ თქვას... როცა იგი ამყარად ზედავს,
რომ ის აზრი, რომელიც მას დაებადა, სხვის-
თვის უცნობია და აუცილებელი, ანდა არც
ისე ნათელია. როგორც მას, პოეტს ესმის. და
აი ეს შინაარსი, მაღალმატერულად წარმო-
სახული, ბაღებს ლექსს, რომელიც მერე ჩვენ
შეგვიყვარდება დიდხინთ.

როგორია გზა ამ ლექსისკენ?



ტრეიან ტაბიძის ცნობილი ტაბები — „მე არ
კვრი ლექსებს, ლექსი თვათონ მწერს“,
უპირველესად სთქმელის აუცილებლობას
გულისხმობს. ეს ნიშნავს ყველფერს — შენს
აზრს, შენს უნარს, პირადი განცდების დიდი
აღამინური ვნებების სიმძლევზე აყვანას, სი-
ნამდვილეს შენეულ გავებას, რომლითაც უნდა
წარსდგე მკითხველის წინაშე. იმ ახალს, შენ
რომ მოატანე პოეზიაში. ამიტომაც განავრ-
ძობს ასე ტ. ტაბიძე — „ჩემი სიცოცხლე ამ
ლექსს თან ახლავს“...

პოეტის ტრადიტი ჩანს არა მხოლოდ თემის
მოგნებაში, არამედ მის განზოგადოებაშიც. ამ-
ბობნე, რომ არ არსებობს პატარა და დიდი
თემა.

მორის ფოცხიშვილს აქვს ერთი ასეთი
ლექსი — „სამეზობლო“. აქ მართლაც თითქო

რიგზეა ყოველი დეტალი, ლექსის შინაარსი
(ის, რის თქმაც უნდა პოეტს) კეთილშობილუ-
რია, მაგრამ... აი თვითონ ლექსიც:

„მეზობლის ცეცხლზე გამთბარი უთო
თბილია, როგორც მეზობლის ხელი,
ერთმანეთს მუდამ რაღაცას ვუთმობთ.
ერთმანეთს მუდამ რაღაცას ვშველით“

ასე იწყება ლექსი. მ. ფოცხიშვილის შეცდომა
ისაა, რომ იგი სწორხაზოვნად აწვავს იმას,
რაც ლექსის ტაბებს შორის უნდა
იკითხებოდეს. აქ უკვე მზაზარეული ენით
გადმოცემულია ისიც, რის შესახებ ვნებდვ
სწერს პოეტი. მაგრამ მზაზარეული ენით
შთაბეჭდილებას ვერ მოახდენ, ამის შემდეგ
მ. ფოცხიშვილი ამ იდეის კონკრეტულ ილუს-
ტრაციას იძლევა:

„უბოში ბავშვი წაიქცა უცებ —
შუბლით დაასკდა დამსხვრეულ მინას —
ყვირილმა შესძრა ჭერი და ფუქი,
თმებს იწეწავდა დეიდა ნინა.“

ღია პრილობებს სდიოდათ ღვარი
და მეზობლები იქნენ დედაბაღ —
ყველა საშველად ზელებს იწვდიდა,
ყველა ერთმანეთს აიძვლებდა.

აღგნენ, აღერსით აღავსეს ბავშვი,
იქნენ წამლებად და ექიმებად...
თანდათან შეწყდა ჩოჩქოლი სალში,
თანდათან შეწყდა სისხლის დინებაც“.

მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ეს
სურათი შეიძლება კარგი მეზობლობის მავა-
ლითიც იყოს, იგი მაინც ვერ ამართლებს
იმ ესთეტიკურ ფუნქციას, რომელიც მას და-
კისრა ავტორმა, ჯერ ერთი, აქაც ისევ სწო-
რხაზოვნადაა გადაწყებული იდეა („იქნენ
წამლებად და ექიმებად“ და სხვ.), მაგრამ მთა-
ვარი ისაა, რომ ეს მავალით იმავე ჩვეულებ-
რივობის დონეზეა დატოვებული, როგორც
იგი სინამდვილეში დიანახა პოეტმა. მაგრამ
მაშინ იგი ასევე ცნობილი იქნებოდა სხვის-
თვისაც, რომელსაც შეეძლო აშკარააივე დას-
კვნა გამოეტანა — შეიძლება აღმოჩნდეს, რომ
მელნიც ერთ ეზოში ცხოვრობენ ხშირად
უბრად არიან ერთმანეთთან, მაგრამ ჭირში
ერთდებიან.

ფ. ენკელის თქმით ლიტერატურა უნდა
ანციფრებდეს ადამიანს. იდეა, რაინდ საღ-
ლესის და კეთილშობილური არ უნდა იყოს,
მაინც ვერ გამოიწვევს ამ განციფრებას. თუკი
მას ასე პირდაპირ, სწორხაზოვნად ვადასკებ

მკითხველს. მეტიც — შეიძლება სერიოზულადაც არ დაევიწიოს უფრო. მ. ფოცხიშვილის მეორე ლექსი „სახლინო“ მშვენიერია მავალითა ამისა.

ყოველივე ზემოთქმული, ცხადია, არ ნიშნავს იმას, თითქო მ. ფოცხიშვილს ცოტა ჰქონდეს ისეთი ლექსები, სადაც აშკარად ჩანს პოეტის მახვილი თვალი და დაკვირვების უნარი, წერის შინაგანი კულტურა და მხატვრული მიგნებანი, — იქნება ეს ხალხური ზემოხსენებების მასალაზე აღმოცენებული თუ სხვა. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუქციოთ იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდა პოეტის თემატიკური რეალი შედარებით მცირე რაოდენობისაა, რასაკვირველია, ის ინდივიდუალური ცოდნა, რომელიც შეიძლება ვარე სამყაროსთან ცოცხალ ურთიერთობაში, ნიჭთან და ინტელექტთან ერთად არ შეიძლება სრულყოფილად იყოს გამოვლენილი პოეტის პირველსავე წიგნში, რომელიც საერთოდ მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს ყოველი მზარდი შემოქმედისათვის. მაინც შეიძლება აღვნიშნოთ: მ. ფოცხიშვილის დამოკიდებულება მოვლენებისადმი ნაკლებ ორიგინალურია, და თუ სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვისას იგი მაინც პოულობს „თავის“ დეტალს, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს მაინც დეტალი.

სამშობლოს თემა ბავშვობის მოგონებისა და სიყვარულის თემასთან ერთად ამ პირველ წიგნებში ხშირად შეხვდება მკითხველს. რასაკვირველია, მიუღწევილი აქ არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ თემების მიმსგავსებულ ალქანს. მაგრამ ამ წიგნებში არის მომავლის მძაფრი განცდაც, ვინაიდან ისინი, უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნის ახალგაზრდა პოეტებს. ეს მომავალი დაკავშირებულია ხშირად იმ „უთქმელ ლექსთან“, „დიდ სიმღერასთან“, რომლის ვალი ნამდვილ შემოქმედს სიცოცხლის ბოლომდე გააჰყვება ხოლმე. ესაა შემოქმედებითი ძიების წყურვილი, ესაა მომავლის რწმენა. „არაფერია, რაც იყო, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს — ყველაფერია“, — ამბობს ერთ-ერთ ლექსში მ. ფოცხიშვილი. ამ სიტყვებს ლიტონი განცხადების დალი როდღ ატყვიათ. ისინი შედეგია იმ შემოქმედებითი პოტენციისა, საერთოდ აშკარად რომ შეიმჩნევა ჩვენს ახალგაზრდა პოეტების ლექსებში.

„ღად სიმღერისკენ“ სწორადვე ოთარ შალამბერიძის ლექსების პირველი ნიშანია. მიუხედავად იმ ახალგაზრდული არტისტიზმისა (მავალითა ლექსი „ზღვასთან“, ანდა ასეთი ტიპები — „მეტეიეები მტკვარს დასცქვარან ისე, ვით დადარილ საღვებრძელოსა“ და სხვა), რომელიც ჰარბად შეინიშნება მის პირველ

წიგნში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამბობს იმას, რაც არ არის აუცილებელი, მის ლექსებს უსათუოდ ახასიათებს ექსპრესიული ალქანა (მავალითა „ამრიღის ლექსი“) და გონებაშახილური დაკვირვებანი. „სიმღერას მხოლოდ სათავე უნდა, თორემ დასასრულს უპოვის ვერვინ“ — სწერს იგი ლექსში „ისევე აღმაფრენა“. შეიძლება ეს მართალიც იყოს, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ო. შალამბერიძე სათავეს ყოველთვის სწორი გზით არ ეძიებს.

საერთოდ, კრებულის წყაითების შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო ო. შალამბერიძეს ბუნდოვნად ახსოვს სადაცაა ეს სათავე, მაის კიდევ იქითყენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პოულობს.

ერთ შემთხვევაში, ო. შალამბერიძე სწორედ შენიშნულ დეტალზე ავებს ლექსს და ისე განიხილავს ამ დეტალს ზოგადთან ურთიერთობაში, რომ ლექსი თავისუფლად ასრულებს თავის ესთეტიკურ ფუნქციას. ასეთია თუნდაც ლექსი „გაზაფხულის დღე“, სადაც ეამთა სვლის გარდუვალობა გახსნილია თემისთვის სრულიად შესატყვის ფერებში. თვით ლექსის ფინალი შერეობა კი არაა, არამედ ერთგვარი ჰუმორია იმ აღმანიასა, რომელსაც შეუძლია დროთა სვლა დიდ მიზნებისათვის გამოიყენოს.

მაგრამ, სხვა შემთხვევაში, ო. შალამბერიძე მეტად ვიწრო სამყაროს წარმოსახავს და მისი ლექსების თანადროულობა იყარება მხოლოდ სააღმომოდ ვარჯის სტრუქტურაში. ის მოქალაქეობრივი პათოსი, რომელიც უნდა სჩანდეს, უპირველესყოვლისა, ჩვენი ეპოქის პოეტის ლექსში, თემის გადაწყვეტის მასშტაბურობაში, აქ აღარ იგრანობა. რასაკვირველია, „ვიწრო სამყარო“ და „მოქალაქეობრივი პათოსი“ არ ნიშნავს იმას, თითქოს პოეტი რაღაც წინასწარ ცნობილ აქტუალურ თემას უნდა იღებდეს და ამ გზით ძლევდეს კერძოს. ცხადია, არა! მე ველაპარაკებ პოეტის ინტელექტუალურ ინტერესებზე. მავალითა, ასეთი ლექსი:

„მე არაფერი არ დამიკარგავს, არ დამჩენია ნაღველი გულში, კმაყოფილი ვარ ამ განშორებით. მე არაფერი არ დამიკარგავს იმ დროის გარდა, შენს ტყუილებს, რომ ვისმენდი, კარგო! მე არასოდეს მჯეროდა შენი და არაფერი არ დამიკარგავს!“

ო. შალამბერიძის პოეტური ძიების სწორად არჩეულ გზად არ ჩაითვლება იმიტომ, რომ ამ ლექსს აკლია საზოგადოებრივი ძლერადობა.



იგი ვერაა აყვანილი პოეტურობის იმ ხარის-
ხში, როცა ლექსს შეუძლია გაცილდეს ორი
ადამიანის ინტერესებს. თავის მხრივ ეს იწვევს
ასეთ დავიკრებებათა ახირებულობასაც:

„ეხ... ეს ცხოვრება გასაკვირია“
(„ველისი“)

ანდა:

„ცხოვრებაც ხომ ჰგავს თეატრის ფარდას,
ვისთვის იხსნება,
ვისთვის ეშვება...“
(„მედია ჩახავას“)

ო. შალამბერიძეს ეტყობა ბევრი უკითხავს
ვასული საუტუნის ქართული პოეზია და კერ-
ძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს ჩანს იმ
პოეტურ სინტაქსითაც კი, რომლითაც შეს-
რულებულია ზოგიერთი მისი ლექსი.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს
ლიტერატურაში შორის გავლენებზე საუბარი
რატომღაც ერთგვარ უხეხბულობას იწვევს
ხოლმე, თითქო იგი შეუფერებელი იყოს ჰემ-
მარტი შემოქმედებისათვის და, რაც მთავარია,
მტერი ორიგინალობის. პირიქით — გავლენე-
ბის (გავლენას ჩვენ კარგი გაგებით ვგულის-
ხობთ გ. გ.) შედეგად იქმნება სწორედ პოე-
ტის ინტელექტი; შემოქმედების ვარშე წარ-
მოუდგენელია საერთოდ ზრდა. გაცილებით
ცუდია, როცა — ამ გავლენების რიცხვი მცი-
რეა მეტად, ვინაიდან, ჩვეულებრივად, მათი
სიმცირიდან ეპოგონობამდე ერთი ნაბიჯია.

მაგალითად, ო. შალამბერიძის ლირიკული
პოემის ერთ-ერთი ნაკლი იმაშიც მდგომარე-
ობს, რომ ეს პოემა, რომელიც მან ნ. ბარათა-
შვილს ცხოვრებას მიუძღვნა, აგებულია და
გადაწყვეტილი იმავე მხატვრული პრინციპით,
რომელიც ს. ჩიქოვანის პოემაში „სიმღერა
დავით გურამიშვილზე“ გვხვდება.

ჩვენი საყვარელი ლექსი არის დიდი პოეტუ-
რი კულტურის ნაყოფი, იგი მოქმედებს ჩვენ-
ზე, ისე როგორც მის დაბადებაზე თავის დრო-
ზე იმოქმედებს სხვა გავლენებმა.



...განთიადზე, როდესაც ჯერ კიდევ არ გა-
ქრალა მთვარის შუქი, ჩინარებთან, ზღვის
ანანაბროზე, პოეტი დაინახავს უცნობ მხარ-
ბეკიან ჰაბუკს, რომელიც დაღვრებული ზის.
იგი მაშინვე გადასწყვეტს, რომ ჰაბუკი შეყ-
ვარებულია. რატომ? იმიტომ რომ სვედის
სხვა მიზეზი არ არსებობს თურმე:

„თუ ტრფობა ზოგჯერ სევდა არ არის,
ჩვენს ქვეყანაში სევდა ვინ ნახა“.

ეს ლექსი ვკუთვნის ახალგაზრდა პოეტს
ჯანსუღ ნიქაბაძეს. მე ვგონია, ეს არის დაგ-
ვიანებული გამოძახილი ერთ დროს ლიტერა-
ტურაში არსებული ტენდენციისა, რომელიც
სინამდვილის შეღამაზებაში მდგომარეობდა.
წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ უნდა გაი-
ვოს იგი მკითხველმა?

ასეთ გულმტრევილო ვაგება „სოციალური
დაკეთისა“ ლექსს ყოველგვარი შემოქმედ-
ების უნარს უკარგავს. იგი უფრო ახლოსა დგას
ევრეთ წოდებულ პარადულობასთან, ვიდრე
ცხოვრების სიმართლის წარმოსახვის ამოცანებ-
თან. და თუ ასეთი ლექსი მაინც გამოიწვევს
მკითხველის განცდიერებას, ცხადია, ეს აღარ
ქნება ის განცდიერება, რომლის შესახებაც
ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ.

ჯ. ნიქაბაძე ხშირად მიმართავს „აქტუალურ-
თემებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ ვაჩანია
თავისი, ინდივიდუალური დამოკიდებულება
თემისადმი. ამიტომაც მისი პოეტური ფრაზა
ცნობილი და უფეროა, ხოლო ზოგჯერ კი
ზედმეტად მარტივი („პირდაპირ სერლის მერ-
ხიდან ბრძოლი მიუტუბით ზეღლის“). იგი
ახლოს არაფერს ემსებება გულსა და გონებას.
თავისთავად, მაგალითად, ხალხთა მეგობრობის
შესაებე დაწერილი ლექსები, მუდამ საპატიოა
და მაღალიადური, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა,
აქ უნდა ჩანდეს ავტორის ტემპერამენტი, რო-
მელიც აღმოაჩენს ახალს ამ დიდ თემში.

შეიძლება ლექსი ტექნიკურად კარგად იყოს
შესრულებული, ცალკეული პოეტური სახეები
გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, — (ასეა
ჯ. ნიქაბაძის ლექსებშიც), მაგრამ, ცხადია, ეს
კიდევ არ კმარა გამარჯვებისათვის, მწერალი
უნდა ხედავდეს გაცილებით მეტს, ვიდრე
მკითხველი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მას
უნდა გააჩნდეს „თავის“ თემები, რომლებშიც
იგი გაცილებით უფრო კომპენტენტურია, ვი-
დრე სხვა.

ახალგაზრდა პოეტის, ნოდარ შამანაძის ლექ-
სები უპირატესად გარკვეულ საუფეტურ
სვლებზეა აგებული, სადაც ხშირად ქაზობის
გონებაშიაფილობა. იგი ყოველთვის სიმარტი-
ვისაკენ ისწრაფვის და მოულოდნელ შედარე-
ბათა ეფექტის გზით ცდილობს იმოქმედოს
მკითხველზე. კარგია თუ ცუდია ეს გზა, იგი
მინც ნ. შამანაძის სამყაროდან მოდის, მაგრამ
მთავარი ისაა, რომ ეს სამყარო მეტად შემო-
ფარგლულია. როგორც კი ახალგაზრდა პოეტი
გაცილდება თავის თემს, იყარება მისი იწი-
ვიღულობაც. ის ერთგვარი „პრამიტებისტუ-

ლი“ ხერხი, რომელიც პირველ შემთხვევაში თითქო შესაფერისიც იყო მისი სათქმელის გადმოსაცემად, სხვა შემთხვევაში გაშიშვლებულად გამოიყურება. მაგალითისათვის მოვიტანოთ თუნდაც ლექსი „მე მიყვარს“. თურმე ბავშვობაში დასმული კითხვა — ვინ გიყვარს? და პასუხი — დედა, შემდეგში შეიძლება ასე შეიცვალოს — ვინ გიყვარს? პასუხი: — ჩემი ქვეყანა, რუსეთი, პოლონელი, უნგრელი, ჯამბულის დომბრა, ჩინელი, მშვიდობა და ა. შ. ცხადია, გასაკვირი აქ არაფერია, ამ იდეის მხატვრული განაღდების გარდა:

„დღეს შემეკითხეთ, რა უყოთ, ხელში თუ ველარ ამიყვანათ“,

რასაც მოსდევს მშრალი ჩამოთვლა.

პოეტური საწყაროს შეზღუდულობა საერთო „საყმაწვილო სენია“ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტისა. ბავშვობის მოგონება, სიყვარული უიმედო თუ იმედოანი, მშობლიური პეიზაჟით აღტაცება — თითქმის ყველგან შეგხვდებათ. ეს იწვევს ერთგვარ მსგავსებას და, როგორც უკვე ვთქვი, ამაში დამნაშავეა არა თემა, არამედ პოეტი. ლექსი, რომელიც ჩვენ გვიყვარს,

თავისი მასშტაბით დიდი მანძილების გასწვრივ დაა შექმნილი. იგი ყოველთვის გვეუბნება ისეთს, რაც ჩვენ აქამდე არ ვიცოდით, ანდა კარგად არ ვიცოდით, მოგვიწოდებს იქით, რაც ჩვენი ცხოვრების აზრს შეადგენს, და ცხადია, ყოველივე ეს ხდება იმ მაღალმხატვრულობის გზით, რომელიც სინამდვილის სწორად წარმოსახვის ხარისხზეა დამოკიდებული.

ჩვენი საყვარელი ლექსი თავისი შინაგანი ბუნებით ოპტიმისტურია, მაგრამ ეს როდინიშნავს იმას, რომ იგი გვერდს უვლის სიძნელეების წარმოსახვას. პირიქით — იგი განამტკიცებს საბჭოთა ადამიანის მეგრძოლ სულს, შთააგონებს მას ამ სიძნელეებს გადასალახავად. მისთვის საინტერესოა დღევანდელი დღის ტყივილიცა და სიხარულიც, ვინაიდან ჩვენი საყვარელი ლექსი უპირველესად თანადროულია თავის საზოგადოებრივი ელერადობით.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებითი ძიებანი ასეთი ლექსის შექმნისკენა მიმართული. ამ ძიებებას დროს ისინი უმთავრესად სწორა გზით მიდიან, ვინაიდან ამის საწინდარია საბჭოთა ლიტერატურის მდიდარი გამოცდილება.



ღაზუ ჯანაშია

მეგობრის წიგნი

ჩვენს მესხიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია ის მღელვარება, რომელიც ყველა ჩვენთაგანმა, ყველა თბილისელმა და ყველა ქართველმა განიცადა ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის, თბილისის ათასხუთასი წლისთავის დღესასწაულის დღეებში. რამდენი ლექსი ითქვა თბილისის საქებრად, რამდენი მილოცვა და საჩუქარი მიიღო მან.

ბევრი რამ ითქვა და დაიწერა თბილისის შესახებ მოძმე რესპუბლიკებშიც. მაგალითად, სომხეთში თბილისის იუბილეს სპეციალური ნომრები უძღვნეს ერევნის გაზეთებმა. თბილისზე დაიბეჭდა ბევრი სტატია სომხეთის სხვადასხვა ჟურნალებშიც. განსაკუთრებული სიზარული გამოიწვია თბილისელებში ერევნელების ერთმა დიდმა საჩუქარმა: მათ ერევნის ერთ-ერთ უდიდეს და უღამაზეს ქუჩას თბილისის სახელი დაარქვეს. ცხადია, სომეხი ხალხის ასეთი გულთბილი გამოხმაურება ჩვენს დღესასწაულზე თბილისელებისათვის დიდად სასიამოვნო იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, შესაძლოა, ბევრ ჩვენთაგანს მიანიცადამინც არც კი გააკვირვებია იგი და რამდენადმე ბუნებრივადაც კი მიიჩნია, ამის ნათესაყოფად საკმარისია თუნდაც ერთხელ გადავავლოთ თვალი ჩვენი ხალხების ურთიერთობის მრავალსაუბუნიან ისტორიას.

თითქმის ორიათას ხუთასი წელია, რაც ქართველები და სომეხები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. ეს მცირე დრო როდია. ამ ხნის განმავლობაში არა ერთი უძლიერესი სახელმწიფო დამხოზილა და არაერთი ამაყი ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა. და თუკი ჩვენმა შედარებით მცირერიცხოვანმა ხალხებმა ასე შეუდრეკველად გაუძლეს ათასგვარ სიძინელს და შეინარჩუნეს თავისთავი და თავიანთი უბრწყინვალესი კულტურა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ამ ორი ხალხის ურყევი მეგობრობაც იყო. ყოველ საჭირო შემთხვევაში ეხმარებოდნენ ისინი ერთმანეთს და მოძმე არასოდეს დაუგდიათ გასაკირში. სომხეთი პირველი ღებულობდა სამხრეთიდან შემოსეული

მტრის პირველ დარტყმას და ამით საქართველოსაც უმსუბუქებდა თავდაცვას. თავის მხრივ საქართველო ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან იფარავდა სომხეთს, (ასე მიყვარდნობა ერთმანეთს ზურგიით მტრისაგან ალყაშემორტყმული ორი თავგანწირული მეომარი). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სამხრეთიდან ჩვენს ხალხებზე მომავალი საფრთხე უფრო დიდი იყო მუდამ.

მაგრამ ჩვენი მეგობრობა მარტო ბროლის ველზე როდი მტკიცდებოდა. იგი ჩვენი ხალხების ცხოვრების სხვა მხარეებსაც მოიცავდა. მათ შორის მუდამ იყო ცხოველი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. გზები სავსე იყო ქარავნებით, ხოლო სომეხ მწიგნობარს ისევე შეეძლო წაეკითხა სომხურად „ქართლის ცხოვრება“ და „შუშანიის მარტილოზა“, როგორც ქართველს ქართულად სანდუხტისა და მესუკავეთა წამებანი. ამ ხალხებს შორის უახლოეს კავშირს ისიც მოწმობს, რომ ქართულში უამრავი სომხური სიტყვაა და პირიქით. ბევრი სიტყვა, რომელიც დღეს სავსებით ქართულად ვლერს, მაგალითად, მიაშიტი, ერკემალი და სხვანი — წარმოშობით სომხურია. ასეთივე მდგომარეობაა სომხურშიც. ასევე ხუროთმოძღვრებაში და ხელოვნების სხვა დარგებშიც, მეცნიერებაში და უბრალო ზნე-ჩვეულებებშიც. ქართული ვაზი საფერავი დღეს ისევე ჰყვავის სომხეთის ცხელი მზის ქვეშ, როგორც თავის სამშობლოში.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ ვამბობდი — მოძმე სომხების გულთბილი დამოკიდებულება თბილისის დღესასწაულისადმი გასაკვირველი არც უნდა იყოს-მეთქი, თბილისი ხომ სწორედ ცენტრია ამ ქართულ-სომხური კავშირებისა. აქ ცხოვრობდა ბევრი გამოჩენილი სომეხი მოღვაწე და თვით სომხეთის ისტორიის არაერთი ფაქტი თბილისთანაა დაკავშირებული. თბილისში მიიღო განათლება და დაწერა თავისი ცნობილი რომანი „სომხეთის წყალუბნი“ დიდმა სომეხმა მწერალმა ხაჩატურ აბოვიანმა. აქ ცხოვრობდნენ სომხური ლიტერატუ-

ქართული
ენების
მეცნიერება

რის გამოჩენილი მოღვაწეები: პოეტი არ. აღამ-
დარიანი და დრამატურგი გ. სუნდუქიანი.
თბილისში გამოდიოდა მრავალი სომხური ჟურ-
ნალ-ვახეთი, და აქ დაიბეჭდა უამრავი სომხურ-
ი წიგნი. და ბოლოს, თბილისში ცხოვრობდა
და მღვდელმწიფობდა დიდი სომეხი მწერალი
ოვანეს თუმანიანი, საქართველოს დიდი მეგობ-
ბარი და მოყვარული, რომელიც თურმე ხში-
რად ამბობდა — ერთი გზა გვქონდა ძველად,
ერთი კულტურა ჰყვოდა ჩვენს შორის და
მომავალიც ერთი გვაქვსო.

თბილისელებმა მომძე ერევნელებისაგან კი-
დეც ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. ეს
არის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პრირექტორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატის ვაჩე სმბატის-ძე ნაღბანდიანის
წიგნი „თბილისი ძველ სომხურ ლიტერატურა-
ში“ (დასაწყისიდან XVIII საუკუნის გასულა-
მდე)“. წიგნი თბილისის იუბილეს დღეების-
თვის დაიბეჭდა და ავტორმა იგი „საქართვე-
ლოს დედაქალაქ თბილისის დაარსების 1500
წლისთვეს“ უძღვნა. წიგნი საშუალო ზომისაა
(170 გვერდი), სუფთად და ლამაზად გამოცე-
მული, მისი რედაქტორია პროფ. ლეონ მელიქ-
სეთ-ბეგი.

საერთოდ ცნობილია, რომ ძველ სომხურ
საისტორიო მწერლობას საქართველოს შესა-
ხებ უამრავი და უძვირფასესი ცნობა შემოუ-
ნახავს, მათ შორისაა ცნობები თბილისის შესა-
ხებაც. წიგნის დანიშნულებას ავტორი ასე
გადმოგვცემს შესავალში: „საქართველოს უძ-
ველესი დედაქალაქის თბილისის შესახებ ძველ
და შუა საუკუნეების სომხურ ლიტერატურაში
მრავალრიცხოვანი მასალა და ცნობები დაცული
მათი შეგროვება, ერთად მოტანი, დამუშავება
და განზოგადება საკმაოდ ძნელი საქმეა. წინა-
მდებარე შრომის მიზანი არ არის ყველა ამ
მასალას და ცნობის სრული და ამომწურავი
გადმოცემა და განახლება. ამ წიგნის მიზანია
შეიხვეწოს წარმოდგინოს მხოლოდ ერთი რი-
გი მნიშვნელოვანი ცნობებისა, რომლებიც და-
ცულია სომხურ ლიტერატურაში თბილისის
ისტორიის შესახებ, დაწყებული ძველი დროი-
დან ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე“
(გვ. 3). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ
ავტორი მხოლოდ სომხურ წყაროებს როდი
იყენებს, საჭირო ადგილას ის იშველიებს
ავრეთეუ ქართულ, ბერძნულ, არაბულ, რუსულ
და იტალიურ წყაროებსაც.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი
წიგნი დაწერილია ქართველი ხალხის წარსუ-
ლის დიდის ცოდნითა და სიყვარულით. ავტორი
მთელი წიგნის მანძილზე ხაზს უსვამს იმ
ტრადიციულ მეგობრობას, რომელიც ჰქონდათ
ერთმანეთთან სომეხ და ქართველ ხალხებს:

„საუკუნეთა სიღრმიდან მოდის
ხალხის, ქართველებისა და სომეხების მეგობ-
რობა. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ეს
ხალხები. მისი მრავალსაუკუნოვანი და უძვე-
ლესი ფესვები მიდის ძალიან ღრმად და უხ-
სოვარ, წინარეისტორიულ დროს აღწევს. ამ
მეგობრობისა და ძმობის შესახებ გულითადი
სიტყვებით გვიამბობენ სომხურ და ქართულ
ისტორიულ ძეგლებსა თუ მატიაწებში დაცუ-
ლი და საუკუნეთა ნისლში ჩვენამდე მოღწეუ-
ლი ხალხური ტრადიციები და გადმოცემები,
— წერს ავტორი და იქვე იხსენებს, რომ XI სა-
უკუნის სახელგანთქმული ქართველი ისტორი-
კოსის ლეონტი მროველის სიტყვით სომეხთა
მამამთავარი ჰაოსი, საქართველა მამამთავარი
ქართველნი და ექვსი სხვა კავკასიელი ხალხის
მამამთავრები — ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი,
პეროსი, კეკასი და ევროსი ნოეს შთამომავალ
თარგამოსის შვილები, ღვიძლი ძმები იყვნენ.
როგორც სასველით სამართლიანად აღნიშნავს
ავტორი, სომეხ-ქართველთა ეს ოდინდელი მე-
გობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა საუკუნე-
თა მანძილზე, როდესაც სომეხი და ქართველი
ხალხები მხარდამხარ იბრძოდნენ უცხოელ
დამპყრობთა და ასიმილატორთა წინააღმდეგ.
„თითქმის ერთნაირი იყო ქართველებისა და
სომეხების მწარე გამოცდილებით აღსავსე ის-
ტორიული ბედი. ისინი ყველგან ერთად იყვნენ,
როგორც სიხარულსა და ლხინში, ისე გაჭირ-
ვების ტრაგიკულ დღეებში. ამ ორი ხალხის
სამხედრო მეგობრობა და ურთიერთმანერგა
შეიქმნა მათი ხსნის ის ერთ-ერთი მნიშვნელო-
ვანი წმინდა რგოლთაგანი, რომელზედაც მოქო-
დებულმა ამ ხალხებმა თავი დააღწიეს გაჭირ-
ვებათა ურიცხვსა და უამრავ დასლართულ
ლაბირინტს, გადარჩნენ და მოაღწიეს ჩვენს
დრომდე“ (გვ. 10). ასევე განსაკუთრებული
სიყვარულითა და აღტაცებით წერს ავტორი
თბილისზე. მაგრამ უმჯობესია ამჯერადაც ავ-
ტორს დავუთმოთ სიტყვა: „ორი მომძე ხალ-
ხის მეგობრობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა
საქართველოს უძველესი დედაქალაქი თბილი-
სი. ათას ერთი სასწაულითა და მომზიბღლე-
ლობით აღსავსე ეს ქალაქი ამიერკავკასიის
ხალხთა ძმობის აკანია ქემშარიტად. საქარ-
თველოს დედაქალაქში საუკუნეთა განმავლობაში
ერთად ცხოვრობდნენ, საერთო აზრითა და
ოცნებით სუნთქავდნენ, საერთო საქრთველი-
თა და ტკივილით იტანჯებოდნენ ქართველნი
და სომეხი, იყოფდნენ როგორც ბედის სი-
მუხთლის, ისე გამარჯვების სიხარულს.

„თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო
სომხეთი უმთავრესად პირველი ხვედობდა
ხოლმე უცხოელთა შემოტევებს, პირველი
იღებდა ამიერკავკასიაში შემოპრილი ურდოე-



ბის შემოტევათა დარტყმას. ვასაგებია, რომ ამ გარემოებამ თავისი დიდი დაანნია სომეხი ხალხის მკმენვარე ბელს. ჯერ კიდევ აღინდელ საუკუნეებში სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობის დეკარგის შემდეგ, მუდამ მოსალოდნელი და მოულოდნელი თავდასხმების საფრთხის წინაშე მდგარი სომეხი ხალხი ძალიან ხშირად იძულებული იყო თავისი მშობლიური ქვეყანა, საკუთარი სახლი და კარი მიეტოვებინა და თავისუფლება უტხო ცისქვეშ ეძებნა. და აი, სწორედ ამ დროს, ჩვენი ხალხის ისტორიის მწარე და მკაცრ წუთებში მოძმე ქართველი დაუყოვნებლივ სიყვარულით უწვდიდა ხოლმე სომეხს დახმარების ხელს. ერთხელაც არ მომხდარა, რომ ქართველთა დედაქალაქის სტუმართმოყვარე კედლებს არ შეეწყალებინოთ და არ შეეფარებინოთ უცხო იატავის გადარჩენილი და დახმარების მძებნელი სომეხი. ამ განსაცვიფრებელ ქალაქში სომეხი საუკუნეთა განმავლობაში სარგებლობდა ქართველის გულსა სტუმართმოყვარეობით, სამაგიეროს კი თავისი გულწრფელი და მოუსყიდავი მეგობრობით უხდიდა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ თბილისი მუდამ ესოდენ ძვირფასი იყო არამარტო თბილისელი ქართველისათვის, არამედ მისი თანამოქალაქე სომეხისთვისაც. საეცებით ვასაგებია, რომ თბილისის თავზე მოწეული უხედობა და ჭირი ესოდენ დრმა ჭრილობას აყენებდნენ არა მარტო თბილისელი ქართველის, არამედ მისი თანამოქალაქე სომეხის გულსაც. და ბირიქით — ქართველთა დედაქალაქის ყოველი წარმატება სიამით აღდგებდა არა მარტო თბილისელი ქართველის, არამედ მისი მეზობელი სომეხის გულსაც“ (გვ. 10-11).

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნი აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე. ავტორი მკითხველს მოუთხორობს თბილისის ისტორიას და თუ არსებობს რაიმე ცნობა სომხურ ლიტერატურაში, ურთავს ამ ცნობას.

ძალიან საინტერესოა თბილისის დაარსების შესახებ შემონახული მოკლე ცნობა. იგი დაცულია აქვს XIII საუკუნის სომეხ მემკვიდრეებს მხითარ აირივანეცის (აირივანელს) თავის „ქრონოლოგიურ ისტორიაში“. ამ თხზულებაში მემკვიდრეებს, სხვათა შორის, მოტანილი აქვს ქართველ მეფეთა სია. ოთხი მეფის სახელის გასწვრივ მას საჭიროდ ესუჩნევია შენიშვნების გაკეთება. სწორედ ეს შენიშვნებია ჩვენთვის საინტერესო: „ფარნავაზი, პირველი მეფე“; „ანდრიკ (ქართული წყაროების როკ, აღდრკი. — ლ. ჯ.), მის დროს დაიბადა ქრისტე“; „მიპრანი, აჰან ნუნეს ქადაგებით იწმამა ტერისტე“; „ვახტანგ, აჰან აღდგენა თბილისი“. თუმცა კი მხითარ აირივანეცის ეს ცნობები, როგორც

ჩანს, ქართულ წყაროებს ეყრდნობა. მემკვიდრეებს როგორც ავტორი აღნიშნავს, „ამრიგად, სომხური ისტორიული წყარო ამტკიცებს ქართულ მკვიდრებსა და ხალხურ გადმოცემებში დატყუტვნილებს თბილისის ვახტანგ ქართველთა მეფის დროს დაარსების შესახებ“ (გვ. 22). ამას გარდა, აქ, ავტორის სიტყვით, საყურადღებოა შემდეგაც: მხითარ აირივანელი სასულიერო პირი იყო. მისთვის, ცხადია, ქრისტეს დაბადება სრულიად არაჩვეულებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. რამდენად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მისთვის თბილისის დაარსება, რომ იგი ამ ორ მოვლენას ერთად ახსენებს (იქვე).

პირველად თბილისის ხსენებას სომხურ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით მეშვიდე საუკუნის სახელგანთქმული სომეხი ასტრონომის, მათემატიკოსისა და გეოგრაფოსის ანანია შირაკაცის (შირაკელის) თხზულებებში. „საქართველოს ქალაქებია თბილისი, სამშვილდე, მცხეთა“, წერს ანანია თავის „გეოგრაფიაში“. ორჯერ გვხვდება თბილისის ხსენება იმავე საუკუნის ისტორიკოსთან სებეოსთან. განსაკუთრებით დიდ ადვილს უთმობს ავტორი მოვსეს კალანკატუელის ცნობებს თბილისის შესახებ და სავსებით სამართლიანადაც. მეშვიდე საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუელი თავის თხზულებაში „აღვანეთის ქვეყნის ისტორია“ დაწვრილებით მოგვითხრობს ბიზანტიის კეისარ ჰერაკლესა და ხაზართა გაერთიანებული ჯარების მიერ თბილისის აღყას 626 წელს. ეს ცნობა ქართული ისტორიოგრაფიაში არაერთხელ ყოფილა გამოყენებული და მკითხველისათვისაც კარგად იქნება ცნობილი. ეს ის ამბავია, ალყაშემორტყმულმა თბილისელებმა რომ კეისარი და ხაზართა ხაკანი სასაცილოდ აღდგეს: ქალაქის გალავანზე გადომდგარი ქართველები ბიზანტიელებს უძახოდნენ თურმე — თქვენს მეფეს თხის წვერები და ვაცის კისერი აქესო, ხოლო ხაზარებს კი უჩვენებდნენ დიდ კვახს, რომელზედაც აღმთინის სახე იყო გამოხატული — აი, თქვენი ხაკანი. ამ ამბავთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „ამ ამბავებზე ჩანს ქართველი ხალხის ამაყი სული, სული ხალხისა, რომელიც მუდამ ქედმოუხრელი მოაბიჯებდა და არაფრის წინაშე არ შემდრკალა თავისი ბედის ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. ხუმრობა და ვინებამახვილობა, მზიარებულება და სიცილი ქართველი ხალხის განუყოფელი თვისებებია“ (გვ. 39).

შემდეგ ავტორი ეხება არაბთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლის პერიოდს. იგი იმოწმებს ძველ სომეხ ისტორიკოსებს ლევონდს (VIII ს.), მოვხანეს დრასხანაკერტელს (X ს.), ასოლიკს XI ს. X, სტეფა-

ნოს ორბელიანს (XIII ს.), აგრეთვე „ქართლის ცხოვრებას“, „აბო ტფილელის წამებას“. დიდი ამონაწერი მოაქვს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის თომა არწრუნის წიგნიდან — „არწრუნთა სახლის ისტორია“. თომა არწრუნის დაწერილებით აქვს აღწერილი ბუღა თურქის მიერ 853 წელს თბილისის აღება და აოხრება. იმ დროს თბილისის ზღუდეები და ქალაქის სხვა ნაგებობანი უმთავრესად ხისა ყოფილა. ბუღას ცეცხლი წაუცილებია ქალაქის კედლებისათვის და ისე აუღია თბილისი. სხვათა შორის, ამჟვე ამბავს, ბუღას მიერ თბილისის აღებას, მოგვითხრობენ აგრეთვე არაბი ისტორიკოსები ალი ალ-მასუდი და ტაბარი. ავტორი აგრერებს მათს ცნობებს სომეხ ისტორიკოსთა ცნობებთან. ტაბარის ცნობების ანალოზის შედეგად იგი ასკენის, რომ IX საუკუნის შუა წლებში თბილისში უკვე იყო სომხური მოსახლეობა, რომელიც მაშინაც ქართველებთან ერთად იღებდა მონაწილეობას მტრისაგან ქალაქის დაცვაში.

დიდ ადგილს უთმობს ავტორი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლისა და თბილისის უცხო დამპყრობლების ხელიდან განთავისუფლების ისტორიას. განსაკუთრებით დაწერილებით მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ, მის მიერ თბილისის განთავისუფლებას. იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბრძოლას თურქ-სელჩუკიანთა სამყაროს წინააღმდეგ, ავტორი ამბობს: „უცილებელია აღინიშნოს ის, რომ დავით აღმაშენებლის ამ ძლიერამოსილ ლაშქრობებსა და დაპყრობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს გაერთიანებისათვის და საქართველოს ერთიანი მონარქიის გაძლიერებისათვის, არამედ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მეზობელ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ვაჟლისთვისაც. სავსებით სწორია აკად. პ. მანანდიანი, რომელიც საკითხის გამო წერს: „დავით მეფის გამარჯვებებს საერთო მტერზე სომეხებით დასახლებულ საქართველოს მოსაზღვრე ოლქებში შეჰქონდათ აღფრთოვანება და სომეხებს უნერგავდნენ იმის იმედს, რომ საქართველოს დახმარებით ისინიც შეძლებდნენ ფეხზე წამოდგომას და უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას“ (გვ. 87).

შემდეგ ავტორი იხილავს კირაკოს ვანძაქელის (XIII ს.) ცნობებს ჯალალედინისა და მონღოლების მიერ თბილისის აღების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესო ცნობები შემოუნახავს კირაკოს ვანძაქელს მონღოლების წინააღმდეგ ულუ დავითის აჯანყების შესახებ. თბილისის ხსენებას ვხვდებით არა მარტო ისტორიულ თხზულებებში, არამედ პო-

ეზიაშიც. მაგალითად, თემურ-ლენგის მეფობის დროის აღებაზე ლაპარაკობს ლექსში ამ ამბის თანამედროვე და თვალთმხილველი გრიგორ ხლათეცი (ხლათელი). მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებით მრავალ ცნობებს ჩვენ მინც ისტორიკოსებთან ვხვდებით. მაგალითად, XIV — XV საუკუნეთა ისტორიკოსი თოფა მეწოფელს ბევრი რამ აქვს საყურადღებო თბილისისა და, საერთოდ, საქართველოს შესახებ. ასევე ძალზე საინტერესო ცნობები აქვს აგრეთვე მეორე თანამედროვეს, გრიგორ ვადაშვიტს, რომელიც აღწერს თემურ-ლენგის მეხუთე, 1400 წლის შემოსევას საქართველოში, იმ საშინელ სისხლისღვრასა და ქვეყნის განადგურებას, რაც მოჰყვა თემურ-ლენგის ლაშქრობებს. ამ ლაშქრობათა შედეგები იმდენად მძიმე იყო, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს იგრძნობოდა. ამ განადგურებელი შემოსევების შემდეგაც ქართველი ხალხი არ მოიდრია უცხოელ დამპყრობლებთან დამოუკიდებელი არსებობისთვის ბრძოლაში. მან გაძლო თავისი სულიერი, ფიზიკური და სამხედრო ძლიერების წყალობით, ამ არაჩვეულებრივი სიყვარულის წყალობით, რომლითაც იგი გამსჭვალული იყო თავისი სამშობლოსადმი, რომლის ცსოდენ ერთგული იყო იგი. აოხრდა ქვეყანა, დაინგრა ქალაქები, სოფლები და ციხეები, მოისპო ბაღები, ნათესები და ხალხის არსებობის სხვა საშუალებები, ბრძოლებაში დაეცა და ტყვედ იქნა წაყვანილი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, მაგრამ ყოველგვამის შემდეგაც ვერ შეძლო საძულველმა მტერმა ჩაეხშო ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარე და ამაყი სული“ (გვ. 120). ცნობილია, რომ XV საუკუნის პირველ ნახევარში, აღექსანდრე პირელის დროს (1412 — 1442 წწ.) საქართველომ ოდნავ მოითქვა სული. ამ დროს ერთობ გაძლიერდა სომეხ ლტოლვილთა გადმოსახლება საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში. „მაჰმადიანურ მფლობელობაში სომეხების ბედი დლითილდ მძიმდებოდა. მათ წინაშე მუდამ იდგა საშინელი საფრთხე ფიზიკური მოსპობის, უკვალოდ გაქრობის ან ძალით გადასახლებისა. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში საქართველო სომეხებს საიმედო თავშესაფრად უნდა მიეჩნიათ. იქ, მომცემ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე კედლებში, მის ქვეშე, უმეზარი ცხოვრების პოვნა შეიძლებოდა“, — აღნიშნავს ავტორი (გვ. 121).

ავტორს მრავლად მოაქვს ცნობები შემდგომი პერიოდის თბილისზედაც. უნდა ითქვას, რომ სომეხ ისტორიკოსებს, პოეტებსა თუ უბრალო ვადაშვიტებს თბილისის ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უყუ-



რადღებოდ არ დაუტოვებიათ. ბევრნი არიან ისინი, ვისაც თბილისის შესახებ საინტერესო მასალები შემოუწახავთ. აი მათი სახელებიც: ჰოვანეს გადაშვრი, ანანია სებასტელი, ჰოვანეს წარელი, არაქელ დავრიყელი, ჰაკობ კარნელი და მრავალი სხვ. გამოჩენილი სომეხი პოეტი და მხატვარი ჰოვანათან ნაღაში, რომელიც ვახტანგ შატერის მოწვევით ჩამოვიდა თბილისში და კარის პოეტი და მხატვარი გახდა, უმღერის თბილისს:

„ვაქებ გულით მხიარულით
პატიოსან თბილის ქალაქს“.

განსაკუთრებით დიდ ხანს ჩერდება ავტორი ალა შამპლ-ხანის მიერ თბილისის აღებაზე. ამ საშინელი ტრაგედიის მომსწრე არაერთ სომეხს აქვს აღწერილი თბილისის თავზე დამტყდარი ეს უბედურება. აი, მავალითად, კონსტანტინეპოლში ვილაცას (სახელი არაა ცნობილი) გამოუცია წიგნი, რომელიც წარმოადგენს თბილისის აღებიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ დაწერილი სხვა წიგნის შემოკლებულ ვარიანტს. ამ წიგნის სათაურია „მოკლე ისტორია საშინელი დანგრევი ქალაქ თბილისის აობრებისა, რაიცა ავახაკური ომით ჰქმნა ალა მეჰემეტ ხანმა, რომელმაც გააქცია ქართველთა მოხუცი მეფე ჰერაკლე მეორე, წელსა უფლისა 1795ს“ (ამ წიგნის ტექსტი პირველად პროფ. დ. მელიქსეთ-მეგმა გამოისცა). თბილისის დანგრევის ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მის დამსწრეზე, შუა საუკუნეების სომხური პოეზიის უკანასკნელი პერიოდის გამოჩენილ წარმომადგენელზე — შაჰინ-მელქონზე, რომელმაც თავისი განწყობილება ლექსის ადრეგებული სტრიქონებით გადმოსცა. შემდგომ საუკუნეშიც ამ ამბავს არა ურთმა სომეხმა მწერალმა, მათ შორის ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელმა ხაჩატურ აბოვიანმაც. უძველესი თავისი ნაწარმოები.

თავის წიგნს ავტორი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ XIX-XX საუკუნეებში თბილისმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. იქ შეიქმნა მუშათა პირველი მარქსისტული წრეები, რომლებმაც შემდგომი რევოლუციური მოძრაობის გასაშინი დიდი როლი შეასრულეს. თბილისის როლი დიდი იყო ამიერკავკასიის ხალხის არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მათი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაშიც. თბილისი ქვეშაირტად იქცა სომხური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად.“

„ამიერკავკასიის ხალხების ძმობის აკანადა,

საქართველოს უძველესმა დედაქალაქმა, რომელიც საეპისკოპოსოსი და საეპისკოპოსოსი მათთვის იგი ძვირფასია, საყოველთაო და ღვიძლი. ამიტომაც საესეებით ბუნებრივია, რომ თბილისის ცხოვრებამ ესოდენ დიდი გამოხატულება ჰპოვა არა მარტო ძველ და შუა საუკუნეთა სომხურ ლიტერატურულ ძეგლებში, არამედ ახალ და საბჭოთა ეპოქის ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვ. ნაღანდიანის წიგნი მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ნაშრომია. მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ ერთად არის თავმოყრილი ის უამრავი ცნობა თბილისის შესახებ, რომლებიც არსებობს ძველ სომხურ ლიტერატურაში. ავტორის ისინი ამოუკრეფია არა მარტო ისტორიული თხზულებებიდან, არამედ სხვა ხასიათის ლიტერატურული ძეგლებიდანაც — მოგზაურთა ჩანაწერებიდან, მემუარებებიდან, მხატვრული ნაწარმოებებიდან, ხელნაწერებზე გაკეთებული მინაწერებიდან. მართალია, ყველა ეს ცნობა უმთავრესად თბილისის პოლიტიკურ ისტორიას შეეხება, მაგრამ ეს თვით პირველწყაროებითაა განპირობებული, როგორც ამას ავტორიც აღნიშნავს შესავალში: „აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნათ, რომ სომხურ ლიტერატურაში დაცული ეს ცნობები უმთავრესად შეეხება უცხო შემოსევებს, ქვეყნის აობრებას, წარტყვევნასა და სხვ. ჩვენს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ცოტა შემოინახა საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის შინაგანი ცხოვრების, ყოფის, ცხოვრების წესისა და სოციალური ისტორიის შესახები მასალები, რაიცა საერთოდ დამახასიათებელია სომხური ლიტერატურისათვის“ (გვ. 3-4). მაგრამ ეს წიგნი საინტერესო იქნება არა მარტო სხვათაგან, ისტორიკოსებისათვის, ფართო მკითხველიც თავისთვის ძალიან ბევრს რასმე საინტერესოს ნახავს შიგ. საქმე ისაა, რომ ყველა ეს ცნობა მშრალად არ არის მოწოდებული. მთელი წიგნი წარმოადგენს გამბეულ თბილისს თბილისის ისტორიისას, სადაც თავისთვის ადგომას, ქრონოლოგიური მოთხოვნების მიხედვით, ჩართულია ესა თუ ის ცნობა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ თბილისის ისტორია წარმოდგენილია საერთოდ საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო კავშირში ისე, რომ სომეხი მკითხველი ბევრ რამეს გაიგებს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს წარსულზედაც. წიგნი დაწერილია ცოცხლად და საინტერესოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ სომეხი მკითხველი ამ წიგნს დიდს ინტერესით მიიღებს, ხოლო ახლო მომავალში იგი ქართულად ითარგმნება და ქართველ საზოგადოებასაც მიეცემა საშუალება მისი გაცნობისა.



თინათინ კოპალაძე ზუკაბ ჭუმბურიძე

ქართული ენის ბუნებრივობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში

1957 წლის ჟურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში მოთაგებულ იყო ჩვენი წერილი „ქართული ენის ბუნებრივობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში“, რომელშიც თარგმანის რამდენიმე კონკრეტული საკითხი დავსვი. ეს წერილიც იმავე რიგის კონკრეტული საკითხების განხილვაა და, ამდენად, ხსენებული წერილის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე კვლავ ისეთ ნაკლოვანებას ეხება, რომლის წყარო ბრმა თარგმანია — დედნის მოჩვენებითი სიზუსტე და მშობლიური ენის ბუნებების უგულვებელყოფა.

„შესახებ“ თარგმანში

ამ ბოლო ხანს საოქმო ქალღღებსა და დოკუმენტებში, პრესის ფურცლებზე და მხატვრულ ლიტერატურაშიც კი (თარგმნილსა თუ ორიგინალურში) ძალიან მოხშირდა თანდებულები „შესახებ“.

ზინაბთ რომელსაჲ კრებაზე და უსმენთ მომხსენებლის შემდეგ გამოსულ მოკამათეს, რომელიც ასე იწყებს: „ჩვენ მოვისმინეთ ანგარიში განვიღო მუშაობის შესახებ“. გაზეთში კითხულობთ: „იგი აღგენს სახელმძღვანელოს სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის შესახებ“. სასამართლო ინფორმაცია გვაუწყებს: „გამოიტანეს დადგენილება საქმის არაღმერის შესახებ“, ხოლო ახალდაქორწინებულებმა თურმე უნდა დადასტურონ, რომ „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ურთიერთ განცხადება არიან“.

არ შეიძლება ეს ფრაზები არ გვეჩოთიროს. ამა ესინჯოთ და იგივე აზრი ბუნებრივი ქართულით ეთქვათ: „მოვისმინეთ განვიღო მუშაობის ანგარიში“; „წერს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს“; „გამოიტანეს დადგენილება — საქმეს ნუ აღმერავთო“ და „ვიც-

ნობთ ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობას“. ეს იქნება ქართული, ჩვენგან ზემოთ მოტანილი ფრაზები კი რაღაც უქართული ქართულია და სხვა არაფერი.

სამწუხაროდ, ეს „შესახებ“ დიდი მარჯვე რამ გამოდგა, ჩვენს მეტყველებასა და მწიგნობრობაში ფეხი იმდენად მოიკიდა, რომ ზოგი ჩვენს შენიშვნას გაიკვირებს კიდევ, ფრაზის ზემოხსენებულ უსწორო წყობას დიდ ცოდვად არ მიიჩნევს. საფრთხეც სწორედ აქაა. ეს რომ ნათელი გავხადოთ, შევადაროთ ერთმანეთს ორი მარტივი ფრაზა:

„ის ამბობდა ამის შესახებ“ და „ის არაფერს ამბობდა ამის შესახებ“.

ქართულ მეტყველებას შეჩვეული ქართველი ადამიანისათვის აშკარაა, რომ პირველს რაღაც ბორკეოს, რაღაც აქლია, „ამბობდა“-ზმნა რაღაცას დაუჩაგრავს. მეორე ფრაზა უფრო ლაღია, ზმნას ძალი მოუტაცეს. მოკლედ — ერთი ბუნებრივი ქართულია, მეორე კი არა. მაგრამ გარეგნულად მათ შორის ძალიან მცირე განსხვავებაა. შესაძლოა უსწორო ფორმათა შემოკრას ესეც უწყობდეს ხელს: თუკი ერთგან ვარგისია „შესახებ“, მეორეგან რაღა დააშავაო, — იკითხვენ ალბათ. ამის ვარჩევას რომ გამოვედგეთ, ისევ ჩვენი ზმნის ბუნება უნდა გავიხსენოთ. როგორც არაერთხელ თქმულა, ქართული ზმნა მრავალბირიანია და ეს მის არსებობის განმასხვავებელ თვისებას შეადგენს. აქედან, სხვათა შორის, ისიც გამომდინარეობს, რომ, როცა ზმნა ორ ან სამბირიანია, მას ობიექტებიც უნდა ახლდეს, ე. ი. წინადადებაში ქვემდებარის ვარდა დამატებაც უნდა იყოს. ცხადია, ზმნათან დაკავშირებული ყველა სახელი შეიძლება არ იყოს წინადადებაში, შეიძლება ისინი იგულისხმებოდეს, მაგრამ არ შეიძლება მათი სრული გაქრობა, არ შეიძლება მათი ისე უგვალოდ აღგვა, რომ ისინი არც კი

იგულისხმებოდეს, ე. ი. დაუშვებელია ორ ან სამპირიან ზმნას ხელოვნურად დავალოთ პირი და ერთპირიან ზმნას ვავუთანასწოროთ. მაგალითად მოვიყვანოთ ზმნა „აუწყებს“. იგი სამპირიანია: ვაზეთი ხალს ახალ ამბავს აუწყებს. თუ ჩვენ არ გვინდა ყველა ეს პირი გამოირჩეს ზმნაში, მაშინ ვიტყვი: ვაზეთი ახალ ამბავს იუწყება. ძალიან ცუდი იქნება, თუ ზმნას სამპირიანადვე დავტოვებთ და ერთ დამატებას კი უკვლიად გვაქრობთ. არ შეიძლება ასე ავაგოთ ფრაზა: ვაზეთი ახალი ამბის შესახებ აუწყებს, ანდა კიდევ უფრო უხერხი: ვაზეთი ახალ ამბებზე აუწყებს, მაგრამ ასეთი გარმიანლვი კონსტრუქციები, როგორც ჩანს, ბევრს საზოთიროდ აღარ ეჩვენება. განსაკუთრებით ხშირად გხვდებით მას პრესის ენაში.

„სპეციალურ განყოფილებაში — კინოსტუდიაში“ კართული ფილმი“ დაიბეჭდება ჩვენს კინოსტუდიაში წარმოების პროცესში მოყოფი და გამოსაშვებად მომზადებული ფილმების შესახებ“. ამ წინადადების ავტორს დავიწყინა „უბრალო რამ“ — ქვემდებარე. რა დაიბეჭდება? — შესახებ? რამ მოაფიქრებინა ასეთი უცნაური ფრაზა? რამ მიიყვანა ავტორი ამ სუროკატამდე? — ცხადია, მშობლიური ენის ანბანური წესის უცოდინარობა. აი, კიდევ: „ჩვენი ვაზეთის მეთხველებს აინტერესებთ თქვენი გასტროლების შესახებ ვენაში“.

სამწუხაროდ, ამგვარი არასწორი ფორმები მრავლად გვხვდება მხატვრულ თარგმანებშიც. აი, ამის რამდენიმე ნიმუში: „უამბო თავისი უბედურების შესახებ“, „გამოელაპარაკა და მისგან უშუშევიარი ადამიანის საშინელი ცხოვრების შესახებ მოისმინა“, „ნიეკომ პარისისაგან შეიტყო მისი ლოერნოში ცხოვრების შესახებ, პარისმა აუწყა მას გვარსწრის ძვირფასი ვიოლინოს ხელიდან გამოგლეჯის ცდის შესახებ. მან აუწყა სხვაც, სრულიად საიდუმლო წინადადების შესახებ“. ყველა ამ მაგალითში „შესახებ“ ცელის გრამატიკულ რბიქტებს, რაც ქართული ენის ბუნებას ეწინააღმდეგება.

პირდაპირი თუ ირიბი დამატების გვერდის ავლა და მისი ფუნქციის თანდებულის სიტყვისათვის გადაბირება ყოველ ნაბიჯზე ხდება. წერენ: „შევიტყეთ უბედურების შესახებ“ და არა „შევიტყეთ უბედურება“; წერენ: „ამის შესახებ არაიენ იცოდა“ და არა „ეს არაიენ იცოდა“. წერენ „უნდოდათ მისი მარგალიტის შესახებ შეეცყოთ“ და არა „უნდოდათ გაეგოთ მისი მარგალიტის ამბავი“.

შეგჩერდეთ უკანასკნელ მაგალითზე. თითქოს არაფერი იდგი განსხვავებაა — უნდოდათ მისი მარგალიტის შესახებ შეეცყოთ“ და „უნდოდათ გაეგოთ მისი მარგალიტის ამბავი“. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „ამბავი“ ზმნასთან

პირდაპირი დამატების როლს ასრულებს, რასაც ვერ იყისრებს „შესახებ“, ხოლო აქედან გამომდინარეობს, რომ „ამბავი გაეგოთ“ უმჯობესია სტილისტურადაც და გრამატიკულადაც — აზრიანად და ფორმიანად.

„ვიცნ ვაგოთ ამ წინადადების შესახებ ყველამ მოიწონა“. აქ „შესახებ“ სრულიად ზედმეტია. „შესახებ“ რომ მოვაშოროთ, „წინადადება“ პირდაპირ დამატებად იქცევა და საეხებამ მიაინიჭებს ზმნას.

როგორც ჩანს, ეს მოჭიპბებულები „შესახებ“ მაინც ყურს ჭრის და ალბათ ეს უღვეს საფუძვლად შემდეგ გარემოებას: ზოგჯერ ამ თანდებულს ენაცვლება უფრო მოკლე და უფრო ბუნებრივი „ზე“ თანდებულები. მაგრამ ზემოთქმულ ნაკლს ვერც ეს თანდებულები შევლის. ქართულში თანდებულის სახელი ვერაზგზით ვერ გასწევს პირდაპირი და ირიბი დამატების მაგივრობას. ამიტომაც, რომ არც ასეთი ფრაზები იქნება ბუნებრივი: „აფიშები შემოქმედებითი კოლექტივის გამოსვლაზე აუწყებენ“; „უამბო ოსტატ ვიორჯისთან ყოფნაზე“; „მეკითხებოდნენ ჩატარებულ ოპერაციებზე“. „თავის მასწავლებელზე მოუთხრობდა“; „უცხო ქვეყნებზეც გამეგონა“. „ეს ფაქტი მოწმობს თეატრის მდიდარ შესაძლებლობებზე“.

ჩვენ წყვეთით ისეთი მაგალითებსაც, როცა ანალოგიურ შემთხვევებში გამოყენებულია „ში“ თანდებულები. შედგეი უცვლელია. „ში“-თი შეკაზმული ფრაზაც ყოველდ უვარგისია: „საწარმოებში არსად არ ემჩნევა (sic) მუსიკალური ენის სტილისტური მთლიანობის დარღვევა“. „მოაწმინდაზე ახალგაზრდა ქალები ომში მიმავალ ქმრებს ეფიცებოდნენ ერთგულებაში და მათსავით სამშობლოსათვის თავის დადებამი“.

მაგრამ აქ არ უღვეს ზღვარი დარღვევას. საქმე უფრო შორს მიდის. ამის საილუსტრაციოდ რი მაგალითი გამოვყავდებო: „სადარბაზო შესასვლელთან მკვეთრად დაამხრტქა შავად მბრწყინავმა მერსედესის მარკის ავტომანქანამ“.

„ჩემო ძვირფასო, რა საჭიროა ასე ოფიციალურად“. როგორც ვხედავთ, ამ ფრაზებში ზმნა სულ მარტობდა დარჩენილა და ის მცირეოდენი ნუგეშიც წარკვეთია, რასაც „ზე“, „ში“ და „შესახებ“ თანდებულები ანიჭებდა. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: რა დაამხრტქა მანქანამ, მეორე შემთხვევაში — რა არაა საჭირო (ან რა არის საჭირო) ასე ოფიციალურად?

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: არ შეიძლება ორ ან სამპირიან ზმნას დავალოთ პირი ისე, რომ იგი არც კი იგულისხმებოდეს კონტექსტის მიხედვით. არ შეიძლება თანდებულთან სიტყვებს დავაქროთ პირდაპირი ან ირიბი დამატების როლი. ზემოთ მოტანილ მახინჯ ფრაზებს თუ ჩამოვაშორებთ ამ ზედმეტ თანდებუ-

ლებს, მდგომარეობა გამოსწორდება. ზოგჯერ ამას შეგვეძლებინებს იგივე სიტყვა უთანადებულად, ზოგჯერ სხვა სიტყვის ჩართვა დაგვირდება, ხანაც ზმნის გამოცლა და ხანაც ფრაზის კონსტრუქციის შეცვლა.

შედარებით ადვილად მოველება ასეთ ფრაზებს: „დაძვებულნი... მგზავრებს დეკადის ამბებზე ეკითხებოდნენ“; „შევიტყვეთ იმ უხედურების შესახებ, რომელიც შეემთხვათ ინგლისელ ფეხბურთელებს“, ანდა „გაზეთებში ეწერა ამის შესახებ“. ვასწორდება: „ეკითხებოდნენ დეკადის ამბებს“... „შევიტყვეთ ის უხედურება“... „გაზეთებში ეწერა ეს“ და სხვა.

უფრო რთულია ასეთი წინადადების ვასწორება: „არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო პრესაშიც ფართოდ ითქვა „რჩიარდ III-ის“ წარმატებისა და ვ. გომიანოვილის მიერ რჩიარდ გლოსტერის საინტერესო შესრულების შესახებ“. თუ ჩვენ დაახლოებით მაინც გავიგეთ „ფართოდ ითქვა“ მნიშვნელობა, მაშინ წინადადებას ასეთ კონსტრუქციას მივცემდეთ: „არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო პრესაც აღნიშნავდა რჩიარდ შესაის“ წარმატებასა და გომიანოვილის მიერ რჩიარდ გლოსტერის როლის საინტერესო შესრულებას“.

ცვალოთ ერთი ასეთი თავსებებიც ამოგხსნათ: „ის-ის იყო გაუშვეს დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი და დასავლეთ გერმანიის ქალაქ კარლსრუეში საადიშო ბოქებზე გამოჩნდა განცხადება, რომელიც იუწყებოდა ახალგაზრდულ დისპუტზე არც თუ მთლად ჩვეულებრივ თემაზე: „თანამგზავრი ანგვლოზებს შორის“. როგორ დამაშფობლია ეს ჩაგრებილ-ჩაზრახნილი წინადადება „ზე“ თანდებულებით. „იუწყება... დისპუტზე“ ხომ მთლად უეარგისია. წინადადება რომ სიტყვებით გამოთქმულ აზრს დავამსგავსოთ, მისი კონსტრუქცია თვითღან ბოლომდე უნდა შეიცვალოს, დაახლოებით ასე: „ის-ის იყო გაუშვეს დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, რომ დასავლეთ გერმანიის ქალაქ კარლსრუეში საადიშო ბოქებზე გამოჩნდა განცხადება. ეს განცხადება იუწყებდა საზოგადოებას, მოეწყობა ახალგაზრდობის დისპუტი, რომლის თემა იქნება „თანამგზავრი ანგვლოზებს შორის“. ვფიქრობთ, აზრი ნათელია.

სხვისი ნათქვამის გადმოცემა

სასაუბრო მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება შემთხვევა, როცა ერთი პირი გადმოგვცემს მეორის ნათქვამს, ან თავის წინათ ნათქვამს იმეორებს, ან სხვასთან აბარებს ვინმეს რაიმეს. ამგვარ შემთხვევაში ქართულს მეტად მარჯვე საშუა-

ლება მოვბოვება. ეს გახლავთ ე. წ. სიტყვის სიტყვის ნაწილაკები — ო, თქო, მეჭოქი. ეს სპეციფიკური ქართული მოვლენაა, რომლის სასარგებლოდ შეიძლება ვთქვათ: იგი ეკონომიურია, ნათელია, ხშირად სპობს ბუნდოვანებას, რაც ამ ნაწილაკის გამოყენებლად წარმოიშობოდა, სასაუბრო ელემენტსა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება არც სერაოზულსა და არც ამაღლებულ სტილს. ამ უქანასკნელის დასტურია თუნდაც ის, რომ სხენებული ნაწილაკები ხშირად გვხვდება კლასიკური ხანის ძეგლებში. მათ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებშიც. ამის მაგალითები ისე უხვია, რომ დასახელება საქირად არ მიგვაჩნია.

ჩვენი თანამედროვე მთარგმნელების ნაშრომებში კი ეს ნაწილაკები უგულვებელყოფილია, თუმცა ამის გამართლება არ შეიძლება. ამ უგულვებელყოფის შედეგია კავშირთა სიმრავლე, ფრაზის დამძიმება, აზრის გაბუნდოვანება და, საერთოდ, „მტერობა ენის“. მის ნათელი საყოფად, თუ რამდენად ამძიმებს ენას ამ ნაწილაკთა დავიწყება, რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ ბოლოდროინდელ თარგმანთაგან.

„შევიცარს დაურეკა და სთხოვა შოფრისათვის გადაეკა, წყადის, ისაღილეს, მანქანა ერთი საათის შემდეგ დასპირდება“. ამ წინადადებას სწორედ წამლად მოველინებოდა „ო“: „შევიცარს დაურეკა და სთხოვა შოფრისთვის გადაეკა — წაღი, ისაღილეს, მანქანა ერთი საათის შემდეგ დამპირდებაო“.

„ვალენტინა, — დაიწყო ყმაწვილმა კაცმა მღელვარებით, — არ გეტყვი, რომ ამ ქვეყნად მარტო თქვენ მიყვარხართ — მე მიყვარს ჩემი და და ჩემი სიძეც. მაგრამ ისინი მიყვარს მშვიდი და ნაზი სიყვარულით, რომელიც არ ჰგავს იმ გრძნობას, რომელიც თქვენს მიმართ მაქვს“. აქ, როგორც ვხვდებით, დიდ გარჯაშია „რომელიც“ — იგი ასე მცირე მანძილზე ორჯერაა მოწვეული წინადადების წვერად. საერთოდ, „რომელიც“ თარგმანებში ძალიან ხშირია. ეს არცაა გასაკვირი. იგი ხომ გადმოსცემს წვერკავშირს „который“ და გამოიყენება გერუნდოვის (депричастие) გადმოტანისას. ერთი სიტყვით, „რომელიც“ ხშირად იხმარება. ამას ემატება კავშირები „რომ“ და „როდესაც“, რომლებიც ფონეტიკურად ჰგავს „რომელსაც“. ასეთი სიტყვების სიჭარბე კი ძალიან ცუდია. „ო“-სა და „თქო“-ს ერთი დღისება აქვს: ისინი „რომ“-ს გამოდევნიან წინადადებიდან. „არ გეტყვი, რომ მარტო თქვენ მიყვარხართ“ — „არ გეტყვი, მარტო თქვენ მიყვარხართ თქო“. „მთავრობა ხომ ვითხრათ, სახლში მიგყვანათ!“ — ორატორივანია, ვინ უნდა მიყვანა—



მაიორი თუ სხვა ვინმე? რამდენად სჯობს: „მაიორმა ხომ ვიხსრათ, შინ მიიყვანეთ!“

ზოგჯერ სულ აირევე-დაირევა აზრი, თავი და ბოლო ძნელი მისაგნებია.

„დღემუქრა, საბუთები მაქვს, რომ მან, ზაიონცმა, ორმოცდართ წელს გერმანელებთან გასცა ებრაელი ექიმი, რომელიც ეკრძო პრაქტიკაში მეტოქეობას უწევდა“. როგორც ვხედავთ, აქ არის ერთ წინადადებაში „რომ“ და „რომელიც“. ეს, რა თქმა უნდა, სასურველი მოვლენა არ არის. ნურადერს ვიტყვი უხიერი ფორმის გამო—„მან, ზაიონცმა“ სხვათა სიტყვის „ო“ ამ ხინჯს აგვაცილებდა: „მან მუქარით უთხრა ზაიონცს, შენ ორმოცდართ წელს გერმანელებთან დააბუღე ებრაელი ექიმი, რომელიც ეკრძო პრაქტიკაში მეტოქეობას ვიწვევდა, საამისო საბუთები მაქვსო“.

„გადავციტ ქალბატონ დანჯოას, რომ მზად ვარ ლოჯაში ვეწვიო... მოიციტ... შემდეგ გაუჩრეთ როზას; გადავციტ, რომ ავასრულებ მის თხოვნას და ოპერადან მასთან შევივლი ვასშად... ხამანყები ბორელს გამოართვო. არ დაგაიწყდეთ უთხრათ, რომ ჩემთვის ვინდათ“.

რა დაშავდებოდა, ამ საპიფათო „რომ“-ს ერთი-ორგან მაინც შენაცვლებოდა „ო“!

„შავულვამამ განუშარტა, რომ ცხოვრობ მებორე ქუჩაზე დიდ სახლში, დანგრეული შენობის გვერდით, მუშაობს ტექნიკოსად მექანიკურ პარხანაში. რამდენიმე წუთის წინ ცოლს უნდოდა ფარდა გაესწორებინა ფანჯარაზე, ფეხი წაუცდა ტაბურეტზე, შუშა მიამტვრია და ხელი ღრმად გადაიჭრა იდაყვიში. რამდენი სისხლი დაღარა — იეზუს მარია! მან ხელი პირსაკლით შეუხვია... მასთან არავინ არ არის, ყველა მეზობელი წასულია“. ამ ფრაზის ავტორს რომ ნაწილაკი „ო“ გამოეყენებინა, ბევრ ბუნდოვანებას აიცილებდა: მან ხელი პირსაკლით შეუხვია“ (ვინ ვის?) „მასთან არავინ არის“ (ვისთან? — დაქრითთან თუ შავულვაშასთან?).

„ეფი როდი აგრძნობინებდა, რომ იგი სწორედ იმ ვაჭრის ქალიშვილია, რომელმაც მისი უდანაშაულო მამა გააკოტრა“. თვალში საცემია ნაცვალსაბელთა დიდი მოძალბა — იგი, იმ, რომელმაც, მისი, ამას ვინ ჩივის, რომ აზრი გასაგები იყოს! აბა მოვატრიალოთ „ო“-ს საშუალებით: „ეფი როდი აგრძნობინებდა, სწორედ იმ ვაჭრის ქალიშვილი ხარ, რომელმაც უდანაშაულო მამა გამოიკოტრა“.

ამგვარი მაგალითების მოტანა, სადაც ქართულს ქართულობა აქვს დაკარგული, დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია საიმისოდ, რათა დავინახოთ, რა ზიანს გვაყენებს ამ ნაწილაკების უგულვებლყოფა. მაგრამ აქ იქნებ იმის დამატებაც იყოს სა-

ჭირო, რომ სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებას აძლევს გარკვეულ რიტმს, ხოლო ამ რიტმის აჩქარება-შენელება დამოკიდებულია ნაწარმოების სტილზე. აქვე მივეთითებთ, სხვათა სიტყვის მეტისმეტმა სიხშირემ შეიძლება ნაწარმოებს სტილიზაციის ელფერი დასდოს. ასეთი ელფერი აღვეს შემდეგ ადგმის დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლიდან“: — „მალაქიასთან ვადიბრინე, ვარლამია, და უთხარ, დედა შემოგვხვეწა-თქვა ჩემო მალაქია, ეს ერთი ღოქო ლენო გამომიგზანე-თქვა და მე ვიცი შენი პატივისცემა-თქვა... უთხარი, რომ უცხო სტუმარი მოუვიდა-თქვა...“ პატივისცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგვხვეწა დედა-თქვა... უთხარი, რომ უცხო სტუმარი მომივიდა-თქვა...“ (დ. კლდიაშვილი, თხზულებანი) ტ. 1, გვ. 172).

ამ ნაწყვეტში ლიტერატურული „თქო“-ს მაგივრად გამოყენებულია მისი დიდილექტური ბადალი „თქვა“. მაგრამ ეს კი არ ანიჭებს მას იმდენ თავისებურებას, რამდენსაც ნაწილაკის ხშირი გამოყენება და ამით გამოწვეული რიტმული წყობა ფრაზისა.

ჩვენს მთარგმნელებს უნდა ვერჩიოთ სხვათა სიტყვის ნაწილაკების ზომიერი გამოყენება.



ჩვენ ორსავე წერილში შევეხეთ მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს. აღვნიშნეთ ზოგიერთი არსებითი ნაკი და შევეცადეთ ის გზები მივგინაშნებინა, რაც ხელს შეუწყობს ამ ნაკის დაძლევის. საბოლოოდ კი შეიძლება ერთი დაეასკვნათ: ჩვენს მთარგმნელებს აქვთ გადაჭარბებული მოკრძალება დედნისა და, თუკი დედნის აზრის ზუსტად ვაგნა მოახერხეს, ზუსტად იმავე სიტყვებით, იმავე გრამატიკული ფორმებით და სინტაქსური კონსტრუქციით ცდილობენ გადმოიტანონ ქართულ ენაზე, ზოგჯერ სასენი-შანსად ან ცელიან. შედეგი ძალზე მძიმეა: ქართული ერთი დაწერილი ქართველი ადამიანისათვის რებუსისა თუ გამოცანის სახეს იღებს: „და იმ ადამიანის მუხარში, ვინც ამას ამტკიცებდა, იმდენი სიმტიყე მოჩანდა, რომ არ შეიძლებოდა ეგვის შეტანა თუ ძალაში არა, ნეზისყოფაში“. „ეკლენტინა, არ შეიძლება ასე სასოწარკვეთილებამდე მისვლა, მომავლისადმი უიმედო თვალთ ყურება“. „ვანი ინსტიტუტურ გრძნობებში თავს ანგარიშს ვაძლევთ“. ეს სიტყვები უფოლდ ასევე წერია დედანში, მაგრამ აქ ფრაზები საესებთ გამოართული და დახვეწილია. ჩვენ კი, თუ ამ რებუსს ამოგხსნით, სიამოვნებას მაინც მოკლებული ვიქნებით, რადგან ეს არ არის ქართული. ამასთან დაკავშირებით დავსვათ თარგმნის სიზუსტის საკითხი.

თარგმანი, რა თქმა უნდა, დედანს უნდა მის-
დევდეს, მაგრამ ჩვენი აზრით, უნდა განვასხვავოთ
ნამდვილი და მოჩვენებითი ერთგულება
დედნისა. ენობრივი ქსოვილი და ცალკეული
ფრაზა კი ყოველი ნაწარმოებისა შეიცავს
არსებითსა და არაარსებითს ელემენტებს. ნამ-
დვილი მწერლისათვის, ისტარისათვის ყოველი
ფრაზა ცოტად თუ ბევრად მისი შთაინფორმირის
ზორცშეხსნაა. მთარგმნელისათვის მთავარია
არ შეცვალოს აზრი. ფრაზის ემოციურობის
შენარჩუნება სხვა რივის ამოცანაა, რადგან
ერთი ენის ფრაზის ემოციურობა მეორე
ენას არ გამოადგება, ე. ი. ის საშუალებანი,
რომლითაც დედნის ავტორმა აზრს ემოციუ-
რობა მისცა, მთარგმნელმა უნდა შეუფარდოს
მშობლიურ ენას. ვაგმოსცეს იგივე აზრი (აზრს
ვერ შეცვლის), შეუნარჩუნოს ემოციურობა
(აქ ვადაუხვევს ზოგჯერ ორიგინალს და მიპ-
კერძავს მშობლიურ ენას).

იი პატარა მავალით:

ინგლისურ დედანში პამლეტი აცხადებს:

„I do not set my life at a pin's fee“ სიტყვა-
სიტყვით: „ქინძისთავის საფასურსაც არ
მივცემდი ჩემს სიცოცხლემ“). ამ სიტყვებს
ამბობს კაცი, რომლის თვალში სიცოცხლეს ფა-
სი დაუყარავს. ინგლისელისათვის უმცირესი
ფასის გამომხატველი ყოფილა ქინძისთავის
ლირებულება და პამლეტიც თავის სიცოცხლეს
ქინძისთავის ფასს შეუწონის. ქართველისათვის
კი ასეთივე მცირე ღირებულების გამომხატ-
ველია ჩალა. ეს შესანიშნავად იცის მთარგმ-
ნელმა და ამიტომ ზემოხსენებულ ფრაზას ასე
აქართულდებს:

„ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასად არ მიმიჩნია“.
ამრიგად, სიცოცხლეგაარამებული პამლეტი
ინგლისურად და ქართულად ერთსა და იმავე
აზრს ამბობს სხვადასხვა სიტყვებით. ეს შემოქ-
მედებითი თარგმანია და შეედლება, ვინც აქ
გადმოკეთებებს თუნდაც ელემენტარ დაიხზავს.
მანაბლის დიდი ღირსება სწორედ ისაა, რომ იგი
ზუსტად გადმოგვეცხს სათარგმნი ფრაზის დე-
დაარს და თავს ლაღად გრძნობს საამისო სა-
შუალებათა შერჩევისას, ოღონდ მიიღოს
ტოლფარდოვანი ემოცია. მაჩაბელს ამის სა-
შუალებას აძლევს დედნის წვდომა, დიდი
ლიტერატურული გემოვნება და განათლება,
ჩვენი მდიდარი დედა-ენა. მაჩაბელი არ უჩიოდა
ქართულ ენას შესაძლებლობის სინაკლულეს.
მას ყოფინადა ქართული შექსპირის გმირების
ურთულეს ვენათა გადმოსაცემად. მკითხველი,
ვინაც მხოლოდ ქართულ შექსპირს კითხულობს
დახელი არ მიუწვდება დედაზე, ძნელად დაი-

ჯერებს, რომ ოტელოსა და პამლეტს
ლოგები უკეთ უღერს ინგლისურ ენაზე.

თამამდ შეიძლება ითქვას, რომ მაჩაბელი
იყო ნამდვილი „თვითმპყრობელი ჩვენი ქართუ-
ლი ენისა“. დიდი იხვლისელი დრამატურგისა
და პოეტის რვა საწარმოები თარგმნა მან ქარ-
თულად. შექსპირის უნაზესი ქალები და უმა-
ჰაიესი მამაკაცები ამეტყველა ჩვენს მშობლი-
ურ ენაზე. იველიანობის ტყველები, პატიგმოყვა-
რობის ზრახვები, უცხოველესი სიყვარულს,
ძალაუფლების ტრფილი, განწირულების,
უიმედობისა და მარტოობის სასოწარკვეთა—
ენი მიოვლის ადამიანის სულიერი ცხოვრების
რა განცდებს უნდა შეგებოდა შექსპირის მთარ-
გმნელი და... არც ერთზელ არ მისპირებია
მას ქართული, არც ერთზელ არ უფრძენია სიტ-
ყვაძვირობა. მაჩაბლის თარგმანში იგრძნობა
ყველა ის მიღწევა, რაც ჩვენმა ახალმა სალი-
ტერატურო ქართულმა მიიპოვა, იგრძნობა
მძლავრი ნაკაი ხალხური მეტყველებისა,
იგრძნობა ძველი ქართულის ღრმა და საფუძ-
ვლიანი ცოდნა. იქ, სადაც აღწერილია წყალო-
ბისა და შერისხვის სცენები, ბრძოლის ველი,
ჯარათყობა და სხვა მისთანანი, ჩვენი ძველი
საისტორიო მწერლობის სუნთქვა იგრძნობა. რა
საეჭვოა, რომ მაჩაბელი საფუძვლიანად იცნობ-
და „ქართლის ცხოვრებას“ და სხვა ძველ ქარ-
თულ ქრონიკებსა და ისტორიულ თხზულებებს.

მაჩაბელი იმდენ სითამამეს იჩენს, რომ ზოგი
იღვლი, დედანში გართამული, ქართულდ
თეთრი ლექსით გადმოაქვს. ცხადია, იგი შეგნე-
ბულად არიღებს თავს ამ რითმებს და, ჩვენი
აზრით, სავსებით მართებულად იქცევა ასე-
თითმებმარცვლოვანი ქართული ურითმო
ლექსი მაჩაბლის თარგმანში პოეზიის მაღალ
მწვერვალებს ეწიარა, შექსპირისეული მარტივი
რითმების ჩართვა აქ უკვე არ გამოადგებოდა,
ნატიფი რითმების გამოადვენება კი დაარღვევდა
სტილის მლიანობას.

აქ წამოიჭრება ერთი საკითხი: ასეთ თამამ
დამოკიდებულებას დედნის მიმართ ზწირად გა-
დაკეთებდა თვლიან და მთარგმნელს ცოდვად
აწერენ, მაჩაბელს— ნაკლები ხალისითა და
ნაკლები გაბედულებით, მაჩაბელზე დაბლა
მდგომებს— მეტი ხალისითა და მეტი გაბედუ-
ლებით. ჩვენი აზრით, მთარგმნელს ეს კადნიერე-
ბად არ უნდა ჩაეთვალოს. ზემოთაც აღვნიშნეთ,
რომ აქ გადმოკეთებისთან არა გვაქვს საქმე-
გადმოკეთება გულისხმობს ავტორის ჩანადქა-
რის ხელყოფას, ანდა მისი სტილის შეცვლის
ლიტერატურის ისტორია იცნობს ასეთ შემთ-
ხვევებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმას ვერ ვიტყვით, რომ
მთარგმნელს ვარკვეული სიფრთხილე არ მარ-
თებდეს. სპეციფიკური ქართული ისტორიული,

1. იხ. შექსპირის ტრაგედიები, ტ. II, გვ. 34,
კომენტარები გ. გაჩეჩილაძისა.



გეოგრაფიული თუ საყოფაცხოვრებო რეალიზების გამოზატველ გამოთქმებს მთარგმნელი არ უნდა ხმარობდეს.

პარიზელ ქალებს არ მოუხდებოდა არც „ქა“ და არც „ბენა“, არც ინგლისელს „ევეო“, „შე კაცო“, აგრეთვე „ჩაილერის წყალი დალია“, „ეგ არის და გორის ციხე“, „ახალციხელი თათარი“, ... „ამაშუკელის მეფობა“ და სხვ. ანდაზა-თქმანი საეჭვოა თარგმანში გამოდგეს — ეს სპეციფიკური ქართული თქმეხია და უცხო ტექსტს არ მოუხდება. მაგრამ როცა მთარგმნელი წერს: „და ი ადამიანის მზერაში, იმან ამას ამტკიცებდა, იმდენი სიმტკიცე მოჩანდა, რომ არ შეიძლებოდა ეპეის შეტანა თუ ძალაში არა, ნებასყოფაში“ — და ამ საცოდაობას დედნას ერთგულებით ამართლებს, აღარ ვეციოთ, ვინ შევებარალოთ — ავტორი, მთარგმნელი თუ მკითხველი.

კარგი მთარგმნელის ზომიერ სითამამესა და ცუდი მთარგმნელის გადაჭარბებულ სიფრთხილეს დედნის წედომა და მშობლიური ენის ცოდნა განასხვავებს. აქ იჩენს თავს მთარგმნელის ნემოქმედებითი დვრიტა. ივ. შაჩვლის, ნ. ავალიშვილს, გ. ქიქოძეს და სხვებს არც ერთი არ აკლიათ. „ამტკიცებდა... სიმტკიცის“ მთარგმნელს კი სამავე აკლია და ძალიან უწყალოდ აკლია. დედანი ისე ვერ აუთვისებია, რომ გივიცა ცალკეული სიტყვები კი არა, დედაზრი და ქართული იმდენი არ იცის, რომ ავტორის აზრი გავეგებინოს, სხვას აღარ ეძიობთ.

შეუძლებელია მთარგმნელი მარტო თანამედროვე სალიტერატურო ენის ცოდნას დაეყაროს. იგი უეჭველად ენის სიღრმეშიც უნდა შეიჭრას, ე. ი. საფუძვლიანად გაეცნოს ძველ ქართულს (ძველ ქართულს ფართო მნიშვნელობით ეხმარობთ, არახალი ქართულს აღსანიშნავად). უამისოდ საქმე შეიძლება ისეთ კუროსაზად მივიდეს, რომ მთარგმნელმა „მომო ჩვენო“ თარგმნოს, როგორც ჩანს, ბევრი ჩვენი მთარგმნელისათვის აღ. ქაქავაძეს უკვე დავიწყების მტვერი ადევს, ზოგერთი აღარ კითხულობს „ქართლის ცხოვრებას“, ბიბლიას, სახარებას, პაეოგრაფიულ მწერლობას და სხვ. ამიტომაც, რომ ისეთი ცნებების შექმნით არიან გიტაკებულნი, რომლებიც მამა-პაპათგან გვიქვს ნაბიძვარი. არსოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველი ქართული ის ენაა, რომელზედაც შეიქმნა ჩვენი მდიდარი სასულიერო მწერლობა, ჰიმნოგრაფია, ისტორიული მწერლობა, უბადლო „ვეფხისტყაოსანი“, ღირთ მთარგმნელობითი ლიტერატურა. ძველ ქართულ ენაზე წერდნენ მერჩულე, ვისრამიანის ქართველი მთარგმნელი, ჩახრუხაძე, შავთელი, თეიმურაზი, არჩილი, საბა, ბესიცი, გურამიშვილი. ძველ ქართულზე შეიქმნა უმდიდრესი დიპლომატიკა

(სიველ-გუჯრები) და სხვ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ძველი ქართული მოსახმარი ენა იყო მშინ, როცა ცივილიზებულ სამყაროში იქმნებოდა ათსანიირი საგები და ტრუბადურთა სიმღერები, როლანდი, ტრისტანი და იზოლდა, ნიბელუნგები, წერდნენ ბოკაჩიო, სერვანტესი, შექსპირი. აღამიანის გონებისა და სულის განვითარებას ემსახურებოდა აზიცი დიდი მწერლობა — ჩინური, ინდური, სპარსული და არაბული. ქართველები ზოგ რასმე ზიარებული ვართ აქედან, ზოგსაც მომავალმა უნდა გვაზიაროს. ვინ უნდა ვააკეთოს ეს საქმე, თუ არა იმან, ვინაც თანამედროვე ქართულიან ერთად ძირფეხიანად იცის ძველი ქართული. ძველი ქართულის ცოდნა, ცხადია, არ უნდა იქცეს საბაბად სტილიზაციისა და ყოვლად გაუპართლებელი სიტყვათგამომგონებლობისა. არ ღირს წარამარა ვავსაჯოთ „გარნა“, „ეითარცა“, „ეითარმე“ და ღამაში სიტყვებით კოპიოზის გზას დავადგეთ. ძველი ქართულის საფუძვლიანი ცოდნა ახალი ქართულის ინტერესებისათვის უნდა გამოვიყენოთ. ამის მიღწევა რომ შეიძლება, ამის შესანიშნავი მაგალითია გურამი ქიქოძის მიერ შეუღარბებულ თარგმნილი „წიგნი ტრისტანისა და იზოლდისი“.

ახალი სალიტერატურო ქართულის ინტერესები მოითხოვს ხალხურ მეტყუელებსთან მტკიცე კავშირს. ხალხურის გამოყენება დაკავშირებულია ორ მომენტთან: ზოგჯერ ხალხურში გაბნეული ენობრივი მარგალიტები ზღრდაპარ გამოვიყენება ლიტერატურაში. ზოგჯერ ისინი ვაფუქვებთ, ვაშალაშინებთ საჭიროებენ. ორივე შემთხვევაში მთარგმნელის როლი მცირე არაა. საკამათო არაა, რომ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დავდო ქართულურკახური დიალექტი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არად მივიჩნიოთ ყველაფერი, რაც კი სხვა დიალექტებში ძველი ქართულიდან შემონახული ან წარმოქმნილა და თანაც სალიტერატურო ქართულს იწარმებს ან გწინააღმდეგება. მაგალითისათვის მოვიტანოთ სიტყვა „ერთცახე“ — საკამად ვაგრეცლებული იმერულსა და გურულში. ილ. ჭყონიამ, რომელმაც სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიონებში გამოტრეული სიტყვების კონა შეადგინა, ერთცახე“ ორი სიტყვისაგან წარმომდგარად მიიჩნია. სინამდვილეში ეს უნდა უკავშირდებოდეს: „ერთი“ და „სახე“. „ცახეს“, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „რა მშის შუეი სახლად შედგეს, მას შინა იხილებიან, ვითარცა მტვერი აღმავალი, მას მცირესა ეწოდების“. სრულიად ნათელია, რომ ესაა რუსული „пылинка“. პ. ქუთარაძის რედაქციით გამოსულ ლექსიონში სწორედ ასეა განმარტებული. იმავე ჭყონიას მიერ აღნუსხულია



სიტყვა „უკლისა“ — იმერულიდან. უკლისა ჰქვია ადამიანს, რომელიც არა შემთხვევას არ იკლებს. ჩვენი აზრით, ამ ორი სიტყვის მსგავსათა სალიტერატურო ქართულში შემოტანას წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს. ამ მხრივ უნდა მოვიშველიოთ იმერული, რაჭული, გურული, თუშური, ლეჩხუმური, ხევსურული, ინგილოური. არ უნდა დავივიწყოთ სვანური და მეგრულიც. ეჭვი არაა, რომ ამ ქართველურ ენებში (სვანურსა და მეგრულში) ბევრი საინტერესო რამაა გადანტული და მათი გადმოქართულება მხოლოდ შემატება იქნება ქართული ენისათვის. მეგრულში კაცს, რომელსაც რაიმე უსაქმო საქმეს ჩააბარებენ, დამშრალი დელის მებორნეს ეძახიან. ჩვენ არ გვაგონდება სალიტერატურო ქართულში ამ გამოთქმის ზუსტი ბადალი. რატომ არ შეიძლება ასეთი თქმები გადმოვიტანოთ სვანურ-მეგრულიდან და ლიტერატურულ ქართულს მივეუსართოთ! ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენს მთარგმნელებს შორის მომრავლდებიან ენის ტრფიიანი, მაძიებელნი, დამკვიდრებელნი და არა დედნის თუთიყუშური ერთგულების მიმდევარნი.

მაგრამ რაგინდ მდიდარი და განვითარებული უნდა იყოს ენა, მაინც შეუძლებელია მთარგმნელს ყველა შემთხვევაში ჰქონდეს მზამზარეული სახე, იდიომი, გამოთქმა თუ ტერმინი, ზოგჯერ საჭირო ხდება ამგვარი შესატყვისების ახლად შექმნა და გნებავთ ზუსტად გადმოტანაც. თუ ამ გადმოტანისას ანდაზებსა და

გამოთქმებს ქართულ ელფერს მივცემთ და წმინდა ქართულ ანდაზა-გამოთქმებს შევცვარდებთ, მათ შეიძლება სიცოცხლე მივანიჭოთ და ჩვენს ენას შევმატოთ. ამის კარგი ნიმუშია ნ. ავალიშვილი, შესანიშნავი მთარგმნელი სერვანტესის „ღონ-კიხოტისა“. როგორც ცნობილია, სანჩო პანსა სულ ანდაზებით ლაპარაკობს. ანდაზების თარგმნისას ერთ ნაწილს ნ. ავალიშვილი წმინდა ქართულ შესატყვისებს უძებნის, ზოგს პირდაპირ თარგმნის და თარგმნის შესანიშნავად. ამ წარმატების მიზეზი შემდეგია: ნ. ავალიშვილმა კარგად იცის ქართული ანდაზები, იცნობს ანდაზების ენასა და სტილს. შესანიშნავად აქვს თარგმნილი რამდენიმე ანდაზილა ჭავჭავაძესაც.

როცა ქართულში შესატყვისი არსებობს, მაშინ კი ანდაზის სიტყვასიტყვით თარგმნას გამართლება არ აქვს და ასეთი თარგმანი ფეხს ვერ მოიკიდებს. მაგალითად, ცნობილი რუსული ანდაზა: „Один в поле не воин“ ერთმა მწერალმა სიტყვასიტყვით გადმოიტანა: ერთი მზედარი მინდორში ვერას გახდებო. ამოა შრომაა. ამ ანდაზას ქართული ვერ იგუებს, ჩვენს ენაში მას შესანიშნავი ბადალი მოუბოება: „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“ ან „მარტო კაცი ჭამაშია ბრალიაო“ — გააჩნია როდის დაგვირდება ეს ანდაზა.

დედნის არსის წვდომა, ემოციური შესატყვისის დაძებნა ე. ი. შემოქმედებითი მუშაობა — აი რა მოუბოება ჭეშმარიტ მთარგმნელს.



სიონ სნიკვლაძე

სულხან-საბა ორბელიანის გამოუქვეყნებელი ძეგლი „სწავლა-მოძღვრებანი“

ძველი ქართული ლიტერატურის ხელნაწერთა უმდიდრეს საგანძურში მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლია დაცული.

მართალია, ბევრი მათგანი გამოცემული და სათანადო მეცნიერული სიღრმითაა შესწავლილი, მაგრამ, ამავე დროს, ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა დღემდე გამოუქვეყნებელი კრებული, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „სწავლა-მოძღვრებანის“ სახელწოდებითაა ცნობილი¹.

1 სულხან-საბა ორბელიანის ეს ძეგლი, რომლის სრული სახელწოდებაცაა: „სწავლანი ანუ ქადაგებანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ“, ამჟამად მხოლოდ ორი ხელნაწერის სახითაა ცნობილი. პირველი გადმონუსხულია საბას ძმის ზოსიმეს მიერ 1729 წელს, ქ. მოსკოვს, შეიცავს 708 გვერდს და ჩასმულია მაგარ ყდაში. დაცულია საქართველოს სიძველეთა მუზეუმში (ფონდი A-473). იგივე „სწავლა-მოძღვრებანი“ გადაწერილია ლამაზი მხედრული ხელით ვილაც უცნობის მიერ 1811 წელს და ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, (ფონდი, № 20068-ბ).

რაც შეეხება თვით კრებულს, იგი შედგება 46 სწავლა-მოძღვრებისაგან, რომლებიც საბას ბერიოლში (1698-1710 წლებში) წარმოუთქმავს ქადაგებათა სახით, ვარეჯის ნათლისმცემლის უღაბნოში. ყურადღებას იპყრობს წარწერები ძეგლის თავსა და ბოლოში. შესავალში ვკითხულობთ: „სწავლანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ვინც მისი სახელი აღმოხოცოს ამ წიგნიდამ, წყაულ იყოს უკუნიამდე“. ასევე საკულისხმოა ხელნაწერის ბოლოში გადაწერის, საბას ძმის, ზოსიმეს შემ-

ამ ფრიად საყურადღებო ძეგლის არსებობა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1899 წელს, როცა ვაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პ. კარბელაშვილის წერილი სათაურით: „სულხან-საბა ორბელიანის სწავლა-მოძღვრებანი“.

წერილის შესავალში ავტორი სიხარულით აღწევს მკითხველს, რომ მღვდელ ზ. დავითაშვილს იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდისათვის გადაუცია საბას დღემდე უცნობი „სწავლა-მოძღვრებანი“.

პ. კარბელაშვილს მოჰყავს ქადაგებათა სარჩევი და მოკლედ ეხება დიდი მწერლის ტრაგიკულ ბიოგრაფიას, კერძოდ, ვახტანგ VI ამალასთან ერთად მის გადახვეწას რუსეთში, სადაც საბას უმცროს ძმას, ბერად შემდგარ ზოსიმეს (ერისკაცობაში ზაალს) 1729 წელს გადმოუნუსხავს სასიქადულო ძმის ქადაგებათა პირი.

პ. კარბელაშვილი აღძრავს საზოგადოების ყურადღებას უცნობი ძეგლისადმი და ასეთი მოწოდებით ამთავრებს თავის წერილს: „ურიგო არ ექნებოდა რომელიმე შთამომავალს დიდის ორბელიანებისას ეთაენა ამ ძვირფასი ხელნაწერის დაბეჭდვა და დაენახებინა ქვეყნისათვის, თუ რა მქადაგებელი ჰყოლია ძველად ქართველ ერს და რამდენი გონებრივი სიმდიდრე გვაქვს ჯერ უცნობი და შეუქსევლელი“ („ივერია“, 1899 წ., № 21, გვ. 4).

პირველი მეცნიერული გამოხმაურება საბას ქადაგებებზე ეკუთვნის ისტორიკოს მოსე ჯა-

დგვი მინაწერი: „აღიწერა სულთა განმანათლებელი წიგნი ესე თეთრს რუსეთს ღვთისაგან კურთხეულს სამეფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს, ხელთა ჩემს ცოდვილისა ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელის ძისათა... ჩლთ (1729), ნოემბრის 8“ (8)*.

ნაწილს, რომელმაც 1899 წელს „ივერიაში“ (№ 61) გამოქვეყნებულ მოკლე მიმოხილვაში აღნიშნული ძეგლი პატრიოტული და პოლიტიკური ტენდენციების შემცველ ნაწარმოებად მიიჩნია.

წერილში „ახალი შრომა სულხან-საბა ორბელიანისა“ მ. ჯანაშვილი შენიშნავს: „შიგა და შიგ საბა აღიმაღლებს ხმას და იწვევს ქართველთა სამღვდლოებას დაიცვას სამწყსო გათათრებისაგან, რას გძინავსო, თქვენი ცხოვრანი შეგელმა წაირტაცა“.

უფრო გვიანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ შესანიშნავ ძეგლზე განსაკუთრებული ყურადღება აღარაგვის გაუქმავილებია. თავის კაპიტალურ შრომაში ავადემიკოსი კ. ქეკელიძე მას მხოლოდ ვაკვრით იხსენიებს იმ გამოუქვეყნებელ საეკლესიო თხზულებათა გვერდით, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეუფენიან.

დაახლოებით ასეთივე ზოგადი შენიშვნით კმაყოფილდება პროფ. ა. ბარამიძე, როცა წერს: „სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეუფენის აგრეთვე სასულიერო-საეკლესიო ნაწარმის მრავალი ნაშრომი“ („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისი, 1940 წ. გვ. 275).

საბას ქადაგებებისადმი შედარებით მეტი ინტერესი გამოიჩინა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლონიძემ, რომელმაც თავის მონოგრაფიულ ნარკვევში „სულხან-საბა ორბელიანი“ აღნიშნულ ძეგლს ასეთი შეფასება მისცა: „საბას ქადაგებებში ცოცხლად მოიჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება, მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები, ამ ქადაგებებში საბა ვეველინიება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიუნი“ (სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“, 1938 წ. გვ. XXV).

საბას ამ თხზულების შესახებ თავისი აზრი გამოთქვას აგრეთვე ივ. ლოლაშვილმა და ლ. მენაბდემა. მაგრამ ძნელია ამ ძეგლზე სრული წარმოდგენა ევიკონით მანამდე, ვიდრე იგი არ დაიბეჭდება. ჯერ კიდევ 1928 წელს გ. ლონიძე მართებულად შენიშნავდა: „საბას ეკლესიური ორატორული შემოქმედება შეუსწავლეოა და სრულიად უტნობი, ამასთანავე დღემდინდელად მასალას შეიცავს იგი საბას ბიოგრაფიისათვის. საერთოდ საბას ქადაგებანი, რომელიც ცალკე მკვლევარს მოელის, შესანიშნავი ძეგლია მე-18 საუკუნის ქართული ორატორული ლიტერატურის“ („სიბრძნე-სიცრუისა“, 1928 წ., გვ. XXIV).

მართალია, ჩვენს წერილს ასეთი ფართო გამოკვლევის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ მისი მიზანია ზოგადი წარმოდგენა მაინც მისცეს მკითხველს, თუ რა ხასიათის ძეგლია საბას

გამოუქვეყნებელი „სწავლა-მოძღვრებაში“ თავისი ეპოქის რა მტკიცებულ საკითხებზე ამავხელზე ყურადღებას მებრძოლი პატრიოტი, დიდი ზნეობრივი მოძღვარი და უებრომქადაგებელი.



სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა-მოძღვრებაში“, რომელიც 46 ქადაგებისაგან შედგება, არსებითად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ნაწარმოებია.

პირველყოფილი ლიტერატურის ამ საუკეთესო ნიმუშებში მჭადაგებელი პათეტიკურად ლაპარაკობს ისეთ თეოლოგიურ დოგმებზე, როგორცაა ღმერთის ყოვლისშემძლეობა, სულის უქვადება, მეორედ მოსვლის მოლოდინი, სამართის მშვენიერება, ჯოჯოხეთის სამინუნება, მართალთა ცხოვნება, ცოდვლთა განკითხვა და სხვა.

ამ გაყენებულ ბიბლიურ მსჯელობაში საბა საერო ფონზე მოხდენილად აქსოვს და აწაყვებს ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებულ საეკლესიო დღესასწაულებს, ყოფა-ცხოვრების რიტუალებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან დიდი პატივით სარგებლობდა ძველ საქართველოში.

როგორც მოსალოდნელია, ყველაგან, სადაც კი საბას ძეგლი და ახალი აღქმის დოგმებზე უხდება მსჯელობა, ამქვეყნიური ცხოვრება წარმოდგენილია, ვითარცა კვამლი და არსილი, „რომელი მცირედ ეამ მსჩანან“. მაგრამ რელიგიური თვალსაზრისითაც რომ ვიმზარებ „სწავლა-მოძღვრებათა“ შესახებ, მათი ავტორი არაა ქრისტიანული კოსმოგონის ბრმა მონა, თეოლოგიურ არტახებში მომწყვდეული აღაშინი.

როგორც საფუძვლიანად განსწავლული და პრაქტიკულ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ბრძენი, საბა ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად დიდი გიტაცებით გველაპარაკება აღაშინის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, მის მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობაზე აანუობლობსა და თანამძიმთა მიმართ.

ამ მხრივ მრავლის მეტყველია, თვით ავტორის მოკლე განმარტება ქადაგებათა დანიშნულებაზე: „რომელი არს ქადაგება ერისი მიმართ სწავლადო“. თავის დიდ ნაწილში „სწავლა-მოძღვრებათა“ რომ საერო და აღმზრდელობითი ხასიათის ძეგლიცაა, საქმარისია თუნდაც სარჩევს გადაგხედოთ: სწავლა სიმდაბლისათვის, სწავლა სტუმართმოყვარეობისათვის, სწავლა ვერცხლისმოყვარეობისათვის, სწავლა ურჩებისათვის, სწავლა მრისხანებისათ-



თვის, სწავლა სწეულთა მიხედვისათვის, სწავლა სიმთვრალისათვის, სწავლა სიმშვიდისათვის, სწავლა მაგინებელთათვის, სწავლა ზვაობისაგან დაბნელებულთათვის, სწავლა ძვირის არა სხენებისათვის, სწავლა სამწყსოს დამწყესისათვის და სხვა.

თითქმის ყველა ეს ქადაგება განხორციელებდა დიდი მწერლის სანუკუარი დღეიზაი: „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“.

იქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პარალელის თვალსაზრისით სპეციალური შესწავლის ღირსია ის საზიარო მოქალაქეობრივი მოტივები, რომლებიც გვხვდება „სიბრძნე სიკრთესა“ და ქადაგებებში ჩაქსოვილ იგავეებს შორის.

საბას ქადაგებანი უხედად შეიცავს პატრიოტულ, სოციალ-პოლიტიკურ, დიდაქტიკურ-მორალისტურ ხასიათის შეხედულებებს, რაც აღნიშნულ ძეგლს გარკვეულ სიერო ღირებულებას ანიჭებს. როგორც ეპოქის ანარქლში, მასში ნათლად გამოკრთის იმდროინდელი საქართველოს სული, ქართული ხალხის ყრუ ტივილები.

სულხან-საბა ორბელიანი თავისი დროის უღრესად თვალსაჩინო პიროვნება იყო და როგორც მშობელი ქვეყნის შეხედობის დიდი ჭირისუფალი, არ შეიძლებოდა ეპოქის მღვდლად მოვლენების გარეშე მდგარიყო.

საბა მთელი ძალით აწიშვლებს იმდროინდელ საქართველოში არსებულ სოციალურსა და პოლიტიკურ უსამართლობას, მაღალი წრეების ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ფესვგადმულ ბიწიერებას. ამიტომაც, რომ ქადაგებათა ცენტრში დგას მოქმედი ადაშიანი, როგორც რთული სოციალური არსება, რომლის ბედსა თუ უბედობას მწერალი გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას უკავშირებს. /როცა ზნეობის მწყემსი, ქრისტიანული სწავლის შესაბამისად, მოყვასის სიყვარულსა და შებრალებაზე გველაპარაკება, იქვე მიუთითებს იმ სოციალურ უღსკრულზე, რომელიც მაღალ და დაბალ ქლასებს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის სთიშავს.

რაც უფრო ღრმად ვიხედებით საბას თხზულებაში, მით უფრო შესამჩნევი ხდება საერთო ტენდენციებისაყენ გადახრა, სინამდვილით დაინტერესება და მასთან მიახლოება.

თავის ქადაგებებში დიდი მორალისტი გამიზნულად ურთავს გონივრულ იგავეებს, ზნეობრივი ხასიათის დარღვევებს, ეთიკურ სენტენციებს. ამდენად, მქადაგებლის სიტყვაც აღმზრდებლობით სფეროში ტრიალებს და ღრმად იჭრება მსმენელის გულში, ცდილობს გამოაღვიძოს მძინარე, საიშედო გზაზე დააყენოს გზაბნეულნი.

ამ მხრივ საბას ქადაგებათა ლეიტმოტივს

მებრძოლი შეგონება წარმოადგენს: „მწიგნობარი გონებას, ეძიენით გზა სავალი... ნურგინ წარიკვეთთ სსსოებას“.

თუ რამდენად ახერხებს იგი კლერიკალური შინაარსის ქადაგებაში მოხდენილად ჩაქსოვოს თავისი სოციალ-პოლიტიკური და ზნეობრივი იდეალები, ამას ქვემოთ დავინახავთ.

*
* *

ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც მე-18 საუკუნეში ქართველ ხალხს ეროვნული სახის დაკარგვით ემუქრებოდა, გათათრება იყო.

ქართველი ხალხის ეროვნული მეობის ფხიზელი მეთვალყურე საბა, ლუი მეთოთხმეტისადმი მიწერილ მოხსენებით ბართში წუხს იმის გამო, რომ: „საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელთა“.

იგი ხედავს გათათრების მომპლავებულ საფრთხეს და გული უკედება იმით, რომ ერის ბურჯი — მშრომელი გლეხობა უპატრონოდაა მიგდებული და რომ ანგარებით შეპყრობილ მმართველ წრეებს გულს არ ერჩის საიმოდო, რომ თანამოქმენი „მჭვინვარე მხეცს“ გამოსტაცოს. ერთ-ერთ ქადაგებაში „სწავლა სამწყსოს დამწყესისათვის“ საბა შექმნილი მდგომარეობის ასეთ აღგვორიულ სურათს გვიხატავს: „ცხოვართა ჩემთა აღარ აძოვებთ, დაუძლურებულთა არ განაძლიერებთ, სნეული არა განკურნებთ, შემუსვრილი არა შეუკართ და შეცოთიმილი არა მოაქციებთ და წაწყვიდილი არა მოიძიებთ... და განიზინე ცხოვარნი ჩემნი არა ქონებითა მწყემსითა, და იქმნეს საკმელი ყოველთა მხეცთა ველისათა, და განითესნეს ცხოვარნი მათთა ზედა ყოველთა ბორცეთა მაღალთა და პირსა ყოვლისა ქვეყნისსა განიზინეს და არავინ იყო გამოშვილებელი და არცა მომქცეველი მათდა; ცხოვარსა ამათ არღარა ესმის ხმა მწყემსისა, არღარა შეკრებიან სტავინჯასა ზედა სალაშურთასა, არა უყუფეს ძალლი თეოსა ზედა. იავარ იქმნა ფარეხნი კრავთა და თიკანთა, განაზინენა მხეცმან სამწყსო თქვენთა. მიგტაცნათ მპარავმან ცხოვარნი უფლისანი და შექმანა მგელმან“¹.

მოთმინებლად გამოსული მქადაგებელი აღარ კმაყოფილდება საფიქრო წერილის იგავეებით და ცხოვრების სინამდვილიდან აღებული ცოცხალი მაგალითებით პირდაპირ ნიშნავს იღებს

¹ ციტირებული მასალები საბას „სწავლა-მოდკრებლიდან“ მოტანილია საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერიდან, № 20068-ბ.

დასამოძღვრავ საგანს. მან კარგად იცის მავალითის ზემოქმედების ძალა აღმიაწუხე!

მეტად საყურადღებოა, რომ მწერალი სამშობლოსათვის თავგანწირვის პატრიოტულ მაგალიტებს მღაბიო ფენაში ეძებს და კიდევაც პოულობს მათ. საქართველოს ეროვნული უბედურების დასახატავად ხოდაშენილი მწყემსის თევზადისადმი საბას შესანიშნავი ეპიზოდი მოჰყავს იმის ნათესაყოფად, თუ როგორ დადო თავი უბრალო, უსწავლიდმა სოფელელმა ბიჭმა მიზარებულ ცხვრის მტაცებელი ნადირისაგან გადასარჩენად.

საბა ცხადად ხედავს, რომ მაჰმადიანური ჩვევების მოძღვრებებამ უარყოფითი გავლენა იქონია ხალხის ზნეობაზე. მქადაგებელი ყველას ვასაგონად აცხადებს: „...ხედავ გულნი თქვენი მაღლისაგან ღმრთისა განშორებულ არიან და ქრისტიანობისა წესთა მოწყალეზა უგულვებელს გაყოფიესთ და ველურთა მხეტთა ბუნებათა ზედა იქცეით, იესო ქრისტეს საჯული დაიკრებებოესთ, ამისათვის უმჯობეს არს საჯულსა გასწავებდე“.

მქადაგებელი სწუხს, რომ მისგან შევყარებულ სამწყსო „ემშაქისაგან წარტაცების“ და იქვე სინანულით დასძენს: „ემშაქის მეგობარ ქმნილხარ, ეკლესიაში უგვანად ჰყვირ და მთვრალივით იცინი, არა უწყია, რაიცა გარეგან ამარნი სიტყვანი გითქვამნ ანუ უწყსოდ გიციინან, ანუ რაიმე ბოროტად გიქმინან“.

საბა კარგად ხედავდა ზნეობრივი ქცევის ნორმებისა და ქრისტიანული რელიგიის აშკარა რღვევის ნიშნებს, რასაც თან ერთვოდა პატრიოტული გრძნობის მოღუტება. იგი მხურვალედ ემუდარება მსმენელთ: „ოღეს შეხვიდეთ ეკლესიად, განიწმიდითთ თავნი თქვენი და მოკვეთეთ ქმნილნი ცოდუანი თქვენიო“.

ერთ-ერთ შესანიშნავ ქადაგებაში, „გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის“ საბა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლისათვის მოუხმობს ყველას, იგი ვერ შერიგებია მშართველი კლასების პოლიტიკურ სიბედეცეს, აზრისა და ნებისყოფის სამარცხინო მოღუტებას განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაციონალური და რელიგიური თვითმოყოფობა შელახულია, როცა მაჰმადიანური ტრადიციები წაღუევას უქადაიან წინაპართა მიერ დაგროვილ გონებრივ თუ ნივთიერ დასუსტობას.

სავსებით მართებულად შეინიშნავდა საბას ქადაგებათა პირველი დამფესებელი, ისტორი-

კოსი მოსე ჯანაშვილი, როცა წერდა მწიგნობრივ წიგნებში, რომ სულხან-საბა ასეთ ცეცხლს აფრქვევდა მაშინ, როდესაც ოსმალებმა შეიკრეს იმერეთი, გამაგრდნენ თბილისში, მიიწოდნენ სიონის მეჩეთად ქეცვა“ („ივერია“, 1899 წ. № 61). დიას, ასეთ უმძიმეს დროში მიუძღლია წინ თავის სწავლის ეს უბედლო ოქროპირი და უღარესად მაღალი, პატრიოტული შეგონებით მოძღვრავდა მას: „რად ახსნი ქრისტესა მიერ დაბმულსა ეშმაკთა, რად მოსიტუმრებ ნებითა შენითა მტერსა შენსა, რათ შევიკრავ თავით თვისით ხელთა შენთა, და მიეცევი ხელთა მტრისათა; ძმანო საყვარელნო მოგენით გონებას... განიღვიძენით ძილისაგან მძიმისა. ნუ განცხრებით შევებით, ნუ მომედგრებებით ვარეველითა, დადადებისათა მცირითა თქვენცა დადეკით სული თქვენი მსგავსად დიდისა მის მწყემსისა, შევიყარენით ცხოვარნი, რომელნიცა მოგიფელან უფალმან ღმერთმან ხელთა შინა თქვენთა“.

სულხან-საბა ორბელიანის პატრიოტული და პოლიტიკური იდეალები განსაკუთრებით ორ სიტყვაში: „ძალა ერთობაშია“. ორატორული ხიბუხის უძლიერესი მოქნევით იგი ებრძვის განცალკევებას, პრატიკულარისმს და ქვეყნის ხსნას ზნეობრივ განახლებასა და პოლიტიკურ ცენტრალიზმში ხედავს.



სულხან-საბა ორბელიანი დიდი გამბედაობითა და სიმართლით იმალღებს ხმას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

რამდენადაც მქადაგებელს ნიშანში ამოღებული ჰყავს გაბატონებული წრეები, ამდენად კიდევაც იფალისწინებს „მართლის მოქმედის“ ხედვრს. ამიტომ საბას ერთგვარი წინასწარი მობოდიშებაც კი უხდება მათ მიმართ, ვისაც მისი მამხილებელი სიტყვა მისწვდება და შეეხება: „მრცხენიან საყურარელნო, ვინათგან ესღენი ბოროტნი ვთქვი თქვენდა მიმართ, მეშინის უფალნო ჩემნო და მთავარნო, ვინათგან ვკადრე მე უღარესმან თქვენმან უღარესისა მიმართ ჩემთასა ესეთი კადნიერება“.

მაგრამ მქადაგებელი იქვე დასძენს, რომ მას აღაპარაკებს არა სიძულვილი და მტრობა, არამედ უღარესად ეკითლი განზრახვა: ამოიყვანოს ამორალიზმის წუმუედან თანამოქმენი „არა სიძულვილისათვის თქვენისა მიქმნეს, არცა მტერობისა შურითა თქვენთა, უწყვიტ რამეთუ აღწუნებისა თქვენისათვის ვიტყვი“.

ჩაგრულთა და ღატაკთა დიდ ქომავს ზილსა ჰკვრიან „მეპატრონენი ქვეყნისანი“, რომელნიც „სისხლსა ყმათსა დასთხვენ“. იგი მოურიდებლად ამხელს იმ მრისხანე და ტრან მე-

1 გაიხსენით, თუ როგორ განმარტავს იგი მავალითის არსს ლექსიკონში: „მავალითი-აწვენე და წინ დაუღდა იგი, რათა მსგავს მისთა ყონ“.



ფეხს, „რომელნი მძღავრობენ სოფელსა ამას და განფენილ არს შიში მისი თქვენ ზედა“.

დღე ჰუმანისტს მოსვენებას არ აძლევს მაღალი კლასების სიხარბე, შეუბრალებლობა, გულქეობა გაპირებებაში მყოფ თანამომხეთა მიმართ. ფრიად საყურადღებო ქადაგებაში „სწავლა სწეულთა მიხედვისათვის თქმული“, საბა ასეთი სასაყვედურო სიტყვებით მიმართავს შეძლებულ და გავლენიან ფენებს: „რაოდენნი ძილნი ვანიფრთხებე, რაოდენნი სმა და კამანი დაიმწარენ, რაოდენ გზის მოუარე სწეულსა და შეუშხადენ თაეი, გინდა გვერდნი უცვალენ ანუ მკერდთა მიყურდენ“.

საბა პირდაპირ ემუდარება და ავალებს გაბატონებულ კლასებს — გულისხმირი, ადამიანური დამოკიდებულებით გამისტკალონ უძლურთა და სწეულებით დავრდომილთა მიმართ: „აწ გვედრები საყურადღებო, რომელნი ხართ მოღვაწენი უძლურთა და ნუ მოაკლეთ მადლსა ამას პატონასა და რომელთა არა გამსახებრებელთ აწ მოგვეთმადლო ესე და ისწავთ მსახურება სწეულთა. და ნუ იტყვიან, რამეთუ სნება იგი გარდამდებ არს და უკეთუ შემედეგ მომკლავს, ანუ შრავალბა უძლურ მყოფს“.

გაბატონებული კლასების გაუმადლობას, მწვევე უფლებრივ და სოციალურ უთანასწორობას ორატორული სიტყვის უბადლო ხელოვანი ცხოველთა მრავალფეროვანი სამყაროდან მოტიანილი ასეთი მავალითებით გვისურათებს: „ლომმან დაუტევა მკენივარება და შენ მრისხანებს მოყუასთა შენთა ზედა. მეელი არღარა იტაცებს დღისი, არც არას იპარავს ღამე, და შენ... ვანიფულავ ტაცებსა მოყუარეთასა და პარავსა მეზობელთასა...; „ქორნი დამწვიდებულ არიან კაკბათა შეპყრობად და შენ პლაში რადაც ვისმე რამე იხილო კეთილი შენთვის შეპყრობად...“

„ძალი არღარა სდენის ყურდგელთა, არა ღრენს შემავალთა უცხოთა: ხოლო თქვენ სდენით ვლახათა და შეიპყრობთ ქვრივთა და დაზარათ ტყავთა ობოლთასა“.

საბა არ ფარავს, რომ გაბატონებული კლასები პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და სხვის მონაგარს ურცხვად ითვისებენ. იგი ქება-დიდებას ასხამს მშრომელთა მარჯვენას და მათ შრომა-საქმიანობას მისაბაძად მიიჩნევს ყველასათვის. „იხილე მოქალაქი ყანათანი, ვითარ მოითმენენ სიტხესა მზეთასა და სიგრძესა დღეთასა, მუშაკობენ ცხელთა და ურწყულთა ველთა, ...ბოროტსა ჰაერსა არა რიდობენ... მაშინ არს ღრო სწეულებისა და ხურვებისა, მაშინ არს ვესლოვნება ბოროტი გველთა და მკებნარება ღრიანეველთა. არამედ არა ვანიერძალბიან და არცა წაშა განსვენებნასა მისცე-

მენ თათა თვისთა. უკეთუ მას უმეცურად შეუქრება იქვლი თათათვისთა, ვერ გააზიბო-დების წელიწადსა სიგრძესა მისსა“.

საბა თვალნათლევ ხედავს, რომ სიზარმაცემ და მცონარეობამ პრივილეგიებულ კლასებს ცოცხალი ქმნილების სახე დაუკარგა და თითქმის მკვდარ ლეშად აქცია იგი. მეტად საყურადღებოა, რომ მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის ჰიგიენას, საერთოდ, მის გამაჯანსაღებელ გავლენას ადამიანის მთელ ფსიქო-ფიზიკურ არსებაზე: „განიცადენით მუშაენი მოთმინენი სიტხეთა და სიცივეთანი, ვითარ ოფლთა დენითა განაქარევენ და განდენიან უმკვანოთა ჰაერთა და მავნეთა სწეულებათა და იწვიან არიან მუშაენი შრომისა მოთმინენი სწეულ, და რომელნი უღებ და მკამელ და უთმინო არიან, ივინი არიან სწეულ და მონა მკერნალთა და მკუნესელ და მვეალავ, და ვერცაღა მოითმენენ სწეულებათა მათთა“.

საბა ერთგვარი სამედიცინო რჩევის სახით დასძენს: „ამას სოფელსა შრომისა მოთმინება მრთელად ამყოფებს გუშთა, ბოროტთა ჰაერთა და სწეულებათა განდენიან“.

ამგვარად, იმ დროისათვის მაინც უღარესად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს მაღალი წრეების უქუღმართი სოციალური და პოლიტიკური იდეალებისადმი, მათი მანკიერი მხარეებისადმი.

*
* *

პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის გართულებამ, საწარმოო ძალთა უმავალითო დაქვეითებამ, რაც განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის მიმე საშინაო და საგარეო ვითარებით, ძალიან უარყოფითი გავლენა იქონიეს.

ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა საბამ კარგად იცის, რომ ხალხის დამბობა-გადაგვრება იწყება იქ, სადაც ძირი ეთხრება ეროვნულ თვითმყოფლობას, საუკუნეებით შემუშავებულ ზნესა და ზნისათს.

ჩვენი ეროვნული ზნეობის დიდი მეთვალყურე მამაშვილური დარიგებით მიმართავს თანამემამულეთ, არ დაემონონ ვერცხლისმოყვარობას, არ დაივიწყონ წინაპართა ჩვეენი, მათი სახლის კარი ყოველთვის ღია იყოს კეთილი სტუმრისა და მოყვასისათვის. „ნუ საყვარენო, ნუ დაემონენით ვერცხლსა... არამედ ვერცხლი მონებისათვის... სხვანი იტყვიან: გლახათა ჰური არა ვანუტენსა, სტუმარნი სძულთ, უცხოენ არა შეიწყნარა და აწ უცხო ექმნა მონაგება თვისსა“. საბას რჩევაა: როგორ გარემოშიც არ უნდა მოექცეს ქართვე-

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ლი ხალხი, თუი სურს არ აღივავოს პირის-
გან მიწისა, მტკიცედ უნდა დაიცივს და შეი-
ნარჩუნოს ისტორიულად შემონახული ნაციონალური ზნეჩეულებანი.

თავის ქადაგებებში საბა ადამიანის მრავალ მანკიერებაზე ამხვილებს ყურადღებას. ერთ-ერთ უმძიმეს სენად მას მიაჩნია გერცლის-მოყვარეობა, რომლისადმი დაუკმაყოფილებელმა მისწრაფებამ გაბატონებულ კლასებში წარმოშვა: „სიმბორტე, ამპარტაუნება, ზეაობა, ნყაროვნება, სიმულვილი, ლალვა, მრისხანება და სოფლისა ამის სიყუარული“.

მქადაგებელი წუხს და დრტიენავს იმის გამო, რომ ვაუმადრობაზე, ხორციელ ვინცხორამაზე დაუძინებელმა ფიქრმა მისი დროის ადამიანებში ჩაჰკლა ისეთი სულიერი საუნჯე-ნი, როგორცაა „სიმშვიდე, სიმდაბლე, სიყვარული, მოთმინება“. ამგვარი მიდრეკილების წყალობით, ამბობს იგი, „დავანებლებთ სულს ჩვენსა ღვთივ განათლებულსა, და ვაფოფინებთ ხორცთა ამათ მატლთა საზრდელსა, და წუთხსა მყარლსა. კაცმან რომელმან განაზნა მარგარიტი და აღკრიბა კუროსთავი, ჩვენ ვემსგავსებთ მას, ყოველი სამაჟული სულისა განგვიბნევიეს და მოსურნე ვართ ხორციელთა საქმეთა“.

მქადაგებელი განსაკუთრებით ამხედრებულია ეკლესიის იმ მსახურთა მიმართ, რომელთაც „სული ეშმაკს მიჰყიდეს“ და დაიფიყეს რა ზნეობრივი მწყემსის საბატო ვალდებულება, გერცხლისმოყვარული, სხვისი მონაგარის ურცხვი მიმტაცებელი ვახდენს.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ღრმავროვან ქადაგებაში დაულალავად ებრძვის საზიზღარ მანკს — ენატიანობას. ამ მხრივ, საყურადღებო დიდაქტიურობა აზრების შემცველია „სწავლა მაგინებელთათვის თქმული“.

საბას საერთოდ ეზიზღება აუგის მთქმელი, ისიც კარგის მეჭირე. ენის ღვარძლიანად მიტან-მოტანას, მის ბოროტად გამოყენებას, დიდი მორალისტი შედგევი სიტყვებით კიცხავს: „...განეკრალენით სიტყვათა ბოროტთა და საძაგელთა, რომელთა მიერ წარწყმელების სული კაცისა, და ნუ შეიქმთ ბირთა თქვენთა ჭურჭელ სიბილწისა, რომელ უსაძაგლეს არს ორბოთა სანეშტეთასა“. საბა მთელი სიღრმით ითვალისწინებს იმ მძიმე შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს ბოროტმეტყველებას: „გინება აღაშფოთებს გონებასა კაცთასა, გინება მოუღებს საცნობელსა ბრძენთასა, გინება მოაზნადებს ცემად ხელთა ყვრიმალთათვის, და შეკრავს მჯიღითა ქედთა და ღაწუთათვის; გინება განლესს ხმალთა და წამახუვენ ლახვართა, გინება დასიზღებს სისხლთა და იქმს კაცთა წყვლლსა და სიკუდილსა“.

ბოროტის მთქმელსა და ენის მიმტრეობის მიანს მეიგავე მწერალი გესლიან გველზე უფრო საშიშრად მიიჩნევს: „პველი არღარა უმზერს ბრქალთა კაცთასა, არცარა გამოაქვს გესლი პირთა მისთი. ხოლო შენ აუზნებ გესლოვანსა ენასა შენსა და უტავადებულად რომლითა მოკუდებთან მრავალნი კაცნი“.

საბა მართებულად ასკვნის, რომ ენის მიტან-მოტანით, თანამომქმეზე უადგილო ძვირის თქმით, ერის მთლიანობა ირღვევა, ინტერესთა ერთიანობა იზარება და შინაური კინკლაობის შედეგად მტერს შესაძლებელია ეძლევა თავისუფლად აფათუროს ხელი დაპყრობილი ხალხის სულში.

მრავალი ხორციელი თუ სულიერი მანკიერებანი, რომლითაც იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი იყო დაავადებული, საბა ცალკე გამოჰყოფს გადაჭარბებულ ღვინის სმას, შემთვრალეობას. მართალია, ამ საიფიხე საყვარელ ბევრს რჩევა-დარიგება წარმოუთქვამთ როგორც მოციქულებს, ისე ქართული მოძრაობის მწერლობის წარმომადგენლებს (მაგალითად, X საუკუნის მოღვაწეს იოანე ბოლნელს), მაგრამ საბა სულ სხვა თვლით უცქერის ამ მანკს.

გარდა იმისა, რომ ალკოჰოლის გამოღებულული გამოყენება დიდადი მატერიალური დოვლათის დანთქმას იწვევს და გამანადგურებელი ძალით მოქმედებს ადამიანის გონებრივ თუ ფიზიკურ ძალეზე, ამავე დროს, მძიმე ზნეობრივი შედეგების მოტანითაც ეშუქება ბიოგონებისა.

ადამიანის სულის ღრმა ფსიქოლოგია იცის, რომ მთვრალი კაცი ჰკარავს წონასწორობას, ანგარიშს არ უწევს საზოგადოების მიერ შემუშავებულ სავალდებულო ქცევის წესებს და ზშირად ამორალიზმის წუმბეში ეშვება. მისთვის არაა უტვთო და სამარცხვინო „ამო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვი აღერსი, ბილწი სიმღერა, ბოროტი როკვა“.

საბას გულს უკლავს იმის შეგნება, რომ ღვინის მიმდევარ კაცს გული უტრუფელებს ქრისტიანულ რელიგიასზე, იგი წყდება ეროვნულ ნიადაგს, სიმთვრალით გონებადბანელებული ადვილად იქცევა გარეშე მტრის სათამაშო ობიექტად. საბა გვაფრთხილებს, რომ „მთვრალია არის ყოვლისა ცოდვის თავი და შემძინებელი უსჯულოებასა ზნდა უსჯულოებისა... შემთვრალეს აღერკის თვალნი კეთილად მხედველნი, აღარა ესმის აღერსი სხვათა და თვით უზნობს ვითა ხელი; უკეთუ ზე აღდვა, ფერხნი შეპყრობილ აქუნ და არა ჯალ უც დგომად... ესევიან ბრუ და ჰკონებს ქვეყანისა ბრუნედა“.

სიტყვის მქადაგებელი გამოუვალ ჩიხში



იმწყვდევს მემთვრალე კაცს და ორატორული ხელოვნების მომარჯვებით პირდაპირ აიძულებს კატეგორიული პასუხი გასცეს მის კითხვებზე: „შითხარ მე საყვარელო, რა სისხარული შეგძინა სიმთვრალემან. სიბრძნე და ჰკვე მოგმატა, სიმშვიდე და სიწყნარე მოგიძღვნა, საპატიო ყოფიქვეა გასწავე, ოქრო და ვერცხლი შეგეყრიბა, ღვინო, პური და ხვასტატი ვანგვიმოვლნა, საუწრე საზრდოთ ავივისო, კაცთა დავამრავლბრა. მტერთა დავაზავა, ცოდვის მოყვარეობასა ღირსკყო ანუ სათნოება ღვთისა გაქმინა.“

რა სისახარულო გიძღვნა ღვინომან მამგენეთ მეცა“.

„სწავლა-მომღვრებანის“ ავტორი საგულდაგულლოდ ჩერდება ადამიანის სხეულისა სულიერ თვისებებზე, რომელთა ანომალია, უკიდურესობა, მჭადავებლის აზრით, უარყოფითს გავლენას ახდენს პიროვნების მთელ ფსიქო-ფიზიკურ არსებაზე.

ერთ-ერთ ფსიქიკურ მანკად, რომელიც ადამიანთა უმეტესობის ბუნებას ფლობს, საბას უთმინობა მიაჩნია. ორატორული სიტყვის დიდი ოსტატი მისთვის ჩვეული მხატვრული შედარებების გზით ასე გვიხატავს ამ სულიერი აფექტის უაღრესად მკვენე შემოქმედებას ადამიანზე: „ვითა ზღვითა მყუდროსა შინა კეთილმავალსა ნავსა ევევითენს ქარნი სასტიკნი, და შეახეთქენს კლდესა, და დაინთქას შემუსვროლი, აგრეთვე სული მყუდრო, რამ იყოს გონებასა შინა თვისსა, ოდენ ეცეს ქარნი უთმინოებისა, იგი დაინთქის სიღრმესა ქუესკენლისასა... უთმინოება შეიქმს არა პატივისცემასა მამადღათა თვისთა, უთმინოება იქმს ბრძოლასა და კაცის კლვასა, უთმინოება განმარჯვებს პარვასა, ავაზაკობასა, დატყობასა“.

საბა გვევლინება სათნოებელ და ჰუმანიზმის ერთგულ დამცველად და მოურიდებლად ამხელს იმდროინდელი გაბატონებული საზოგადოების ტირანულ თვისებებს. ასე მავალითად, ქადაგებებში იგი საკმაოდ ვრცლად ჩერდება მრისხანებაზე, როგორც ადამიანის ფსიქიკის უმძიმეს გამოვლინებაზე. აი, როგორი ფსიქოლოგიური წვდომით ძერწავს საბა მრისხანე კაცის სულიერ პორტრეტს: „მრისხანე კაცსა ვერა შეგონებს ერთგული, ვერა შემართებს კანდიერი, ვერა რაისა უმჯობესსა ეტყვის თანა ვანწრახი: მრისხანე კაცი ვერა ოდენს მიახრულ ჰყოფს თავსა თვისსა, თუმცა შეილისაყა ქორწილი აქუნდეს... მრისხანე კაცისა მეგობრობა მზვავს არს ასპიტისა ხელთა შირვისა, რომელსა მარადის აქუს გესლი მაკდინებელი... მრისხანესა კაცისა თანა ჯდომასა უსაწადლესს არს ქაქეთა შვიან ჯდომას მრავალ ეკლოვანთა... მრისხანე კაცი არა უპატიოსნესს არს ძალსა განყოფებულსა, ვინათ-

გან არცა მან იცის კეთილი და ბოროტი... არა მან, ორივე სწორად ჰკენსა“.

საბას დაკვირვებით, მრისხანება იმდენად აფორიაქებს ადამიანის სულიერ სამყაროს, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება ამ სენით დაავადებული ადამიანის გრძნობა-გონება მოიხართოს კეთილი სწავლისა და ზნის მისაღებად. აი, როგორ შედარებას მიმართავს იგი: „უკეთუ წუთით მარადის სიბთა ქუთთა დასდოდეს, ლბილი წყალი მას გახურეტს და შევალს, ხოლო მრისხანისა კაცისა გულთა კეთილი სწავლა არა შევალს“.

„სწავლა-მომღვრებანში“ დიდი მორალისტი სარკასტული ენით ამოირახებს სწავლის მოთაქივე, კანდილების მოყვარე და ამპარტავან ადამიანებს. ეს სენი, საბას დაკვირვებით, ყველაზე მეტად ფეოდალურ არისტოკრატისა და სამღვდელოებას ჰქონია მორეული.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი შთაბეჭონებელი ძალით ამხელს საბა ამპარტავნებით შეპყრობილთ, მოვიტანოთ ამონაწერი საბას ქადაგებიდან — „სწავლა ამპარტავნებისთვის“:

„მე ესრეთ გგონიეს, რამეთუ სადაცა შევალს ამპარტავანება, მუნ შეუძლებელი არს აღდგრომად ყოველი სათნოებანი კეთილნი, და დაბნელებს გონებასა კაცთასა, ვით დაბნელოს კვამლან ძლიერმან თუალნი კაცთანი თუალ ტკვენულნი... ვითა ქარი სასტიკი ეკვეთოს ხეავსა ზვისასა და ვანაბნოს, ეგრეთვე ამპარტავნება, რამა შევიდეს კაცთა შორის, მადლთა ხეავთა მისდა სრულიად ვანაბნევს, ამპარტავანი გონებითა მივალს ზეღმართ დიდებისდა, ხოლო საქმეთა მიერ აღმოკვეთოს ქვე მოხრებლთა და შთავალს ჯოჯოხეთსა მიმართ“.

ეს სენი იმდენად უმძიმესად მიაჩნია საბას, რომ იგი თითქმის შეუძლებლად მიიჩნევს ამპარტავანი და მრისხანე კაცის შეგონებას. მის ზნეობრივ მოქცევას. კიდევ მეტი: ამპარტავან კაცზე მოძღვრის მიერ გაწეულ შრომას საბა წყლის ნაყვად თვლის, როცა დასძენს: „ეგრეთვე ცუდად მაშვრალი იქმნებთან მოძუარნი ამპარტავანთანი, რამეთუ რამ იგი მსენებას, არა ისწავლის და რამ იგი მოძღვარსა სწავს, არა შეისმენს... საყვარელნი, უხმარ არს გონიერთაგან ამპარტავანისა კაცისა სწავლება; და უფსმინარისა შეგონებაა“.

საბას გულს უკლავს თავისი დროის საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი დაკნინება. მსგავსად აღოაჩინების ზანის მოწინავე მწერლებისა, დიდი მორალისტის აზრითაც, ზნეობრივი და გონებრივი დაქანება უმეტესად ხვედრია უცივი და უწიგნური ადამიანებისა.

განა საბას ბავშვმ არ წარმოთქვა „ქილილა და დამანაში“ ასეთი მოხდენილი შედარება:

მედიკოსი
გიორგი მჭედვენი

„კაცა სწავლა განანათლებს, ვითა მთვარე ღამეს ბნელსა“.

მჭადაგებელი რელიგიურად მოაზროვნეთა კლას მისდევს. აღმიაინის გარღვეული ბუნების აღმადგენელ ძალას იგი საღვთო წერილში ხედავს. თავის მსჯელობის ამ წყნელში, საბა, ცხადია, რელიგიური აღზრდის თვალსაზრისზე დგას.

საბას ღრმა რწმენით, ვინც ქრისტიანული ზომღვრების სათავეებს დაწოვება, მას ხელთა აქვს „მეცნიერება კეთილთა და ბოროტთა“. ამიტომ ურჩევს იგი მსმენელთა: „ასწავებდით და მოძღვრიდით თავთა თქვენთა ფსალმუნებითა და გალობითა“. ან კიდევ: „უკეთუ უნჯთა განმრავლება გენებოს, განვამრავლით სამღვთოთა წერილითა, უკეთუ მოვატრება გეტკობოდეს, მოვეპატრნეთ სწავლანი სულიერნი“.

აღმიაინი რომ მოზღვავებული ცოდვებისაგან განთავისუფლდეს, კეთილი გზისაკენ შემობრუნება რომ შეძლოს, საბას ფსიქოლოგიური დაკვირვებით, იგი პირველ რიგში საკუთარი თავისადმი კრიტიკული განმჯდის უნარით უნდა აღიჭურვოს.

როგორც ირკვევა, დიდი მწერალი კარგად იცნობდა სოკრატეს ფილოსოფიურ ნაზარევს, როცა ერთ-ერთ თავის მჭადაგებაში „ცოდუასა ზედა დაუდგრომლობისთვის“ ამბობს:

„ჰოი, ცოდვილო, იცან თავი შენი და შენცა ადრე ჰყო მოქცევა ცოდვისაგან“.

საბას შეგონება: ყველა პიროვნება თვითვე დაუდგეს დარაჯად საკუთარ ყოფაქცევას და საწყისშივე აღკვეთოს „რტონი ცოდვათანი“.

მჭადაგებლის დაკვირვებით, საქმარისია ადა-ჭიანა ოდნავ შეანეროს გულისყური საკუთარი თავისადმი და შეწყვიტოს ჭიდილი ბოროტ საწყისებთან, რომ ამორალიზმის გზაზე დაეშვას, მარცხი განიცადოს. ამ მხრივ, საგულისხმზო საბას მიერ მოტანილი ასეთი მავალითი: „რასათვისჲ ჰკიდა სირაქლეშისა კვერცხი აქვენ წინაშე, ამისათვის რომელ სირაქლემი კვერცხთა სადამდის გამოსჩეკდეს, წინარე უცს და თვალმორღებლად უშზერს, უკეთუ თვალი და გონებაჲ მოაშორვა, განულყადების“.

ცხოვრებაში ჩახედული ბრძენი — საბა, ადვილად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბილულ სამყაროში ყველაფერი მარადილყო ცვალებადობის კანონს ემორჩილება და კაცსაც, როგორც ბუნების ყველაზე სრულყოფილ ქვნილებას, თუკი მოინდომებს, თვითაღზრდის გზით ადვილად შეუძლია გარდაიქმნას, უკეთესი გაზდეს. „ყოველნი სოფლისა ამის შევენიერებანი შეგივლიანი ადრე, ვინათვან სოფელიცა იქცევს ზნეთა თვისთა და საქმეთა... და შენცა ისწავლე სოფლისაგან ერთსა საქმესა ზედა

დაუდგრომლობა და ნურცა შენ მარადის ცოდუასა ზედა“.

ფერუთვალავ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან მჭადაგებელს მკვერმეტყველების დიდი ძალით მოჰყავს იმის მავალითი, თუ როგორ კანონზომიერ ცვალებადობას განიცდის ყველაფერი გარდაქმნა-განახლების წყურვილის გამო. საბას მოწოდება, აღმიაინაც გადამალოს ბუნების ეს დიდი წიგნი და შიგ გონებისა და გულის მასაზრდოველი აზრები ამოკითხოს: „გზიილავს ქადარი უგრძნობელნი, ვითარ განყრიან ქერტთა მქისთა და არა მარადის უტევებენ გუამსა ზედა თვისთა; არცა ნერგთა ოდენი ძალი გაქუსს, რათა ცოდვისა შებღალელი ქერტი მოიძარცოდ ახალი შეიზოსო... ირგეთა უგულისხმთო რაი რქანი დაგზორდნენ და დაუმიდნენ, და დაუმძიდნენ, წლითი წლად განადგედნენ, და არღარა იქონებენ და ჩჩვილთა აღმოიხეთქენ; ფრინველნიცა განიყრიან რაჲ განერყუნას და დაუმწიკვლდეს ნაერტენთა თვისთა, და ახალთა და კეთილთა შეიძოსენ. შენცა ნუ უდარეს იქნებდი ფრინველთა და განიყარე ფიცხელნი მწიკულევიანი ვენებანი და კეთილი სინანული შეიძოსენ; არწიენი რაჲ დაბერდებიან, აღფრინდებიან ჰაერეთა შინა, და განახლდებიან და განკაბუდებიან სიბერისაგან; დათვი მვეინეარე და ყაბუ-ზუნა მებრძოლი შეიკვალებენ ზუნებათა თვისთა და კაცთა მიერ სწავლითა დამშვიდდებიან, და დაუტევებენ ველურებასა მათთა და ვითა კაცნი ვლენან და როკენ და საბელთა განვლიან და შენ პირმეტყველი და გულისხმიერი იქმენ სწავლასა და მრავალსა მოძღვრებასა და არა დაუტევება მავას ველურებისა უსაძაგესსა ცოდვასა ჩვეულებასა“.

ცხოვრების გზაზე ზნეობრივად წაბორძიკებულთ, საბა თვალწინ უშლის ბუნების განახლების გრანდიოზულ სურათებს, მის ილუმინალ წაღრმე გარდაქმნა-გაუფრთხილებს და ასეთი შეგონებით მიმართავს მათ: „შენცა განილიძე უძრავისა მისგან ძილისა, და იწყე ძვრად, აღმოცენებად ნაყოფთა და განაზნეე განხმული და დამპალი ძოლან ნაქნარი ცოდუა... შენცა აღაღრმე გონებაჲ შენი... და განიკაბუე ცოდვით დაბერებულ სული შენი“.

საბას შეგონება: „განიწმინდნით თავნი თქენნი და მოკვეთნით ქვნილნი ცოდუანი თქენნი“.

მართალია, საბას დიდი სურვილია აღმიაინი თვითაღზრდის გზით განხდეს სათნო და კეთილი, მაგრამ იგი მინც ვერ მალდებდა საკუთარი კლასის თვალსაზრისზე; მასაც ავიწყლებდა, რომ პიროვნება საზოგადოებრივი ყოფის პროექტია და რომ მარტო საკუთარი ძალებით მას



არ ძალუძს სოციალური და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება.

საბას პედაგოგიური რჩევაა, ადამიანმა სიყრმიდანვე შეიყვაროს კეთილი და გაემიჯნოს ბოროტს. იგი გვაფთხობს: ნუ დაველოდებით მოხუცებულობას, რომლის მიღწევაც წუთისოფლის ეკლიან გზაზე სწორად სათუთა. კიდევაც რომ მივაღწიოთ ღრმა სიბერეს, — გვეკითხება მქადაგებელი, — მაშინ რაღა მადლი ექნება ჩადენილ ცოდვათა მონანიებას, ვისღა გამოადგება იგი?!

„პოი, საწყალობლო, ეამსა სიბერისასა გნებაეს სინანული და არა გიხილავს — ყრმანცა ჩრვილნი მოკუდებიან, შენ ვინა უწყვი დაბერება შენი. და უკეთუ ეგე ებრეთ იყოს და დაბერდეს, სადა არს ეამსა სიბერისასა სინანული, სიყრმე შენი და სიჭაბუქე შენი, და სიმხნე და ძლიერება შენი ცოდუასა შინა აღსრულე და ოდეს დაბერდე და ძრწვი, მაშინ მოხუთა სინანულად?“

საერთოდ, საბა ადამიანისადმი, აღსაზრდელი-სადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ქადაგებს. აღზრდელის ვალია დიდი გულსყური გამოიჩინოს, რათა მანკიერი ჩვევების აღმოფხვრის პროცესში კეთილი ნაყოფიც არ დაახიანოს: „მარგლასა შინ ფრთხილ იყოს კაცი, რათა ეკალთა წილ არა ამოფხვრას ჯეჯილი“.

მაგრამ, თუ ადამიანმა თვითაღზრდის გზით, შინაგანი ძალების დაძაბვით ვერ შეძლო საკუთარ თავზე გამარჯვება, კეთილ გზაზე დადგომა, მაშინ, საბას რჩევით, მან უნდა მიმართოს შესაფერის ოსტატს ანუ აღმზრდელს.

რუსთაველის ცნობილ აფორიზმს მქადაგებელი ასეთი პროზაული პერიფრაზებით გადმოგვიცემს: „მკურნალი ოდეს დასწულდების, თვით ვერღარა ჰკურნებს თავსა თვისსა, არამედ სხვისა მკურნალსა მოუწოდს კურნებად. აგრეთვე თვით კაცი ვერა იკურნებს ცოდუათა თვისთა, უკეთუ სხვისა არა აღუაროს, ცუდად მაშვარლობს თვით თვისით კურნებად“.

საბა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სულიერ მოძღვარს, აღმზრდელს და აღვილად მიდის იმ ჯანსაღ პედაგოგიურ დასკვნაზე, რომ კარგი ხელმძღვანელის აქტიური ჩარევით აღზრდის ობიექტი აღრე თუ გვიან ზნეობრივი განხლებისა და გონებრივი წარმატების გზაზე დადგება. აი, როგორ შედარებს მიმართავს ორატორული სიტყვის ოქრობიორი: „ვითარცა ოქროსა გარყენილი შთაავდო ბრძმელსა შინა, განაწმდილს განრყენილება მისი და ოქროს იგი ოფთავ წმიდა გამოვიდეს ცეცხლისა მისგან, აგრეთვე ოდეს განრყენილება სულისა ჩვენისა შთავადგოთ ყურთა შინა მოძღვრისათა, ცეცხლმან მადლისა დიდისა მოძღვრისამან შექამნეს განრყენილება და შესვარულე-

ბა სულისა ჩვენისა, და გამოვიდეს სიწმინდისა დილი და განახლებული უმჯობეს ოქროსა. უკეთუ წყალთა ძალუძს განრყება მწიქულისა სამოსელთაგან, და აგრეთვე ცეცხლსა განწმება განრყენილებასა ოქროსა დაღნობითა. გინა მკურნალსა ხორცთასა წარმოთბრობითა სწულისა მიერ სერთა მათ რომელნიცა სცირან მას განკურნება მისი“.

საბას, როგორც სიბრძნის მოყვარულს, სიამოვნებას ჰგვრის საღმრთო წერილის ცნობილი სტრიქონები: „ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე და მცინერება და გარდასცა იგი მოყუასთა“. მეცნიერება და გარდაგოგიური დამოძღვრის პროცესში იგი არც რუსთაველის ღრმავარგვან შეგონებას იგიწყებს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“

დიდად საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი იმდროინდელი საზოგადოების ფიზიკურ და ზნეობრივ გადარჩენას რეალური გზითაც ცდილობს. მისი აზრით, მოქმედი ადამიანი არა მარტო იმპერეციური დაპირებებით უნდა ტბებოდეს, არამედ იგი ამავე დროს ვალდებულიცაა სიცოცხლეში დაუღალავი შრომით ქმნიდეს რაიმე სახის მატერიალურ და სულიერ ღირებულებას. საბა მიუთითებს შრომის დადებით გავლენაზე, რომელიც, მისი სიტყვით, „სრულად განაცხოველებს და კეთილად და მყუდროებით ამყოფებს სულთა“. აქედან მქადაგებელი პირდაპირ მიდის ფიზიკური შრომის საყოველთაო აღიარებამდე.



ორიოდ სიტყვა გვიჩინა ვთქვათ საბას ქადაგებათა ენაზე. „სწავლა-მოძღვრებანი“ საკმაოდ არქაული ენითაა დაწერილი. ქადაგებათა უმრავლესობა გადატვირთულია სქოლასტიკურ-სალეოსიმეტყველო ტერმინოლოგიით, მიბლიური გამოთქმებით. ეს გარემოება ადვილი ახასხენელია: თვით ქადაგებათა საგნის სპეციფიკა, საკულტო-რელიგიური თემების შინაარსი, სწორედ ამგვარ ფორმათა გამოყენებას მოითხოვდა.

საკვლესიო რიტორიკის ეს არქაული ფორმა, საერთოდ, თავიდანვე იყო დაკანონებული და, ცხადია, ბერის მანტიამი ვახვეული საბაც ვერ გადაუხვევდა ამ გზიდან. მიუხედავად ამისა შოგადამე იგი მოხდენილად ურთავს სადა მეტყველების ნიმუშებს, პოეტურ შედარებებს, იგავებს, აფორისტულ გამოთქმებს, რითაც საღვთისმეტყველო კილოს საერო ელფერით აზავებს. როცა საჭიროა ნიშანში ამოღებულ-

დასამოძღვრე საგნის გამათრახება, მაშინ საბა დიდი ძალით იყენებს იუმორსა და სატირას, რაც ეგზონ და მახასიათებელია მისი იგავ-არაკებისთვისაც.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა-მომძღვრებათა“ მხატვრული-დიდური წყაროები სხვადასხვა სათავიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, როგორც სასულიერო შინაარსის ქადაგებანი, ისინი, უწინარეს ყოვლისა, საღვთო წერილიდან, მისი ისტორიული და საკანონმდებლო ნაწილიდან იღებენ სათავეს, ბიბლიური დრამებითა და იგავებით იყვებებიან.

გარდა ამისა, მათში საკმაოდ ღრმად შეინიშნება ჰომილეტიკური მწერლობის, აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ძეგლების, ბერძნულ და ქართულ სავალობელთა კვალი.

ქადაგების ავტობის რიტორიკულ ხერხებს საბა გაცნობილია იოანე ოქრობრის, ბასილი დიდის, გრიგოლ დღესმეტყველის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურის და სხვათა საეკლესიო მკვიდრე მემკვიდრეების შედევრებში.

მაგრამ მქადაგებელი სიკვდილზე თეოლოგიურ ფარგლებს და თავს დასტრიალებს თავისი უპოქის მღვდელურ კითხვებს, ფაქროდ უღებს კარს საერო და მოქალაქეობრივ მოტივებსაც.

ამ მიმართულებით იგი ახლოს იცნობს ბერძნულ და ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას, მათ წარმოამადგენელთა მორალისტურ და ეთიკურ შეხედულებებს.

საერო ასპექტში საბას ქადაგებათა იდეური წყარო ასევე სათავეს იღებს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის სიბრძნეთა უძირო ზღვიდან, თავის სახელოვან წინამორბედთა, კერძოდ, ალექსანდრის ხანის პოეტის არჩილის მორალისტურ-დიდაქტიკური შეხედულებებიდან.

და, რაც მთავარია, საბა, როგორც წუთისოფლის ეკლიან გზაზე ღრმადმოხვეული ბრძენი, თავის ქადაგებებს ხორცს ასხამს ცხოვრების მდინარეი გამოცდილებით, მისთვის ეგზონ მიმადლებული უნივერსალური ნიჭით.

მქადაგებელი ენდობა რა თავისი სიტყვის ზემოქმედების ძალას, ამავე დროს არ უგულვებლყოფს დაჯერების, მაგალითის, დარწმუნების მეთოდების აღმზრდელი მისთვის გამოყენებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე უდავოდ დიდი იქნებოდა „სწავლა-მომძღვრებათა“ კონერბივი და ზნეობრივი გავლენა იმ საზოგადოებაზე, რომელიც ირანელ და თურქ დამპყრობელთაგან მტლად დამამკრებელ ფორმებში განიცდიდა ერთგულ, სოციალურ და პოლიტიკურ ჩაგვრას. ეს შესანიშნავი ძეგლი უთუოდ ძლიერ პატრიოტულ გიმნაზიას გააღვიძებდა მათში, ვისთვისაც ასე რიგად ძვირ-

ფასი იყო სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გაათრებისაგან მამა-პაპათა ტრადიციული ზნე-ჩვეულებების დაცვა-შენარჩუნება.

უდავოა ისიც, რომ ქადაგებათა კრებული ხელიდან ხელში გადადიოდა ისტორიული ბედუქულობითობით სამშობლოდან გადახვეწილ ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვან ამაღლი, კერძოდ, იგი აღბათ დიდ ზნეობრივ და გონებრივ საზრდოს მისცემდა სამშობლოდან უნებურად გადახვეწილ პოეტ დავით გურამიშვილსაც.

ამ მხრივ, დავიწყაფილდეთ თუნდაც მცირე ამონაწერის მოტანით იმ ქადაგებიდან, სადაც საბა დანტესებული ძალით ხატავს ქრისტიანული რელიგიის მუქარას სიკვდილის და ჯოჯოხეთის საშინელებაზე: „გაა რა ავი მოსასვლელი მოგველის, ვაა რა უწყევი სტუმარი არს, ვაა რა შესაძრწუნებელი არს განწახლება მისთვის, ვაა, რა საზარელი არს შეყრა მისი და საშინელი ხილვა პირისა მისისა.“

სიკვდილი უხმო და უსიტყვო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს. სიკუდილისა ზარმაცი ცხენი გვეწვევა, და ჩვენი სწრაფი ცხენი ვერ წარველტის, სიკუდილისა უქონელი რხმლი ჩვენთა ხორცთა განკუეთს და ჩვენის რკინის მახვილი მას ვერას ავენებს, სიკუდილისა უხმო ხმაა განგვანქრებს და ჩვენი მრავალ მოუბრთა ენა მას ვერას შეასმინებს, ჩვენი ვედრებაა მას ვერ მოაშვიდებს, ჩვენი ლიქნა მას ვერ დააწყნარებს, ქრთამი ვერ დავავამგობრებს, ოქრო და ვეცხლი ვერ დავაწყობს ესრეთ უწყალოთა ჩვენზედა“.

რატომ ამ შეიძლებაო გვეფიქრა, რომ თავისი მხრივ ამ შემადრწუნებელ სურათსაც ერთგვარი ბიძგი მიეცა სიკვდილთან ცილობაში ჩაბმული გურამიშვილის კავშით ამღერებული იმ სტრეიტონებისათვის, რომელიც ასე იკითხება:

„ამისთვის მწყდება მე წელი და უკან ზურგის მალბი, მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერსად დავემალები, გავეკე ვერცად წაუთავ, ცხენებიც მუყანდეს მალბი, შავებნა, ვერას დანაკლებს, ჩემი თოფი და ხმალები. სიკვდილი ქრთამს არ აიღებს ოქროს, ვერცხლს, არცა რვალებსა, არც არას გვისმენს ხეწუნასა, არც არას შეგვიბრალბებსა“.

ემიგრაციის დედაბოძის ვახტანგის წაქევის შემდეგ, მეფის რუსეთის თვალუწვდინელ ტერიტორიაზე გაფანტულ ქართულ პატრიო-



ტო სულიერი თანამგზავი და ზნეობრივი ლამაზი უთუოდ იქნებოდა მათი საამაყო პატრიარქის საბას ქადაგებათა კრებულში, რომელსაც სასიქედლო მწერლის ძმამ, ზოსიმემ სამართლიანად უწოდა „სულთა განმანათლებელი წიგნი“.



მართალია, „სწავლა-მოდერნაში“, ქრისტიანული თვალსაზრისის შესაბამისად, შეადგებელი გზადაგზა სხეულის მოკვდინებისკენაც მიუწოდებს, მაგრამ საბოლოოდ მიანიც საბა სიცოცხლის მშვენიერების მორტფიალედ გვევლინება. ცხოვრების არც ერთ ვითარებაში, მონასტრული იქნებოდა იგი თუ საერო, საბასთვის სიცოცხლე არასოდეს მოსაწყენი არ გამზღარა. ზალხში დაბადებულსა და აღზრდილს, მას საზოგადოებისათვის ზურგი არასოდეს შეუქცევია, ერთხელაც არ გაუვლია გულში რეალური ცხოვრების უარყოფა. პირიქით, იგი ყველა ადამიანისაგან მოითხოვს, მაღლობა შესწიროს ცისა და ქვეყნის შემოქმედს, რომელმაც „უკვდავი სული შთაგებინა, და სიტყვიერის შეგვექმნა, და სიბრძნე და განიერება მოგვანიჭა, მეგობარი ჩვენი მიწა ფერხთა ჩუენთა ქუეშე დაგვიღვა, ასრე შავიცა არა გვაკარდა, მუჟანითა და ფერად ფერადითა ყუავილითა მოგვიფინა“.

საკელისო შინაარსის ქადაგებებშიც კი საბადიდ ობტინიზმს ამქალაქებს. როგორ გარემოშიც უნდა მოექცეს ადამიანი, მისი სალიგონება და უკეთესი მომავლის რწმენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შთანქქს სულიერმა დებრესიამ. საბა თანამემამულეთ გამძლეობისა და მოთმინების გრძნობებს უნერგავს. ერთ-ერთ ქადაგებაში იგი ასეთ გამამხნეებელ სიტყვებს ურთავს: „განიფრთხოთ ძილისაგან მძიმისა, იღუაწუთ, ძმანო, გამოვიდით ნაყოფი სულიერი, ნურაინ წარიკვეთთ სასოვნასა, რათა ჩვენც აღგავადგინნეს დაცემულნი და განგვაპოლიერნეს“.

მეტად საყურადღებოა, რომ საბას მსოფლმხედველობა არაა შებოჟილი ეკლესიატეს პეხიმიშით, გამბეული სამღურავით ცხოვრების ამოთაზბე.

მართალია, თავისი ქვეყნის უბედობა, მმართველი წრეების ზნეობრივი დემორალიზაცია, დიდი პატრიოტის ღრმა აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ეს გულისწყრომა სრულიადაც არ გა-

დადის ხალხის საერთო წყველა-კრულვაში. ასეთ მძიმე მდგომარეობაშიც კი ცხოვრების სიყვარული აღზნებულ ბერის სრული უფლგზით შევძლო გაემორბინა თავისი ჭაბილა-შვილის, მეფე-პოეტის არჩილის სიტყვები: „სოფელს ვაგონებ, მაგრამ მე მიყვარს და ვერ ვეშებია“.

საბას, როგორც დიდ ობტიმისტს, ნათელფერებში ვხატება სამშობლო ქვეყნის უკეთესი მყობადი, იგი არაა შეპყრობილი მომადლისადმი რაღაც გამოურკვეველი შიშით. მერგრა ვუყოთ, თუ ანალოგიური ბედის გამო მასაც შევძლო თავისთავზე ვახტანგ მეექვსის ამონაკენესი გადაეტანა: „ჩემი ჳირი ქვას ჳქონებოდა, დაღნებოდა, ჩემი ფჳკრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდოდა“.

საბას მებრძოლი, სული არასოდეს არ დღვენილა, მისი ნებისყოფა არასოდეს არ გაღვერილა, იგი მარადის სამშობლოს საყურთხვეელს ეფინებოდა და მის კიდევებს ვეღებოდა გარშემო.

უდავოა, ღვთისმშობლის ხატის წინ ზელაბრყობილი ბერი საბა სამშობლოს კეთილდღეობისათვის უფრო მზურვალედ ღოუქლობდა, ვიდრე საკუთარი სულის ცხოვნებისათვის. თუმცა რა ცოდვები შეიძლებოდა ჳქონოდა იმ ადამიანს, რომელიც სულის უკანასკნელ ამოხდომად მშობლიური ხალხის ჳირისა და ლხონის მოზიარე გახდა, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: „მე ჳართველთათვის ვაღდებული ვარო“. უთუოდ ბედის ერთგვარი ირონია იყო, როცა ცხოვრებისაგან გატანჯულ უმწიკვლო მობხტეს რომის პაპმა ცოდვების შესანდოლად ოქროს ხატი უბოძა.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა-მოდერენანი“ მის სხვა უკვდავ ძეგლებთან ერთად ცხადად მეტყველებს მისი ავტორის დიდ ერუდიციანზე, საერთო, სახალხო ინტერესებზე. მასში მძლავრად ჩქეფს მებრძოლი ბერის ანთებული სული, რომელიც დავით გარეჯის ჳრიოკი უღაბნოდან საყმოდ მძიმე დროში გამამხნეველები ძალით ეფრქვეოდა თანამომქეთა გულს და მაღალი მოქალაქეობრივი ვაღდებულებით აღაგზნებდა სამშობლოს თავისუფლებსა და დამოუკიდებლობისათვის.

უამთა ქექა-ქუხილში გამოვიღო და გამობრმედილ საბას დაბეჯითებით სწამდა, რომ ზოროტს კეთილი სძლევდა, ზნელს მოგროდა ნათელი.



626-3672

პახანაჲ ჭაღიძე

შექსპირის მემორიალური თეატრი მოსკოვში

(პირველი შთაბეჭდილება)

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ რამდენიმე კაცი მიგვაგვლინა მოსკოვს შექსპირის მემორიალური თეატრის საგასტროლო სპექტაკლებზე დასასწრებად, ეს გასტროლები დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოეწყო და თუ არ ვახურობდი სეზონი, მივლინებულთა რიცხვი გააცილებით მეტი იქნებოდა. ყველას აინტერესებდა ამ თეატრის ნახვა: მათაც, ვისაც უკვე უცდია ბედი შექსპირის უძველავი გმირების სცენაზე განსასახიერებლად, და იმათაც, ვინც მომავლისათვის დეპტრობს ამას.

შექსპირის მემორიალურ თეატრს დიდი ტრადიცია აქვს. თითქმის ორი საუკუნის წინათ ჩაუყარა მას საფუძველი მწერლის სამშობლო ქალაქ სტრადფორდში შესანიშნავმა ინგლისელმა მსახიობმა დავით გარიკმა. მერე დიღხანს აღარ გამოსჩენია ამას გულშემატკივარი და მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ გახდა შესაძლებელი ასი წლის წინათ დაწყებული საქმის განგრძობა. გასული საუკუნის საბოლოო წლებში, თითქმის სწორედ იმ დროს, როცა ჩვენში ილიამ და მაჩაბელმა „მეფე ლირი“ თარგმნეს და მასურებელმა ქართულ სცენაზედაც იხილა შექსპირის გმირების შესანიშნავი განსახიერებელი, მეცენატმა ფლაუერმა კვლავ განახლა გარიკის დაწყებული საქმე და მას შემდეგ თეატრს აღარ შეუწყვეტია არსებობა.

ამ თეატრის სცენაზე შექსპირის თითქმის ყველა პიესა დადგმულა, ისეთებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ არც ერთ ქვეყანაში და მთელ შორის ინგლისის სხვა თეატრებშიაც არ იდგმება ხოლმე. სხვას არც არაფერს დგამს ეს თეატრი, მხოლოდ შექსპირის პიესებს. ათასში ერთხელ თუ დადგამენ სხვა პიესას და ისიც უსათუოდ შექსპირის თანამედროვე დრამატურგისას. ამ თეატრის მუშაობის ხასიათი

ცოტათი განსხვავდება სხვა თეატრებისაგან. მისი დასი დენილია. ესე იგი, მოდიან და მიდიან მსახიობები. ზოგჯერ მხოლოდ თითო სეზონს რჩებიან ამ თეატრში. უფრო ხშირად სამ-სამ წელიწადს. ძალიან იშვიათად, მეტსაც აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მემორიალური თეატრის სცენაზე უთამაშნია თანამედროვე დიდ ინგლისელ მსახიობს, შექსპირის როლების ცნობილ შემსრულებელს ლორენს ოლივიეს, რომელსაც ჩვენ უმთავრესად კინოფილმებიდან ვიცნობთ, აგრეთვე პოლ სკოფილდს, რომელსაც ორიოდე წლის წინათ გაეცნო საბჭოთა მასურებელი, ვივიენ ლის, რალფ რიჩარდსონს, ბარბარა ჯეფორდს და სხვებს.

ბევრი გვემნენოდა ამ თეატრზე, ნახვით კი ჩვენი დელეგაციის არც ერთ წევრს არ ენახა. ამიტომაც ასე გვიინტერესებდა მისი ვაცნობა.

მაჩაბლის გენიალურმა თარგმანებმა, ტრადიციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართული საბჭოთა სცენის შესანიშნავმა მოღვაწეებმა — მსახიობებმა, მხატვრებმა, რეჟისორებმა — ჩვენთვის ორგანული ვახადეს შექსპირი, „გავვიშინაურეს“ და შეგვისისხლბორცეს. ამიტომაც დიდი იყო ინტერესი გვენახა თუ როგორ ასახიერებდნენ უკვდავ ქმნილებებს შექსპირისავე მშობლიური ქალაქის თეატრში, ინგლისურად როგორა ეძღვრდა ის სიტყვები, რომლებიც თითქმის ოთხასი წლის წინათ დაუწერია დიდ გენიოსს; განსაკუთრებით გვიინტერესებდა როგორ ახერხებდნენ ისინი შექსპირის დროინდელი თეატრის თავისებურებების აღდგენას, ისე რომ, ამასთან, თანამედროვე თეატრის მთელი უპირატესობანიც გამოეყენებინათ (რადგან მემორიალური თეატრის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ეგ არის).

სამი სპექტაკლი ჰქონდა თეატრს საგასტროლოდ ჩამოტანილი — „ჰამლეტი“, „რომეო და



ჯულიეტა“ და „მეთორმეტე ღამე“. 28 დეკემბერს, როცა ჩვენ ჩვედით მოსკოვს, „მეთორმეტე ღამის“ უქანასწერილი წარმოდგენა მიღობდა. ვერკო ანჯაფარიძემ და აკაკი ვასაძემ მაშინვე მოგვიგვარეს ბილეთების საქმე (ესე იგი, უბილეთოდ შეშვების საქმე მოგვიხერხეს, რადგან ბილეთები უკვე აღარსად იყო). რეჟისორ შოთა ქარუხნიანი სულმა დასძლია და დილის სპექტაკლზედაც შევიდა (დღლითაც „მეთორმეტე ღამე“ გადიოდა). ორ მოქმედებას მიუსწრო და იქიდან გამოსული ემპაური ღიმილით გვეუბნებოდა — ერთ სანტერესო რამეს ნახეთო. ბარემ აქვე ვიტყვი, რა იყო ეს „სანტერესო“ რამ. საღამოს აკაკი ვასაძე და მე ერთად მივედით თეატრში. გავჭირვებამ დედოფალთან დამაწინაო რომ იტყვიან, მეც ისე მომივიდა. ამ უბილეთოდ შეპარულ კაცს მტაცეს ხელი და მეხუთე რიგში წამომასუბეს, შუა ადგილას. აკაკი მომტაცეს და საღლაკ გააქანეს. დაიწყო სპექტაკლი და გაფაციცებით ვადევნებთ თვალს ყველაფერს — მხატვრობას, კოსტუმებს, მსახიობების თამაშს... თან ზოგჯერ გამკრავს ხოლმე თავში — ნეტა აკაკი ვასაძე სად წაიყვანეს, სად მისცეს ადგილი? (ვერკოს იქვე ვხედავდი, ჩემს წინ, მესამე რიგში). უცებ სცენაზე შემოდის მალვოლიო და რას ვხედავ! ჩვენს აკაკი ვასაძეს მშვენიერად მოურგია ტანზე მალვოლიოს ტანსაცმელი და ისე აბრაილებს თვალს, რომ შენი მოწონებულნი; როგორც გიანახეთ აკაკი ვასაძე თბილისის სცენაზე. გარეგნული მსგავსება და მანერები კიდევ არაფერი. დაიწყო მალვოლიომ ლაპარაკი და ასე გვეონებოდათ, ინგლისურად მოლაპარაკე ვასაძეს ვუსმენო; ისეთივე ხმა, კილო, ვასაძისებური მჭახე შეხატებაც კი. აი, როგორ შეიძლება თურმე კაცი კაცს ჰკავდეს. აკაკიმ შემდეგ გაგვასხენა მაკო საფაროვას ნაამბობი — როგორ ნახა მან თურმე პარიზის სცენაზე ნატო გაბუნიას „ორეული“.

მეორე დღეს ინგლისურ მსახიობებს შეხვედრა მოუწყვეს აქტიორის სახლში. სტუმრებს მოკლე სიტყვით მიესალმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ზავადსკი. მისი სიტყვები, რომ ჩვენს შორის არა ზარბაზნები, არამედ ხელოვნებაში ერთმანეთის გამარჯვებით გამოწვეული ტაში უნდა გრიალებდესო, მართლაც ტაშის გრიალმა დაჰფარა. ინგლისური თეატრის მოწვევაც ხომ ხალხთა კეთილი ნების, ხალხთა შორის მშვიდობისათვის დაუცხრომელი სწრაფვის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. ინგლისელი მსახიობები ყოველ სპექტაკლზე, ყოველ უბრალო შეხვედრისას გრძობდნენ საბჭოთა ხალხის სამშვიდობო, მეგობრულ განწყობილებას და სიხარულს ვერ მა-

ლაენდენ. „მადლობა, მადლობა“ — ვიხილავთ „ხალხს“ — ყოველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გაისმოდა სახმატურო თეატრის ფილიალის სცენიდან სახელდახვლოდ ნასწავლი რუსული სიტყვები, რასაც სტრადელი დელი მსახიობები ინგლისური აქცენტით გამოთქვამდნენ.

ძნელია ერთ წერილში საფუძვლიანად განიხილო სამი დიდი სპექტაკლი და ისიც თითო ნახვით (მხოლოდ „ჰამლეტი“ ვნახეთ ორჯერ მე და ფარიზო ლაპიაშვილმა). მე შევეცდები მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილებები გავუზიარო მკითხველს.

თუ საერთო შეფასებას მოვიწოდებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თეატრი. თეატრის პირველი თავისებურება, რამაც გვაკვირვა კიდევ, არის შექსპირის უდიდესი ერთგულება. ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ შექსპირის ტექსტს დღევანდელი მაყურებლისათვის საკმაო შეკვეთა სჭირდება. ეს უკვე დაკანონებულია ყველა ქვეყნის ყველა თეატრში. ეს აზრი ისე გაიძვარაბილეს რეჟისორებმა, რომ თვითნებურად გადაადგილებენ ხოლმე არა მარტო ცალკეულ სურათებს, არამედ მთელ მოქმედებებსაც. ამაყად უტყრათ ხელში მაკრატელი და სკრიან ტექსტს, უბოდიშოდ აკეთებენ ყოველგვარ მონტაჟსა და კუბიურებას. ასე ხდება ყველგან, ყველა ქვეყანაში. ამ თეატრში კი საოცარი სიზუსტით მისდევს სურათი სურათს, სწორედ ისე, როგორც შექსპირსა აქვს, და მხოლოდ აქა-იქ, ცალკეულ მონოლოგსა და დიალოგში თუ იგრძნობთ სტრუქტურისა ოდნევე შემოკლებას, — თითქოს რაც ქვეყანაზე შექსპირის დამდგმელი რეჟისორები ყოფილან და არიან, იმათ ჯავსს ერთბაშად იყრანო. მიუხედავად სპექტაკლი გაყოფილია ორი ოც-ოც წუთიანი შესვენებით. „მოქმედებას“ არც ეძახიან სამ შემადგენელ ნაწილს, სწორედ ასე წერენ — სპექტაკლი ნახევრები იქნება ორი ოც-ოც წუთიანი შესვენებით.

ზოგს იქნებ გაუკვირდეს კიდევ — ეს რაღა მემორიალური თეატრია, თუკი ავტორისეულ მოქმედებებად დაყოფასაც არ იცავენ და შექსპირის ხუთმოქმედებიან ტრაგედიას თვითნებურად სამ ნაწილად ჰყოფენო. მაგრამ სინამდვილეში თეატრი ამითაც შექსპირის ერთ-ერთი რჩება. საჭმე ის არის, რომ თვით შექსპირის თავისი პიესები იმგვარად არა ჰქონია დაყოფილი, როგორც ახლა იბეჭდება. მაგალითად, მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული „ჰამლეტი“ სულაც არ არის მოქმედებებად დაყოფილი, ამბავი სულმოყოთქმელად ვითარდება. ხოლო ეს ტრადიციული დაყოფა, რომელიც ახლა ყველგან დაკანონდა და რომლის

მიხედვითაც იბეჭდება შექსპირის პიესები ინგლისშიაც და სხვა ქვეყნებშიაც, უფრო მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის; და როგორც მკვლევარები სმართლიანად შენიშნავენ, არც თუ ძალიან მარჯვედ არის პიესის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთისაგან გამოყოფილი. ცალკეული მოქმედებები ხშირად ლოგიკური წერტილით არა მთავრდება, ერთი განწყობილების ამბავი ზოგჯერ მექანიკურად არის გათიშული და ხელს უშლის ნაწარმოების მთლიანობის აღქმას. რამდენადაც პირველ შობებულებებს დაეჯერება, სავსტორილო სპექტაკლები კარგად არის დაყოფილი, ლოგიკური წერტილები სწორად არის მონახული. ხოლო «წერტილები» ცალკეულ სურათებს შორის საერთოდ დაგმოიბილი აქვთ და, ვფიქრობ, სმართლიანადაც; ერთ სურათს უმაღლეს «უწერტილოდ», ამოუსუნთქებად ცვლის მეორე სურათი და ამით კიდევ უფრო ეწყობა ხელი მოქმედების დინამიკას, რაც შექსპირისულ სპექტაკლებში არც თუ ისე უნიშვნელო საკითხია. მაგრამ ამ საოცარი «ერთგულების», ტექსტის ასე შეუკვეცელობის მიუხედავად, სპექტაკლი მიანიჭებს მთავრდება. «მეთორმეტე ღამეს», ორმოცი წუთის შესვენების ჩათვლით, სამი საათი დასჭირდა, «ჰამლეტსა» და «რომეო და ჯულიეტას» კი სამნახევარი საათი თვითუფს. ეს ახსნება იმ საოცარი რიტმითა და ტემპით, რაც ყველა სპექტაკლს ახასიათებს. მაგრამ ეს რიტმი შეუძენველია, როგორც იტყვიან ხოლმე — «ხაზგაუსმელია», ისევე როგორც ხაზგაუსმელია სპექტაკლის ყველა კომპონენტი. ამ თეატრში, ყოველ შემთხვევაში, იმ სპექტაკლებში, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, განსაკუთრებულად არაფერი გვეცმათ თვალში, სპექტაკლის შემადგენელ არცერთი ნაწილი არ გეუბნება — აბა ერთი შემხედვე, რა ბიჭი ვარო — არც მხატვარი, არც რეჟისორი, არც კომპოზიტორი, არც მსახიობი... «ჰამლეტში», მაგალითად, მუსიკა, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არ არის; ცალკეული მუსიკალური ფრაზები ისე მოხდენილად არის ჩაქსოვილი მთელს სპექტაკლში და ისე ჰკრავს მას, თითქოს თვით შექსპირს შეეცტანის წერის დროს და დამაკავშირებელი ძაფების ფუნქცია დაეკისრებინოს მათთვის. ერთი სიტყვით, ხელს არავინ უშლის ერთმანეთს, ხაზგასმული არაფერია, არაფერი ყვირის. სიანტერესო ისაა, რომ თავგამოდებით მსახიობებიც არ ყვირიან. ფარდის ახდისთანავე მოიხიბლებით საოცარი სისადავითა და უბრალოებით. სცენა არ იტვირთება «ტექნიკის უქანასენელი სიტყვით», თითქმის ცარიელია.

მაგრამ მსახიობები ბოროტად არ სცენაში ბენ ამ «თავისუფალი სივრცით» და ხელმძღვანელ არ ხტუნაობენ; მოძრაობა საოცრად ძუნწი აქვთ. ჰამლეტი ყველა ცნობილ მონოლოგს თითქმის ერთ ადგილას განწყვებული კითხულობს, თავის სულიერ განწყობილებას და ვნებათღელვას ინტონაციით, ღრმად გააზრებული მიმიკითა და მეტისმეტად ძუნწი ესტი-უალაციით გადმოსცემს.

თითქმის ყველა სპექტაკლში, განსაკუთრებით ეს «მეთორმეტე ღამეზე» ითქმის, ფარდების მონაცვლებით იცვლება ხოლმე ფონი და ესა ქმნის განსხვავებულ განწყობილებას. რბილი, გარდამავალი ფერები... თითქოს ფარდები ღრთა ვითარებაში გამოხუნებულა. კომედიაში მხატვარი (და მუსიკაცი) დიდად უწყობს ხელს ამ განწყობილების შექმნას, თითქოს, მართლაცა ძველ, «მხიარულ ინგლისს» უყურებდე და თითქოს ელოდე, რომ ბუჩქებიდან, რომლებიც სცენის სიღრმეში მოჩანს, «საცა სანადიროდ ჩასაფრებული შექსპირი გამოვია». აღსანიშნავია, რომ კოსტუმებს მხოლოდ დამოუკიდებელი, ესე იგი, ტლანქად რომ ვთქვათ, მხოლოდ კოსტუმების მნიშვნელობა კი არ ენიჭებათ და დეკორაციებთანაც უბრალოდ ფერების შეხამებით კი არ არიან დაკავშირებულნი, არამედ ავსებენ და ამთავრებენ ამ დეკორაციებს. «ჰამლეტში» მეორე სურათი მეფის სასახლეს წარმოადგენს. პირველი ჩამუქებული სურათის შემდეგ ინიტება უეტე შუქი (სხვათა შორის, შესვენებლდან შესვენებლმდე ფარდა არ ეშვება, მიუხედავად იმისა, რომ სურათი ბევრჯერ იცვლება; ხოლო სტრადფორდში სულაც არა ჰქონიათ ფარდა, პირდაპირ ღია სცენით იწყება მოქმედება და ასევე ღია სცენით მთავრდება. დეკორაციების ცალკეული შემადგენელი ნაწილები თვითონვე შემოაქვთ მსახიობებს და დგამენ; ეს ხდება მუსიკის რიტმზე, და ამით ერთგვარად პაუზა იცდება ხოლმე. ასეთი ხერხებით ცდილობენ შექსპირის დროინდელ თეატრს დაამსგავსოს თანამედროვე მემორიალური თეატრი) ინიტება შუქი და თვალში გვეცმათ სსახლის უჩვეულო ბრჭყვიალება, სწორედ უშუბრატორის შესაფერი ბრჭყვიალება და არა სსახლის გრანდიოზულობა. სცენაზე არიან კლავდიუსი, გეტრულა, პოლინიუსი, ჰამლეტი და მთელი ამაღ. მოსიმენთ კლავდიუსის ყალბი სიტყვებით გაბერილ მონოლოგს, რამდენიმე რეპლიკას, შესიტყვებას... ესე იგი, როგორც ტექსტშია, და ერთბაშად ყველანი გადიან, მხოლოდ ჰამლეტი რჩება, რათა თავისი პირველი მონოლოგი — «რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი» — წარმოთქვას. არ იცვლება სურათი, სცენა იგი-

ვე რჩება, მაგრამ რადიკალურად იცვლება განწყობილება. სპექტაკლშიაც იგივე სცენა დარჩა, დეკორაციები არ შეუცვლიათ, არც ფონი შეცვლილა, მაგრამ მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს სცენა, დეკორაციები მთლიანად შეცვლილიყოს, ის ნაძალადევი ბრჭყვიალება ერთბაშად შესცვალა სასახლის დარბაისლურმა გრანდიოზულობამ და უკვე მომზადდა განწყობილება შესანიშნავი მონოლოგის მოსასმენად. საქმე ის არის, რომ იმ პირველ განწყობილებას, უზუპატორული ბრჭყვიალების განწყობილებას, კოსტუმები ჰქმნიდა, კოსტუმები და ორიოდ დროშა, — ისინი ავსებდნენ დეკორაციებს, ხოლო კოსტუმების „გასვლით“ რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი.

საინტერესოა ტექსტის ორიგინალური ამოკითხვა და თავისებური ინტერპრეტაცია (ამ საკითხშიაც განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს მემორიალურ თეატრს). ნიმუშად მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიყვან. ამ თვალსაზრისით „ჰამლეტი“ საინტერესო იყო პოლინიფისსა და გერტრუდის სახე, რაც ძალიან გონებამახვილურად გადაწყვეტილია რეჟისორის, და მსახიობებიც (განსაკუთრებით გერტრუდას როლის შემსრულებელი ბრაუნე) კარგად ახამენ ხორცს რეჟისორის ჩანაფიქრს.

დარბაისელი, კეთილშობილი და გვირი მეფე ჰამლეტი ვერაგულად მოკლა თავისივე ძმამ კლავდიუსმა, რომელსაც ძველი მეფისა არაფერი სცხია — არც პატიოსნება, არც კეთილშობილება, არც სათნოება, არც გვირბა და, წარმოიდგინეთ, არც ვარაგობა. ამ ვერაგვმა კაცმა ხელწი ჩაიგდო ანა მარტო ტახტი ძმისა, არამედ მისი ცოლიც, დედოფალი, თავისი რძალი. მაგრამ სხვის დაუხმარებლად, გავლენიანი პირის საქმეში ჩაურევლად მოახერხებდა ამას კლავდიუსი? ასეთი კითხვა დადებდა ალბათ რეჟისორს, როცა პიესის დადგმას შეუდგა. უნდა ვიფიქროთ, რომ არცერთი პატიოსანი ქვეშევრდომი და მსახური ისეთი დარსყული ადამიანისა, როგორც ძველი ჰამლეტი იყო, არ გადაუდგებოდა მას და, უფრო მეტიც, საშუალებასაც არავის მისცემდა მოეკლათ იგი. აქ მთელი შეთქმულებაა. აქ საქმეში გავლენიანი პირი ჩაერია. თანაც ისეთი, რომელიც ხელმწიფესთან არის დაახლოებული და ამასთან შემკულია ყოველგვარი ფლილიობით, გაუტანლობით, ბორბტებით... ერთი სიტყვით, ყველა იმ სისამაგლოთ, რასაც ჰამლეტი თვითონვე ჩამოთვლის თავის მონოლოგში. ასეთი კაცი უსათუოდ პოლონიუსი უნდა იყოს. და თუმცა პირდაპირ არ მიუთითებს შექსპირი, პოლონიუსი შეთქმულების მონაწილეა, მაგრამ ტრაგედიაში თითქოს

სადაღაც ივლისსმება. და ეს ძალიან კარგად აქვს დაჭერილი რეჟისორს (გლენ ზაიმე შოლ — იგივე თეატრის ხელმძღვანელი). ეს კიდევ არაფერი, ასეთი აზრი ალბათ ბევრს დაჰბადებია „ჰამლეტის“ წაიკითხვის შემდეგ. უფრო საინტერესო ის არის, როგორ მოახერხა რეჟისორმა ისე გადმოეცა ეს მაყურებლისთვის, რომ არც მას ეთქვა პირდაპირ — ეს კაცი მკვლელობის მონაწილეა (ასე რომ მოქცეულიყო, ამით შექსპირის „ერთგულების“ პრინციპაც დაარღვევდა). უნდა ენიშნებინა მხოლოდ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სპექტაკლშიაც ისევე უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, როგორც ტექსტშია. ეს რეჟისორმა ძალიან უბრალოდ, მაგრამ გონებამახვილურად მოახერხა. ეს ფუნქცია სპექტაკლში მან დააკისრა ერთ-ერთ მოქმედ პირს, რომელსაც, საერთოდ, სიტყვა არც კი აქვს მგონი დავინც ზედმიწევნით კარგად არ იცნობს პიესას, იქნებ არც ახსოვდეს მისი სახელი. ეს არის რეინალდო, პოლონიუსის მსახური, რომლის ფუნქცია, პიესის მიხედვით, მხოლოდ ის არის, რომ ერთ სურათში, მხოლოდ ერთგან, პოლონიუსის სულელური დარბაისნი მოისმინოს. სპექტაკლშიაც თითქოს არაფერი შეცვლილა, არც აქა აქვს სიტყვა რეინალდოს. მაგრამ აქ მას დაკისრებული აქვს უდიდესი ფუნქცია, ის რაც ზემოთ აღვნიშნეთ. მისი პირველივე გამოჩენით აშკარა ხდება, რაც არის პოლონიუსი. რამდენიმე სურათში გამოჩნდება სცენაზე რეინალდო გულბილწი ადამიანის შემპარავი ნაბიჯით. ზოგჯერ შემოიხედვას და მაშინვე გარჩება. ხმას, როგორც აღვნიშნეთ, ერთხელაც არ გაიღებს. არც ზედმეტად გერჩებათ თვალში. და ახლი რომ მკითხოთ, გამოიხედვება კიდევ გადმოგეცეთ, როგორ ახერხებს იგი თავისი უსიტყვო როლით, მეტისმეტად ძუნწი მოძრაობითა და მიმიკით რეჟისორის ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ასეა თუ ისე, იგი ჩინებულად უწყობს ხელს პოლონიუსის სახის დახატვას. თქვენ თვალნათლე ხედავთ, რომ პოლონიუსი გაიძვერა კარისკაცია, თავისებური ფუნქცია, რომელსაც სასახლის კარზე და მთელს სახელმწიფოშიაც ჯაშუშების ქსელი აქვს გაბმული. გჯერათ, რომ ეს უსინდისო და ფლადი ვეზირი ადვილად მოაწყობდა ხელმწიფის სიკვდილს და საქმე საქმეზე რომ მიდგას, არც ამ ახალი მეფის მოკვლა გაუჭირდება.

საერთოდ რეჟისორს კარგად მიგნებულა, ღრმად გააზრებული დეტალები აქვს, რომლებიც დიდად უწყობს ხელს გვირის ხასიათის გახსნას და შესაფერის განწყობილების შექმნას. პოლონიუსის მოკვლის შემდეგ დედასთან მარტოდ დარჩენილი ჰამლეტი ორ

სურათს აჩვენებს გერტრუდას — მამისა და კლავდიუსისას. ეს სცენა ალბათ ყველას ახსოვს. როგორც ცნობილია, შექსპირი ძალიან ძუნწია რემარკებზე. არც მსახიობს და არც რეისორს იგი თავს არ ახვევს თავის სცენიურ დეტალებს. ყველამ თავისებურად უნდა წაიკითხოს და გადმოსცეს ტექსტი. არც ამ ადგილას არის მინიშნებული ავტორის მიერ — ჰამლეტი კედელზე შეჭურვებს ამ ორ სურათს, თუ ხელში უჭირავს პატარა პორტრეტები. რამდენადაც ვიცი, ეს ტრადიციულად ასე აქვთ მოფიქრებული: ჰამლეტი გახსნის გულზე ჩამოკიდებულ თავის მედალიონს, რომელშიც მამის პორტრეტი უდევს, და მედალიონს დედისას, რომელსაც უკვე კლავდიუსის სურათით შეუცვლია პირველი ქმრის გამოსახულება. საგასტროლო სპექტაკლში შეცვლილია ეს ტრადიციული გაგება. აქ ჰამლეტი დედის უჩვენებს გულზე ჩამოკიდებულ მედალიონს, რომელზედაც თავისი მამაა გამოხატული და მერე ირონიულად, ზიზღით, როგორც ხელის ქუქყს, აგდებულ იჩხარუნით ამოიღებს დასერი მონეტებს, რომლებზედაც ახალ მეფეს უკვე მოუსწრია თავისი სახის გამოკვეთა. ამ პატარა დეტალით კიდევ უფრო ესმება ხაზი უზადარუკი უზურპატორის სულწისულობასა და სულმოკლეობას.

ახლა გერტრუდა. ამ როლს ასრულებდა მსახიობი კორელ ბრაუნე და აქვე შევნიშნავ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სახე, რაც ჩვენ ინგლისურ თეატრში ვნახეთ.

„არარაობა, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ ამოხსნის ერთ თავის მონოლოგში ჰამლეტი, და გერტრუდას სახის გახსნიათვის სწორედ ეს სიტყვებია ამოსავალი. შეცდომა მოსდის ზოგიერთ მსახიობს, როდესაც გერტრუდას სახის გახსნიას წინა პლანზე მოსიყვარულე დედის წამოსწევს და ხასიათის გაორებით ტრაგიკულ გმირსა ქმნის. არა, გერტრუდა სრულებითაც არის არის მოსიყვარულე დედა. არც ლედი მაკბეტისთვის პატივმოყვარე დედაკაცია. საერთოდ არა აქვს მას ჩამოყალიბებული ხასიათი. ეს არის უმწეო არსება. Frailty! ძალიან კარგად გამოხატავს ეს სიტყვა მის უზადარუკ ბუნებას, საოცარ უნებისყოფობას, მერყეობას, არაადამიანურ სისუსტეს და პირუტყველ შიშს (მაჩანდას მიერ თარგმნილი „არარაობა“) კარგად ხსნის დედნის საერთო აზრს, მაგრამ ყველა ნიუანსით ვერ გადმოსცემს ამ სიტყვის მნიშვნელობას). შექსპირისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის „Weak vessel“* (ეს გა-

მოთქმა სხვა ტრაგედიაში გვხვდება). გერტრუდა თითქმის სავსებით უცხოა ყოველგვარი ადამიანური გრძნობა — მანკიერიცა და სათნოც; ის შეტისმეტად მოკარბებული ვნებაცა და შიშიც, რასაც ჩვენ მის არსებობაში ვხედავთ, ადამიანური არ არის, უფრო პირუტყველია, ცხოველური. პირველსავე მონოლოგში უწოდებს ჰამლეტი ქალს „არარაობას“, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მამის მოკვლის ამბავს გაიგებდეს. ამის საბაზს დედა აძლევს. ჰამლეტი ხედავს დედის ამ ცხოველურ ყინვა და ვნებას, რასაც სულაც არ ფარავს დღეოფალი, რალაც ავადმყოფური გატაცებით სხვების თვალწინ ღმრის თავის ახალ ქმარს, და პირველად სწორედ ეს თავშეუთქავებელი ყინვი აღაშფოთებს ჰამლეტს. მართლაც რომ ზედგამოჭრილია ასეთ ქალზე „Weak vessel“. მაგრამ მანამ ქმარი ჰყავდა, ეს უზადარუკობა და არარაობა თითქმის დაფარული იყო. მხოლოდ ქმრის სიკვდილის შემდეგ გამომდევნა მთელი მისი ბუნება და ხასიათი. ქმრის დაკარგვით მისი წინასწარობა დაიჩეხა და ერთბაშადვე აშკარა გახადა, რომ მას დამოუკიდებლად არსებობა ერთი წუთითაც არ შესძლებია, რადგან არაფერი გაჩანია დამოუკიდებელი — არც აზროვნება, არც ფიქრი, არც ოცნება, არც პატიოსნება... ის არის ერთგვარი დამატება ქმრისა და თავისი უზადარუკი არსებით ქმრის ხასიათს ბაძავს თუ იმეორებს, რამდენადაც შესწევს ამის ძალი ისეთ უზადარუკ არსებას, რომლის სახელდაც „Frailty“ გამოდგება. ქმრის დაკარგვისთანავე იფეთქა პირუტყველმა ვნებამ და ცხოველურმა შიშმა, რალაც გაურკვეველი მიმავლის გაურკვეველმა შიშმა... და იგი მიენდო პირველსავე მამაკაცს, რადგან არ შეუძლია დიდხანს იარსებოს დამოუკიდებლად, უმამაკაციად. დამოუკიდებლად სუნთქვაც კი არ შეუძლია, ხოლო ადამიანური სევდა-მწუხარების უნარი არა აქვს. იგი არ ყოფილა შეთქმულების მონაწილე, მაგრამ თუნდაც სცოდნოდა, რომ კლავდიუსმა მოუტოვა ქმარი, მაინც ვაყვევებდა მას, მკვლელსაც ვაყვევებოდა, რადგან მისი ვნება ადამიანური, თუნდაც კლომატრას ავზორცული ვნება კი არ არის, მისი არსება მოუტევს რალაც ცხოველურ ინსტიქტსა თუ ყინვს და პირუტყველ შიშს. მას ეშინია მეორე ქმრის დაკარგვის, ეშინია შვილისა — ვაი თუ ქმარს აუხიარდესო, და როგორც ამ დღეში ჩავარდნილ ყველა უზადარუკ არსებას მოუტოვა, შეშფოთებულნი აცეცებს თვალებს ქმარსა და შვილს შორის, თითქმის მათ მორიგებას ცდილობს, მათი მისალოდნელი უთანხმოება თავგზას უკარგავს.

მთელი სასახლის კარი, მათ შორის ჰამლეტიც, მეორე სურათში გამოდის სცენაზე. ინ-

* სუსტი ჭურჭელი (შექსპირის ეს გამოთქმა აღებული აქვს ბიბლიიდან — „უძლურესი ჭურჭელი“).



თება სინათლე და სახეიმიოდ გაბრწყინავილ-
ბულ დარბაზში პირით მაყურებლისაკენ დგა-
ნან მეფე და დედოფალი, პოლინიუსი... მთე-
ლი ამალა. ჰამლეტი ზურგმჯექითაა; ისე
წარმოთქვამს კლავდიუსი თავის გრძელ სეფე-
სიტყვას, რომ ჰამლეტი ერთხელაც არ მობ-
რუნდება მაყურებლისაკენ, მაგრამ მისი სუ-
ლის მოუსვენარ მოძრაობას, მის აღშფოთე-
ბულ გამომეტყველებას, საიდანაც ირონიაც
გამოსქვივის, მისი გულის ბავაბუცსა და უსი-
ტყვო მდღეღვარე მონოლოგს ჩვენ გარკვევით
ვისმენთ და ვხედავთ... გერტრუდის თვალბ-
ში, რომლებიც თითქოს სარკედ ქცეულა, რა-
თა ჰამლეტის განწყობილება დაგვანახოს. ეს
დამფრთხალა თვალები გაკვირვებასაც გამო-
ხატავენ, შიშსაც, მუდარასაც... უკერს — რამ
შესცვალა ჰამლეტი ასე, თუკი მე განუსაზღვ-
რელ ბედნიერებასა ვგვრძნობ, ამას რაღა ღმე-
რთი უწყობა? ეშინია — ვაი თუ გამწვავდეს
ურთიერთობა შეილსა და ქმარს შორის, ვაი
თუ დაკარგვინონ მას ეს შეკაფიწებული
ბედნიერება! ემუდარება — ნუ იზამს ამას
ჰამლეტი, ნუ დაურღვევს ბედნიერებას, აცა-
ლოს... ქმარსაც ემუდარება — მოუთმინოს,
დაუთმოს ჰამლეტს... ასეთი იყო მისი გამო-
მეტყველება პირველი გამოჩენისთანავე, თავი-
დან ბოლომდე ასეთი არის გერტრუდა, ასე
წარმოადგენს მას ნიჭიერი მსახიობი ქალი. იმ
სურათშიც კი, როცა შეილი ორ პორტრეტს
ახევენებს შესაღარებლად, როლის ტრადიციუ-
ლად გახსნისაგან განსხვავებით, სრულს სინ-
დისის ქენჯნას როდი მიეცემა გერტრუდა;
აქ აშკარად სჩანს, რომ სინდისის ქენჯნა
მოჩენებშია და აქაც შიშია მთავარი, რაღაც
ბუნდოვანი, გაურკვეველი შიში. არა სინანუ-
ლი, არა სინდისის ქენჯნა და შეი-
ლის სიყვარული! ეს ყველაფერი მოჩვენე-
ბითია. და თუ კარგად დავაკვირდებით, შექს-
პირსაც ასე აქვს, თუმცა ერთი შეხედვით სულ
სხვაგვარად მოგვეჩვენება. ჰამლეტის სიტყვებ-
მა თითქოს თვალს აუხილეს დედოფალს.
იგი „მდუღარე“ ცრემლებს აფრქვევს, ამწარე“
სინანულის სიტყვებს წარმოთქვამს, ოხრავს
და ვიწმინდებს, მაგრამ, ვიმეორებ, ეს მხოლოდ
მოჩვენებითია. ამა ვაგისენით სურათის ბო-
ლი ნაწილი: ამ მდუღარე ცრემლის ფრქვე-
ვისას ჰამლეტი მიმართავს დედოფალს — მე
მახეს მიგებენ და თითქოს რაღაც საქმეზე
ინგლისს მგზავნიანო. პირდაპირ ეუბნება —
სიკვდილის მახეს მიგებენო... და რა უგუ-
ლოდ, რა ცივად და ცინიურადაც კი ვაისმის
გერტრუდის მონანიებასა და ცრემლებს შმედვ
გერტრუდის სიტყვები: „ვიამე ბედკრულს!
დამავიწყდა, რომ ეგრე არის გადაწყვეტილი“.

და მეტი არაფერი!.. თითქოს ამ სიტყვით
სიკვდილის გზა დაულოცა შეილს.
გაცივებული ლაერტი, რომელიც, ეტყობა,
მეფეს აბრალებს მამის მოკვლას, კლავდიუსს
მივარდნა — სად არის მამაჩემო. „მოკვდა“ —
დამშვიდებით უბასუხებს ხელმწიფე. დამშვი-
დებით იმიტომ, რომ აქვე პირებს ამ მკვლე-
ლობის მთელი ისტორია უამბოს და ჰამლეტი
მისცეს პირში. მშვენიერად იცის ეს დედო-
ფალმა, მაგრამ მაინც ვერ მოითმენს და შუა-
ში ჩაუდგება მეფესა და ლაერტს „მოკვლეს,
მაგრამ ამას არ მოუტლავს“ (But not by him!
ქართულ თარგმანში — „მაგისი ბრალი არ ყო-
ფილა“ — ცოტა უფრო შერბილებულია) —
შიშითა და განწირულებით შესძახებს ამას, თან,
ხელგაშლილი, მეფეს აეფერება და თავისი
ინტონაციით აგრძობინებს წარმოუთქმელ
სიტყვებს — ჰამლეტს მოჰკითხეთო! ამას დე-
და სჩადის, დედა!.. იმ „სინდისის ქენჯნის“
შემდეგ... იმდენად უადგილოა აქ დედოფლის
ჩარევა, რომ კლავდიუსსაც კი უხერხულად
მოეჩვენება და საკმაოდ მკვახელ შესძახებს —
„დახსენ, მკითხოს“...
ძალიან გავვიგრძელებოდა სიტყვა გერტრუ-
დაზე.
მეტად ორიგინალური და სასებით მოუ-
ლოდელი იყო ოლივიას სახის გადაწყვეტა
(„მეთორმეტე ღამე“). ეს არის თითქოს რადი-
კალურად საწინააღმდეგო ამ როლის ტრადი-
ციული გახსნისაც და იმისიც, რა წარმოდგე-
ნაც შეგვეჩვენა ჩვენ ოლივიაზე, პიესის წაით-
ხვის შემდეგ. აქ ოლივია თითქოს წარმოადგე-
ნილია არა სათნო და რომანტიკულ არსებად
(როგორადაც ჩვენ გვესახება იგი), არამედ
ქარაფშუტა ქალიშვილად, რომელიც სასაცი-
ლოდ ტიტინებს და სულელურად დასდევს
ვაჟად გადაცემულ ვიოლას. ერთი შეხედვით,
ოლივია მართლაც ძალიან გაკომიკურებულია
და ამით იგი ეწინააღმდეგება არა მარტო ტრა-
დიციულ გავებასა და ჩვენს წარმოდგენას,
არამედ თვით ტექსტსაც, საიდანაც ჩვენი წარ-
მოდგენა და როლის ტრადიციული გახსნა გა-
მომდინარეობს. მაგრამ, ჩემის აზრით, აქ სულ
სხვა ამბავია. აქ ოლივიას მთლიანი სახე კი არ
არის სხვაგვარად გავებული, არამედ ის ხერ-
ხებია სხვაგვარი, რითაც მსახიობი და რეჟი-
სორი როლის შემსაბრუნებელ გადაწყვეტას
აღწევს. მაგრამ იმდენად ორიგინალურია ეს
ხერხები, რომ პირველად გვეჩოთრება და
სულ სხვა წარმოდგენას გვიქმნის. საქმე ის
არის, რომ ოლივია ვინაობამხივილი ვიოლა და
მასში მოჭარბებულია იუმორის გრძნობა. ეს
კი სრულდებითაც არ გამოირჩევა მის სათ-
ნობასა და რომანტიკულობას. იგი მეტად
კომიკურ გარემოშია მოქცეული — აგერ მი-

საქართველოში
დაბადდა

სივე სასაცილო ბიძა სერ ტობი ბელნი, რომელსაც კარგად შეუხისხვობოცებია ცხოვრების ფოლკტადისებური სიბრძნე და სინდისის უქნეჯნელად ფტქენის და ძარცვავს ყველას, ვისაც კი გადაეყრება (სხვათა შორის, მსახიობ მოკეაგონებს ფოლტადს), სულელი აზნაური სერ ენდრიუ ეიგჩიოი, რომელსაც ოლივია შეჰყვარებია და ყალბაბანდი მეგობრის — ბელნის ფშუტი სიტყვებით გაბრუებული თავის ავადმყოფურ წარმოსახვაში ეტრფის მშვენიერ ქალიშვილს, ავერ მალეოლიოც — თითქოს საშინელი დესპოტი და მკაცრი ტრადიციების ერთგული დამცველი, რომელიც ხელაღდე წამოგება ხუმარა მსახურების ანკესზე... ერთი სიტყვით, ამ ახირებულ გარემოში მოქცეული ოლივია თავისი თანდაყოლილი იუმორით მოხდენილად აყვება ყველას, ეშმაკურად დსციენის მათ და თავს ქარაფშუტა გოგოდ გვაჩვენებს, თუმადა ქუტაც საქმო აქვს და სათნოება; თავიდანვე ძალიან ჰყვინურად უარყოფს მიდღარი ორსინოს მიზენების და ნახევრად ავადმყოფურს სიყვარულს და საქმროსაც მარჯვედ აირჩევს ბოლოს. როლის ასეთი გააზრება ცოტა სარისკოცა, ეს მოთხოვს მსახიობის დიდ ნიჭს, მომზიბლობასა და გამოცდილებას. უნდა ითქვას, რომ ახლგაზრდა მსახიობი ჯერალდინ მაკიუნე უხვად იყო შემეული ამ თვისებებით და ოლივიას მეტად მიზიზიდველ სახესა ქმნიდა.

საერთოდ, მთელს დასში გამოირჩეოდნენ ქალი მსახიობები. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ვერტრულას როლის შემსრულებელ ბარუნზე. ცალკე უნდა აღენიშნოთ დოროთი ტიუტინი, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ინგლისელი მსახიობი ქალი.

პირველად „მეთორმეტე დამეში“ ვნახეთ იგი და მიუხედავად იმისა, რომ ჩინებულად შესარტლა ვეად გადაცმული ქალის როლი, როცა შემდეგი სპექტაკლების პროგრამები გადავიკითხეთ, სახტად დავრჩი. ნეტუ ეს ქალი თავისი არასასიამოვნო და „არაბოეტური“ ხმით ოფელიასა და ჯულიეტას როლს დასძლევს! „რომეო და ჯულიეტაში“, თუ არ ვცდები, რამდენიმეჯერ მიმართავს რომეო ჯულიეტას — შენი ხმის მუსიკით დამატებო. ან ოფელიას მომზიბლავი სიმღერა როგორ უნდა შესარტლოს! ტანმორჩილია, ვერც იმას იტყვი, ძალიან ლამაზი სახე ჰქონდეს, ხმავე უკვე მოგახსენეთ. მაგრამ ამ მსახიობმა მოსკოველთა საერთო სიმათია დიმსახურა და მაყურებელი მულამ მქუხარე ტაშით ხედებოდა. „პამლეტის“ დასაწყისში თითქოს არ მომეწონა, ალბათ წინასწარვე შექნნილი მთაბეჭდილების გამო. მაგრამ რა მომზიბლავი იყო

იგი შემდეგ, სიცივის მეტად რთულ სიტუაციაში „ჩემი პატარა სხელი დაქანცა ამ დიდმა ქვეყანამო“, ამბობს რომელიც პიესაში შექსპირის ერთი ძალიან ახალგაზრდა გმირი. იქნებ ეს არც გასენება მსახიობს, როცა როლზე მუშაობდა, მაგრამ ისე აქვს გახსნილი სახე, რომ ზემოთ მოყვანილი სიტყვები მართლაც ხედგამოჭრილია. აქაც ჩვენ ვხედვდით უმანყო არსებას, რომელიც უდროოდ მოჰქანცა და გასრისა „ჟამთა სიშფარემ... უარყოფილი სიყვარული მწვევე ტანჯვამ... მოზღვავებულმა უბედურებამ...“ ვისმენდით ოფელიას სიტყვებს და ერთის წუთითაც არ გვიგრძენია ხმის „არაბოეტრობა“, პირიქით მისი სიტყვები იყო მართლაც გულში ჩამეჭრდები. სხვა გამოთქმით ვერ გამოხატავ იმას, რაც ჩვენ ამ მსახიობის თამაშმა განგვაცდევინა. და ამას ყველაფერს, ჩემის აზრით, იგი აღწევდა საოცარის გულწრფელობით. იგი გმირის ცხოვრებით ცხოვრობდა და დამაჯერებელს გულწრფელობით განიცდიდა მის სიხარულსა თუ მწუხარებას. არც ერთ სპექტაკლში ერთი ყალბი ნოტი არ შეგინიშნავს მისთვის. სწორედ ამ გულწრფელობამ და მომზიბლავმა ბუნებრიობამ გადაგვაიწყვა მის ხმის „არაბოეტრობა“.

„მართლაც ძალიან კარგია, — დამეთანხმა აკაცი ვსაძე, როცა სპექტაკლის შემდეგ ჩემი მოსაზრება გავუზიარე, — მაგრამ შენ უნდა გენახა ჩვენი ვერიკო! — „სჯობდა?“ — „განუმეორებელი იყო“, — პირდაპირ არ მიბასხვა ვსაძემ. მე გადახედე იქვე მოსკოველი მსახიობების ჯგუფში მდგარი ჩვენს სახელოვან მსახიობ ქალს, რომელსაც თვალეში ცრემლები უტიმიციებდა. ეს იყო სიხარული, დიდი ხელოვანის გულწრფელი სიხარული, როდესაც მას სხვა ხელოვანის წარმატებაე უხარია... და იყო კიდევ ამ ცრემლებში რაღაც უფრო ღრმა, ისეთი რამ, რასაც წარსული დღეების გახსენება აღძრავს ხოლმე — ეს იყო ქართული თეატრის აღორძინების პირველი წლები, ცეცხლოვანი კოტე მარჯანიშვილი და მის გარშემო შემოკრებილი ბრწყინვალე ახალგაზრდების ჯგუფი — უშანგი ჩხეიძე, შალვა დამაშვიძე, აკაცი ხორავა, აკაცი ვსაძე... რომელთაც ერობაზადვე დაიპყრეს მაღალი თეატრალური მწვერვალები და შორს გასტყორცნეს ქართული საბუთო თეატრის სახელი.

ამ მსახიობის თამაშით ისევე აღფრთოვანებული იყო ვერიკო ანჯადარაძე „რომეო და ჯულიეტას“ ნახვის შემდეგაც. „უყვარს, ხალხნო, უყვარს!“.. ასე ტუნწადა შეაფასა მან. მაგრამ ეს „ქმწეა“ შეფასება ფაქტურად ძალიან მაღალია. „რომეო და ჯულიეტა“ ერთ-



ერთი ძნელად განსახორციელებელი ტრაგედიაა სწორედ ამ დიდი, ერთბაშად მოვარდნილი სიყვარულის გამო. აქ სიყვარული თვით მტრობას ანგრევს, საუკუნოებრივ მტრობას, ფოლადურ სიბნელესა და წყვილიას ამარცხებს. ამ ტრაგედიაში ორი პერიოდი. და სწორედ ერთი „პერიოდიდან“ მეორეზე გადასვლა უჭირთ მსახიობებს, პირველად რომეო — მოდას აყოლილი და მხიარულ ახალგაზრდებს ში გათქვეფილი ბიჭი — თავის სიყვარულზეა შეყვარებული. მას წარმოუდგენია, თითქოს ვიღაც როზალინა უყვარდეს. მაგრამ ეს ყალბი სიყვარულია, ორსინოს მოჩვენებითი სიყვარული. ფაქტიურად მას უნდა, რომ ვიღაც უყვარდეს. ნამდვილი სიყვარული ჯერ არ განუცდია. დადის ეს ყმაწვილი კაცი, ღამეებს ათენებს (რადგან იცის, რომ შეყვარებულებს ძილი ვეტეხილი აქვთ), კითხულობს, ოხრავს და ვიწვიშებს... ძიძისა და მშობლებისაგან განვიხივებული ჯულიეტა ჯერ არ არის ასე მოდურად შეყვარებული, მაგრამ სიყვარულის „თეორიას“, ეტყობა, უკვე კარგად იცნობს და გამოცდილი ქალევით უზახუბებს დედას; — რომელიც პარისს შესთავაზებს ქმრად, — „უნახავ, თუკი ნახვით შეიძლება კაცის შეყვარება, მეც შევიყვარებ“. და ალბათ საცქიროდ ექველურებოდა კიდევ პარისს (ეს შექსპირს არა აქვს მითითებული) იმ საბედისწერო მეჯლისზე, სადაც პირველად შეხვდა იგი რომეოს. და აქედან იწყება სწორედ ის დიდი სიყვარული, ყოვლისშემძლე სიყვარული, რომელიც საუკუნოებრივ მტრობას ანგრევს და საბოლოოდ იმარჯვებს. პრესაში გამოითქვა აზრი (ა. ანიქსტი, გ. გაჩეჩილაძე), რომ მთავარი გვირგვინი — რომეოცა და ჯულიეტაც — ბოლომდე უმწიფონი რჩებიან და წინააღმდეგობის გააუქვლად, როგორც ზვარაკები, ეწირებიან გვარტომულ შუღლსო. ასეთი შთაბეჭდილება მართლაც რჩება, და ეს, მე მგონია, არა იმიტომ, თითქოს რეჟისორს ასე ჰქონდეს გამიზნული, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ჯულიეტას შესაფერი პარტნიორი არა ჰყავდა. მომხიბლავი გარეგნობის ჯონსონმა, რომელმაც კარგად შეასრულა ენდრიუ ეივზიკის როლი აქ ვერ მოახერხა პირველი პერიოდიდან (რაც მე ზემოთ პირობით ვახსენე) მეორეზე — ყალბი სიყვარულიდან ნამდვილ სიყვარულზე გადასვლა. იგი ბოლომდე პირველი მოქმედების რომეოდ დარჩა, თავის „სიყვარულში შეყვარებულ“ რომეოდ. მის რომეოს ძალიან აყვდა ის გულწრფელობა და უშუალოება, რაც ასე მომხიბლავსა ხდიდა ჯულიეტას. ჯულიეტა პირიქით — პირველი მოქმედების შემდეგ ერთბაშად იცვლება და ნამდვილი შეყვარებული ქალის მგზნებარე-

ბითა და თავგანწირულებით ებრძვის გულწრფეობას, რაც სიყვარულის გზაზე გადამლობება — მშობლების ნებას, საუკუნოებრივ გვარტომულ შუღლს, ცრურწმენას, შოშ. ეს არის გმირი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არაფერი აშინებს, არაფერს ებუება. ჯონსონის სწომეო, რომეორებ, ოდნავაც ვერ იყო ასეთი, და ამან დიდად შეუშალა ხელი პიესის (და სპექტაკლისაც) ნამდვილი იდეის ხორცშესხმას. გარეგნულ მონაცემებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ორი მსახიობის მაგალითით ერთელ კიდევ დავრწმუნდი, რომ სცენაზე მთავარი მაინც შინაგანი სიმართლე და გულწრფელობაა. ჩვენმა სესილია თაყაიშვილმა ისეთი კოლორიტული, ნამდვილად შექსპირისეული და დასამახსოვრებელი სახე შექმნა გამდლისა, რომ ვისაც ის უნახავს, ძნელია ამ როლის სხვაგანაირი შესრულება წარმოიდგინოს. მაგრამ ინგლისურ თეატრშიაც ჩინებული გამდელი იყო (მედელი), თუ თაყაიშვილის გამდელი მეტი იუმორი ახასიათებდა, სამაგიეროდ ინგლისელი მსახიობი უფრო მეტად ხალხური იყო და მისი იუმორიც უმთავრესად ხალხური საწყისებიდან გამოიძინარებოდა. შესანიშნავი იყო ტიბალტი (რონ პედრიკი), რომელიც მოძრაობითაც კატას ემსგავსებოდა (სახელი ტიბალტი კატისგან არის ნაწარმოები). ეს მსახიობი „ჰამლეტში“ ჰორაციოს ასრულებდა (თუმცა ნაულებს წარმატებით), და ეტყობა კარგი გარდასახვის ნიჭი ჰქონია. ტიბალტი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალური სპექტაკლში. თუმცა ჩვენ არანაკლებ კარგი ტიბალტი გვახსოვს ჩვენს სცენაზედაც. იაკობ ტრიპოლსკი მშვენივრად ასრულებდა ამ როლს. და როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ხუმრობით ვუთხარით — ეს ხომ კარგია, მაგრამ შენს ტიბალტთან სად მოვაო, ნასიაოვნებს, გაეღიმა და გულწრფელი აღფრთოვანებით გაიზიარა ჩვენი აზრი — ნამდვილად კარგი ტიბალტიაო; მაგრამ მისი ტიბალტის შეფასებაც არ უარუყვია, ეტყობა ეს მოსაზრებაც გაიზიარა. მოსაწონი იყო კაპულეტცი (მარკ დღევიმი). ეს მსახიობი სამივე სპექტაკლში გამოდიოდა („მეთორმეტე ღამეში“ — მალვოლიო, „ჰამლეტში“ — კლავდიუსი). ყველაზე კარგად კაპულეტცი გამოუვიდა, ყველაზე სუსტი კი, ჩემის აზრით, კლავდიუსი იყო. მის თამაშს აყვდა მღელვარება და ემოცია, კარგად გვაჩვენა კლავდიუსის ერთი მხარე — მისი უზურპატორული ბუნება, უტიფრობა, მაგრამ ვერ მოახერხა ეჩვენებინა სულმდაბლური შოში, ძრწოლვა და სინდისის ქეწჯნის ის მცირე ელემენტები, რაც ზოგჯერ ამგვარ უსინდისო და უტიფარი ადამიანშია გაილიქებს ხოლმე.

შექსპირი ადამიანს მთელი თავისი რთული ხასიათით ხატავს. იშვიათად გვაძლევს მარტო ბოროტს ან მარტო კეთილს. სისხლიან ჩინარსაც კი რაღაც აქვს მომიზნებული, მიუჩინავად მთელი თავისი საშინელი ბოროტებისა) შედარებით სუსტად ჩაატარა მსახიობმა ე.წ. „თავის მახის“ სცენა, ფინალი და განსაკუთრებით ცნობილი მონოლოგი — ლოცვა. მე არ მოგსწრებია არც ვასაძის კლავდიუსს, მაგრამ რამდენჯერმე მომისმენია მის მიერ წარმოთქმული ცალკეული მონოლოგები. და საკონცერტო შესრულებითაც კი მისი „ლოცვა“ გაცილებით უფრო ემოციური და ეფექტური იყო, ვიდრე მთელს ანსამბლში, სპექტაკლში მოსმენილი დიგნემის მონოლოგი. პირველი მოქმედებიდან ბოლომდე იგი ერთფეროვანი იყო.

პოლონიუსზე ზემოთაც გვექონდა ლაპარაკი. ამ როლის შემსრულებელი სირილ ლაკემიცი სამივე სპექტაკლში მონაწილეობდა და, უნდა ითქვას, სამივე სპექტაკლში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი ხუმარა „მეთორმეტე დამეში“, სადაც მან დაარღვია ამ როლის ტრადიციული გაგება და გვიჩვენა არა „პროვინციისა“ ხუმარა, თავისი ვადაქარბებული ჰანჰუაგრებითა და ოინბაზობით, არამედ ნამდვილი გლეხი, რომელიც ბრძენის თვალებით უყურებს ცხოვრებას. საინტერესოა, რომ სპექტაკლის დასაწყისშივე მოიშვლია მან ხუმარის ჩაჩი და მერე სულ თავშიშველი იყო. ამ მსახიობს ორი ნაკლი აქვს. ამათგან ერთი იქნებ ნაკლად არც ჩათვალოს კაცმა — ეს არის უბრალოებისა და გულწრფელი შესრულების ხაზგასმა; ესე იგი, ჩანდა, რომ იგი უბრალოდ და ბუნებრივად თამაშობდა. მეორე უფრო დიდი ცოდვა ის არის, რომ ე. წ. გარდასახვის უნარი არა აქვს (ყოველ შემთხვევაში, ამ სპექტაკლების მიხედვით).

რაღა თქმა უნდა, საინტერესო იყო ჰამლეტის როლი. ალბათ იშვიათად თუ მოიქმნებოდა ასეთი მსახიობი, რომელიც, თავისი სასცენო მოღვაწეობის დასაწყისში მაინც, ამ როლის შესრულებაზე არ ეოცნებოს. ბევრს, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის შვილს, უთამაშონა ჰამლეტი და ყველა დიდ მსახიობს თავისებური ინტერპრეტაცია ჰქონია. თეატრ ტექსტი აძლევს მსახიობს ათასგვარ ნიუანსს, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნას მან ეს დიდებული სახე. ცნობილი მსახიობის მივიღო რედგრაივის ჰამლეტი უფრო რეალისტურია, იგი უფრო ახლოს არის მიწასთან, არ არის ისეთი „ფილოსოფიური მეღანქოლით“ გულდამიმბეჭდილი, როგორც წარმოდგენია იგი მსოფლიოში განთქმულ მრავალ მსახიობს, და

მათ შორის შექსპირის როლების შემსრულებელი ბელ თანამედროვე ინგლისელ მსახიობ ლორენს ოლივეს, რომლის ჰამლეტი ჩვენ კინოში გვიჩინაბავს. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თუ რამელა უფრო სწორი. ისიც სწორია და ისიც. ან, უფრო მარჯვედ რომ ვთქვათ — ასეც შეიძლება და ისეც. აქ მთავარი ისაა — როგორ ახორციელებს მსახიობი ჩანადიჭრს. ამ შემთხვევაში რედგრაივი, ეტყობა, ოველიას სიტყვებიდან გამოდის: The courtier's, soldier's scholar's, eye, tongue, sword.

ასეთი იყო ჰამლეტი. „სასახლის თვალი, ბრძენის ენა და ჯარისკაცის ხმალი... მოდების სარკი“. გულშიბართული, ვეჟაციაობით სრულ, ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც „ცხოვრების ფილოსოფია“ აქამდე მხოლოდ წიგნებით, „თეორიულად“ იცოდა, და ახლა იგემა პირველად მთელი მისი სიმწარე. ეს არის კეთილშობილი ადამიანი ყველა მისი თვისებით, მოსიყვარულე შვილი, რომელსაც მამის აჩრდილს რომ უხსენებენ, ერთბაშად შეეცლება სახე და სიყვარულით, ზემდები მღელვარებისაგან გატეხილი ხმით ჰკითხავს — ისეც ისეთი სახე ჰქონდა, ჰადარაც ისევე აჩნდა წვერში? ბელისკი შენიშნავს, თუ როგორ გაჰქიანურებული და არაბუნებრივად გრძელია ჰამლეტის მონოლოგი აჩრდილთან სცენაში. ამ მონოლოგს ჩვეულებრივ კვეცავენ ხოლმე, აქ კი, როგორც მემორიალურ თეატრში, ხელუხლებლად არის დატოვებული, მაგრამ ისეთი მღელვარებითა და სითბოთი წარმოთქვამს მას რედგრაივი, რომ მაყურებელი ვეღარ გრძობს მონოლოგის არალოგიკურ გაჰქიანურებას. იგი ჩაიჩოქებს, ტირის და ვაჟაკის ტირილით წარმოთქვამს ამ სიტყვებს. მსახიობი ბუნებრივად და დამაჯერებლად აჩვენებს ჰამლეტის მერყეუ ბუნებას — პირველ აღზნებას აჩრდილის გამოსვლის შემდეგ, მერე ყოყმანს...

ველავ მტკიცე გადაწყვეტილება... ისეც სიყვითე... რედგრაივის მომიზნავი გარეგნობა აქვს, ხმა — სასიამოვნო ტემბრისა, მაგრამ არა ისეთი ძლიერი, როგორც ჩვენს აქაც ხორავას. მისი მტკიცელება ოდნავ სტილიზებული და ამალღებელია, მაგრამ ეს „ამალღება“, მსახიობის შინაგანი გულწრფელობისა და ბუნებრიობის წყალობით, არსად ყალბი არ გავიძობს. ყოველი დრამა მტკიცეელი და საოცრად მუსიკალური. იქ მე ვგულისხმობ არა საერთოდ ტბილელერადობას (თუმცა, როგორც აღნიშნე, არც ეს აკლია), არამედ შინაგანი დრამატიზმის გამომსახველ მუსიკალობას, ინტონაციის, ტექსტის, შინაარსობლივ მუსიკალობას, რაც ენის უკონტინიარ მაყურებელსაც კი მშვენივრად ასმენინებს მთელს ტექსტს და ასე თუ ისე აგებინებს ავტორისეულ ნიუანსებს. განსაკუთრ-



რებით ძლიერი იყო მსახიობი ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ აჩრდილის სცენაში, ასევე კარგი იყო მისი დიალოგი ოფელისთან, რომელსაც წინ ცნობილი მონოლოგი „ყოფნა არ ყოფნა“ უძღვის, ბრწყინვალე ტექნიკა გამოამქვანა „თაგვის მახვი“.

„ყოფნა-არ ყოფნის“ მონოლოგის მოსმენისას ყოველთვის მეჩოთბრებოდა ხოლმე, როცა მსახიობს ხანჯალს დავენახავდი ხელში. ამით თითქოს წვრილმანდებდა ის დიდი ფილოსოფიაცა და ჰამლეტის სულის განუზომელი მცელვარებაც, რასაც ჩვენ ტექსტში ვკითხულობთ. სახტად დავრჩი როდესაც ლორენს ოლივიეს დაუენახე ხანჯალი კინოფილმში. აქ იგი მდინარის პირად, შემადლებულ ბორცვზე ზის, ღრმად დასვედიანებული და ჩაფქრებული დაპყურებს ხანჯალს და მიძიდ წარმოთქვამს შესანიშნავ მონოლოგს. მერე თითქოს გააღვიწყდა ამ ხანჯლის არსებობა, შეუმჩნეველად გაუვარდება ხელიდან და ხანჯალი ფერდობზე ჩაეცურდება, ბალახში... რედგრიესაც ხანჯალი ეპირა ხელში, სცენაზე რომ გამოვიდა. განსაკუთრებით ვაკვირდებოდი ამას, თორემ იქნებ ვერც შევნიშნა, რადგან ხანჯალი მას ზურგს უკან ეყარა. დაიწყა მონოლოგი — „ყოფნა-არ ყოფნა... საკითხავი აი ეს არის“... მერე ნელ-ნელა წინ გამოსწია ეს ხანჯლიანი ხელი, ნადლიანად და თითქოს ირონიულადც დახედა ხანჯალს (არა იმ განზრახვით, თითქოს ახლა ორჭოფობდეს — თავი მოვიკლა თუ არაო; ეს უფრო პატარა საქმეა იმასთან შედარებით, რასაც ის ეფიქრობს და ლაპარაკობს), იმავე სევდანარევი ირონიით ყელზე მიიბჯინა ხანჯლის წვერი მსუბუქად, აგდებულადაც კი... რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და ისევ ნელ-ნელა დაუშვა ხელი.


ერთი სიტყვით, მანაც კარგად მოახერხა არ დაეკინებოდა მონოლოგის ღრმა აზრი, მაგრამ მაინც საკითხავია — არის კი საერთოდ საქირი ასე „შეიარაღებული“ გამოსვლა ამ სურათში? სხვა მსახიობებზე აღარაფერს ვიტყვით.

როგორც ყველა თეატრში, აქცე ზოგიერთი მსახიობი განსაკუთრებით გამოირჩეოდა, ზოგი შედარებით ნაკლებს წარმატებით გამოდიოდა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ თეატრის ყველა მსახიობისათვის დამახასიათებელი ერთი შესანიშნავი თვისება: დაუძაბავად, უბრალოდ ასრულებენ როლს, თავს ძალს არავენ ატანს და ვერც ერთ მთავანზე ვერ იტყვიან — ეს ვაშაწარბით ცდილობს და განსაკუთრებულს თავგამოდებით თამაშობს. მხატვრობაზე უკვე აღვნიშნეთ. სოლომონ ვირსალაძის ბრწყინვალე ნამუშევრის (ბალეტი „ოტელო“) ანდა იოსებ სუმბათაშვილის ასევე შესანიშნავ „რიჩარდ III“-ის შემდეგ, რა თქმა უნდა, ანელოია მოიხიბლო შექსპირული სპექტაკლების მხატვრობით, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან საინტერესო იყო სავასტროლო სპექტაკლების, განსაკუთრებით „რომეო და ჯულიეტის“ და „მეთორმეტე ღამის“ დეკორაციები და კოსტუმები. ამათაც ახასიათებდა ის მრავალმეტყველი სისადავე, რაც ასე უხდება შექსპირისეულ სპექტაკლებს.

არ შემიძლია ვაკვირებოთ არ აღვნიშნო ერთი დეტალი. ეს თეატრი მეგობრიულია, შექსპირის სახელს ატარებს, ამდენად, იგულისხმება, დაინტერესებული უნდა იყოს ყველაფრით, რაც შექსპირის შეეხება — მისი პიესების თარგმანებითაც და სხვადასხვა ქვეყნების სცენაზე დადგმებითაც. მაგრამ როგორც გამოირკვა, მათ არაფერი იცოდნენ არც იმ მდიდარი ტრადიციებისა, რაც შექსპირის პიესებსა აქვთ ქართულ სცენაზე და არც იმ დიდი წარმატებებისა, რომლითაც ახლა სარგებლობს შექსპირი ქართულ საბჭოთა თეატრში. სახელიც კი არ გავგონებ მაჩაბლისა, რომლის შექსპირისეული თარგმანები, მათივე თანამემამულის შეფასებით, ყველა ევროპულ თარგმანზე მაღლა დგას.

დასასრულ, გარდა იმისა, რომ ასეთი კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო უწყობს ხელს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას, ჩვენთვის, საბჭოთა მაყურებლისათვის, რომელსაც შექსპირის პიესების არა ერთი დიდებული განსახიობება უნახავს საბჭოთა სცენაზე, ისედაც იყო საინტერესო შექსპირის მეგობრიული თეატრის ნახვა, რომელიც, ბევრი მოდერნისტული ბურჟუაზიული თეატრისაგან განსხვავებით, ცდილობს ნამდვილად შექსპირისეულად და რეალისტურად განსახიობოს დიდი რეალისტი მწერლის პიესები.





ახალი კარგელები

„გავი“ და გენიერი ღლები

თურმე ალბერტ აინშტაინს სახეზე ფერი არ ეღო, აღუვებული ხან იჯდა და ფიქრობდა, ხან ადგებოდა, ოთახში გაივლიდა და ისევ დაჯდებოდა.

ამ ტრაგიკული აღსაესე ღლებს არავის გაუკვირდებოდა დიდი ფიზიკოსის ასეთი მდგომარეობა. ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინათ მან თქვა: „თუ ჩვენი ფანტაზია იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია შეიცნოს ამ ტექნიკის ყველა სასარგებლო ნაყოფი, იგი სრულებით უმწეოა წარმოიდგინოს ბოროტება, რაც მას შეუძლია მოიტანოს“.

გამართლდა ალბერტ აინშტაინის შიში. იპოვნის კონსტრუქციები დატრიალდა საშინელი ტრაგედია. ერთ წუთში პირისაგან მიწისა აღიგავა მთელი ქალაქი.

ხიროსიმა...

ვინ იცის, იქნებ ალბერტ აინშტაინს აგონდებოდა ის ღლევ, როცა მან დააუხსტა ერთი მნიშვნელოვანი კანონი; იგი ამტკიცებდა, რომ ნივთიერებათა სიღრმეში ენერჯის უჩვეულო „საწყობები“ არსებობს — ნივთიერების ენერჯის სრული სიდიდე ტოლია ნივთიერების მასისა გამარჯვებული სინათლის სიჩქარის კვადრატზე.

მართლაც ყოფილა ნივთიერებებში ასეთი ენერჯია, საუბედუროდ!

ვინ იცის, მას თვალწინ წარმოუდგა აგრეთვე 1939 წლის 2 აგვისტოს გაგზავნილი წერილი პრეზიდენტ რუზველტისადმი. წერილში იგი აცნობებდა პრეზიდენტს ენერჯის ახალ წყაროზე და მომავალი ატომური ბომბის დამანერვევლ ქალაქზე, და ურჩევდა მხარი დაეჭირა ატომის ბირთვის გამოშვებისათვის.

არავინ იცის ზუსტად.

ერთი რამ ცნობილია: ის ღლე „შავი ღლე“ იყო ალბერტ აინშტაინის ცხოვრებაში.

მაგრამ განა შეიძლება დიდი ფიზიკოსის

მწარე განცდები შეედაროს იმ სინამდვილეს, რაც ამერიკული თვითმფრინავიდან გადმოგდებულმა ორმა ბომბმა აღამიანებს არგუნა წილად?

...ატომისა ჯერ არავის სჯეროდა, ეგონათ, განუყოფელი იყო ამიტომაც დაარქვეს „ატომი“, რაც ბერძნულად „დაუნაწილებლად“ ნიშნავს.

პირველად ატომის მთლიანობაში ეჭვი შეიტანა რუსმა მეცნიერმა ჩინერინმა. ატომები განუყოფელია ჩვენი ცდების პირობებში, — ამბობდა ის, — მაგრამ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი ნამდვილად არ იშლება. ჩინერინმა გამოთქვა აზრი, რომ ყოველი ატომი მსგავსი იყო მზის სისტემისა, ჰქონდა ცენტრალური მასა, რომლის გარშემო პაწაწინა სხეულები ბრუნავდა.

1896 წელს, ათი წლის შემდეგ, რაც რუსმა მეცნიერმა ასეთი აზრი გამოთქვა, ერთი საინტერესო ამბავი მოხდა.

ფრანგი ფიზიკოსი ბეკერელი გატაცებით მუშაობდა თვითმანათლებელი ნივთიერებების შესწავლაზე. არსებობს ასეთი უჩვეულო ნივთიერებები — საკმარისია ცოტახნით დაიჭიროთ მზეზე, რომ მერე თვით იწყებს სიბნელეში ნათებას. ბეკერელს აინტერესებდა, ხომ არ გაივლიდა ასეთი ნივთიერებების სხივები შავ ქალღღმში, რომელშიც ჩვეულებრივი სხივები ვერ ატანს, და ხომ არ შექმნიდა ეს სხივები თავიანთ ანაბეჭდებს ფოტოფირფიტაზე.

ფიზიკოსი ყოველ ღლე ეზოში გამოდიოდა, მზეზე იჭერდა ასეთი ნივთიერების ნაქერს, მერე ლაბორატორიაში ბრუნდებოდა და შავ ქალღღმში გახვეულ ფოტოფირფიტას ზევიდან ადებდა ნაქერს.

ზოგიერთი ნივთიერება არავითარ ანაბეჭდს არ ტოვებდა ფოტოფირფიტაზე, ზოგიერთი კი ურანის შემცველი, რაღაც სუსტ ანაბეჭდს



ტოვებდა. რასაკვირველია, ასეთი ცდებიდან ძნელი იყო სერიოზული დასკვნების გამოტანა, ამიტომ მეცნიერი დაქინებით განაგრძობდა ძიებას.

ერთ დღის ბეკერელი ფანჯარასთან მივიდა. პარიზის ცა ღრუბლებს დაეფარა და მეცნიერმა ხელი ჩაიქინა — ცდებს ვეღარ განაგრძობდა. რამდენჯერმე შეატრიალა ხელში ახალი ნივთიერების ნაჭერი. დახედა. სწორედ ეს ნაჭერი უნდა გაეტანა ეზოში. კარადსთან მივიდა, კარი გამოაღო და შვე ქალადში გახვეულ ფოტოფირფიტას ზეივედ დააჭო.

რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ფოტოფირფიტებთან ერთად, სხვათაშორის, ეს ფოტოფირფიტაც გამოამქლავნა და განცვიფრდა. ფირფიტაზე გარკვევით შოიანდა ნაჭრის ანაბეჭდი, მისი ფორმა. მამ საჭირო არ ყოფილა ამ ნივთიერების მზუზე გატანა. მამ ასეთი ნივთიერების არამანათებელი ნაჭერიც კი გამოყოფს სხივებს! — მოუსვენრად აწრიალდა ბეკერელი ლაბორატორიაში. ახლა მას აღარ სჭირდებოდა მზე, პატარა ნაჭერი უხილავ სხივებს თვით ასხივებდა.

პოლონელმა ფიზიკოსმა მარია სკვადოვსკაიამ და მისმა ქმარმა, ფრანგმა ფიზიკოსმა პიერ კიურემ განაგრძეს ბეკერელის ცდები და აღმოაჩინეს, რომ სხვა ნივთიერებებსაც ჰქონდათ გამოსხივების უნარი. ერთი მათგანი მათში გამოირჩეოდა და მას „რადიუმი“ უწოდეს, ნივთიერების თვისებას კი — უხილავი სხივების გამოსხივების უნარს — „რადიაქტიობა“ შეარქვეს.

სახელგანთქმულმა ფრანგმა მეცნიერმა, კომუნისტმა პოლ ლანკევენმა შემდეგში ამ აღმოჩენის შესახებ თქვა: „რადიაქტიობის აღმოჩენა თავისი მნიშვნელობით ცივილიზაციის ისტორიაში შესაძლებელია დავაყენოთ ცეცხლის აღმოჩენის გვერდით“.

ურანი და რადიუმი გამოყოფენ რაღაც ნაწილაკებს? საიდან მოდის ეს ნაწილაკები? მამ ატომები იყოფა, იშლება და მათში ენერჯია არის დაგროვილიო — ფიქრობდნენ მეცნიერები.

ატომის სიღრმეობების გამორკვევაში სულ ახალ-ახალი აღმჩენები ებმებოდნენ.

სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები.

ჯერ კიდევ 6 წლით ადრე 1939 წლამდე, ვიდრე ნიუ-მექსიკოს შტატის ერთ ძველ ფერმაში დაიწყებდნენ პირველი საცდელი ატომური ბომბის დამზადებას, არათუპირებულ პარიზში ოთხმა მეცნიერმა ჟოლიო-კიურის ზელმძღვანელობით პატენტით აიღო ატომური ბატარეაზე. მერე პიტლერმა მობილიზაცია გაუკეთა 200 გამოჩენილ მეცნიერს, რომლებსაც უნდა დაესრულებინათ ურანის დაშლის ცდე-

ბი, რაც გერმანელმა ჰანსმა დაიწყო. ატომური ბომბზე ოცნებობდა.


ამავე დროს იტალიიდან, გერმანიიდან, უნგრეთიდან და დანიიდან ემიგრირებული ფიზიკოსები ხელს უწყობდნენ ამერიკის სამხედრო წრეებს დაესწროთ პიტლერისათვის ბომბის დამზადება. რასაკვირველია, ისინი ამას აკეთებდნენ ფაშისტის სიძულელიის გამო და არ ფიქრობდნენ, თუ ამ საშინელი იარაღით შემდეგში თვით ამერიკელი მმართველი წრეები დემუქრებოდნენ მსოფლიო კულტურას, კაცობრიობას.

გერმანიამ ვერ მოასწრო ბომბის დამზადება. ომის დასრულებისას გამოირკვა, რომ გერმანელი მმართველები ჯერ კიდევ შორს იყვნენ ამ საკითხის გადაწყვეტილსაგან.

1945 წლის 16 ივლისს სულგანახული ამერიკელი ინჟინრები და სამხედრო პირები ნიუ-მექსიკოს შტატში ატომური ბომბის პირველი აფეთქების მოწმენი გახდნენ. ყველა იქ მყოფი დარწმუნებულ იყო, რომ ამ ტექსტიკონტით დაიწყო კაცობრიობის ოქროს ხანა. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ორმა ატომურმა ბომბმა მსოფლიო შეაზანზარა: თითქმის მთლიანად მოისპო იაპონიის ორი აყვავებული ქალაქი — ხიროსიმა და ნაგასაკი. 130.000 ადამიანი დაიღუპა. საჭირო კი იყო ბომბების გამოყენება? გერმანია წელგატეხილი იყო, იაპონია კი კაბიტულაციის წინაშე იდგა. ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელები ბომბით ტრაზახობდნენ და იმუქრებოდნენ.

ამ პირობებში საბჭოთა მეცნიერები იძულებული გახდნენ შეექმნათ ატომური ბომბი და მოეპოოთ ამ დარგში ამერიკის მონოპოლია. შემდეგ კი, ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური ააგო.

ატომური იარაღის ჩხარუნი ზოგჯერ აქა-იქ კიდევ გვისმის. მაგრამ კაცობრიობამ იცის, რას მოუტანს ატომური ომი ხალხებს. ახლაც ისეთი ტიპის ბომბები, რომლებიც ხირსისპაზე ჩამოაგდეს, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პატიკური იარაღი და მოქმედი არმიების შეუარაღებაში შევიდეს, ასეთი ბომბებით კი შეიძლება მთლიანად მოისპოს ისეთი ქალაქები, როგორც არის ლიონი ან ნეაპოლი, ათენი ან კოპენჰაგენი, ატომური ბომბების რიცხვი ამჟამად ერთეულებით კი არა, ათი ათასობით განისაზღვრება. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ამას წინათ ფილამ ნოელ ბეიკელი, ინგლისის ყოფილი მინისტრი, წერდა: „ატომურ ომს რამდენიმე საათში შეუძლია ჩვენი პლანეტიდან გააქროს ადამიანური რასა“. აი, რატომ იბრძვიან მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ამისათვის, რომ აიკრძა-



ლოს ატომური იარაღის გამოცდა, მერე მისი დამზადება და ბოლოს — მარაგი.

მართო ატომური ბომბებს შექმნის გზას არ დადენენ ამერიკის სამხედრო შტრეები. მათ ატომური ენერგია სამხედრო წყალქვეშა ნავებზე გამოიყენეს. ამერიკის წყალქვეშა ნავი „ნუტრელსი“ ორნაბევარი წელია, რაც მწყობრში ჩადგა და 60.000 მლი დაფარა; აქედან 35.000 მლი — წყალქვეშ. „ნუტრელსის“ სიგრძე 91,5 მეტრია, სიგანე — 8,5 მეტრი, ტურბინების სიმძლავრე — 15.000 ცხენის ძალა. ასეთი სიმძლავრე საემარისია იმისათვის, რათა ელექტროენერგით მოამარაგოს 20 — 25 ათას კაციანი სამრეწველო ცენტრი. ამერიკელებმა წყალქვეშა ნავს „ნუტრელსი“ დაარქვეს ალბათ იმიტომ, რომ ის ყოფილ ვერნის ფანტასტიკური წყალქვეშა ნავისათვის დაეპირისპირებინათ, თუმცა ნამდვილი „ნუტრელსი“ ჯერ კიდევ ბევრით ჩამორჩება ყოფილ ვერნის წყალქვეშა ნავს. ზოლო თუკი გამოყენების მიზანზე ვილაპარაკებთ, მათ შორის სრული განსხვავებაა.

ამას წინათ ერთმა უცხოელმა მხატვარმა დამალურებული ნახატი შექმნა. აღნიშნა ორი გზის გასაყარზე დგას; ერთი გზა მიდის მდლა აღმართული საკვამლეებისაკენ. ეს ბედნიერების გზაა. მეორე გზა მიემართება იქითკენ, საითაც მოჩანს ცაზე ატყორცნილი ატომური აფეთქება. ამით მხატვარს უნდოდა ეთქვა, რომ კაცობრიობა ამ ორი გზის გასაყარზე დგას და სულ ცოტა რამ არის საჭირო რომელიმე გზის ასარჩევად. მართლაც, დღეს ნამდვილად არსებობს ორი ასეთი გზა.

ერთი გზა დაფარულია ატომური ქვეშევრდებით, ბომბებით, მასზე ატომური წყალქვეშა ნავები მოჩანს. მეორეზეა ატომური ყინულმჭრელი, ატომური ელექტროსადგურები, ლაბორატორიები ატომის მშვიდობიანი გამოყენებისათვის.

მეორე გზა საბჭოთა მეცნიერების გზაა. ატომის მშვიდობიანი გამოყენებისათვის ქართველი სპეციალისტებიც იბრძვიან.

უფრო მნიშვნელოვანი რომ გახდეს მათი წვლილი ამ სამშვიდობილო საქმეში, სომეხ და აზერბაიჯანელ მეცნიერებთან ერთად უფრო ღრმად რომ ჩასწვდნენ ატომის ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცულ წიაღს, ჩვენს რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამიერკავკასიაში ბირველი ატომური რეაქტორის მშენებლობა.

რეაქტორი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ — „ატომური ქება“, განუთენილია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. იგი დემონსტრება ქართველ მეცნიერებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ ატომის საიდუმლოებას,

დამიორჩილონ მისი ენერგია და სახალხო მეურნეობაში ამ ენერგიის გამოყენების ახალი გზები.

ატომური რეაქტორი საშუალებას მისცემს მეცნიერებს ჩაატარონ მნიშვნელოვანი გამოკვლევები რადიოქიმიის, რადიობიოლოგიისა და თანამედროვე მეცნიერების სხვა მოწინავე დარგების აქტუალურ პრობლემათა გადასაწყვეტად. რეაქტორი ხელს შეუწყობს ჩვენს ბიოლოგებს, ქიმიკოსებს, ბოტანიკოსებს შეისწავლონ პროცესები, რომელთა დანახვა შეუძლებელია ყველაზე უფრო მძლავრი ელექტრონული მიკროსკოპებითაც კი.

რას წარმოადგენს ატომური რეაქტორი და რა ძირითადი პროცესი მიმდინარეობს მასში? — ამ კითხვებზე შემდეგი განმარტება მოგვცემს ფიზიკოსებმა.

რეაქტორის უმთავრესი ნაწილია გარკვეული წესით განლაგებული ურანის ლეროების სისტემა. ეს სისტემა ჩადგმულია წყლით სავსე დიდ აუზში. აუზს გარედან გაყვთებული აქვს ლითონის და მერე ბეტონის სქელი კედელი. ბეტონი მომსახურე პერსონალს იცავს სამშობი რადიოაქტიული გამოსხივებისაგან.

რეაქტორში მიმდინარეობს ევრეთწოდებულ „ჯაპუკური რეაქცია“. მისი არსის გასაგებლად მოვივროთ ზოგი რამ ატომის აღნაგობიდან.

ატომი ნივთიერების ელემენტარული ნაწილაკია. მისი დიამეტრი სანტიმეტრის დაახლოებით ას მემილიონედ ნაწილს შეადგენს. ატომის ცენტრში ბირთვია მოთავსებული, რომლის დიამეტრი ასი ათასჯერ მცირეა ატომის დიამეტრზე. ბირთვი რომ ქინძისთვის ტოლი იყოს, მასზე ატომს ასი მეტრის დიამეტრი ექნებოდა. სხვა სატყვეებით რომ ეთქვათ, ატომის ბირთვი იმდენჯერ უფრო ნაყლებია ქანძისთაგან, რამდენჯერაც ქინძისთავი პატარა მზებზე.

ბუნებასაც არ შეუქმნია ატომის ბირთვზე უფრო მტკიცე რამ. ბირთვს ვერა სძლევს ვერაერთარი ძალა, ისეთიც კი, ფხვნილად რომ აქცევს ყველაზე მტკიცე ნივთიერებას.

თუკი გროვად ყრია მარცვლი, რასაკვირველია, არავითარ სიმძლავრე არ წარმოადგენს ამ გროვადან ერთი მარცვლის გამორჩევა, მაგრამ თუკი რკინის ნაქლიბია დამაგნიტებულნი, უკვე ძნელი ხდება პაწაწინა ნამცეცების ერთმანეთისგან განცალკევება.

ატომის ბირთვიც უმცირესი ნაწილაკების თვისებები გროვად, მაგრამ მათი ერთმანეთისგან დაცილება უკვე შეუძლებელი ხდება. ბირთვის შემადგენელ პროტონებსა და ნეიტრონებს შორის მიზიდულობის ძალა წარმოუდგენლად დიდია. სწორედ ამ ძალის დამორჩი-

ლება მოინდომა აღაზიანა და მიიღწია კიდევც ამას.

როგორ ხდება ეს?

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს ხელთ არის საოცარი ფანტასტიკური მიეროსკოპი, რომელშიც ატომის ბირთვის ნივთიერებებიც მოჩანს. აი, ოკულიარის ქვეშ დადეს ურანის ატომი. მის ბირთვში მრავალი პროტონი და ნეიტრონი მოჩანს, ისინი შეიდატომური ძალებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. უცბად გამოჩნდა „უცხო“ ნეიტრონი. იგი დიდი სისწრაფით მიემართება ატომისკენ. შევიტრა კიდევც მის ბირთვში, ბირთვი შეიშალა, წაგრძელდა. მსხლისმავარი ფორმა მიიღო და, ბოლოს, გაიხლიჩა — ორი ბირთვის ნაწილაკი ერთმანეთისგან განიფიცრცხა. მათი სისწრაფე ისე დიდია, რომ შეუძლიათ დედამიწიდან მოვარემდე მანძილი ნახევარ წუთში დაფარონ. სწორეთ ასეთი სიჩქარის მიღებაზე იხარაჯება ატომური ენერჯია.

მიკროსკოპში ჩანს, რომ მსხვილ ნამსხვრევებთან ერთად გამოიყო ორი-სამი ნეიტრონი, მგზობელ ბირთვებში შევიტრა, გახსნია ისინი, შემდეგ ამ ბირთვებიდან გამოყოფილი ნეიტრონები ეკვვთა სხვა ბირთვებს. და სულ უფრო და უფრო მეტი ატომის ბირთვი იხლიჩება.

ასეთ რეაქციას უწოდებენ „ჯაქვური რეაქციას“ და იგი უმთავრესია რეაქტორში.

საინტერესოა აღინიშნოს: ერთი კილოგრამი ურანი იძლევა იმდენ ენერჯიას, რაც საქმარისია იმისთვის, რომ მატარებელი მოსკოვიდან ვლადივოსტოკში ჩავიდეს და უკან დაბრუნდეს.

„ჯაქვური რეაქცია“ შედეგად რეაქტორში წარმოიშობა ნეიტრონების ნაკადი, რომელიც სპეციალური ზერელით რეაქტორიდან გარეთ გამოდის. ძალზე მგრძობიარე ხელსაწყოებით შეიძლება ამ ნაკადზე დაკვირვება და იმის გაგება, თუ რა ზეგავლენას ახდენს იგი ნივთიერებათა და ცოცხალ ორგანიზმთა სტრუქტურაზე. ასეთი ცდები ჩვენთანაც ჩატარდება.

ატომურ რეაქტორში მიიღება „კვარტლი“, მას დიდი სარგებლობა მოაქვს. ერთ დროს კვარტლი მვენე ნივთიერებად ითვლებოდა და აღმიაწიბო ამას ცდილობდნენ, თუ როგორ მიეცილებინათ იგი თავიდან. მაგრამ ეს ახრი შეიცვალა ჩვენი საუკუნის დამდეგს. აი როგორ მოხდა ეს: ინვლისის დიდი მეტალურგიული ქარხნის მეპატრონესთან რომელიღაც ქიმიური ფირმის წარმომადგენელი მივიდა და წინადადება მისცა მიეყიდა მისთვის კვარტლი. მეტალურგიული ქარხნის მეპატრონე ჯერ განცვივრდა და რამდენჯერმე ეჭვით შეხვდა მოსულს — ხომ არ ვაჭაულებულაო. კვამლი სქელ ფენად ედებოდა ქარხანას, სიცოცხლეს

უწამლავდა მუშებსა და მოსახლეობას. კავშირები ჯარიმებით ახრჩობდნენ ქარხნის მეპატრონეს და ეს...

— თქვენ გინდათ შეისყიდოთ საკვამლე მილებიდან ამოსული კვარტლი?

— დიახ. სწორედ ასეა, მთელი კვარტლი.

— მე შემოძლია ის უსასყიდლოდ დაგიტოვო, მხოლოდ იმ პირობით, რომ კვამლი აღარ გავრცელდება პაერში.

— სიამოვნებით. რამდენი წლით შეგიძლიათ გადმოკეთებოთ, იგი?

— რამდენით? რამდენითაც გნებავთ.

— 99 წელი.

— თანახმა ვარ, — და მეპატრონემ გუნებაში ჩაიციან.

მაღე ხელშეკრულება გაფორმდა. არ გასულა რამდენიმე კვირა, რომ ქიმიურმა ფირმამ დაიწყო საკვამლე მილების ვადაკეთება. მეტალურგიული ქარხნის გვერდით ააგეს მთელი ქიმიური კომბინატი. და ამ კომბინატში კვარტლიდან მიიღეს ძვირფასი ნივთიერებანი.

მაღე გამოირკვა, კვამლიდან მიღებული შემოსავალი იმ შემოსავლის ნახევარს შეადგენდა, რასაც იღებდა მეტალურგიული ქარხნის მეპატრონე თავისი ძირითადი პროდუქციის გამოშვებით!

ქარხნის მეპატრონე თმებს იგლეჯდა თავისი სისულელის გამო. მაგრამ უკვე გვიან იყო.

ახლა მეცნიერებმა კარგად იციან, რომ ატომურ რეაქტორში ბირთვული საწვავის წვის შედეგად მიღებული „კვარტლიც“ უძვირფასესი მასალაა.

თუნდაც სტრონციუმი-90. ამ „კვარტლს“ დიდი პერსპექტივები აქვს ატომური ბატარეის შექმნის საქმეში. აღვიღად წარმოსადგენია, თუ რა სარგებლობას მოიტანს მძლავრი ბატარეა, რომელსაც შეეძლება ათეული წლებით გამოყოფს ენერჯია სხვადასხვა მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად. ეჭვი არ არის, მომავალში უსათუოდ დაამზადებენ ასეთ ატომურ ბატარეებს — აუთმულატორებს. მათზე კი რამდენს ოცნებობდნენ მეცნიერულ-ფანტასტიკურ რომანებში! განა მარტო მწერლები ვინ იცის, რამდენი დამე გაუტეხია აუთმულატორზე ფიქრით თუნდაც „ჯოუტ“ ამერიკელ გამოგონებელს ტომას ალვა ედისონს!

უკვე დამზადებულია საცდელი ნიმუშები ატომური ბატარეებისა, რომლებშიც რეაქტორის „კვარტლს“ — სტრონციუმს მთავარი როლი ეკუთვნის.

„ნიშანდებულ ატომებს“ მრავალხრივ გამოიყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში.

ინჟინრები და მეცნიერები ერთ სიძნელე-საც წააწყდნენ. სად მოხვდა, როგორ მოძრაობს ნივთიერება, რომელსაც თვითონ ვერ ვხედავთ, ხომ არ შეიძლება როგორმე „დავნიშნოთ“ ისინი, რათა შემდეგ ერთმანეთისგან გამოვარჩიოთ?

ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა „ნიშანდებული ატომები“. მართლაც, რადიაქტიული ნივთიერებების ატომები ძალზე დაუდევარია, სადაც უნდა იყვნენ ისინი, ყოველთვის გამოყოფენ ბირთვის ნაწილაკებს — უხილავ სხივებს. მათ კი ადვილად შეიგრძნობს სპეციალური ხელსაწყოები.

თბილისის რომელიმე ქუჩის სიღრმეში გამავალი წყლის ან გაზის მილში სადაც გაჩნდა მცირე, მაგრამ საშიში ბზარი, რომელსაც შემდეგში სერიოზული ავარია შეუძლია გამოიწვიოს. ამ ბზარის მონახვა კი ძნელია, ქუჩას ხომ არ გადათხარი მის მოსაძებნად! და აი, შეიძლება წყალს ან გაზს შეერიოს მომხმარებლისთვის არასაშიში რაოდენობის რადიაქტიული იზოტოპი. შემდეგ ტრასზე გაატარებენ სპეციალურ ხელსაწყოს, რომელიც შეიგრძნობს ბზარის ადგილას მიწაში წყალთან ერთად გასულ რადიაქტიულ ატომებს და ბზარიც აღმოჩენილი იქნება.

...სულ უფრო გარკვევით ისახება ქართული

რეაქტორის სახე. მშენებლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა სამუშაოები კეთლსინდისიერად და დროულად შესრულდეს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ელექტრომოწყობილობის შემონტაჟე ვანო აკოფოვი, შემონტაჟეთა ბრიგადირი ვასილ ნაზაროვი, საამშენებლო უბნის უფროსი ლუარსაბ ავალიშვილი. რეაქტორს თავს დასტრიალებენ და ერთ წუთსაც არ სცილდებიან ახალგაზრდა ფიზიკოსები გურამ ქარუმიძე და ვახტანგ ახალკაცი, მთავარი ენერგეტიკოსი მიხეილ თინიკაშვილი, მთავარი მექანიკოსი გიორგი აბუნიანიძე და სხვები. ზშირად არის აქ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის რეაქტორის განყოფილების უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ გომელაური.

გაივლის მცირე ხანი და ერთ დროს დაუმორჩილებელი ატომები ჩვენს რესპუბლიკაშიც „ქედს მოიხრან“ ადამიანთა ნების წინაშე და თავიანთ სიმდიდრეს, უჩვეულო ენერჯიის საწყობებს ადამიანთა კუთვნილებად აქცევენ.

ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი, იქითკენ გადადგმული, რომ აღარავინ ნახოს დედამიწაზე „შავი დღე“ და მუდამ ბედნიერი დღეები უთენდებოდეთ ადამიანებს.



საღო ზღოი

ფიქრები და ფაქტები

„დავფიროთ დღე ბავშვსწრით...“

1935 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მაშინდელი „ქაღარაის ყოჩები“ — ემანუელ ლასკერი და პოზე რაულ კაბაბლანკა, ისინი ჩამოვიდნენ მისწავლებლების პოზით, როგორც ოდესღაც გიმნაზიაში შედიოდნენ მრისხანე იმსპექტორება. მაგრამ საბჭოთა მოქალაქეებში საოცრად ნიჭიერი მოწაფეები აღმოჩნდნენ და უკვე მაშინ დაიხსნეს ამოცანა: დავეწიოთ და გავუსწროთ დასავლეთს საქადრაყო ზელოვნების დარგში.

ეს ამოცანა საბჭოთა მოქალაქეებმა წარმოუდგენლად მოკლე დროის მანძილზე და დიდი გადაჭარბებითაც შეასრულეს. პირველივე ომისშემდგომ წლებში საბჭოთა მოქალაქეებმა გენერალური შეტევა დაიწყეს და რამდენიმე წლის შემდეგ მთელი მსოფლიო განციფრებული იყო: თითქმის ყველა უმაღლესი ტიტული, რომლებიც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას გააჩნია, საბჭოთა მოქალაქეებმა მოხვეტეს. სადაც უნდა ჩავიდნენ ჩვენი მოქალაქეები, მაათი მოწინააღმდეგენი ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, შვედურ, პოლანდიურ, იტგოსლავურ და სხვა ენებზე ერთადერთ სიტყვას გაიძახიან: „გნებდებით“. საბჭოთა მოქალაქეებმა მოიპოვეს ავტორიტეტი, ტიტულები, ჰეგემონია. მსოფლიოს 53 გროსმაისტერიდან 19 საბჭოთა კავშირის მოქალაქეა. საბჭოთა კავშირი ჭადრაკის მეორე სამშობლოდ იქცა, ბოლო მოსკოვი ახლა ნამდვილ საქადრაყო მექას წარმოადგენს.

და, რა თქმა უნდა, სრულიადი არაა გასაკვირი, რომ ყოველი ჩვენი ჩემპიონატი უდიდეს ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. საქმე მართო ის არ არის, რომ ჩემპიონატებიდან შედეგებს ელიან, რომ ჩვენი ჩემპიონატი გაამდიდრებს საქადრაყო თეორიას, არამედ ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ყოველ

ჩემპიონატი ვლინდება ახალი სახელები, ახალი ტალანტები.

ჭადრაკის „მარსკვლავები“ თბილისში

ამჯერად საბჭოთა კავშირის საქადრაყო ძალთა დათვალეერება მოხდა თბილისში. თბილისი ამ საქმეში ახალბედა არ არის — ჯერ კიდევ 1937 წელს მოეწყო აქ ასეთივე მასშტაბის შეჯიბრება. საქადრაყო ძალთა 1959 წლის დათვალეერება მთელი თავისი ბრწყინვალეებით ჩატარდა. ჩემპიონატი შესანიშნავად იყო ორგანიზებული რუსთაველის სახელობის საუცხოო თეატრში, ამავე სახელობის პროსპექტზე. ასეთი პროსპექტი დაამშვენებდა მსოფლიოს ყოველ ქვეყანას, და მე მინდა კვლავ მოგახდინო დაიბრისპირება სხვა ქვეყნებთან. მრავალ სახელმწიფოში ჭადრაკს უბრალოდ კაფეში თამაშობენ. ვარშემო თამაშაქოს მძიმე დრუბლებია ჩამოწოლილი და მოთამაშეთა ყნოსვას ალკოჰოლის სუნი აღიზიანებს. მაყურებლები სულ ახლოს სხედან მოქალაქეებთან.

აი ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც შარშან მთუნქვენი მომთხრო გროსმაისტერმა ნიკოლო როსელიმომ. ეს მოქალაქე წარმოშობით ბერძენია, ბავშვობაში ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთში ცხოვრობდა, საფრანგეთში კი პროფესიონალ მოქალაქეს ფიქრი შეეძლო მხოლოდ... შიმშილზე. ბედის საქმიელად როსელიმომ გადალახა ოკეანე და თავი ამოკყო ამერიკის შეერთებულ შტატებში; მაგრამ არც იქ დახვედრიან მას ვარდებითა და მუსიკით. გროსმაისტერი კუბრქელს რეცხდა ოტელებში, დაჰყავდა მგზავრები ტაქსით, ბოლოსდაბოლოს მიიღო ამერიკის ქვეშევრდომობა და კვლავ ჭადრაკით სცადა მოეპოვებინა „პური არსებობისა“. და აი, როსელიმომ მიაპბო, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იგი აშშ-ს ღია ჩემპიონატი ეთამაშე-

ბოლ. ლ. ევანსს. საშინელ ციტირებში მას უკანასკნელი წამები დარჩენილია, და ოფლი ღვარად სდიოდა სახეზე. ამ გაკირვებაში მყოფ გროსმაისტერს მიუხალოვდა ვ-ლც უცნობი, სივარცლი ცხვირში წისპარა და უთხრა: „მე-სტრო, ერთა მომკიდეთ!“ ნიკოლო როსელიმომ აღფრთხილებული მეკითხებოდა: „შეიძლება ასეთ პირობებში ჰადრაციის თამაში?!“ დიახ, დიახ, — თანვარძნობით ვუპასუხე, — ძნელი საქმე-მეთქი.

უტყობთში მოქალაქეს უყურებენ მხოლოდ როგორც მოთამაშეს, ჩვენ კი მიგვიჩნია, რომ მოქალაქე—ესაა მხატვარი. ჩვენ უკვე „ჰადრა-კის თამაშს“ აღარ ვამბობთ, მას „საქადრაციო ხელოვნებას“ ვუწოდებთ.

თბილისელთა ინტერესი ტურნირისადმი უდი-დესი იყო, გულშემატკივრებს საქმე არ შემო-ლევიათ. ერთნი გურგენიძეს ემხრობოდნენ, მეორენი — პეტროსიანს, მესამენი — ტალს, მეოთხენი — კერესს, სპასიეს, ბრონშტეინსა და ა. შ. მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, ნეიტრალურნიც იყვნენ: ისინი მოდიოდნენ რუსთაველის თეატრში, რაღაც მანქანებით ნაშოვნნი ბილეთის წყალობით, მოკალაოდებო-დნენ სავარძელში და ოცევე მონაწილისაგან თანხარ სიამოვნებას ღებულობდნენ, თანაც სულ იმას კითხულობდნენ — ბოტვინიკი და სმისლოვი რატომ არ ჩამოვიდნენო. ეტყობა, მათ ოცდობრი სიამოვნების მიღება ერთიან-ოცისას.

მართლაც, სადაა ბოტვინიკი

ბოტვინიკს ჩვეულებად აქვს ზმირად არ ითამაშოს ტურნირებში. 1958 წელს „მან ბერის უფლება მისცა თავის თავს“; მატჩი სმისლოვთან, ლიტერატურული მუშაობა წიე-ნზე ამ მატჩის შესახებ, შემდეგ მონაწილეობა მსოფლიო საქადრაციო ოლიმპიადაში დასავს-ტროლო მოგზაურობა პოლანდიაში. გარდა ამისა, სერიოზული მუშაობა ძირითად სამსა-ხურში. ამიტომ ბოტვინიკმა ითხოვა ვაეუთ-ვისუფლებინათ იგი ჩემპიონატში მონაწილეო-ბისაგან. შესაძლოა ჩვენი მოქალაქეები ნაწ-ყენი იყვნენ მსოფლიო ჩემპიონზე. ბოტვინიკს სხვა ქვეყნებიც აზარბთხელ განუწყენებია. მას ზმირად საყვედურებოვენ—საუბრაბრატო იშვიათად დადიხარო. „მსოფლიოს ჩემპიონი ჰადრაციში ეკუთვნის საქადრაციო მსოფლიოს“— ხშირად წერენ უტყობთის ფურნალეზში. მაგ-რამ ბოტვინიკს მართლაც სერიოზული სამუ-შაო აქვს. შესაძლოა ზოგიერთმა გროსმაის-ტერმა გაიხრბათ, რომ ის ფურნალისტი ან ინჟინერია, მაგრამ ეს მთლად სწორი არ იქნება. მათ ბუნებაში მოქალაქე ყოველ-

თვის ჰარბობს ფურნალისტს, ბოტვინიკი კი დიდ დროს უთმობს ინჟინერის ძირითად საქ-მიანობას ელექტროსადგურების სამინისტრო-ში. როცა მოსალოდნელია მატჩი ან ტურნი-რი, მსოფლიო ჩემპიონი შეგებულებას იღებს (თავის ანგარიშზე), მაგრამ ამის საფასურად მას ორმავე ენერგით მუშაობა უხდება შე-ჯიბრების დამთავრების შემდეგ. 1958 წელს მოქალაქე ბოტვინიკმა თავისი გეგმა შესა-რულა (დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული), ხოლო ინჟინერი ბოტვინიკი ცოტა არ იყოს ჩამორჩა გეგმების შესრულებაში და ამიტომ ვერ ჩამო-ვიდა თბილისში.

რაც შეეხება ბოტვინიკის „პირველ მოად-გილეს“ სმისლოვს, მას თავისუფლად შეეძლო თბილისში ჩამოსულიყო. დრო მას საქმარისზე მეტი ჰქონდა. მაგრამ სმისლოვი, ეტყობა პრე-ტენდენტთა ტურნირზე ფიქრობს და საქვეში-რო ჩემპიონატში მონაწილეობა აღბათ არ შედიოდა. მისი შინაღების გეგმაში. ამიტომ სმისლოვსაც შეიძლება მივეტყვით ეს „დე-ზერტირობა“. ამ ორი „ყოჩის“ ჩამოუსვლე-ლობა დსანანია თბილისელთათვის, მაგრამ, მე მგონი, თვით ვარსმან-სტერებისთვისაც არანაკლებ გულდასაწყვეტია ის ამავე, რომ ამჯერად ვერ ნახეს ეს საქადრაციო ზეიმი, თბილისის მზე და ქართული სტუმარმოყევა-რეობა.

მაგრამ ბოტვინიკისა და სმისლოვის ვარე-შეც არ იყო მოსაწყენი თბილისის ტურნირი-ზ მიზელ ტალი, პორის სპასიკი, ტერან პეტრო-სიანი, მარც ტაიშანოვი და სხვანი და სხვანი. უყურებ და გიკვირს: რა ახალგაზრდები არია ანი როდის მოასწერეს ასე კარვად ესწავლათ ჰადრაციის თამაში უნებურად გებაღება კით-ხვა:

როდის სჯობს ჰადრაციის თამაშის დაწყება?

ეს მეტად სერიოზული საკითხია. ალიონი-მა და კაპალანკამ ჰადრაციის თამაში ძალზე ადრე დაიწყეს: ალიონის 7 წლისა იყო, კა-პალანკა—კიდევ უფრო პატარა. ჩვენი მო-ქალაქეებიდან თამაში ბევრმა ბავშვობის ასა-კიდან დაიწყო. ეს ჩვეულებრეც ასე ზდება: პირველი სკოლები კეთდება სპალში მამის ან უფროსის ძმის თვალწინ, ხოლო ტალანტების შემდგომი აღმოჩენა და განვითარება პიონე-რთა სასახლეში ზდება. სმისლოვმა საქადრაციო განათლება მიიღო მსსკოვის პიონერთა სასახ-ლეში, სპასიკი და ტაიშანოვი — ლენინგრა-დის პიონერთა სასახლეში, პეტროსიანმა — თბილისის, ტალმა — რეგის, ბრონშტეინმა — კიევისაში და ა. შ. ჰადრაციის თამაშს ენება არასდროს არ მოაქვს. მე ვფიქრობ, ყველას

საგობს თამაშის დაწყება 8 — 9 წლის ასაკში. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვმა ჰქონდეს ვატარებისას არ გადააპარბოს და ამინ უარყოფითად არ იმოქმედოს სწავლაზე. ამის საფრთხე კი არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობლები თვალყურს არ ადევნებენ ბავშვებს. აი მაგალითი: ბობ ფიშერის სახით ამერიკელებს უძღვრესად ძლიერი საქადრავო ტალანტი ჰყავთ: აშშ-ის ჩემპიონი 15 წლისაა, მაგრამ ცნობილია, რომ ფიშერს აინტერესებს მხოლოდ მხოლოდ ჰადრავი, სწავლა არ მოსწონს, მასწავლებლები არ უყვარს. მას თავში მხოლოდ საქადრავო უჯრები და ფიგურები უტრიალებს. კარგად რომ დაუყვირდები ფიშერს, მაშინვე შეამჩნევ, რომ ესაა საოცრად სუსტი, ფერმკრთალი და ნერვიული ბავშვი. ჰადრავი ლამაზი და ჰქვიანური თამაშია, მაგრამ ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანს უნდა ჰგავდეს. შეზღუდული პიროვნება ვერ გახდება მსოფლიო ჩემპიონი. ტალმა, მაგალითად, ფრიადონსად დაამთავრა რიგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, სპასი ჩინებულად სწავლობს, ტაიპანოვმა კონსერვატორია დაამთავრა და ცნობილი პიანისტი გახდა. ჩვენს ქვეყანაში ყოველი გროსმაისტერი ვალდებულია დირსეული ადგილი ეკავოს საზოგადოებაში.

აიღეთ, მაგალითად, ბორის სპასი. იგი ყოველთვის ყველაზე ახალგაზრდაა. 9 წლის ასაკში იგი ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა პირველთარგოსიანი იყო, 16 წლისა ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო გროსმაისტერი გახდა და თბილისში იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ საბჭოთა კავშირის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ყოფილიყო. სპასი ბევრ დროს უთმობს ჰადრავს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს საერთო მრავალმხრივი განათლების მიღებაში. თქვენ შეგიძლიათ ათასგვარ თემაზე ესაუბროთ სპასიკის, იგი ყველაფერში მშვენივრად ერკვევა. ამერიკის ჩემპიონთან ბობ ფიშერთან კი ლაპარაკი არ გავივრძელებათ: იგი ჩუმადაა, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და საუბარში ჩაერევა მხოლოდ მაშინ, თუ ვინმემ ჰადრავი ახსენა.

ანდა გავიხსენოთ ალექსანდრე ალიოზინი. მას თავდადოვნებამდე უყვარდა ჰადრავი, მაგრამ ამჟვე დროს იგი იყო უდიდესი კულტურისა და ერუდიციის მქონე ადამიანი, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ენაზე.

სად არიან „უხუცესნი“?

თბილისის ჩემპიონატის „უხუცესი“ მონაწილეა 46 წლის რ. ნეჟმეტლინოვი. კერესი 43

წლისაა. მაგრამ, საკითხავია, სად არიან „უხუცესნი“, ბონდარევსკი, ლილიენტალი, ტოლუმი და სხვანი? დაბერდნენ. მათ უკვე აღარ ჰყოფნით ენერგია და გამძლეობა ჩემპიონის წოდებისათვის საბრძოლველად. ოდესღაც მიაჩნდათ — 35 — 45 წლის ასაკის მოჰადრავე შემოქმედების აუცილებას განიცდისო. მაგრამ ახლა სხვა დროა. ახლა ახალგაზრდობა იეროშხვა გადასული და პრაქტიკულად გიმტკიცებენ, რომ მოჰადრავეს 45 წლის ასაკში დამშვიდებული სინდისით შეუძლია საქადრავო პენსიაზე გადასვლა. გროსმაისტერთა ერთი ნაწილი ამაში რწმუნდება დღერ კიდევ ნახევარფინალში, სხვანი მხოლოდ ფინალში იჯერებენ, რომ „მოხუცებს“ აქ უკვე აღარა აქვთ საქმე. ასე უსიამოვნებაში დარწმუნდა 1958 წლის ჩემპიონატში, მაგალითად, ტოლუმი, როცა უკანასკნელ ადღერეულ აღმორნდა ტურნირში.

„მოხუცებს“ უძნელდებოთ ვრცელი დისტანციის გაძლება და დიამბული ფიჭრი საქადრავო დაფსთან მთელი თვის მანძილზე. კერესი სულ 43 წლისაა, მაგრამ აქა-იქ მორიდებულად უყვე ისმის: „მაგონი დაბერდა ჩვენი პატივემული პაული“.

თქვენ შეიძლება ასეთი შეკითხვა მოგვეცეთ: მაშ როგორ თამაშობდა ლასკერი 60 — 65 წლის ასაკში? ჯერ ერთი, ლასკერი გამოიკლისი იყო, მეორეც, ვიყოვრბ, მაშინ ვაცილებოთ იოლი იყო ისეთ სიმაღლეზე შეჩერება. ერთი ეტბოვრა ლასკერს ჩვენს დღეებში და დარწმუნდებოდა — შეიძლება თუ არა ასეთ ახალგაზრდებთან თამაში.

კი მაგრამ ბოტვინიკი? ზომ უძლებს იგი ახალგაზრდათა იერიშებს. აი პასუხიც:

„ბოტვინიკის პარობლიმა“. რეშიმი, ნიკმიმი, ნიკმიმი...

ლასკერის მსგავსად ბოტვინიკიც გამოიკლისია. იგი რკინისებური ნებისყოფისა და ხსიითის ადამიანია, მთელი თავისი ცხოვრება ურყვე რეიშიში აქვს ვატარებული. ესაა ხანმშეუო მაგალითი არა მარტო მოჰადრავების, არამედ ყველა სხვა სპორტმენთათვისაც. იგი ბავშვიბიდან მოყოლებული რეველარულად ვარჯიშობს დალილობით, ყოველდღე სეირნობს სუფთა პაერზე და პირველი შესაძლებლობისთანავე მიემგზავრება ზოლმე მოსკოვს-გარეთ საკუთარ ავარავი. მას ზუსტად აქვს გამოთვლილი ყოველი ნაბიჯი და არ შეეცდები თუ ვიტყვი: ბოტვინიკს მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში არა აქვს დაღუულებული სულ 100 გრამი არაყი. იმ დაღუუვარ დღესაც კი, როცა ბოტვინიკს მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინი ვადავა, ბოლო-

მდე ვერაფრით ვერ დავალევი ერთი კვირა ხვანჭკარა.

აი ასეთი ხასიითი აქვს ამ ადამიანს და სწორედ ურყევია რეჟიმის, მტკიცე ნერვებისა და სიფხიზლას წყალობითაა, რომ 50 წელს მიღწეული მიხვილ ბოტინიკი საუკეთესო სპორტულ ფორმაშია. ამიტომ, რომ უძლებს ეს „ძველი ცხენ-სამიწარე“ ახალგაზრდობის „შემოსევას“.

სკეპტიკოსები ამტკიცებენ — 1960 წელს მიხვილ ბოტინიკი მსოფლიო ჩემპიონის საქმეებს ვადაბარებსო. რა მოგახსენოთ, პირადად მე ამაში დარწმუნებული არა ვარ. მე მჯერა ბოტინიკისა. იგი ჯერჯერობით არ ფიქრობს განშორდეს ამ სასიამოვნო და საპატიო ტიტულს.

ჩვენი მოქალაქეები ცდილობენ მაგალითი აიღონ ლიდერისაგან, მაგრამ ამას ყველა ვერ ახერხებს. „ბოტინიკის რეჟიმში“ ბევრს მოსაწყენად ეჩვენება.

მოქალაქისათვის აუცილებელია მეცადინეობა სპორტის რომელიმე სახეობაში, ამიტომ ყოველი გროსმაისტერი რაღაცით ერთობა. კერესი საჭიროდ ძლიერად თამაშობს ჩოგბურთს, გულერს ხშირად ნახავთ კალათხურთის მოედანზე, სპასკის — საცურაო აუზში, სმისლოვს, კოტოვს, რაგოზინს — საციგურაო ან სათხილამურო ბაღიკებზე. პეტროსიანი გაცემატულია მაგილის ჩოგბურთით. ერთი სიტყვით, ყველა ცდილობს შეძლებისდაგვარად გააყვეს ბოტინიკის რეჟიმს: „ჯანმრთელ სხეულში — ჯანმრთელი სულია“.

ტალი! ტალი!

აი იგი — ჩვენი „პატარა მიშა“. ორჯერ ზედინედ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მ. ტალი. ეს საჭადრაკო გმირობაა. საჭეპ საჭეპზე რომ მიდგეს ძველი სათქმელია, რა უფრო ძნელია დღეს მოქალაქისათვის — მსოფლიო ჩემპიონობა თუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ტალის სახელი დღეს მთელ მსოფლიოში ქუხს. მიუნჰენის საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს დ. პოსტნიკოვს არაერთხელ მიმართა ამერიკის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა მისტერ სპენმა: „ო, როგორ მოგეწონს თქვენი ტალი. იქნებ დავგივითოთ როგორმე, ა!“ პოსტნიკოვს გაეღიმა და ასე უპასუხა: „აი მაგრამ, თქვენ ხომ ვყავთ რე-შესკი“. მისტერ სპენმა საჭიანად განაგრძო: „ხუთ რეშესკის გაძლევთ ერთ ტალიში და ცოტადღესს კიდევ დავგივითებთ“.

მიხვილ ტალს დიდი მომავალი აქვს ჰადრაკში და უცხოეთის ფურანალები ხშირად წეიერ,

რომ აღრე თუ გვიან უნდა შედგეს მსოფლიო პირველობაზე ორ მიხვილ შორის.

თბილისის ჩემპიონატში ტალიმ გამართლა მოყვარულთა იმედები. მოიგო ტალიმ, წააგო, თუ ფრე გააყვითა, სულ ერთია, მისი თამაშის დროს მოწყენილობა არასოდეს არ ყოფილა დარბაზში. ტალი ძლიერ წააგვის ალიოხინს. ალიოხინი ამბობდა — ჩემი ცხოვრების მიზანი მსოფლიო ჩემპიონობააო. იგი არ იყო მკვებხარა და ყოფილინა და არ თავილობდა ესწავლა ე. წ. მეორეხარისხოვან მოქალაქეთაგან, ვინაიდან კარგი იდეები და სიახლე შეიძლება ყოველგვარი მასშტაბის მოჭადრაკეს გააჩნდეს. ალიოხინის დიდი ღირსება ის იყო, რომ წუთითაც არ შეუწყვეტია ახლის ძიება, ყოველთვის იღწვოდა საჭადრაკო ხელოვნების პროგრესისათვის.

მიხვილ ტალსაც უსაზღვროდ უყვარს ჰადრაკი. ვაადეიძეთ იგი თუ გნებავთ შეუადამი-სას და უარს არ გეტყვით ერთი-ორი პარტიის თამაშზე. ალიოხინს კოლოსალური მეხსიერება ჰქონდა და იმას უჩიოდა თავში ბევრი ისეთი რამე მრჩება, რაც სულ არააო საჭიროო. ბრწყინვალე მეხსიერება აქვს ტალსაც. მას შეუძლია ყოველი ტურის შემდეგ გიჩვენოთ ყველა პარტია და აგინსნათ, თუ ვინ სად შეცდა. კარგ მეხსიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. სხვადასხვა დებიუტებში არსებობს ისეთი გრძელი ვარიანტები (20 სვლამდე), რომელთა დამახსოვრება მოქალაქისათვის ისევე საუაღლებულია, როგორც გამარჯვლების ტაბულისა მოსწავლეთათვის.

სასიამოვნოა ის ამბავი, რომ მიუხედავად ესოდენ ბრწყინვალე წარმატებისა, მ. ტალი ძველმეტურად თავმდაბალი და მოკრძალებული. თავაზიანი, ზრდილი და ხალისიანი ადამიანია. ერთადერთი, რაც შეიძლება მას ვუსურვოთ, ესაა უკეთესი ფიზიკური მომზადება, მეტო ფიზიკური ღონე.

თბილისის მკვირვარი

ბევრი გულმემატკივარი ჰყავდა ტიგრან პეტროსიანს თბილისში. მას ხან ნათესაეები მოაკითხავდნენ, ხან სკოლის მეგობრები, ხანაც უბრალო კეთილისმსურველები. ეს არცაა გასაკვირი — ტიგრანი თბილისში დაიბადა და აქვე ისწავლა, თუ როგორ დაღის საჭადრაკო ცხენი. 16 წლის ტიგრანი ვადავიდა მოსკოვში, გახდა დედაქალაქის ჩემპიონი, გროსმაისტერი და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი. მაგრამ ეს უძლიერესი მოქალაქე დაფასთან ხშირად ზედმეტად ფრთხილობს და ბოლომდე არ მიჰყავს დასახული ამოცანა. მას ხშირად

დაუკავებია მესამე ადგილი, მეორე ადგილი, მაგრამ პირველი არასოდეს არ ყოფილა. და განა გასაკვირია, რომ სწორედ თბილისში გადამწყვეტი ტვირნი დაუფლებოდა ოქროს მედალს.

ტ. პეტროსიანთან ერთად ხშირად მიმგზავრია სახელმწიფო. განსაკუთრებით მასხოვს მგზავრობა სამხრეთ-ამერიკაში. ფრანგული ავიაკომპანიის ოთხმოცობიანი თვითმფრინავით ჩვეულებრივად მივმგზავრებოდით ბუენოს-აირესში. განვლეთ მადრიდი, ატლანტის ოკეანე, რიო-დე-ჟანეირო და დავეშვით ვარჯიხის დედაქალაქში — მონტევიდეოში. უპრობლემოდ სულთა პაერზე და შორიდან შევნიშნეთ აუარებელი ხალხი ცოცხალი ყვავილებით ხელში. დავინტერესდით, ვის ხელებიდან აქ ასეთი ზეიმი, ვინ იყო ჩვენს თვითმფრინავში ასეთი ცნობილი. მივეხსოვებოდა ხალხს და საერთო ხმაურში თანდათან გავარკვიეთ: „პეტროსიანი, პეტროსიანი“. რა მოხდა, რატომ მარცხა და მინც პეტროსიანი, თვითმფრინავში ხომ სხვა ბევრი გროსმისტრიც იყო.

შემდეგ შევიტყუეთ: ეს თურმე სოხუმების კოლონიის გაუგია პეტროსიანის ტრავმითი ჩამოსვლის ამბავი და მას რამდენიმე ასული კაცი დახვდა აეროდრომზე.

ალამინი თუ ავტომობილი

ტ. პეტროსიანი თავისებური ადამიანი. იგი წილიწაღში ერთხელ ავებს საჰაერაო პარტიას. მას ხშირად აღარებენ კაბალანკას, რომელსაც თავის დროზე საჰაერაო ავტომობილი უღივებდნენ. პეტროსიანი თამაშობს რკინისებური ლოკით, თითქმის არ უშვებს შეცდომებს და, ბუნებრივია, იშვიათად ავებს.

მაგრამ რამდენი არ აქვს კაბალანკა ტექნიკისა და უძველესობისათვის, მინც გამოჩნდა ადამიანი, რომელიც სწრაფად გაფანტა მითი კაბალანკას უძველესობისა. ეს იყო ალექსანდრე ალიოზინი. ჭადრაკში არ იყო, არ არის და არც იქნება დაუპარტებელი მოთამაშე. და ეს კარგია. სწორედ ეს არის ჭადრაკის მიმზიდველობის ერთ-ერთი მიზეზი.

მაგრამ ამ ბოლო დროს კვლავ დაიწყეს ლაპარაკი „ავტომობილ“ შესახებ, თუმცა ამჯერად გროსმისტრი კი არა ჰყავთ მხედველობაში, არამედ ელექტრონული მანქანა. ზოგიერთს გაუხარდა კიდევ, რომ გროსმისტრები აღარ არიან საჭირო და მათ ამიერიდან მანქანება შეცვლიან. შესაძლებელია თუ არა ეს? საბუთთა კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოიწყეს „მტრი“ ადამიანს და მანქანას შორის. და რა გამოვიდა! მანქანამ დებუტში

გააკეთა რამდენიმე „ადამიანი“ სულ, მაგრამ შემდეგ „არადამიანი“ გულბრყვილობით წავაო ლაზიერი, რის შემდეგ პარტიამ შეწყდა.

აქ მინდა გავიხსენოთ ერთი ჩვენი ვიზიტი პოლანდიაში გროსმისტრ მ. ბოტინიანთან ერთად. ამ ქვეყანაში მივცვივით პოლანდიელთა ეროვნული საჰაერაო ვიზის დოქტორ მაქს ეივეს ენიციტივით. იგი ექსპერტად მუშაობს „რემინგტონის“ ფირმის სისტემაში და ელექტრონული მანქანების დიდ მცოდნედ ითვლება. და აი, ერთობლივი გამოსვლისას ტელევიზორში ეივე ბოტინიანს შევითხარ: „შეუძლია თუ არა მანქანის თამაშის მსოფლიო ჩემპიონზე უკეთ“. ბოტინიანი თავდაბლადად უპასუხა, რომ ადამიანი ოდესმე ალბათ შექმნის მანქანას, რომელიც მსოფლიო ჩემპიონზე უკეთესად ითამაშებს ჭადრაკს. დოქტორი მაქს ეივე არ დაეთანხმა ჩემპიონს.

მე საქმოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს ელექტრონულ მანქანებზე და მეწველება წარმოვიდგინო, თუ როგორ ითამაშებს მანქანა მსოფლიო ჩემპიონზე უკეთესად. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მართლაც გამოვიყონ ავტომობილი, რომელსაც ალიოზინის გენიალურ სპადრატორებს ჩაუდებენ თავში.

მწვრთნელთა შესახებ

სასტუმრო „თბილისი“ იმ დღეებში ნამდვილ „საჰაერაო მექას“ წარმოადგენდა: მონაწილეთა გარდა ჩამოვიდნენ მთი მწვრთნელებიც. მკითხველთაგან ბევრმა შეიძლება გარკვეულად არც იცის მწვრთნელის როლი. უწინ მსოფლიო მსოფლიო პირველობის მატჩებზე ინიშნებოდნენ სეკუნდანტები, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარეთა ინტერესებს იცავდნენ კონფლიქტის შემთხვევაში, ჩვენს დროში კი მოდაში შემოვიდა, რომ ყოველ ასე თუ ისე ცნობილ მოჰადრატეს მწვრთნელი უნდა ჰყავდეს. მის მოვალეობას შეადგენს თავისი „ქვეშევს“ თეორიული მომზადება. მწვრთნელს ტურნირში წერილობრივად კი არ უნდა გამოჩნდეს. მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა გააჩინოს ველადებული პარტია ისე, რომ მონაწილეს მისცეს ძილისა და დახვეწების საშუალება. ხშირად ისეც ხდება ხოლმე, რომ მწვრთნელი თავისი კვალიფიკაციით საგრძობლად ჩამორჩება მოჰადრატეს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, მწვრთნელი კეთილშინდისიერად ეპყრობოდეს თავის საქმეს და ნამდვილად შესტიოდეს გული მოჰადრატისთვის. ყველაზე ხანგრძლივი შემოქმედებითი „ქორწინება“ ჰქონდათ ბოტინიანსა და რაგოზინს: ისინი დაახლოებით 20 წელს მუ-

შაობდნენ ერთად და მხოლოდ 1948 წელს გაიყარნენ, როცა რაგოზინმა შესარულა თავისი მისია და ხელი შეუწყო ბოტანიკის მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებაში. ბოტანიკი და რაგოზინი გულდასმით არჩევდნენ მომავალ შეხვედრათა ყოველ წერტილს, თვითვე ღებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ რაგოზინი სისტემატურად უბოლებდა პაპირს ბოტანიკის, რათა იგი შესჩვეოდა თამბაქოს კვამლს.

რა მოჰშიდა ბრონშტეინს?

თბილისის ტურნირში ბრონშტეინმა საერთო განცდილება გამოიწვია თავისი არათანაბარი და სუსტი თამაშით. ჭადრაკის მოყვარულები ერთადე ამას კითხულობდნენ: რა მოხდა, რა მოუვიდა ბრონშტეინს?

ბრონშტეინი უდიდესი ნიჭის პატრონია, მაგრამ ამ ბოლო წლებში მან დათმო ბოზიციები. დაბერდა დავითი? არა. ყველაზე არასასიამოვნო, რაც შეიძლება შეემთხვეს მოჭადრაკეს — ესაა საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა. ასე დაკარგა რწმენა ალიოზინმა ეივესთან მატჩის მესამე ნახევარში 1935 წელს და წაავო კიდევ 1957 წელს ბოტანიკის დავიარა რწმენა, რომ შეუძლია დაამარცხო სმისლოვი, და წაავო კიდევ.

ბრონშტეინი 1945 — 50 წლებში თამაშობდა ლაღად, დამაჯერებლად და ლამაზად. ამიტომ იყო, რომ ბევრს იგი მომავალ მსოფლიო ჩემპიონად მიაჩნდა. იგი ძლიერ ახლოს იყო ამ ტიტულთან, როცა 1951 წელს ბოტანიკთან მატჩში ლიდებდა 22 პარტიის შემდეგ. ამბონენ, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელობა უკვე ავზავინდა ბუხალტერს სპანკეტო დარბაზის დასაქირავებლადო, მაგრამ ბრონშტეინმა წაავო 23-ე პარტია. ეს იყო ფსიქოლოგიური დარტყმა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მისზე. ამის შემდეგ პრეტენდენტთა ტურნირში გზა ბოტანიკისაკენ ბრონშტეინს ორჯერ გადაუღება სმისლოვი, შემდეგ ბრონშტეინმა ახალი „ნოკდაუნი“ მიიღო პორტოროვის ტურნირში, სადაც წაავო ფილიპინელ კორდოსოსთან. ერთი სიტყვით, ბრონშტეინმა იგრძნო, რომ წლები გადის, კონკურენტთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება და მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის პერსპექტივებიც თანდათან ბუნდოვანი ხდება. იგი ცუდ გუნებაზეა, განიცდის ამ ამაჯს და ვეღარ თამაშობს უწინდელი ბრწყინვალადობით. თბილისში ბრონშტეინი ცაიტროტის განწყვეტულ „ციებ-ცებლებაში“ იყო, ბრონშტეინი, რომელიც ასე შესანიშნავად თამაშობს ელვიხეტურ ტურნირებს. ავერბახთან შეხვედრისას ბრონშტეინმა დანებებაც კი ვერ მოასწრო და

შამათი მიიღო. ერთი სიტყვით, ცხადია, რომ ბრონშტეინი კრიზისს განიცდის.

რა მოხდა თბილისში

ჩვენ ცოტა არ იყოს გავერთეთ საუბრით, მაგრამ თბილისის ტურნირი დამთავრდა და საკირთა ზოგერთი დასვენის გაეთება.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ამშვენებს ტიგრან პეტროსიანის მკერდს. პეტროსიანის ეს წარმატება სისუსტით დამსახურებულია. რამდენჯერ იყო იგი სულ ახლოს გამარჯვებასთან, მაგრამ ეს „ახლოს“ ვერაფრით ვერ გადალახა. ამჯერად პეტროსიანმა პირველივე სვლიდან მოპოვდა საქმეს ხელი და ბოლომდე მიიყვანა იგი. ტიგრანი თბილისში შესანიშნავად თამაშობდა და დუმიარცხებლად განსეო რთული და ეკლანი გზა. მით უფრო სმსამოვნოა, რომ საჭადრაკო იერარქის ეს მაღალი ტიტული მოპოვებულია მშობლიურ ქალაქში. ჩვენ გეწმის, რომ ეს არაა უკანასკნელი ზეიმი პეტროსიანის ქუჩაზე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მის თამაშს დამაჯერებლობას შემკატებს და პრეტენდენტთა ტურნირში პეტროსიანი ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

გროსმაისტერებს მეონი მიინცდამინც არ უნდოდათ, რომ მიხვილ ტაი მესამედ გამხლარიყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ეს მეტისმეტი იქნებაო, ამბობდნენ ისინი. განსაკუთრებით „აღმფთვებულ“ იყო კორჩნოი, რომელმაც ბოლოსწინა ტურში მეტისმეტად უსიამოვნო დამარცხება მიიყენა ტაის. მაგრამ ტაიმ არ უღალატა თავისი შრავალირიცხვი გულწრფელატკობებს და ყველაზე მეტო სიხალსე და სიმხნევე შეიტანა ტურნირში. ექსპანსიურ თბილისელთათვის ტაის თამაში ნამდვილ ესოეტურ სიამოვნებას წარმოადგენდა. ტაისაც ძლიერ შეუყვარდა თბილისელიები და სიტყვა მისცა მათ — პრეტენდენტთა ტურნირში შეიღვი ძალთი ვითამაშებო.

ახლა ჩვენი მოწინავე გროსმაისტერებიდან დარჩა მხოლოდ ბორის სპასკი, რომელიც ჯერ არ ყოფილა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მაგრამ მას ჯერ კიდევ დიდი მომავალი აქვს. როცა კი 22 წლისაა და გროსმაისტერია, მს დასანანი არაფერი აქვს.

შესანიშნავად ითამაშეს მარც ტაიანოვმა და რატმირ ხოლოვმა. განსაკუთრებით დიდი იყო ხოლოვის წარმატება; ჯერ ერთი, მან მიხევეტა თუკი რამე პირი იყო დაწესებული განვლლ ჩემპიონატში და, გარდა ამისა, იგი სულ მალე გროსმაისტერი იქნება. ეს კი არც ისე იოლი საქმეა. აი, მაგალითად, პოლუვაკის სულ ცოტა აკლდა გროსმაისტერობამდე

და ეს „ცოტა“ მას მოწინააღმდეგეებმა არ მისცეს. რას იზამ, გროსმაისტერებს მაინცდამაინც არ უყვართ, როცა მათს რიგებს ვინმე ემატება ხოლმე.

ვინაიდან საჰადრაკო ტურნირში არის მხოლოდ ერთი პირველი ადგილი, ხოლო მსურველთა რაოდენობა აუარებელია, გასაგებია, რომ ავერბახი, კერესი, ბრონშტეინი, კორჩნოი, გელერი ერთობ უკმაყოფილონი არიან განვლილი შეჯიბრების სპორტული შედეგებით. ეს უნდა გაითვალისწინოს ბუხუტი გურგენიძემაც, რომელმაც ვერ გაამართლა თავის ქომავთა იმედები.

ტურნირმა შეტად საინტერესოდ და ნაყოფიერად ჩაიარა. პარტიები ჯერ შესწავლის პროცესშია, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ბევრი მათგანი შეევა საჰადრაკო საგანძურში და ეს ასეც უნდა იყოს — საბჭოთა მოჰადრაკისა-

თვის შემოქმედებითი მხარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

მიწყდა თბილისის საჰადრაკო ტურნირის ბრძოლის ქუხილი. 1959 წელი სულ ახლახან დაიწყო, წინ კი კიდევ მრავალი შეჯიბრებაა, მათ შორის შეხვედრები უცხოეთის მოჰადრაკეებთან.

ვუსურვოთ ჩვენს გროსმაისტერებს ახალი წარმატებანი საბჭოთა საჰადრაკო სკოლის სასახელოდ!

თბილისის ჩემპიონატი, როგორც ტურნირი, ისტორიის ლაბირინთში მიდის. მაგრამ როგორც მის მონაწილეებს, ისე ჩვენც — დამსწრეებს დიდხანს გვემახსოვრება საჰადრაკო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში.

ჩვენ კი, სტუმრებს, არასოდეს დაგვაიწყდება ლამაზი ქალაქი — თბილისი და სტუმართმოყვარე ქვეყანა — საქართველო.



ალბანეთი

სუთი წელი

ალბანეთის ოპერისა და ბალეტის თეატრს სუთი წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში მის სცენაზე დაიდგა გლინკას „ივანე სუხანინი“, სმეტანას „გაყიდული საბატარძლო“, ვერდის „ტრაჯედია“, ფრანკო კომპოზიტორის პარტეტის ბალეტი „ამაო ზრუნვა“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, მასკანის „სოფლის პატისონება“, როსინის „სევილიელი დალაქი“ და სხვ. — სულ 660 სპექტაკლი. გარდა ამისა ოპერის ძალების მონაწილეობით იმართებოდა ვოკალური და სიმფონიური კონცერტები.

ოპერა ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდებით, რომლებმაც მუსიკალური განათლება მიიღეს საბჭოთა კავშირში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და თვით ალბანეთში. ადგილობრივი ბრენა აღნიშნავს იმ უანგარო და ქმედითს დახმარებას, რომელიც გაუწიეს ალბანურ ოპერას საბჭოთა რეჟისორებმა ნ. დომბროვსკიმ, მ. გევორქიანმა, ბალეტმეისტერებმა თ. რუსევიმ, კ. კარპინსკიამ და სხვ.

პირველი ოპერა

გასული წლის დასასრულს ალბანეთში დაიდგა პირველი ალბანური ოპერა „მრიკე“, რომელიც დაწერა ცნობილმა კომპოზიტორმა პრენკ იაკობმა პოეტ ლაზარ სიდიჩის ლიბრეტოს მიხედვით.

ოპერაში ასახულია ის შრომითი პათოსი, რომელიც გამოავლინეს კარლ მარქსის სა-

ხელობის ჰიდროელსადგურის მშენებლებმა, რომელთა ერთ-ერთ ბრიგადას მეთაურობს უმაწვილი ქალი „მრიკე“. ოპერაში ფართოდაა გამოყენებული ალბანური მუსიკალური ფოლკლორი.

„მხოლოდ 14 წელმა განვლო ალბანეთის განთავისუფლების შემდეგ და ჩვენ უკვე ვიხილეთ სცენაზე პირველი ალბანური ოპერა. ანტიბალსურ რეჟიმების ბატონობის პირობებში ამაზე ოცენაზე კი არ შეიძლებაოლა, — აღნიშნავს გაზეთი „ბაშქიმი“.

აუმ

დინა დურბინი დაბრუნდა

როგორც ცნობილია, „ოქროსმხიანი გოგონა“ დინა დურბინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გათხოვდა, დასტოვა ეკრანი და ერთგვარად პოპულარობაც დაკარგა. ახლა იგი კვლავ დაუბრუნდა ეკრანს, კონტრაქტი დასდო ყველაზე ცნობილ კინოკომპანიათა და მონაწილეობას იღებს ახალ მუსიკალურ ფილმში.

მარის მარია რემარკი პარანაში

ამას წინათ ჰოლოვუდში დამთავრდა ახალი ფილმი „სიყვარულის უამი“, რომლის სცენარსაც საფუძვლად დაედო ერის მარია რემარკის რომანი — „უამი სიცოცხლისა და უამი სიკვდილისა“. ამ ფილმ-ტრაგედიაში მთავარ როლებს ასრულებენ ლიზელოტა პულვერი და ჯონ ჰავენი. ფილმი მონაწილეობს თვით ავტორი — რემარკი ასრულებს გესტაოს მიერ დევნილი ყოფილი პროფესორის როლს.

„მარტინ იდენი“ ეპარანე საბჭოთა კავშირი და ამერიკა იღებენ ერთობლივ ფილმს — ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენს“. რუთის როლის შემსრულებლად განზრახულია ტატანა სამოილოვას მიწვევა.

ფილმი ყნოსვასაც ბაბლიზიანებს

ამერიკული კინომრეწველობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავი დააღწიოს კრიზისს, და არკი მიმართავს ერთადერთ სწორ გზას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კარგი ფილმები გადაიღოს. ახლა ამერიკელი პროდიუსერები გატაცებული არიან კიდევ ერთი „სიახლით“ — გადაიღონ ისეთი ფილმები, რომელთა აღქმავი უნსვის ორგანოც მონაწილეობს. მალე შედგება პირველი ასეთი ფილმის პრემიერა — ეს იქნება პატარ-პატარა ნაწყვეტების სერია, სადაც თვითიველ ნაწყვეტს თან დაპყვეტა მისთვის დამახასიათებელი სუნე. საპროექციო კონსაპარატთან შეერთებული ელექტრონული მექანიზმი სათანადო დროს გამოყოფს შესაფერ სუნს. ჯერჯერობით არ ამხელენ, თუ როგორ განდევნიან ამ სუნს დარბაზიდან, როცა საჭირო იქნება მომდევნო სუნის გაშვება. ერთი რამ ცხადია: „სენსაციების“ გამოდევნება ვერ იხსნის ჰოლოვუდის მონაპოლიებს გამოყოფალი მდგომარეობიდან.

გოეთესა და თომას მანის მიმოწერა

ერთმა ნიუ-იორკელმა ანტიკვარმა გამოაცხადა, გოეთესა და თომას მანის მიმო-



წერას ვყოფილი. მას უნდოდა შეემოწმებინა თავისი მყოფდევანების ინტელიგენცია — იციან თუ არა მათ, რომ თომას მანა გოეთეს გარდაცვალებიდან 43 წლის მერე დაიბადაო. აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი ცოტა ვინმეს სცოდნია.

ბულგარეთი

80 წლისთავი

ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა ვასილ კოლაროვის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა, რომელმაც თავისი არსებობის 80 წლისთავი იხივია. ბიბლიოთეკაში დაცულია 500.000-მდე წიგნი და ჟურნალი, 658.000 ისტორიული დოკუმენტი, 25.822 გეოგრაფიული რუკა, გრაფიკა და პორტრეტი. იგი ყოველდღიურად ემსახურება 22.000 მკითხველს — ეს ციფრა ათჯერ აღემატება 1939 წლის რიცხვს.

გერმანია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
ტოლსტოის „აღდგომა“

მიუნენში მთავრდება ფრანკო - იტალიურ-გერმანული ფილმი „აღდგომა“ ლ. ტოლსტოის რომანის მიხედვით.

მასლოვას როლს ასრულებს ახალგაზრდა იტალიელი მსახიობი ქალი მარია ბრუ, ნუბლუდოვისას — ცნობილი გერმანელი მსახიობა ჰორსტ ბუჰოლცი.

ესპანეთი

„ჩვენ ბრალს ვმდებთ“

გამოვიდა ახალი ფილმი — „ჩვენ ბრალს ვმდებთ“. ფილმი დადგა რეჟისორმა ხოსე ფერერიამ, რომელიც ამავე დროს ასრულებს მთავარი გმირის — უსამართლოდ დაჯილდოვებულ დრეიფტისას როლს.

მიტნაში

92%

დასასრულს უახლოვდება ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ტარდებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიაციისათვის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გასული წლის მიწურულისთვის წერა-კითხვა შეისწავლა ძირითადი მოსახლეობის 92%.

ინგლისი

სიმართლე „ცილისწამება“ მონათლეს

გერმანელი რეჟისორების ცოლ-ქმარ ტორნადაიების ცნობილი დოკუმენტური ფილმი „ოპერაცია — ტუტონის მახვილი“, რომელმაც კარლოვი ვარის კინოფესტივალზე მიიღო ერთ-ერთი მთავარი პრემია, ინგლისის კინოცენტრში აკრძალა, როგორც ცილისწამება ცოცხალი პიროვნებისა. ეს პიროვნება გახლავთ მიტლერის გენერალი შუბიდელი, რომელიც ამჟამად ატლანტიკური პაქტის ჯარების მთავარსარდალია.

ოსბორნის პიესა
მარანა

ლონდონში დაიწვეს ფილმის გადაღება ჯონ ოსბორნის გახმაურებული პიესის „სიყვარულისა და მრისხანეობის“ მიხედვით. ფილმის რეჟისორია ტონი რიჩარდსონი, რომელმაც დადგა ეს პიესა ლონდონსა და ნიუ-იორკში.

დიდებას აჯობებს

ამას წინათ სუბერ-მოდერნისტთა ჯგუფმა მოაწყო აბსტრაქტული მხატვრობის გამოფენა, სადაც გამოფენილი იყო სამი მაიმუნის, აგრეთვე თხუთმეტი თვისა და სამი წლის ბავშვების „ნაწმენდები“. კრიტიკოსებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ ამ უკანასკნელთა ნამუშევრები გაცილებით მეტ ესთეტიკურ და ადა-

მანურ შთაბეჭდილებას ქადაგებდნენ მხანგებლებზე.

იტალია

ნეორეალისტური ფილმების წარმატება

ამას წინათ მილანში ჩატარებულმა თავისებურმა ფესტივალმა იმედი გაუცრუა იმათ, ვინც ამტიციებდა, ნეორეალისტური ფილმები აღარ აინტერესებს საზოგადოებას — ფესტივალში მიეძღვნა იმ ფილმებს, რომლებიც 1946 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იღებდნენ „ვერცხლის ნიფარის“ ჯილდოს, — ე. ი. თითქმის ყუელა ნეორეალისტურ ფილმს.

ფესტივალმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაყურებელი უფრო მეტად ეტანებოდა ნეორეალისტურ ფილმებს, ვიდრე პოლიფუნქციონალურ ფილმებს. ასე, მაგალითად, სურათმა — „რომი ღია ქალაქია“ ერთ დღეში მიიღო 587.000 ლირა შემოსავალი, მაშინ როცა ათასგვარი პრემიით აღნიშნულმა პოლიფუნქციონალურმა ფილმმა „ხიდი კვაიზე“ შეაგროვა მხოლოდ 322.000 ლირა, თუმცა ამ ფილმს ოთხ დღე კინოთეატრში აჩვენებდნენ და რეკლამაც საუკეთესო ჰქონდა.

ნეორეალისტური ფილმებიდან ყველაზე დიდი წარმატება ხვდა ფილმს „პაისა“, შედგენილი იყო „რომი ღია ქალაქია“, „მიწა ირყვია“, „მეხისე ამოვა“, „კანონის სახელით“ და „ქუჩის ბავშვები“.

ფესტივალმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ინტერესი ნეორეალისტური ფილმებისადმი არა თუ შენედა, პირიქით, გაცხოველდა.

სტრადნიპარისის მუზეუმი

კრემონში გაიხსნა სტრადნიპარისის მუზეუმი. გამოფენილ მუსიკალურ ინსტრუმენტთა შორისაა პირველი ვიოლინი, რომელიც ამ სახელ-

განთქმულმა ოსტატმა 1515 წელს შექმნა. გარდა ამისა მუზეუმში ინახება განთქმული კერამონელი კამპოზიტორების ხელნაწერები, დაწვებული მონუმენტული და გათავებულები პანელები.

„მშრალი ზაფხული“

რეჟისორი კ. პილიგრინი იღებს სურათს — „მშრალი ზაფხული“. ოპერატორია კარლო ნანტუორი, რომელმაც კარლოვი ვარის ფესტივალზე ჯილდო მიიღო ოსტატური ოპერატორობისთვის.

„ტოტო სივრცეში“

რეჟისორი სტენო იღებს ახალ ფილმს, რომელშიც მონაწილეობს განთქმული იტალიელი მსახიობი ტოტო და რომლის სახელწოდებაც იქნება „ტოტო სივრცეში“.

დე სიპას ახალი ფილმები

ვიტორიო დე სიპამ ძაუტონის სცენარის მიხედვით გადაიღო ფილმი — „18 საათზე იწყება განკითხვის დღე“, რომელშიც თამაშობენ ჯინა ლოლობრიჯიდა, სილვანა პამპანინი, მარტინა კაროლი და ტოტო.

გარდა ამისა ფილმში „იქის რის მტრები“ ვიტორიო დე სიპა ასრულებს სახელგანთქმული ორატორის ციცირონის როლს.

ბარდნერი დაბრუნდა

დაიწყო ახალი ფილმის გადაღება, რომელიც ასახავს სახელგანთქმული ესპანელი მხატვრის გოიას ცხოვრებას. მთავარ როლს ითამაშებს ცნობილი კინოვარსკვლავი ავა გარდნერი. ეს იქნება გარდნერის პირველი ფილმი მას შემდეგ, რაც მან სახე დაიშვა ერთ ფილმში ზარების ბრძოლის გადაღების დროს.

პოლონეთი

ახალი ლეჰიონი

მეცნიერებთა აკადემიამ ამას წინათ გამოცხადდა პოლონურის

ენის ახალი ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 120.000 ძირითად სიტყვას და 11 ტომისაგან შედგება. ლექსიკონის რედაქტორია პოლონეთის ერთ-ერთი გამოჩენილი ენათმეცნიერი ვიტოლდ დორშინცკი.

პოლონური ლექსიკოგრაფიის დასაწყისი შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. პოლონური ენის პირველი ლექსიკონი შეადგინა სამეფლ პოვუმილ ლინდემ 1807—1814 წლებში. ეს ლექსიკონი მოიცავდა ყველა კლასის, ფენის, პროფესიონისა და სფეროს ლექსიკას. მას მოყვა ვარშავის ლექსიკონი, რომელიც 1900—1927 წლებში გამოვიდა.

სლოვაკის წელიწადი

დიდი პოლონელი პოეტის იულიუს სლოვაკის დაბადების 150 წლასა და გარდაცვალების 110 წლისთავთან დაკავშირებით ვარშავასა და პოლონეთის სხვა დიდ ქალაქებში ეწყობა სლოვაკის წელიწადი, რომლის პროგრამაშიც იქნება სლოვაკის პიესების ფესტივალი, პოეტის ძეგლის გახსნა, სამხსოვრო დაფების გაყვრა იმ სახლებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის ცხოვრებასთან და სხვ.

ახალი ფილმები

პოლონეთის ეკრანებზე უკვე აჩვენებენ ახალ პოლონურ ფილმებს „ფერფლი და მარგალიტი“ და „შეხვედრა“. პირველი მათგანი გადაიღო რეჟისორმა ანჟელი ვაილამ იეთი ანჟიევისკის რომანის მიხედვით. ფილმში მოქმედება იშლება 1945 წელს — მოთხრობილია პარტიული მდივნის შტუკის მკვლელობა და მარტე ხელმოციისა და კრისტიანას სივრცითულის ამბავი. „შეხვედრაში“ ნაჩვენებია ომი, ოკუპაცია და პოლონეთის გათავისუფლების პირველი დღეები. ესაა ამბავი

ორი ახალგაზრდისა, რომლებიც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ დაშორეს და რამდენიმე წლის მერ კვლავ შეიყარნენ. მთავარ როლებს ასრულებენ ტადეუს იანჩარი და მარია ვასოვიკი. ფილმის რეჟისორია ვიჩეკ ხასი.

საზრანბეთი

ვენის ფესტივალზე

ცნობილია ფრანგმა მხატვარმა-კარიკატურისტმა ჟან ეფელმა (რომლის სერია — „სამყაროს შექმნა“ ჩეხურმა კინემატოგრაფამ ეკრანზე გადაიტანა) თანხმობა განაცხადა მხატვრულად გააფორმოს ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალში, რომელიც 1959 წელს ეწყობა ვენაში. გარდა ამისა ჟან ეფელი მონაწილეობას მიიღებს თეატრის მუშაობაში — თეატრი უნდა განიხილოს ხუთი გამოფენა-კონკურსის ხელოვნების დარგში, მათ შორის საერთაშორისო კონკურსი საუკეთესო პლაკატზე და ბავშვთა ნახატზე. ფესტივალის შემდეგ ვენაში მოეწყობა ჟან ეფელის ნამუშევრების გამოფენა.

თანამგზავრის მხამხსად

მარჩელო პაბლიერო იღებს ფილმს — „20.000 მილი დედამიწის გარშემო“. ფილმში მოქმედება მიმდინარეობს 90 წუთის განმავლობაში, ე. ა. იმდენ ხანს, რამდენსაც ანდომებს თანამგზავრი დედამიწის შემოვლას. ფილმს იღებენ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი საერთო ძალებით.

კინოსტუდიაში

საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის კინოსტუდები მუშაობენ შემდეგ ფილმებზე: რეჟისორი ალექსანდრე ასტორუი (ავტორი ფილმისა — „ერთი ცხოვრების მხატვრობა“) ამთავრებს სამუაღის



ფილმისათვის, რომელსაც იღებენ ზოლან „ჟერმინალის“ მიხედვით. ლუი მალი ამთავრებს ფილმს „შეყვარებულნი“. ალექს უორი იღებს ფილმს „ცოლიების ჩხუბი“. ანდრე კაიატმა დადგა სატარული ფილმი „თავისუფლება, ერთობა და ძმობა“.

**„კომედი ფრანსეზი“
პარანაში**

კინემატოგრაფიაში ხელი მოჰკიდა ფილმების სერიის გადაღებას, რომლებშიც აღბეჭდილი იქნება პარიზის განთქმული თეატრის „კომედი ფრანსეზის“ საუკეთესო სპექტაკლები.

შან მარე—ტორეობრავი

პოპულარულმა ფრანგმა კინოსახიობმა შან მარემ ამ ბოლო ხანებში სახელი გაითქვა, როგორც ახალი ბალეტის „ჯადოქრის შევირდის“ დამამგებელმა და ქორეოგრაფმა. პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა პარიზში.

უნგრეთი

პოპულის თეატრი

ამ ორიოდ წლის უკან ბუდაპეშტში შეიქმნა ე. წ. პოპულის თეატრი. ესაა მუდმივი ტიპის თეატრი, რომელსაც აქვს მტკიცე დრამატურგიული გეგმა: აქ იმართება უნგრელი, რუსი, ამერიკელი, ჩინელი, ფრანგი და სხვა პოეტების (მაგ., ბერტოლდ ბრენტის, გორკის, ფრედერიკო გარსია ლორკას, ლონგფელოს, ვიონის, ჰიუგოს, არაგონის) საღამოები; იმართება აგრეთვე თემატური საღამოები, მაგ., „ხალხთა მეგობრობა“, „ადამის დღე“ და ა. შ.; იმართება ახალგაზრდა პოეტების საღამო. მშობლიური მთავარი მიზანია უნგრული ენის სიწ-

მინდის დაცვა და პოეტური გამომსახველობის ახალი გზების ძიება. თეატრის მუშაობა გაველენას ახდენს მის ირგვლივ თავმოყრილ პოეტებსა და ხელოვნების მუშაკებზე. თავის მხრივ პოეტებიც გველენას ახდენენ თეატრის რეპერტუარზე, მათ უფრო სისტემატურად მოჰკიდეს ხელი უცხოელი ავტორების თარგმნას, ბევრი მწერალი სავანგებოდ ამ თეატრისთვის წერს ლექსებს. პოპულის თეატრი განუტრეული ნაწილი შეიქმნა უნგრეთის როგორც ლიტერატურული, ისე თეატრალური ხელოვნებისა.

**უნგრული ხელოვნების
ისტორია**

ბუდაპეშტში გამოვიდა ფუნდამენტალური ნაშრომი — „უნგრული ხელოვნების ისტორია“ (II ტომი), რომელიც ასახავს უნგრული ხელოვნების თითქმის საუკუნენახევრიან ისტორიას 1800 წლიდან 1945 წლამდე.

**მონათმსახვე ხელოვნებათა
განყოფინა**

უნგრეთის ქალაქ პეჩში მოეწყო უნგრული და ფინური ხალხური ხელოვნების ერთობლივი გამოფენა. ვინაიდან უნგრელები და ფინელები მიეკუთვნებიან ერთ ეთნოურ ჯგუფს — უნგრო-ფინურ ჯგუფს — ამ ორი ხალხის ხელოვნების სხვადასხვაგვარი განვითარების შედარებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ორივე ქვეყნის ხალხში. გამოფენის დახურვის მერე პეჩის ქალაქის საბჭომ ყველა ექსპონატი გადაგზავნა ფინეთში, რათა ფინელი ხალხიც გაეცნოს უნგრული ხალხის ხელოვნებას.

შვედეთი

იხანის ენა

ბილდენდალის გამოცემლობა ოსლოში შეუდგა ჰენრიკ

იხენის ნაწარმოებების განცემას. ამასთან დაკავშირებით გამოცემა აგრეთვე ლექსიკონი იმ სიტყვებისა, რომლებსაც იყენებდა მწერალი. ენათმეცნიერებმა საყურადღებო რაზმ აღმოაჩინეს: იხენი ჰმარობს 12.000-ით მეტ სიტყვას, ვიდრე შექსპირი, რომელიც სიტყვათა ყველაზე დიდი მარაგის მქონე პოეტად ითვლება. იხენის ლექსიკონი 27.000 სიტყვას მოიცავს.

ჩეხოსლოვაკია

„მაინის პარსკვალი“

„მაინის ვარსკვლავი“ — ასე ეწოდება მეორე ერთობლივ ფილმს, რომელიც გადაიღეს ჩეხოსლოვაკიის სტუდია „ბარანდოვმა“ და მოსკოვის გორკის სახ. კინოსტუდიამ. ფილმს საფუძვლად დაედო ჩეხ მწერლის ლიუდვიგ აშქენაზ ნოველა, რომელიც მოგვითხრობს 1945 წლის მაისში პარიზის გათავისუფლების დღეებში ეწვეარი დღეების ამბავს. ფილმი მოიცავს ოთხ დამოუკიდებელ მოთხრობას, რომლებშიც ასახავენ ერთ თემას — ორი ხალხის დიად მეგობრობას. ფილმი დადგა საბჭოთა რეჟისორმა სტანისლავ როსტოცკიმ. გადაღებები კოლექტივის ბევრი წევრი მონაწილე იყო იმ ამბებისა, რომლებზეც მოგვითხრობს ეს ფილმი. ასე მაგალითად, ჩეხი ოპერატორ ვ. გუნკა 1945 წლის მაისში იღებდა საბჭოთა არმიის შესვლას პრაღაში; საბჭოთა ოპერატორი ვ. შუმსკი თვითონ მონაწილეობდა ბრძოლებში. ფილმში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის მსახიობები ა. ხანოვი, ნ. კრიუჩკოვი, ვ. ტახოვი, ნ. დოუენკო და ჩეხი მსახიობები მილოშ ნედბალი, იანადიტტოვა, იანა ბრეჩხოვა და ლადისლავ პეშეკი.



175
ფან 6 856.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„**ДИСК АРИ**“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«**საბჭოთა საქართველო**»